

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

# ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები

V

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

თბილისი 2015

შრომებში იბეჭდება სამეცნიერო გამოკვლევები, რომელიც მიძღვნილია ისტორიის, ფილოლოგიის, თარგმანმცოდნეობისა და სამართლის აქტუალური პრობლემებისადმი.

### სარედაქციო კოლეგია

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე), აკადემიკოსი რინ მებრეველი, პროფესორი მინდია უგრეხელიძე, პროფესორი ვახტანგ გურული, პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე, პროფესორი მანანა ტაბიძე, პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი, პროფესორი ეკა დუღაშვილი, პროფესორი კარლო ბზიშვილი, პროფესორი ავთანდილ კიკნაძე, პროფესორი ნონა თოდუა, პროფესორი სულხან კუპრაშვილი, პროფესორი ჯემალ კარაღიძე, ისტორიის დოქტორი ლევან ჯიქია (პასუხისმგებელი მდივანი).

ტომი გამოსაცემად მოამზადეს პროფესორმა ვახტანგ გურულმა და ისტორიის დოქტორმა ლევან ჯიქიამ

© გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

© ავტორთა ჯგუფი

ISSN 2346-7657

**St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia**

# **Works of Faculty of Humanities and Law**

**V**

**Publishing House „Georgian University“  
Tbilisi 2015**

The Collection contains scientific researches dedicated to the issues of History, Philology, Translation Studies and Jurisprudence.

### **Editorial board**

Professor **Sergo Vardosanidze** (Chairman), Academician **Roin Metreveli**, Professor **Mindia Ugrekheldze**, Professor **Vakhtang Guruli**, Professor **Giorgi Alibegashvili**, Professor **Tariel Putkaradze**, Professor **Manana Tabidze**, Professor **Rozeta Gujejiani**, Professor **Eka Dughashvili**, Professor **Karlo Bzishvili**, Professor **Avtandil Kiknadze**, Professor **Nana Todua**, Professor **Sulkhan Kuprashvili**, Professor **Jemal Karalidze**, Doctor of History **Levan Jikia** (Responsible secretary).

The Collection was prepared for publication by Doctor of History, Professor **Vakhtang Guruli** and Doctor of History **Levan Jikia**.

o s o e o s

## მცხეთის საპატრიარქოს გაუქმება (1809-1811)

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში რომ მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის გაქუმებას ისახავდა მიზნად, თავიდანვე ნათელი იყო. ამ მიზნით პირველი ნაბიჯები საქართველოს მთავარსარდლებმა გენერალმა პავლე ციციანოვმა (1801-1806) და გენერალ ივანე გუდოვიჩმა (1806-1809) გადადგეს. რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო ხელისუფლება დაჟინებით ცდილობდა: 1) ზუსტად დაედგინა რა უძრავ და მოძრავ ქონებას ფლობდა მცხეთის საპატრიარქო, 2) რა შემოსავალი გააჩნდა ცალკეულ ეპარქიებს, 3) რამდენი სამრევლო ეკლესია და მონასტერი არსებობდა მცხეთის საპატრიარქოში, 4) რამდენი ღვთისმსახური (თეთრი და შავი სამღვდელთა) და ბერ-მონაზონი იყო ცალკეულ ეპარქიებში და მთლიანად მცხეთის საპატრიარქოში. ამასთან ერთად პავლე ციციანოვი და ივანე გუდოვიჩი (განსაკუთრებით პავლე ციციანოვი) კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ისაგან მოითხოვდნენ, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ხელისუფლებასთან შეეთანხმებინა და გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არ მიეღო. პირველ რიგში ამას ცხადად გრძნობდა კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II. რუსეთის საიმპერატორო კარი პირველ ხანებში შენიღბულად მოქმედებდა. 1809 წელს საქართველოს მთავარსარდლად დანიშნულმა გენერალმა ალექსანდრე ტორმასოვმა მცხეთის საპატრიარქოს გაუქმებისათვის აქტიურად დაიწყო მოქმედება. კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა. საქართველოს მთავარსარდალი და საქართველოს მმართველი ყოველნაირად ზღუდავდნენ მას. კათოლიკოს-პატრიარქს დაუპირისპირეს რუსოფილი სამღვდელთა<sup>1</sup>.

1809 წლის 6 ივნისს ალექსანდრე ტორმასოვმა მოხსენება გაუგზავნა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინს. გენერალი ყოველგვარი შესავლის გარეშე მოხსენების დასაწყისშივე აცხადებს: ჩემი წინამორბედების (პავლე ციციანოვისა და ივანე გუდოვიჩის – გ. გ.) მცდელობის მიუხედავად, დღესაც კი უცნობია, თუ რამდენი ეკლესია, ან რამდენი ღვთისმსახურია ქართლ-კახეთში<sup>2</sup>. მოხსენებაში ალექსანდრე ტორმასოვი აყალიბებს თავის შეხედულებას ეკლესიაში გასატარებელი რეფორმების თაობაზე:

1. რუსეთის ეკლესიის მსგავსად თბილისში უნდა დაარსდეს **დიკასტერია**, რაზეც თანხმობა განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ.

2. სასულიერო მმართველობის ახალი ორგანო – დიკასტერია – დაამყარებს წესრიგს ეკლესიაში, ბოლოს და ბოლოს, გაირკვევა ეკლესიებისა და ღვთისმსახურების რიცხვი.

3. ეპარქიებში მმართველმა ეპისკოპოსებმა დიკასტერიის თანხმობის გარეშე ვერ უნდა მოახდინონ მღვდლად ხელდასხმა ან ბერად აღკვეცა.

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ.: ვახტანგ გურული. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1811-1814). თბილისი, 2010.

<sup>2</sup> Акты, собранные Кавказскою Археологическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 139.

4. დიკასტერიის შექმნამდე კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ უნდა აკრძალოს პირადად მისი და საერო ხელისუფლების (მთავარსარდლის – გ. გ.) ნებართვის გარეშე მღვდლად ხელდასხმა და ბერად აღკვეცა.

5. მღვდლად ხელდასხმისა და ბერად აღკვეცის შეზღუდვა შეამცირებს ღვთისმსახურების რიცხვს, რომელიც ამჟამად წარმოუდგენლად დიდია – ერთ ეკლესიაზე სამი-ოთხი მღვდელი მოდის.

6. თბილისში უნდა დაარსდეს **სასულიერო სემინარია**, სადაც ისწავლიან სამღვდელოების შვილები, რაც ხელს შეუწყობს სამღვდელოების განათლების დონის ამაღლებას.<sup>3</sup> რეფორმის ზოგადი მიმართულების განსაზღვრის შემდეგ ალექსანდრე ტორმასოვი უბრუნდება თბილისში სასულიერო დიკასტერიის დაარსების საკითხს და აღნიშნავს:

**პირველი.** ქართლ-კახეთის სამეფო საგვარეულოს პატივისცემის ნიშნად, რომლის წარმომადგენელიცაა აქ ყველასაგან პატივცემული კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II, ამ უკანასკნელს მივანდოთ სასულიერო დიკასტერიის დაარსება. ანტონ II უნდა გახდეს სასულიერო დიკასტერიის პირველი **პრეზიდენტი**, ხოლო **ვიცე-პრეზიდენტი** ერთ-ერთი გამორჩეული აქაური არქიეპისკოპოსი. ვიცე-პრეზიდენტმა შემდეგში უნდა დაიკავოს პრეზიდენტის ადგილი, ამიტომაც საქმისათვის უმჯობესია, თუ ვიცე-პრეზიდენტი გახდება რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრი არქიეპისკოპოსი **ვარლამი** (ქსნის ერისთავთა საგვარეულო სახლიდან – გ. გ.), რომელიც რუსეთში მოღვაწეობს და იცის სასულიერო დიკასტერიის მოღვაწეობის წესი და რიგი. გარდა პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტისა, სასულიერო დიკასტერიაში უნდა შევიდეს სამღვდელოებიდან არჩეული სამი წევრი და მდივანი. დიკასტერიას უნდა ჰყავდეს მთარგმნელი. დიკასტერიის მწერალთა რიცხვი განისაზღვრება სამუშაოს მოცულობის მიხედვით.

**მეორე.** სასულიერო დიკასტერიას სჭირდება შენობა (რეზიდენცია) და სახსრები სხვადასხვა საჭიროებისათვის. რადგან ჯერჯერობით დაუდგენელია აქაური ეკლესიების შემოსავალი, სასულიერო დიკასტერიამ უნდა მიიღოს ერთდროულად დაფინანსება – 5000 ვერცხლის მანეთი. სასულიერო დიკასტერიისათვის აუცილებელი თანხა შემდგომში გამოყოფილი იქნება ადგილობრივი საეკლესიო შემოსავლებიდან.

**მესამე.** კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II თბილისში მოღვაწეობს, თბილისში არსებული ეკლესიების უმრავლესობა მის ეპარქიას ეკუთვნის. საკუთრივ, თბილელ მიტროპოლიტს თბილისში ეკუთვნის 2 ეკლესია, ხოლო თბილისის მაზრაში – 7. ყველა ეს ეკლესია ძალზე ღარიბია. ამის გამო ანტონ II მიიჩნევს, რომ თბილისის ეპარქია უნდა გაუქმდეს.

**მეოთხე.** სასულიერო დიკასტერიაში უნდა იყოს ერთი წევრი, რომელსაც ესმის საქმის წარმოება. სწორედ ამიტომ დიკასტერიის წევრი უნდა გახდეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორი დეკანოზი **ალექსი პეტრიაშვილი**. ალექსი პეტრიაშვილმა ჯერ კიდევ 1803 წელს მიიღო სინოდის თანხმობა ბერად აღკვეცისათვის. კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II-ც თანახმაა მისი ბერად აღკვეცისა, რის შემდეგაც იგი აყვანილი იქნება არქიმანდრიტის ხარისხში, განწესდება თბილისის სიონის ტაძარში და ჩაიბარებს თბილისის ეპარქიას. ალექსი პეტრიაშვილი წესრიგს დაამყარებს სასულიერო დიკასტერიაში და თბილისის ეპარქიაში.<sup>4</sup> ალექსანდრე ტორმასოვის მოხსენება მრავალმხრივია საყურადღებო. უკვე იმათავითვე ცხადი იყო, რომ სასულიერო დიკასტერიის პრეზიდენტად ანტონ II-ის დანიშვნა მიმართული იყო კათოლიკოს-პატრიარქის ინსტიტუტის დაკნინებისაკენ. ეკლესიის სათავეში აღმოჩნდებოდა სასულიერო დიკასტერია და მისი პრეზიდენტი,

<sup>3</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 139-140; **ელდარ ბუბულაშვილი**. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ანტონ მეორე. თბილისი, 2002, გვ. 34-35.

<sup>4</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 140; **ელდარ ბუბულაშვილი**. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ანტონ მეორე. თბილისი, 2002, გვ. 36-38.

ფუნქციას დაკარგავდა კათოლიკოს-პატრიარქი და საპატრიარქო. ამ დროისათვის გადაწყვეტილი იყო ისიც, რომ ანტონ II-ს მალე რუსეთში გაიწვევდნენ და დიკასტერიის ვიცე-პრეზიდენტი, რუსოფილი არქიეპისკოპოსი ვარლამი ავტომატურად გახდებოდა სასულიერო დიკასტერიის პრეზიდენტი. ამის შესახებ ცხადად მიანიშნებდა ალექსანდრე ტორმასოვი: „а под ним нужно иметь из первых архиепископов вице-президента, который бы мог после него заступить место президента“.<sup>5</sup>

ანტონ II-ის რუსეთში გაწვევის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქი და მისი ხელისუფლება დე-ფაქტო აღარ იარსებებდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქს საერთოდ აღარ აირჩევდნენ, რადგან მას ფუნქციაც აღარ ექნებოდა – ეკლესიის მართვა-გამგეობა სასულიერო დიკასტერიისა და მისი პრეზიდენტის ხელში გადავიდოდა. ალექსანდრე ტორმასოვი დაჟინებით ითხოვდა დეკანოზ ალექსი პეტრიაშვილის აღზევებას და მისთვის თბილისის ეპარქიის ჩაბარებას. ეს შემთხვევითი არ იყო. დეკანოზი ალექსი ადრე რუსეთში მსახურობდა, რუსოფილი იყო და იგი ყოველმხრივ შეუწყობდა ხელს საპატრიარქოსა და კათოლიკოს-პატრიარქის ჩანაცვლებას სასულიერო დიკასტერიით და დიკასტერიის პრეზიდენტით.

ალექსანდრე ტორმასოვი ენერგიულად შეუდგა თბილისში სასულიერო დიკასტერიის დაარსების საქმეს. 1809 წლის 15 ივნისს მან წერილით მიმართა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს. გენერალი ანტონ II-ს უსაბუთებდა სასულიერო დიკასტერიის დაარსების აუცილებლობას, ჩამოთვლიდა ახალი სასულიერო მმართველობის უპირატესობას და ანტონ II-ს სთხოვდა:

1. შეექმნა მისთვის სასურველ ღვთისმსახურთაგან **სასულიერო კომისია**, რომელიც დაადგენდა საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ეკლესიებისა და იქ მომსახურე სამღვდელთა რიცხვს.

2. უკიდურესი აუცილებლობის გარდა ეპარქიების მმართველმა ეპისკოპოსებმა სასულიერო დიკასტერიის შექმნამდე თავი უნდა შეეკავებინათ მღვდლად ხელდასმისაგან და ბერად აღკვეცისაგან.

3. სასულიერო დიკასტერიის შექმნამდე ადგილობრივი საერო ხელისუფლების ნებართვის გარეშე ხელდასმული სასულიერო პირის ხელდასმა არ ჩაითვლებოდა კანონიერად.<sup>6</sup>

კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-სთან დაპირისპირებულმა თბილელმა მიტროპოლიტმა არსენმა დაინახა, რომ რუსებმა ხელი აიღეს მის მფარველობაზე და ანტონ II-ის გულის მოგების მიზნით ძველი თანამოაზრე გაწირეს – რუსეთში ნამსახურებ ალექსი პეტრიაშვილზე გაცვალებს. მიტროპოლიტი იმასაც მიხვდა, რომ მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი მას არ დაიცავდა და პირდაპირ იმპერატორ ალექსანდრე I-ს მიმართა. მიმართვა საკმაოდ ვრცელია, ამის გამო მისი შინაარსი ბევრ უცნობ საკითხს ჰფენს ნათელს. შევეცდებით იგი რაც შეიძლება სრულად წარმოვადგინოთ:

მიტროპოლიტი არსენი მიმართვას იმით იწყებს, რომ იგი ბერია და არ უნდა ერეოდეს ამქვეყნიურ საქმეებში, მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადადგმისაკენ უბიძგა იმპერატორისადმი ერთგულებამ: „к коему возбуждает меня верность к Вам, пребывающая в душе моей до конца жизни моей“.<sup>7</sup> ამის შემდეგ მიტროპოლიტი არსენი დაწვრილებით აღწერს მის მიერ რუსეთის იმპერიისათვის გაწეული სამსახურის უმნიშვნელოვანეს მომენტებს. არსენის რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულება დაუფასებიათ საქართველოს პირველ მთავარსარდალ გენერალ კარლ კნორინგს, საქართველოს მმართველ პეტრე კოვალენსკის და გენერალ ივანე ლაზარევს. მიტროპოლიტი არსენი არ მალავს, რომ სარგებლობდა რუს ხელისუფალთა მხარდაჭერით. საქართველოს მთავარსარდალ გენერალ პავლე ციციანოვსაც დაუფასებია

<sup>5</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 140.

<sup>6</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 141.

<sup>7</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 141.



არსენის რუსეთის იმპერატორისადმი ერთგული სამსახური და იმპერატორის წინაშე უშუამდგომლობია მისი წმიდა ანას პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოების თაობაზე. ეს ჯილდო არსენს მიუღია როგორც „несказанное счастье“. მთავარსარდალ გენერალ ივანე გუდოვინს ასევე შეუმჩნეველი არ დარჩენია არსენის რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულება და იმპერატორის წინაშე უშუამდგომლობია მისი თეთრი ბარტყულითა და ბარტყულზე ბრილიანტის ჯვრით დაჯილდოების თაობაზე. არსენი გაოცებული დარჩენილა იმპერატორის მიერ გაღებული „божественным милостям“.<sup>8</sup>

თვით მიტროპოლიტ არსენის მიერ მოყვანილი ფაქტებიდანაც კი კარგად ჩანს, თუ როგორ უყრიდა თავს ქართველთა შორის რუსეთის საიმპერატორო კარი თავის მომხრეებს, როგორ ამზადებდა მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტისა და უძველესი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. საუბედუროდ, მიტროპოლიტი არსენი ერთადერთი არ იყო!

მიტროპოლიტმა არსენმა კარგად უწყოდა, რომ რუსები კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს ბრალს სდებდნენ საერო ხელისუფლების (საქართველოს მთავარსარდალის) თანხმობის გარეშე მღვდლად ხელდასმასა და ბერად აღკვეცაში. ამიტომ იყო, რომ მიტროპოლიტი არსენი იმპერატორის წინაშე აბეზღებდა ანტონ II-ს. მიტროპოლიტი არსენი წერდა: ქართლსა და კახეთში კათოლიკოს-პატრიარქს მეფის ნებართვის გარეშე არ შეეძლო მღვდელმთავრად (მიტროპოლიტად, მთავარეპისკოპოსად, ეპისკოპოსად), არქიმანდრიტად, ილუმენად და მღვდლად ხელდასმა. მიტროპოლიტი არსენი იმპერატორს მოახსენებდა, რომ ანტონ II არღვევდა ამ წესს.<sup>9</sup>

თავის დაცვის მიზნით მიტროპოლიტი არსენი არავის არ ინდობდა და იმპერატორისათვის ასეთი ინფორმაციის მიწოდებასაც კი არ ერიდებოდა. მიტროპოლიტი არსენი წერს: მთავარეპისკოპოსმა ვარლამმა, საქართველოს მმართველმა გენერალმა თევდორე ახვერდოვმა და დეკანოზმა ალექსი პეტრიაშვილმა დაითანხმეს მთავარსარდალი ალექსანდრე ტორმასოვი, რათა მე სხვა ეპარქიაში გადაეყვანეო. საქართველოს მმართველ თევდორე ახვერდოვის გადაბირება თითქოს იმით მოუხერხებიათ, რომ ალექსი პეტრიაშვილის შუამავლობით კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს თევდორე ახვერდოვის შვილი მოუნათლაეს.<sup>10</sup>

მიტროპოლიტი არსენი თავის მოხსენებას კიდევ ერთი დასმენით ამთავრებს. მისი ცნობით, გიორგი XII-ის ძეს, სამეფოს გამგებელ დავითს (1800-1802 წწ.) დოსითეოზ ფიცხელაურისათვის არქიმანდრიტობა უბოძებია. მიტროპოლიტი არსენი აღნიშნავდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ იმის გამო, რომ დავით ბატონიშვილი მისი ერთგული იყო, დოსითეოზ ფიცხელაურს უკანონოდ ნაბოძები არქიმანდრიტობა კი არ ჩამოართვა, არამედ დამატებით ოთხი არქიმანდრიტი დაუქვემდებარა და ურბნისის ეპარქიაც კი ჩააბარაო.<sup>11</sup>

რუსეთის იმპერატორისათვის მირთმეული მოხსენების შემდეგ მიტროპოლიტმა არსენმა 1810 წლის 1 თებერვალს დაახლოებით იგივე შინაარსის მოხსენება რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინსაც გაუგზავნა.<sup>12</sup>

სადღეოსოდ შემორჩენილი დოკუმენტები და მასალები არ იძლევა იმის საშუალებას, ზუსტად დადგინდეს მიტროპოლიტ არსენის მიერ მოყვანილი ფაქტების სისწორე. ამის მიუხედავად ცხადია სავალალო რეალობა: **მიტროპოლიტ არსენის მსგავსი ადამიანები, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობდნენ რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის წარმატებას, რომლის**

<sup>8</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 219.

<sup>9</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 142.

<sup>10</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 142.

<sup>11</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 142; ელდარ ბუბულაშვილი. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ანტონ მეორე. თბილისი, 2002, გვ. 40-42.

<sup>12</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 143.

მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. ამჯერადაც მტერმა ზედმიწევნით კარგად გამოიყენა ქართველთა შორის არსებული შუღლი და დაპირისპირება.

1809 წლის 2 ნოემბერს რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორმა ალექსანდრე გოლიცინმა საქართველოს მთავარსარდალ ალექსანდრე ტორმასოვს აცნობა: 1809 წლის 6 ივნისს იმპერატორს მოვახსენე თქვენი და კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის შუამდგომლობის თაობაზე, რომელიც თბილისში სასულიერო დიკასტერიის დაარსებას ითვალისწინებს. სასულიერო დიკასტერიის დაარსებასთან დაკავშირებით ანტონ II პეტერბურგში უნდა გაემგზავროს, რადგან გადასაწყვეტია ბევრი საკითხი, რომელთა გარკვევა მიმოწერის გზით გაძნელებდა, ხოლო საქმე გაჭიანურდებოდა. ალექსანდრე გოლიცინი ალექსანდრე ტორმასოვს სთხოვდა, ყოველივე ეს კათოლიკოს-პატრიარქს მოახსენე, ხოლო შედეგი მე მაცნობო. <sup>13</sup>

სავსებით გასაგებია, თუ რატომ იყო დაინტერესებული ალექსანდრე გოლიცინი ანტონ II-ის რეაქციით მისი პეტერბურგში გაწვევით. ცხადია, ანტონ II მიხვდებოდა, რომ მისი პეტერბურგში გაწვევა ავისმომასწავებელი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კათოლიკოს-პატრიარქს ხომ კარგად ემახსოვრებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ პეტერბურგში სამეფო სახლის წევრების – დედოფლებისა და ბატონიშვილების – გაწვევის ისტორია. ისინი რუსეთში საპატიო ტყვეების რანგში აღმოჩნდნენ.

ანტონ II-მ, მას შემდეგ რაც ალექსანდრე ტორმასოვმა იმპერატორ ალექსანდრე I-ის ნება აუწყა, 1810 წლის 7 იანვარს წერილი გაუგზავნა საქართველოს მმართველ გენერალ თევდორე ახვერდოვს. ანტონ II წერდა, რომ აღტაცებული იყო იმპერატორის ხილვის შესაძლებლობით, თუმცა მის სურვილს ასრულება არ ეწერა. კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოს მმართველს აუწყებდა, რომ წინა წელს გადატანილი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ძალზე დასუსტებული იყო და არ შეეძლო შორ მანძილზე მგზავრობა. ანტონ II თევდორე ახვერდოვს აცნობებდა, რომ შექმნილი ვითარების გამო მან გადაწყვიტა, პეტერბურგში გაემგზავნა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრი არქიეპისკოპოსი **ვარლამი** და არქიმანდრიტი **დოსითეოზი**, რომელთაც ექნებოდათ საჭირო ინფორმაცია და ამავე დროს შეეძლოთ აზრი გამოეთქვათ ყველა საკითხზე. <sup>14</sup>

გარკვეული პერიოდის შემდეგ თბილისში ცნობილი გახდა თბილელი მიტროპოლიტ არსენის მიერ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-თვის 1809 წლის 20 აგვისტოს გაგზავნილი მოხსენების (საჩივრის) შინაარსი. კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ გარკვეული ღონისძიებანი გაატარა თბილელი მიტროპოლიტის მხილების მიზნით. 1810 წლის 22 იანვარს საქართველოს მთავარსარდალ ალექსანდრე ტორმასოვს თხოვნით მიმართეს თბილისის ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა **პეტრემ** და მღვდელმა **პავლემ**. ხსენებული დოკუმენტიდან დგინდება: 1) თბილელ მიტროპოლიტად არსენი ჯერ კიდევ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე ყოფილა ხელდასხმული. მისი სასულიერო კარიერის წარმატებაში გადამწყვეტი როლი შეუსრულებიათ ერეკლე II-სა და გიორგი XII-ს; 2) მიტროპოლიტი არსენი თავდაპირველად კეთილმსახური ყოფილა, მაგრამ შემდგომში მღვდელმთავრისათვის შეუფერებელი ქმედებები ჩაუდენია. გიორგი XII-ის სიცოცხლეში მიტროპოლიტი არსენი, ასე თუ ისე, თავს იკავებდა. მეფის სიკვდილის შემდეგ ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. მთავარსარდალ პავლე ციციანოვის მხარდაჭერით გათამამებული მღვდელმთავარი ჯოხით სცემდა და ლანძღავდა ღვთისმსახურებს, ადებდა მათ სხვადასხვა სასტიკ სასჯელს, არ ერიდებოდა სხეულის დაზიანებასაც კი. უსამართლოდ და სასტიკად დასჯილთა შორის იყვნენ დეკანოზი პეტრე და მღვდელი პავლე; 3) ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიას იმ დროისათვის 5 დუქანი ჰქონია, დუქნებიდან მიღებულ შემოსავალს ეკლესიის

<sup>13</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 143.

<sup>14</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 141; ელდარ ბუბულაშვილი. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ანტონ მეორე. თბილისი, 2002, გვ. 44.

საჭიროებისათვის იყენებდნენ (ამ დროისათვის ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია ძლიერ დაზიანებული იყო); 4) 1804 წლის იანვრიდან მიტროპოლიტ არსენს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის შემოსავლის დიდი ნაწილი მიუთვისებია და დანგრევის პირას მისული ეკლესია უსახსროდ დაუტოვებია; 5) დეკანოზ პეტრესა და მღვდელ პავლეს მთავარსარდალ პავლე ციციანოვის სიკვდილის შემდეგ საქართველოს მმართველთან უჩივლიათ. საქართველოს მართველობიდან კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-თვის უთხოვიათ საქმის გამოძიება და სამართლიანი მსჯავრის გამოტანა. როგორც ჩანს, ანტონ II-მ ან საქმის გამოძიება ვერ მოახერხა, ან მსჯავრის გამოტანა, მაგრამ მიტროპოლიტმა არსენმა განაჩენი არ სცნო. დეკანოზი პეტრე და მღვდელი პავლე იძულებული გამხდარან ალექსანდრე ტორმასოვისათვის მიემართათ თხოვნით.<sup>15</sup>

მთავარსარდალ ალექსანდრე ტორმასოვთან, როგორც ჩანს, მიტროპოლიტ არსენს სხვებმაც უჩივლეს, რის გამოც გენერალი იძულებული გახდა, გადამჭრელი ზომები მიეღო. მიტროპოლიტი არსენი საეკლესიო სასამართლოს უნდა გაესამართლებინა. სასამართლო შედგა 1810 წლის 7 თებერვალს. საეკლესიო სასამართლომ კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს მოხსენება გაუგზავნა. ამ დოკუმენტის ქართული დედანი მიკვლეული არ არის, რუსულ თარგმანს აქვს შენიშვნა, რომ დედანს ხელს აწერდნენ მიტროპოლიტები და არქიმანდრიტები, კონკრეტულად ვინ, რუსული თარგმანიდან არ ჩანს.<sup>16</sup>

საეკლესიო სასამართლოს მოხსენებიდან დგინდება: 1) საეკლესიო სასამართლოს განჩინება გამოუტანია მიტროპოლიტ არსენის საქმეზე, რომელიც მიტროპოლიტს არ უცვნიდა და თავის მხრივ საეკლესიო სასამართლოსათვის მთავარსარდალ ალექსანდრე ტორმასოვთან უჩივლია. 2) ალექსანდრე ტორმასოვს მიტროპოლიტ არსენის საჩივარი კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-თვის გადაუგზავნია, ამ უკანასკნელს კი საეკლესიო სასამართლოსათვის გადაუცია განსახილველად.<sup>17</sup>

საეკლესიო სასამართლოს მოხსენება საინტერესო დოკუმენტია, ამიტომ შევეცდებით მისი შინაარსი სრულად მოვიყვანოთ. კერძოდ, დოკუმენტიდან დგინდება:

1) მიტროპოლიტი არსენი ამტკიცებდა, რომ სასამართლოზე იგი გალანძღეს, არ მისცეს მოთხოვნების წერილობითი წარდგენის უფლება, რის გამოც იძულებული გახდა ზეპირი გამოსვლით დაკმაყოფილებულიყო; 2) სინამდვილეში სასამართლოს დაწყებამდე მიტროპოლიტ არსენს იღუმენ ათანასეს და დეკანოზ დიმიტრის ხელით გაუგზავნეს მის მიერ ჩადენილი ქმედებების ჩამონათვალი 7 პუნქტად და მოსთხოვეს წერილობითი ახსნა-განმარტება; 3) მიტროპოლიტმა არსენმა წერილობითი ახსნა-განმარტება არ წარმოადგინა. მის მიერ სასამართლოსათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ 7 პუნქტიანი ჩამონათვალიდან მან ვერ გაიგო, ვინ უჩიოდა; 4) მიტროპოლიტ არსენის პასუხის მიღების შემდეგ სასამართლომ მასთან გაგზავნა იღუმენი ათანასე და დეკანოზი დიმიტრი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ, ყველა გაუგებარი საკითხი განემარტათ მიტროპოლიტისათვის; 5) მიტროპოლიტმა არსენმა ამჯერად განაცხადა, რომ წაიკითხავდა 7 პუნქტიან ჩამონათვალს და პასუხს გასცემდა სასამართლოსათვის საინტერესო კითხვებს. დანაპირები მიტროპოლიტს არ შეუსრულებია; 6) სასამართლომ მიტროპოლიტ არსენთან ახსნა-განმარტების მიცემის მოთხოვნით გაგზავნა მიტროპოლიტი გერვასი ორ არქიმანდრიტთან ერთად, ასევე იღუმენი ათანასე და დეკანოზი დიმიტრი. მიტროპოლიტმა არსენმა ახსნა-განმარტება არც ამჯერად მისცა; 7) რამდენიმე დღის შემდეგ სასამართლომ, არსებული წესის მიხედვით, მიტროპოლიტ არსენთან გაგზავნა ორი მიტროპოლიტი – სტეფანე ნინოწმინდელი და გერვასი წილკნელი. მიტროპოლიტმა არსენმა ახსნა-განმარტება არც ამჯერად მისცა და განაცხადა: სასამართლოში გამოვცხადდები, როგორც კი მომიწვევთო. მიუხედავად დაპირებისა, მიტროპოლიტი არც სასამართლოში გამოცხადებულა

<sup>15</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 145.

<sup>16</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 145-146.

<sup>17</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 145.

და არც წერილობითი ახსნა-განმარტება წარუდგენია; 8) ბოლოს, არსებული წესის თანახმად, სასამართლომ მიტროპოლიტ არსენთან გაგზავნა მიტროპოლიტები **სტეფანე** და **გერვასი** ორ არქიმანდრიტთან ერთად, რომელთაც თან წაიღეს წმიდა მოციქულთა კანონები და მსოფლიოს შვიდი საეკლესიო კრების მიერ მიღებული კანონები, რომელთა მიხედვით მიტროპოლიტ არსენის დანაშაული დამტკიცებულად ითვლებოდა; 9) მიტროპოლიტმა არსენმა, როგორც კი შეიტყო, რომ მასთან მიდიოდა ორი მიტროპოლიტი ორ არქიმანდრიტთან ერთად, თავისი კაცი შეაგება მათ და აუწყა, რომ უწმიდესი (იგულისხმება კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II – ვ. გ.) არ იყო მისი უზენაესი საეკლესიო ხელისუფალი და რეზიდენციაში ჩაიკეტა. მიტროპოლიტები და არქიმანდრიტები უკან გაბრუნდნენ; 10) საეკლესიო სასამართლომ მიტროპოლიტ არსენის საკითხი მსჯავრის გამოსატანად კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს გადასცა.<sup>18</sup>

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ ავადმყოფობით გამოწვეული ფიზიკური სისუსტის მომიზეზებით 1810 წლის 7 იანვარს საქართველოს მმართველ გენერალ **თევდორე ახვერდოვს** აცნობა, რომ პეტერბურგში ვერ გაემგზავრებოდა. საქართველოს მთავარსარდალმა **ალექსანდრე ტორმასოვმა**, როგორც ჩანს, ანტონ II საბოლოოდ მაინც ვერ დაითანხმა და 1810 წლის 12 თებერვალს რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორ **ალექსანდრე გოლიცინს** აცნობა: კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II პეტერბურგში ვერ მიემგზავრება, მის ნაცვლად, ანტონ II-ის თანხმობით, იგზავნებიან არქიეპისკოპოსი **ვარლამი** და არქიმანდრიტი **დოსითეოზი**, რომელთაც ანტონ II-გან აქვთ ყველა რწმუნება, ასევე საჭირო მასალა, რათა მოლაპარაკება აწარმოონ თბილისში სასულიერო დიკასტერიის დაარსების თაობაზე.<sup>19</sup>

ალექსანდრე ტორმასოვი ალექსანდრე გოლიცინს აუწყებდა თბილისში მიტროპოლიტ არსენის გარშემო დატრიალებულ ამბებს – კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ისა და თბილელ მიტროპოლიტ არსენის მომხრეთა შორის დაწყებული დაპირისპირების ზოგიერთ საყურადღებო დეტალს. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-თან დაპირისპირებულ მიტროპოლიტ არსენს ალექსანდრე ტორმასოვისთვის მიუმართავს შემდეგი თხოვნით: სიონის საკათედრო ტაძრის მთელი შემოსავალი (ალ. ტორმასოვის გამოთვლით წელიწადში 3000 მანეთი – ვ. გ.) საპატრიარქოს კი არ გადაეცეს, არამედ საქართველოს შემოსავლებში (ე. ი. ქართლ-კახეთის რუსული ადმინისტრაციის შემოსავლებში) ჩაირიცხოს, საიდანაც მიტროპოლიტ არსენს უნდა მიეღო მისი მდგომარეობის შესაფერისი სარჩო.<sup>20</sup> ალექსანდრე ტორმასოვი ალექსანდრე გოლიცინს აუწყებდა ერთი სკანდალური ფაქტის თაობაზე. 1809 წლის 12 დეკემბერს, იმპერატორ ალექსანდრე I-ის დაბადების დღეს, საღვთო ლიტურგიის დროს, მიტროპოლიტმა არსენმა სიონის ტაძრის საკურთხეველიდან მღვდელმთავრისათვის შეუფერებელი ლანძღვით გააძევა დეკანოზი **ალექსი პეტრიაშვილი** და ლანძღვითვე მოიხსენია არქიეპისკოპოსი **ვარლამი (ერისთავი)**. შეურაცხყოფილ ალექსი პეტრიაშვილს ალექსანდრე ტორმასოვთან უჩივლია, ხოლო ამ უკანასკნელს საქმე განსახილველად და მსჯავრის გამოსატანად კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-თვის გადაუგზავნია. საქმის დასრულებამდე შეურაცხყოფილ ალექსი პეტრიაშვილს მიტროპოლიტ არსენის წინააღმდეგ კიდევ რამდენიმე სასულიერო პირი აუშხედრებია, რომელთაც ალექსანდრე ტორმასოვისათვის ასევე საჩივრები მიურთმევიათ. მალე ალექსანდრე ტორმასოვს ანტონ II-გან მიუღია საეკლესიო სასამართლოს განჩინება, რომელიც მიტროპოლიტ არსენის თბილისის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრობიდან გადაყენებას ითვალისწინებდა.<sup>21</sup> ალექსანდრე ტორმასოვს რუსეთის ერთგული მსახურის მიტროპოლიტ არსენის ბოლომდე გაწირვისაგან თავი შეუკავებია და ანტონ II-თვის უთხოვია: მიტროპოლიტი არსენი დამნაშავე კია, მაგრამ

<sup>18</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 145-146.

<sup>19</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 146.

<sup>20</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 146.

<sup>21</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 147; **ელდარ ბუბულაშვილი**. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ანტონ მეორე. თბილისი, 2002, გვ. 46-47.

პატივი ეცით მის მღვდელმთავრულ ღირსებას და სხვა რაიმე სასჯელი მოიფიქრეთო. ალექსანდრე ტორმასოვი ანტონ II-გან პასუხის მოლოდინში იყო, როცა მიტროპოლიტმა არსენმა მას საჩივარი მიართვა – არსენი საეკლესიო სასამართლოს უჩიოდა.<sup>22</sup> ალექსანდრე ტორმასოვი ალექსანდრე გოლიცინს წერდა: კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს ვთხოვე, მიტროპოლიტ არსენის საქმე დაწვრილებით შეისწავლოს და საბოლოო განჩინების თაობაზე მაცნობოსო. უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს საქართველოს მთავარსარდალი იმასაც აუწყებდა, რომ ანტონ II-ის განჩინებას იგი იმპერატორს წარუდგენდა.<sup>23</sup>

რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ალექსანდრე გოლიცინისადმი გაგზავნილ წერილში საქართველოს მთავარსარდალი ალექსანდრე ტორმასოვი დასკვნის სახით აღნიშნავს: 1) კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II იშვიათი თვისებების მქონე ადამიანია, რომელიც ყველასაგან პატივისცემას იმსახურებს („глава духовенства католикос-патриарх Антоний, сын царя Ираклия, по всей справедливости особа редких свойств и правил, общественно уважаемая“); 2) ავადმყოფობისაგან დასუსტებული ანტონ II მოექცა ფიცხი და მოშურნე ღვთისმსახურთა გავლენის ქვეშ და ირწმუნა თბილელ მიტროპოლიტ არსენის მამულებლების საჩივრებისა; 3) კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II ცდილობს შეინარჩუნოს საეკლესიო შემოსავლები; 4) ანტონ II იძულებულია აღიაროს, რომ ის ღვთისმსახურები, ვინც მიტროპოლიტ არსენს უჩივლა, თვითონ ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, არ უფრთხილდებიან საეკლესიო შემოსავალს. საერთოდ მთელი სამღვდელოება არაკეთილსინდისიერად სარგებლობს საეკლესიო შემოსავლებით; 5) ქართველი სამღვდელოება ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რადგან ბევრი მათგანი დაუმსახურებლად არის ხელდასმული და აღკვეცილი. სამღვდელოებას, ისევე როგორც აქაურ ხალხს (ე. ი. ქართველებს – ვ. გ.), აქვს მომხვეჭელობისაკენ მისწრაფება. ისინი ესწრაფვიან არა ეკლესიის შემოსავლების გაზრდას, არამედ პირად გამდიდრებას; 6) ბერად აღიკვეციებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც ბერული ცხოვრების არც სურვილი და არც მისწრაფება არ გააჩნიათ. აღკვეცის შემდეგ მათ ხელი მიუწვდებათ საეკლესიო შემოსავალზე და შანსიც კიდევათ უმაღლეს საეკლესიო იერარქიაში დაიკავონ ადგილი.<sup>24</sup>

წერილის ბოლოს ალექსანდრე ტორმასოვი სვამს კითხვას: ასეთი სამღვდელოება შეიძლება გახდეს გაუნათლებელი ხალხისათვის მაგალითის მიმცემი? ექნება შესაფერისი შედეგი ასეთი სამღვდელოების მოღვაწეობას განსაკუთრებით მაშინ, როცა უპირველესი მღვდელმთავრები შეურიგებლობისა და უწესობის მაგალითს იძლევიან?<sup>25</sup>

მაღე საქართველოს მთავარსარდალმა გენერალმა ალექსანდრე ტორმასოვმა მიიღო რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ალექსანდრე გოლიცინის წერილი, რომელიც 1810 წლის 25 თებერვლით იყო დათარიღებული. ალექსანდრე გოლიცინი გენერალს აცნობებდა, რომ მან იმპერატორ ალექსანდრე I-ს მოახსენა პეტერბურგში კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის გამგზავრების შემაფერხებელ გარემოებათა შესახებ. იმპერატორს უბრძანებია: კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II პეტერბურგში მაშინ გაემგზავროს, როდესაც გამოჯანმრთელდებაო, ხოლო სასულიერო დიკასტერიის შექმნის საკითხის განხილვა დროებით შეჩერდესო<sup>26</sup> (ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი პრინციპულად ითხოვდა ანტონ II-ის რუსეთში გამგზავრებას და ყოველგვარ უკანდასახვევ გზას უჭრიდა კათოლიკოს-პატრიარქს).

1810 წლის გაზაფხულისათვის უმაღლეს საეკლესიო იერარქიაში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. თბილელ მიტროპოლიტ არსენის საქმემ ნათლად წარმოაჩინა ქართველ სამღვდელოებაში არსებული ბევრი წინააღმდეგობა. ალექსანდრე ტორმასოვი თავს

<sup>22</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 147.

<sup>23</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 147.

<sup>24</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 147.

<sup>25</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 147.

<sup>26</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 148; ელდარ ბუბულაშვილი. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ანტონ მეორე. თბილისი, 2002, გვ. 45.

იზღვევდა და პეტერბურგს პერიოდულად დაწვრილებით აყენებდა საქმის კურსში. 1810 წლის 16 მარტს ალექსანდრე ტორმასოვმა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინს აცნობა:

1. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს მოვთხოვე, დააჩქაროს მიტროპოლიტ არსენის საქმის გამოძიება და მისი საეკლესიო სასამართლოში განხილვა.

2. კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ გამომიგზავნა მიტროპოლიტ არსენის საქმის ძიების მასალები, ასევე საეკლესიო სასამართლოს განჩინება, რომელიც შედგენილია ოთხი მიტროპოლიტის, მთავარეპისკოპოსისა და ოთხი არქიმანდრიტის მიერ. საეკლესიო სასამართლომ თბილელი მიტროპოლიტი არსენი დამნაშავედ სცნო და გადააყენა იგი თბილისის ეპარქიის მღვდელმთავრობიდან. არსენი განყენებული იქნა მღვდელმსახურებიდან, იგი უნდა გაემგზავროს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ შერჩეულ ერთ-ერთ მონასტერში. ანტონ II მთლიანად დაეთანხმა საეკლესიო სასამართლოს განჩინებას და მომმართა თხოვნით, რათა განჩინება დასამტკიცებლად წარუდგინო იმპერატორს.<sup>27</sup>

3. კათოლიკოს-პატრიარქმა მაცნობა, რომ მასთან შედის საჩივრები მიტროპოლიტ არსენის მიერ სიონის საკათედრო ტაძრის შემოსავლის უკანონოდ მითვისების თაობაზე და მთხოვა, დავეხმარო შემოსავლების დაცვაში, კერძოდ, შემოსავლების აღრიცხვა დაავალო სანდო პირს.

4. ალექსანდრე ტორმასოვს ანტონ II-თვის ურჩევია, რომ ეს საკითხი მას თავისი ღვთისმსახურების დახმარებით მოეგვარებინა. ანტონ II-ს ეს რჩევა შეუწყნარებია და შეუქმნია სიონის ტაძრის შემოსავლების აღმრიცხველი კომისია ტაძრის დეკანოზ იოსებ მიქაძის ხელმძღვანელობით.<sup>28</sup>

წერილის ბოლოს ალექსანდრე ტორმასოვი ალექსანდრე გოლიცინს აცნობებდა, რომ იგი თავის მოვალეობად არ მიიჩნევდა სიონის ტაძრის შემოსავლების აღრიცხვას, მაგრამ საკითხი იმდენად გამწვავებულა, რომ ალექსანდრე ტორმასოვი იძულებული გამხდარა საქართველოს მმართველისათვის, გენერალ თევდორე ახვერდოვისათვის, ეთხოვა ჩარეულიყო ამ საქმეში.<sup>29</sup>

1810 წლის 15 მარტს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ წერილით მიმართა საქართველოს მთავარსარდალ გენერალ ალექსანდრე ტორმასოვს. წერილში დაწვრილებითაა აღწერილი თბილელ მიტროპოლიტ არსენის მიერ მღვდელმთავრისათვის შეუფერებელი ქმედებები. ანტონ II ალექსანდრე ტორმასოვს სთხოვდა, ეშუამდგომლა იმპერატორთან მიტროპოლიტ არსენის მღვდელმთავრობიდან გადაყენებისა და მისთვის მღვდელმსახურების შეჩერების თაობაზე.<sup>30</sup> ანტონ II-მ ალექსანდრე ტორმასოვს ასევე გაუგზავნა მის მიერ დამტკიცებული საეკლესიო სასამართლოს განჩინება მიტროპოლიტ არსენის საქმესთან დაკავშირებით. განჩინება ანტონ II-ს 1810 წლის 16 მარტს დაუმტკიცებია.<sup>31</sup> დოკუმენტი საინტერესოა იმით, რომ ანტონ II თავის თავს იხსენიებს, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს („Мы, вся Грузии католикос-патриарх Антоний“).<sup>32</sup> მართალია, დოკუმენტის ქართული დედანი მიკვლეული არ არის, მაგრამ საეჭვოა, რომ თარგმანში ანტონ II-ის ტიტულატურა შეეცვალათ. საეკლესიო სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია, რომ მიტროპოლიტ არსენს დროებით შეუჩერდა მღვდელმსახურების უფლება.<sup>33</sup>

მიტროპოლიტი არსენი დანებებას არ აპირებდა და საქართველოს მთავარსარდალ ალექსანდრე ტორმასოვთან უჩიოდა ანტონ II-სა და საეკლესიო სასამართლოს. 1810 წლის

<sup>27</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 148.

<sup>28</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 148.

<sup>29</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 148.

<sup>30</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 149.

<sup>31</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 149.

<sup>32</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 149.

<sup>33</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 149.

3 აპრილს ალექსანდრე ტორმასოვი მიტროპოლიტ არსენის ორი წერილი (1810 წლის 16 მარტით და 30 მარტით დათარიღებული) რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინს გადაუგზავნა.<sup>34</sup> ალექსანდრე ტორმასოვი ალექსანდრე გოლიცინს წერდა, რომ იგი საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობას არ მიიღებდა, თუმცა სურვილი ჰქონდა ერთი შენიშვნა გაეკეთებინა: მიტროპოლიტ არსენის მტკიცება, რომ მისი მღვდელმსახურების დროს სიონის საკათედრო ტაძარი აღორძინდა და გამშვენებდა, სინამდვილეს არ შეეფერებოდა. გენერალი აღნიშნავდა, რომ თბილისის სიონის ტაძარი გამორჩეულია საქართველოში. ტაძრის რესტავრაცია განახორციელა საქართველოს მთავარსარდალმა გენერალმა პავლე ციციანოვმა, ხოლო ტაძრის მოსართავად იმპერატორის ბრძანებით გამოიყო თანხა. ალექსანდრე ტორმასოვი უსამართლოდ მიიჩნევდა მიტროპოლიტ არსენის მიერ სხვისი დამსახურების მითვისებას.<sup>35</sup>

მძიმე მდგომარეობაში მყოფ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს საქართველოს მთავარსარდალმა გენერალმა ალექსანდრე ტორმასოვმა 1810 წლის 3 თებერვალს წერილი გაუგზავნა. წერილი ავისმომასწავებელი იყო. მისი შინაარსი ასეთია: 1) რუსეთში არსებული წესის მიხედვით, იქ, სადაც არმიის მთავარსარდალის ან გენერალ-გუბერნატორის მთავარი რეზიდენციაა, უნდა იყოს ეკლესია და მიმდინარეობდეს ღვთისმსახურება; 2) ჩემ მიერ ეკლესიად შერჩეული იქნა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია; 3) ამიერიდან ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ღვთისმსახურება რუსულ ენაზე უნდა წარმოებდეს, ხოლო ეკლესიაში რუსი სამღვდელოება უნდა მსახურებდეს; 4) იმ დღეებში, როცა ქაშვეთის ეკლესიაში რუს სამღვდელოებას არ ექნება მსახურება, შეიძლება ქართველმა სამღვდელოებამ ქართულ ენაზე წარმართოს მსახურება; 5) ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზმა **პეტრემ** და მღვდელმა **პავლემ** ითხოვეს ეკლესიაში იმსახურონ ყოველ დღე, მათ შორის კვირა დღესაც და საუფლო დღეებშიაც, რადგან შემოსავალს კარგავენ; 6) ქაშვეთის ეკლესიაში ახლადშემოდებული წესის შეცვლა არ შეიძლება, მაგრამ ეკლესიის მოძღვრები რომ არ დაზარალდნენ, საპატრიარქომ მათ სხვა რამ სარჩო გაუჩინოს.<sup>36</sup>

1810 წლის 25 მაისს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ უპასუხა ალექსანდრე ტორმასოვის 1810 წლის 3 აპრილის წერილს. წერილიდან ირკვევა, რომ თბილისის ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზ **პეტრეს** და მღვდელ **პავლეს** ალექსანდრე ტორმასოვისათვის მიუერთმევიათ თხოვნა, რომელიც ქაშვეთის ეკლესიაში რუსი სამღვდელოების მიერ ღვთისმსახურების აღსრულებას ეხებოდა. კერძოდ, ქართველი მოძღვრები შეუძლებლად მიიჩნევდნენ უქმე და საუფლო დღეებში ღვთისმსახურების მხოლოდ რუსულ ენაზე აღსრულებას. ამასთან დაკავშირებით ანტონ II ალექსანდრე ტორმასოვს ასე პირობებს სთავაზობდა:

1. უქმე და საუფლო დღეებში ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში იმსახურებს რუსი სამღვდელოება, მსახურება აღესრულება რუსულ ენაზე. უქმე და საუფლო დღეების გარდა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში იმსახურებს ქართველი სამღვდელოება, მსახურება აღესრულება ქართულ ენაზე. მეოთხე ათეულში, კვირა დღეების გამოკლებით, რუსი და ქართველი სამღვდელოება იმსახურებს მორიგეობით თითო კვირის განმავლობაში – პირველ კვირაში მსახურება აღესრულება რუსულ ენაზე, მეორე კვირაში – ქართულ ენაზე.

2. სანთლების გაყიდვისაგან მიღებული შემოსავალი ეკუთვნის ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიას. რუსულ ენაზე მსახურებისათვის დანიშნულია რუსეთის არმიის სამხედრო მოძღვარი. მისი მსახურების დღეს ეკლესიაში გაყიდება სამხედრო ეკლესიის სანთლები და შემოსავალიც სამხედრო ეკლესიისა იქნება. ყველა დანარჩენ დღეებში გაყიდული სანთლების შემოსავალი ქაშვეთის ეკლესიისა.

<sup>34</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 150-151.

<sup>35</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 150.

<sup>36</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 151; **ელდარ ბუბულაშვილი**. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ანტონ მეორე. თბილისი, 2002, გვ. 52.

3. ქართველი სამღვდელოების შემოსავალი არ გაუნაწილდება რუს სამღვდელოებას, ისევე როგორც ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის შემოსავალი არ გაუნაწილდება სამხედრო ეკლესიას.

4. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის ქონება ეკუთვნის მხოლოდ ამ ეკლესიას. ეს ქონება რჩება დეკანოზ პეტრესა და მღვდელ პავლეს გამგებლობაში, მათთანვე ინახება ეკლესიის გასაღები. რუს სამღვდელოებას არ აქვს უფლება, თან წაიღოს ეკლესიის გასაღები.

5. რადგან დეკანოზი პეტრე და მღვდელი პავლე უქმე და საუფლო დღეებში ვეღარ იმსახურებენ, მათ დააკლდებათ შემოსავალი. მათ ეს დანაკლისი აუნაზღაურდეთ ეკლესიის კუთვნილი დუქნების შემოსავლიდან.<sup>37</sup>

ალექსანდრე ტორმასოვმა არ მიიღო ანტონ II-ს პირობები.

რუსეთის საიმპერატორო კარი აღარ აპირებდა, კიდევ გადაედო კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის პეტერბურგში გამგზავრება. საქართველოს მთავარსარდალი გენერალი ალექსანდრე ტორმასოვი უკვე აშკარად აგრძნობინებდა ანტონ II-ს, რომ მეტის დახანება აღარ შეიძლებოდა. 1810 წლის 8 ივნისს ანტონ II-მ ალექსანდრე ტორმასოვს აცნობა: ჯანმრთელობა პეტერბურგში გამგზავრების საშუალებას მაძლევსო. გენერალს მაშინვე გაუცია შესაბამისი განკარგულებანი მგზავრობის მომზადებასთან დაკავშირებით და თან ანტონ II-ის გადაწყვეტილების თაობაზე საქმის კურსში ჩაუყენებია პეტერბურგი.<sup>38</sup> მოგვიანებით ანტონ II-ს გადაწყვეტილება შეუცვლია და საქართველოს მმართველის მეშვეობით ალექსანდრე ტორმასოვისათვის უცნობებია: პეტერბურგში აგვისტოს ბოლოს გავემგზავრებო. გამგზავრების გადადებას ანტონ II ძლიერი სიცხეებით ხსნიდა.<sup>39</sup> ალექსანდრე ტორმასოვი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. 1810 წლის 12 ივლისს გენერალი კათოლიკოს-პატრიარქს წერდა: მე ვერ გავბედავდი თქვენთვის მერჩია ზაფხულის ძლიერ სიცხეში გამგზავრება, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ თქვენ ჩრდილოეთში მიემგზავრებითო.<sup>40</sup> ეს იმას ნიშნავდა, რომ გენერალი მგზავრობის გადადების მიზეზს სერიოზულად არ მიიჩნევდა. წერილის ბოლოს ალექსანდრე ტორმასოვი დასძენდა: პეტერბურგში გამგზავრების დრო თქვენ უნდა შეარჩიოთ, ჩემს რჩევას კი ძალდატანებად ნუ მიიჩნევთო.<sup>41</sup> ყოველივე ზემოთ თქმულს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ: კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის პეტერბურგში გამგზავრება დიდი ხნით ვეღარ გადაიდებოდა. რუსეთის საიმპერატორო კარი ანტონ II-ს ძალას მხოლოდ იმიტომ არ ატანდა, რომ გამგზავრების რამდენიმე თვით გადადება ხელს არ უშლიდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის განხორციელებას.

მიტროპოლიტ არსენის საქმის ძიების პროცესში რამდენჯერმე წამოტივტივდა საეკლესიო შემოსავლების უყაირათოდ ხარჯვის საკითხი. საეკლესიო შემოსავლების დადგენა ჯერ კიდევ საქართველოს მთავარსარდალმა გენერალმა პავლე ციციანოვმა სცადა. შემოსავლების საკითხით ალექსანდრე ტორმასოვიც სერიოზულად იყო დაინტერესებული. საეკლესიო შემოსავლების დადგენას ითხოვდა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი. მიუხედავად ამისა, შემოსავლების აღრიცხვის საქმეში საჭირო წესრიგი მაინც ვერ დამყარდა. 1810 წლის 2 ივლისს ალექსანდრე ტორმასოვმა საეკლესიო შემოსავლების საკითხის გარკვევა საქართველოს უმაღლესი მთავრობის პროკურორ პლახოტინს დაავალა. 1810 წლის 23 ივლისს პროკურორმა ალექსანდრე ტორმასოვს მოხსენება წარუდგინა, რომლის შინაარსი ასეთია: 1) კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ და, კონკრეტულად, მისი პეტერბურგში გამგზავრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც კი სხვადასხვა წოდების ადამიანებს უბოძა მონასტრებისა და ეკლესიების კუთვნილი მიწები. მონასტრებისა და ეკლესიების მიწების

<sup>37</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 151.

<sup>38</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 152.

<sup>39</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 152.

<sup>40</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 152.

<sup>41</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 152.



ბოძებას ანტონ II მეფობის გაუქმებამდე მარტო ვერ წყვეტდა. კათოლიკოს-პატრიარქი ერთ არშინ მიწასაც კი ვერ გასცემდა მეფის თანხმობის გარეშე; 2) კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მიწების ბოძების და გაყიდვის აკრძალვა სცადა მთავარსარდალმა პავლე ციციანოვმა, რომელმაც ამის თაობაზე 1805 წლის 5 თებერვალს საგანგებო ბრძანება გამოსცა; 3) კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ პასუხისმგებლობა აიღო, დაეფარა მისი ნათესავის, თავად ესტატე ციციშვილის ვალი – 80.000 ვერცხლის მანეთი. ამ ვალის, ისევე როგორც მისი ძმების ვალების, სახელმწიფო ხაზინიდან დასაფარად ანტონ II აპირებს თხოვნით მიმართოს იმპერატორს.<sup>42</sup>

პროკურორ პლახოტინს დაუდგენია: ა) ანტონ II-ის მიერ სხვადასხვა ადამიანებზე განუქმებული უძრავი და მოძრავი ქონება და მფლობელი, ბ) ანტონ II-ის მიერ ნათესავების ვალებზე აღებული პასუხისმგებლობა, ვალების რაოდენობა და მევალებები. პროკურორის მიერ შედგენილ ჩამონათვალში სამოცდასამი პუნქტია.<sup>43</sup> მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

1. თავად დავით მაღალაშვილს მუდმივ (მემკვიდრეობით) საკუთრებაში ებოძა მცხეთის მონასტრის კუთვნილი სოფელი – ხატის სოფელი.

2. მემამულე ნიკოლოზ ელიოზიშვილს ებოძა მონასტრის კუთვნილი ხითარძეების კომლი ბაღით და სახნავით.

3. გლეხ ნინიას (ხუროს) ებოძა თბილისში მცხეთის მონასტრის კუთვნილი უპატრონოდ დარჩენილი სახლი.

4. პატრიარქის მსახურ შალვას სოფელ ტირძნისში ებოძა მონასტრის კუთვნილი სახნავი, ბაღი და სახლი.

5. ურბნისის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი დოსითეოზი, ურბნისის მონასტრის გარდა, დადგენილი იქნა კიდევ 5 მონასტრის წინამძღვრად.

6. რუსთველ მთავარეპისკოპოსს ებოძა ნინოწმინდის ეპარქია.<sup>44</sup>

აღექსანდრე ტორმასოვმა პროკურორ პლახოტინის 1810 წლის 23 ივლისის მოხსენება იმავე წლის 25 ივლისს გადაუგზავნა საქართველოს მმართველ გენერალ თევდორე ახვერდოვს. აღექსანდრე ტორმასოვი თევდორე ახვერდოვს ავალებდა, რომ უკანონოდ გასხვისებული საეკლესიო ქონება დაებრუნებინა ეკლესიისათვის. ამ მიზნით აუცილებელი იყო: 1) საჯაროდ გამოეცხადებინათ, რომ საეკლესიო ქონების გირაოში დადება უკანონოა, 2) საჯაროდ გამოეცხადებინათ, რომ საეკლესიო ქონების ბოძების თაობაზე გაცემული სიგელები ბათილია. საქართველოს მთავარსარდალი საქართველოს მმართველს მთელი კატეგორიულობით უცხადებდა: მე ლაშქრობაში მივდივარ (ამ დროს რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომები მიმდინარეობდა – ვ. გ.) და მთელ პასუხისმგებლობას საეკლესიო ქონების დროულად დაბრუნებაზე თქვენ გააკისრებთ.<sup>45</sup> ბოლოს აღექსანდრე ტორმასოვი თევდორე ახვერდოვს კიდევ ერთ დავალებას აძლევდა: კათოლიკოს-პატრიარქი პეტერბურგში მიემგზავრება, ამიტომ გაფრთხილებთ, საეკლესიო და სამონასტრო მამულებთან დაკავშირებული ყველა მასალა თან წაიღოს, რათა შემდგომ დრო არ დაიკარგოს ამ მასალის თბილისიდან პეტერბურგში გადაგზავნისთვის.<sup>46</sup>

კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II საეკლესიო ქონებას, კერძოდ, ეკლესიებისა და მონასტრების მამულებს, მხოლოდ ერთი მიზნით უბოძებდა სხვადასხვა წოდების ადამიანებს. ანტონ II-მ კარგად უწყოდა, რომ ახლოვდებოდა მცხეთის საპატრიარქო ტახტისა და უძველესი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების დრო. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საეკლესიო ქონება, მათ შორის ეკლესიებისა და მონასტრების მამულები, რუსეთის ეკლესიის მფლობელობაში გადავიდოდა. **კათოლიკოს-პატრიარქს სურდა, ეკლესიის კუთვნილი მამულების რაც შეიძლება დიდი ნაწილი ქართველებს დარჩენოდათ.**

<sup>42</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 152.

<sup>43</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 153-154.

<sup>44</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 153-154.

<sup>45</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 154.

<sup>46</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 154.

ცხადია, რუსეთის საიმპერატორო კარი და რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი ამას არ დაუშვებდნენ. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მთავარსარდალი გენერალი ალექსანდრე ტორმასოვი მთელი კატეგორიულობით ავალედა საქართველოს მმართველ გენერალ თევდორე ახვერდოვს, ბათილად ეცნო ანტონ II-ის მიერ გაცემული ყველა სიგელი საეკლესიო ქონების, განსაკუთრებით ეკლესიებისა და მონასტრების მამულების, ვინმეზე გასხვისების თაობაზე და ამავე დროს აეკრძალა ეკლესიის კუთვნილი მამულების გირაოში დადება.

ანტონ II-მ რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, საქართველოს მთავარსარდალების კატეგორიული მოთხოვნების მიუხედავად, არ შეაჩერა მღვდლად, იღუმენად და არქიმანდრიტად ხელდასხმა. კათოლიკოს-პატრიარქი, ცხადია, იმასაც გრძნობდა, რომ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ მღვდლად, იღუმენად და არქიმანდრიტად ქართველთა ხელდასხმა შეიზღუდებოდა. ანტონ II ცდილობდა ავტოკეფალიის გაუქმების დროისათვის რაც შეიძლება მეტი ქართველი ღვთისმსახური ყოფილიყო ეკლესიებსა და მონასტრებში.

ალექსანდრე ტორმასოვი ცდილობდა, როგორმე დაექარებინა ანტონ II-ის პეტერბურგში გამგზავრება, ჩქარობდნენ საიმპერატორო კარზეც და უწმიდეს სინოდშიც. 1810 წლის 29 ივლისს საქართველოს მთავარსარდალი უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინს მოახსენებდა: ანტონ II-ის პეტერბურგში გამგზავრების ხარჯები (5.000 მანეთი) უკვე გამოყვავიო. ამავე დროს ალექსანდრე ტორმასოვი ობერ-პროკურორს სთხოვდა, გაეგო იმპერატორის აზრი კათოლიკოს-პატრიარქის ნათესავების მიერ აღებული ვალების სახელმწიფო ხაზინიდან დაფარვის თაობაზე, რომელზეც პასუხისმგებლობა ანტონ II-ს ჰქონდა ნაკისრი.<sup>47</sup>

მოულოდნელად კათოლიკოს-პატრიარქის პეტერბურგში გამგზავრება შეფერხდა. მიზეზი სერიოზული იყო. 1810 წლის 20 აგვისტოს გენერალმა ალექსანდრე ტორმასოვმა საქართველოს მმართველ გენერალ თევდორე ახვერდოვს შემაშფოთებელი ამბავი აუწყა. საქართველოს მთავარსარდალი წერდა:

1. ლევან ბატონიშვილმა ოსეთიდან თავისი კაცები გაგზავნა არაგვის ხეობაში, რათა რუსეთში მიმავალი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II გაიტაცონ.

2. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თევდორე ახვერდოვს განუწყვეტლივ უნდა ედევნებინა თვალყური კათოლიკოს-პატრიარქის გარემოცვისათვის და თვით ანტონ II-თვის.

3. კათოლიკოს-პატრიარქის გამგზავრება რამდენიმე ხნით გადაიდოს, რადგან აუცილებელია მისი თანმხლები (გამცილებელი) ძლიერი რაზმის გამოყოფა.

4. თუ კათოლიკოს-პატრიარქი მოითხოვს გამგზავრების დაჩქარებას, ამით ის დაადასტურებს, რომ მოქმედებს ლევან ბატონიშვილთან შეთანხმებით.

5. კათოლიკოს-პატრიარქისათვის უნდა ეცნობებინათ, რომ გამგზავრებამდე აუცილებელი იყო კაცის გაგზავნა და თბილისიდან მოხდოკამდე მთელ გზაზე წინასწარ თადარიგის დაჭერა (ცხენების მომზადება), ასევე გამცილებელთა ძლიერი რაზმის მომზადება. ყოველივე ამას გარკვეული დრო დასჭირდებოდა. გამგზავრება შესაძლებელი იქნებოდა მას შემდეგ, რაც თბილისიდან გაგზავნილი კაცი დაბრუნდებოდა, ანუ დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ.

6. არაგვის ხეობის ოსებში, და საერთოდ მთიანეთში, უნდა გაიგზავნოს კაცები და დადგინდეს, მართალა იყვნენ თუ არა ჩასული ლევან ბატონიშვილის კაცები, როგორ შეხვდნენ მათ და შეიძლება თუ არა ლევან ბატონიშვილის კაცების შეპყრობა.<sup>48</sup>

კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის გარშემო ვითარება სულ უფრო იძაბებოდა. 1810 წლის 27 აგვისტოს საქართველოს მმართველმა თევდორე ახვერდოვმა ალექსანდრე ტორმასოვს წერილი გაუგზავნა. წერილიდან ირკვევა: 1) კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ

<sup>47</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 155.

<sup>48</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 155-156.

დააპატიმრებინა და საპყრობილეში ჩაასმევინა ბერი **სერაპიონი**. ბერს ბრალდებად წაუყენეს კათოლიკოს-პატრიარქის დასმენა, თითქოს ანტონ II-მ მონაწილეობა მიიღო თბილისში პატიმრობაში მყოფი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის გაქცევის ორგანიზებაში; 2) სერაპიონ ბერთან ერთად კათოლიკოს-პატრიარქი დაუსმენია არქიმანდრიტ **დიონისეს**; 3) თევდორე ახვერდოვს კათოლიკოს-პატრიარქისათვის უთხოვია, დასმენისათვის არ მიექცია სერიოზული ყურადღება; 4) კათოლიკოს-პატრიარქი დაინტერესებულია, ძირფესვიანად გამოიძიოს ყველაფერი და განზრახული აქვს, სერაპიონ ბერის საქმე გადასცეს საეკლესიო სასამართლოს; 5) ანტონ II სერაპიონ ბერის დაკითხვას იმიტომ ითხოვს, რომ ეჭვობს, დამსმენების უკან მიტროპოლიტი არსენი ხომ არ დგას; 6) ანტონ II არქიმანდრიტ დიონისეს დასმენამ იმდენად შეაძრწუნა, რომ ცრემლები ვერ შეიკავა.<sup>49</sup>

საქართველოს უმაღლესი მთავრობის პროკურორ პლახოტინის 1810 წლის 23 ივლისის მოხსენების შინაარსი ცნობილი გახდა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-თვის. 1810 წლის 16 სექტემბერს ანტონ II ალექსანდრე ტორმასოვს წერდა, რომ პროკურორი ცრუ დასმენებს ემყარებოდა. შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქი წერს, რომ საეკლესიო მამულების ბოძებისას იგი ხელმძღვანელობდა იმ წესით, რომელიც საქართველოში 1400 წელია არსებობს. ბოლოს ანტონ II დასძენდა, რომ მას ალექსანდრე I-მა უბოძა „უმაღლესი წერილი“ („Высочайшее письмо“), რომელიც ადასტურებდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი რჩებოდა ძველ უფლებებში.<sup>50</sup> ანტონ II-მ ალექსანდრე ტორმასოვისადმი გაგზავნილ წერილს თან დაურთო ასლი ალექსანდრე I-ის მიერ ბოძებული დოკუმენტისა. ეს დოკუმენტი ასეა დასათაურებული: „Высочайшая грамота католикоу Антонию, от 31-го декабря 1801 года. – С.-Петербург.“ „უმაღლესი სიგელი“ მართლაც ადასტურებდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ძველ უფლებებში რჩებოდა და მისი იურისდიქცია არ იზღუდებოდა.<sup>51</sup>

საეკლესიო ქონების საკითხი აქტუალობას არ კარგავდა. 1810 წლის 25 სექტემბერს ალექსანდრე ტორმასოვს პეტერბურგიდან აცნობეს, რომ საპატრიარქოს შემოსავლებიდან ანტონ II სარჩოს აღარ მიიღებდა. კათოლიკოს-პატრიარქს ენიშნებოდა სარჩო საქართველოს შემოსავლებიდან – 2.675 ვერცხლის მანეთი წლიურად.<sup>52</sup>

პეტერბურგში ალექსანდრე ტორმასოვს მოუწონეს ანტონ II-ის მიერ რუსეთში გამგზავრების წინ საეკლესიო ქონების გასხვისების აღკვეთისა და ქონების უკან დაბრუნების მიზნით გაწეული მუშაობა. 1810 წლის 28 სექტემბერს უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი ალექსანდრე გოლიცინი ალექსანდრე ტორმასოვს აცნობებდა, რომ საეკლესიო ქონების დაცვის მიზნით მის მიერ გაწეული მუშაობა იმპერატორმა სწორად მიიჩნია. ამასთან ერთად უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი საქართველოს მთავარსარდალს აცნობებდა, რომ სინოდში არ აქვთ ცნობები (მასალა) ქართველი სამღვდელთა თაობაზე. ალექსანდრე გოლიცინი ალექსანდრე ტორმასოვს სთხოვდა, დაკავშირებოდა თბილისში მყოფ არქი-ეპისკოპოს ვარლამს და მასთან ერთად შეემუშაებინა აზრი ქართველი სამღვდელთა მართვა-გამგეობის თაობაზე.<sup>53</sup>

მიტროპოლიტ არსენის საქმე რუსების ხელში კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებად იქცა. პეტერბურგში და თბილისში კარგად უწყობდნენ მტყუან-მართალი, მაგრამ საბოლოო მსჯავრის გამოტანას არ ჩქარობდნენ. 1810 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს მთავარსარდალი გენერალი ალექსანდრე ტორმასოვი რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორ ალექსანდრე გოლიცინს წერდა, რომ მან შეისწავლა პეტერბურგიდან მისთვის გადაგზავნილი მიტროპოლიტ არსენის საჩივრები, დაწერილი პირველი იმპერატორის, ხოლო მეორე – უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის

<sup>49</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 156.

<sup>50</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 157.

<sup>51</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 157.

<sup>52</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 157.

<sup>53</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 157-158.

სახელზე. მიტროპოლიტი არსენი ბრალს სდებდა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს იმაში, რომ მან არქიეპისკოპოს ვარლამთან, საქართველოს მმართველ გენერალ თევდორე ახვერდოვთან და თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ყოფილ დირექტორთან, დეკანოზ ალექსი პეტრიაშვილთან ერთად გადაწყვიტა მისი თბილისის ეპარქიიდან გაძევება და ეპარქიის მმართველ იერარქად ალექსი პეტრიაშვილის დადგენა. ალექსანდრე ტორმასოვი ობერ-პროკურორს აცნობებდა, რომ მიტროპოლიტმა არსენმა პირადად მას ცილი დასწამა, რომ თითქოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის თხოვნით თბილელი მიტროპოლიტის ეპარქიიდან გადაყვანის გადაწყვეტილების თაობაზე იმპერატორისათვის წარდგინება გაეკეთებინოს.<sup>54</sup> ამ შესავლის შემდეგ ალექსანდრე ტორმასოვი ალექსანდრე გოლიცინს მოახსენებდა საქმის არსის თაობაზე, საიდანაც ირკვევა: 1) მას შემდეგ, რაც კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ თბილისში სასულიერო დიკასტერიის შექმნას დაუჭირა მხარი, მიტროპოლიტი ცდილობდა, არ დაქვემდებარებოდა დიკასტერიას. მან ითხოვა, რომ თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის შემოსავლები სახელმწიფო ხაზინაში შეეტანა. შემოსავლების განაწილების საკითხი იყო ანტონ II-ისა და მიტროპოლიტ არსენის დაპირისპირების მთავარი მიზეზი; 2) ანტონ II-ს თხოვნით მიუმართავს ალექსანდრე ტორმასოვისათვის, რათა მხარი დაეჭირა თბილისის ეპარქიიდან მიტროპოლიტ არსენის გადაყვანისათვის. ალექსანდრე ტორმასოვს ანტონ II-თვის ურჩევია: ა) მიტროპოლიტ არსენის მიერ სიონის ტაძრის შემოსავლების მითვისების საკითხი საფუძვლიანად შეესწავლათ, ბ) თუ დადასტურდებოდა, რომ მიტროპოლიტი მართლაც ითვისებდა ტაძრის შემოსავლებს, არ მიეღოთ გადამჭრელი ზომები, პატივი ეცათ მღვდელმთავრის ღირსებისათვის და მოეფიქრებინათ სიონის ტაძრის შემოსავლის აღრიცხვისა და კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც არ შეურაცხყოფდა მიტროპოლიტ არსენს; 3) საქართველოს მთავარსარდალი ალექსანდრე ტორმასოვი, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლებოდა ჩარეულიყო მიტროპოლიტ არსენის საქმის ძიებისა და მსჯავრის გამოტანის პროცესში. იგი ცდილობდა, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-სა და თბილელ მიტროპოლიტს შორის დაპირისპირება და მტრობა მოესპო. იმავდროულად მთავარსარდალი საქართველოს მმართველ გენერალ თევდორე ახვერდოვის მეშვეობით ცდილობდა დაეცვა საეკლესიო შემოსავლები; 4) მიტროპოლიტმა არსენმა საქართველოს მთავარსარდალთან იჩივლა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ანტონ II-მ თავისი მომხრე მღვდელმთავრებიდან შექმნა საეკლესიო სასამართლო, რომლის წევრებმაც შეურაცხყოფა მიაყენეს მიტროპოლიტს; 5) ალექსანდრე ტორმასოვმა მიტროპოლიტ არსენის საჩივრის მიღების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქს სთხოვა, დაექარებინა საეკლესიო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანა, რათა განაჩენი დროულად ყოფილიყო იმპერატორისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი; 6) საეკლესიო სასამართლომ მიტროპოლიტ არსენის საქმეზე შემდეგი შინაარსის განაჩენი გამოიტანა: ა) მიტროპოლიტი არსენი გადაყენებული იქნას თბილისის ეპარქიის მღვდელმთავრობიდან, ბ) გაემგზავროს არსენი ერთ-ერთ შორეულ მონასტერში და დაენიშნოს მას სარჩო თბილისის ეპარქიის შემოსავლებიდან, გ) მონასტერში გამგზავრებამდე არსენი განყენებულ იქნას მღვდელმსახურებიდან. საეკლესიო სასამართლოს განაჩენი ალექსანდრე ტორმასოვმა 1810 წლის 16 მარტს რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს გაუგზავნა; 7) კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ ალექსანდრე ტორმასოვს შესთავაზა სიონის ტაძრის შემოსავლები აებარებინათ დეკანოზ იოსებ მიქაძე-ფალავანდიშვილისათვის. გენერალს თავი შეუკავებია საეკლესიო საქმეებში არევისაგან და კათოლიკოს-პატრიარქისათვის ურჩევია პირადად გადაწყვიტა ეს საკითხი. რადგან საქმე საეკლესიო შემოსავლების დაცვას ეხებოდა, ალექსანდრე ტორმასოვს საქართველოს მმართველისათვის, გენერალ თევდორე ახვერდოვისათვის, დაუვალებია მიეღო შესაბამისი ზომები; 8) მიტროპოლიტ არსენს მიუმართავს საქართველოს მმართველ გენერალ თევდორე ახვერდოვისათვის, რათა ამ უკანასკნელს ანტონ II-თან გაერკვია, თუ რატომ

<sup>54</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 158.

გამოაცხადა მან სიონის ტაძარში საეკლესიო სასამართლოს განჩინება მანამ, სანამ განჩინებას იმპერატორი დაამტკიცებდა. ანტონ II-ის პასუხი ასეთი ყოფილა: მიტროპოლიტმა არსენმა დაარღვია წმიდა მოციქულთა კანონები და მსოფლიოს შვიდი საეკლესიო კრების დადგენილებები, რის გამოც იგი განყენებული იქნა ღვთისმსახურებიდან.<sup>55</sup>

დასასრულ, ალექსანდრე ტორმასოვი წერდა, რომ მიტროპოლიტ არსენის საქმის შესახებ იგი ელოდება უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებას და იმპერატორის ბრძანებას.<sup>56</sup>

კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის პეტერბურგში გამგზავრება, რომელიც 1810 წელს რამდენჯერმე გადაიდო, მაინც გარდაუვალი აღმოჩნდა. 1810 წლის 9 ნოემბერს საქართველოს მმართველი გენერალი თევდორე ახვერდოვი საქართველოს მთავარსარდალ გენერალ ალექსანდრე ტორმასოვს მოახსენებდა: კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II 1810 წლის 3 ნოემბერს თბილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა. იგი 9 ნოემბრამდე მცხეთაში შეჩერდა და ამჯერად ემზადება გზის გასაგრძელებლად. კათოლიკოს-პატრიარქს კობამდე გააცილებდა კაზაკთა პოლკის 16 ჯარისკაცი ოფიცრის მეთაურობით, კობიდან ვლადიკავკაზამდე (ხევის გავლით კი) – კაზაკთა ასეული.<sup>57</sup> კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II, მცხეთის უძველესი სა-პატრიარქო ტახტის მპყრობელი და უძველესი ავტოკეფალური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავარი, რუსეთში გაემგზავრა სასულიერო დიკასტერიის დაარსებასთან დაკავშირებით. ეს იყო ფორმალური საბაბი ანტონ II-ის თბილისიდან გაწვევისათვის. **პეტერბურგში უკვე გადაწყვეტილი იყო მცხეთის საპატრიარქოს გაუქმება.** ანტონ II სამშობლოში დაბრუნებას ვეღარ ელირსა, იგი რუსეთშივე აღესრულა.

კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის პეტერბურგში გამგზავრების შემდეგ თბილისში **სასულიერო დიკასტერიის** დაარსების საქმე დაჩქარებული ტემპით წავიდა წინ. ამიერიდან თბილისსა და ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს მთელ ტერიტორიაზე უპირველესი საეკლესიო იერარქის ფუნქცია რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრს, არქიეპისკოპოს **ვარლამს** დაეკისრა. 1810 წლის 13 დეკემბერს ალექსანდრე ტორმასოვი არქიეპისკოპოს ვარლამს სთხოვდა, გაეგო ქართველი სამღვდლოების აზრი ახალი სასულიერო მმართველობის თაობაზე.<sup>58</sup> საქართველოს მთავარსარდალი ყველა მნიშვნელოვან საკითხზე არქიეპისკოპოს ვარლამს ეთათბირებოდა.

1811 წლის 18 თებერვალს ალექსანდრე ტორმასოვმა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს წარუდგინა ვრცელი მოხსენება თბილისში **სასულიერო დიკასტერიის** დაარსების თაობაზე. მოხსენებიდან ირკვევა, რომ დიკასტერიის შექმნის პროექტი არქიეპისკოპოს **ვარლამს** შეუდგენია, რომელიც ამ დროისათვის ოფიციალურად იწოდებოდა „**სასულიერო ნაწილის თავმჯდომარედ**“. არქიეპისკოპოს ვარლამის პროექტში გათვალისწინებული იყო ალექსანდრე ტორმასოვის მოსაზრებებიც. მოხსენების მიხედვით პროექტის შინაარსი ასეთი იყო:

**პირველი.** ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე (აღმოსავლეთ საქართველოში) არსებული 13 ეპარქიიდან უნდა დარჩენილიყო 2 ეპარქია: **მცხეთისა, ანუ ქართლისა და ალავერდისა, ანუ კახეთისა.**

**მეორე.** 9 საარქიმანდრიტოდან უნდა დარჩენილიყო 5 საარქიმანდრიტო.

**მესამე.** სასულიერო დიკასტერიის შექმნამდე ეკლესიებისა და სამღვდლოების რიცხვი არ უნდა შემცირებულიყო. შემცირება უნდა დაწყებულიყო დიკასტერიის შექმნის შემდეგ. ზოგიერთი ეკლესია დაიხურებოდა და, შესაბამისად, შემცირდებოდა სამღვდლოების რიცხვიც. შემცირებულ მღვდლებს წოდების მიხედვით მიეცემოდათ სარწო და შემდეგ ისინი დაინიშნებოდნენ დიკასტერიის შეხედულების მიხედვით. გარდაცვლილი მღვდლების ადგილს

<sup>55</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 158-160.

<sup>56</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 160.

<sup>57</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 160-161.

<sup>58</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 161.

დაიკავებდნენ ის მღვდლები, რომლებიც ეკლესიების დახურვის შემდეგ სამწყსოს გარეშე დარჩებოდნენ.

**მეოთხე.** საეკლესიო გადასახადების ნატურით (ხორბლით, ღვინით, ხილით და ა. შ.) გადასახადის აღება რთული იყო, ამიტომაც ნატურით გადასახადი შეიცვლებოდა ფულადი გადასახადით. ეპარქიის მმართველ იერარქებსა და არქიმანდრიტებს სასულიერო დიკასტერიაში გადასახადი ფულის სახით უნდა შეეტანათ.

**მეხუთე.** საეკლესიო გლეხებს ხაზინის გადასახადი უნდა გადაეხადათ სურსათით – ერთ კომლზე 3 კოდი ხორბალი, ან ფულით – ერთი კოდი ხორბლის სანაცვლოდ ერთი მანეთი.

**მექვსე.** სასულიერო დიკასტერიის წევრები უნდა ყოფილიყვნენ: **ქართლიდან:** ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტი **დოსითეოზი** და იკორთის მონასტრის არქიმანდრიტი **გამალილა** (რომელიც იმხანად უკვე გადაყვანილი იყო ბოდბის მონასტრის არქიმანდრიტად); **კახეთიდან:** არქიმანდრიტი **ელეფთერი**, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის დეკანოზი **იოანე მაღალაშვილი**, დეკანოზი **იოსებ წინამძღვრიშვილი** და დეკანოზი **დიმიტრი ალექსიშვილი**.

**მეშვიდე.** საქართველოს კათოლიკოსები ბიზანტიის იმპერატორის მიერ იყვნენ დადგენილნი და მათ დამოუკიდებლობას (ავტოკეფალიას – ვ. გ.) აღიარებდნენ მსოფლიო პატრიარქები. ამის გამო პატივისცემის ნიშნად მცხეთის, ანუ ქართლის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის წოდება ასეთი იქნებოდა: „**მიტროპოლიტი მცხეთისა და ქართლისა და უწმიდესი სინოდის ეგზარქოსი საქართველოში**“. იგი დაექვემდებარებოდა რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს და სინოდიდან მიიღებდა განკარგულებას.<sup>59</sup>

დიკასტერიის პროექტის წარდგენის შემდეგ თავის მოხსენებაში ალექსანდრე ტორმასოვი უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს წერდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს არ ძალუძდა სასულიერო მმართველობის ახალი სისტემის ჩამოყალიბება და სასულიერო უწყების (დიკასტერიის) ხელმძღვანელობა. საქართველოს მთავარსარდალი ალექსანდრე გოლიცინს აცნობებდა, რომ მისი აზრით „საქართველოში უწმიდესი სინოდის ეგზარქოსის, მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტის“ ადგილი უნდა დაეკავებინა უწმიდესი სინოდის წევრს, არქიეპისკოპოს **ვარლამს (ერისთავს)**, ხოლო ალავერდის, ანუ კახეთის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი უნდა გამხდარიყო ბოდბის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი მიტროპოლიტი **იოანე**.<sup>60</sup>

ალექსანდრე ტორმასოვი თავის მოხსენებაში შეეხო რუსეთში მყოფი კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის სარჩოს საკითხს. გენერალი უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს აცნობებდა, რომ ანტონ II-მ საპატრიარქოს შემოსავლებიდან 1808 წელს მიიღო 2.300 ვერცხლის მანეთი, ხოლო 1810 წელს საქართველოს შემოსავლებიდან იმპერატორის ბრძანებით მიიღო 2.675 ვერცხლის მანეთი. ალექსანდრე ტორმასოვი შუამდგომლობდა, რათა ანტონ II-ს, თუ იგი რუსეთში დარჩებოდა, საქართველოს შემოსავლებიდან გარდაცვალებამდე ყოველწლიურად მიეღო 6.000 მანეთი პენსიის სახით. სამაგიეროდ, ანტონ II-ს არანაირი უფლება აღარ უნდა ჰქონოდა სასულიერო დიკასტერიის (ყოფილი საპატრიარქოს) შემოსავლებზე.<sup>61</sup>

ალექსანდრე ტორმასოვი უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის წინაშე აყენებდა კიდევ ერთ საკითხს. საეკლესიო აზნაურები, რომლებიც ეპარქიებსა და მონასტრებს ეკუთვნოდნენ, დღემდე ასრულებენ საეკლესიო მამულების მოურავების (მმართველების) ფუნქციას. ამ მოურავებმა ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრებთან ერთად გაძარცვეს საეკლესიო მამულები. ქართული კანონები არ ითვალისწინებს ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრების მიერ მეფის თანხმობის გარეშე საეკლესიო გლეხებისა და მამულების გასხვისებას (ბოძებას). არქიეპისკოპოს ვარლამის მოსაზრების საფუძველზე ალექსანდრე ტორმასოვი უწმიდეს

<sup>59</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 162.

<sup>60</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 162.

<sup>61</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 163.

სინოდს სთავაზობდა: ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე რუსული მმართველობის შემოღებამდე (საქართველოს უმაღლესი მთავრობის შექმნამდე – ვ.გ.) ეპარქიების მფლობელობაში არსებული მამულები დარჩეს ეკლესიის მფლობელობაში, ხოლო საეკლესიო აზნაურები და გლეხები მამულებითურთ გადაეცეს სახელმწიფო ხაზინას.<sup>62</sup>

მოსხენებას ალექსანდრე ტორმასოვმა დაურთო „Список епархий, в Грузии ныне состоящим, с показанием сколько каждой принадлежит дворов крестьян“.<sup>63</sup> მოვიყვანო ზოგიერთ მასალას ამ დოკუმენტიდან: **მცხეთის ეპარქიას** ეკუთვნოდა 615 კომლი, **თბილისის სიონის საკათედრო ტაძარს** – 24, **სამთავროს ეპარქიას** – 35, **რუისის ეპარქიას** – 96, **წილკნის ეპარქიას** – 20, **სამთავისის ეპარქიას** – 30, **ურბნისისა და ნიქოზის ეპარქიას** – 70, **ალავერდის ეპარქიას** – 342, **ნინოწმინდის ეპარქიას** – 113, **რუსთავის ეპარქიას** – 58, **ნეკრესის ეპარქიას** – 86, **ბოდბის ეპარქიას** – 729. სულ ქართლისა და კახეთის ტერიტორიაზე არსებულ 13 ეპარქიას ეკუთვნოდა 2.218 კომლი გლეხი. მეორე დანართის – „Список архимандритам, в Грузии ныне состоящим, с показанием сколько каждой принадлежит дворов крестьян“ – მიხედვით სულ არსებობდა 9 საარქიმანდრიტო, რომლებიც ფლობდნენ 637 კომლ გლეხს. კომლების რაოდენობა საარქიმანდრიტოებზე ასე ნაწილდებოდა: **ქვაბთახევის** – 105, **მღვიმევის** – 27, **იკორთის** – 16, **კახეთის** – 122, **დავით გარეჯის** – 153, **იოანე ნათლისმცემლის** – 106, **შუამთის** – 65, **ლარგვისის** – 40, **თირის** – 3. სხვა დანართში წარმოდგენილია ეპარქიების წლიური შემოსავალი. **მცხეთის ეპარქიის** შემოსავალი შეადგენდა 9.560 მანეთს, **სიონის საკათედრო ტაძრისა** – 2.500 მანეთს, **სამთავროს ეპარქიისა** – 500 მანეთს, **რუისის ეპარქიისა** – 1.500 მანეთს, **წილკნის ეპარქიისა** – 1.000 მანეთს, **სამთავისის ეპარქიისა** – 600 მანეთს, **ურბნისისა და ნიქოზის ეპარქიისა** – 300 მანეთს. ეს შემოსავალი შემდეგნაირად უნდა განკარგულიყო: უმაღლეს სასულიერო ხელისუფალს – 5000 მანეთი, სასულიერო დიკასტერიას – 1.500 მანეთი, გიმნაზიას – 1.500 მანეთი, სიონის საკათედრო ტაძრის სამრეკლოს ასაგებად – 1.000 მანეთი, ეკლესიის შესანახად – 560 მანეთი. ამრიგად, სულ გამიზნული იყო 9.560 მანეთის დახარჯვა. მიტროპოლიტ არსენისათვის გარდაცვალებამდე ყოველწლიურად პენსიის სახით უნდა მიეცათ 1.000 მანეთი. მეტად საინტერესოა ალექსანდრე ტორმასოვის მოხსენების დანართი სათაურით – „Список, сколько находится где церквей, архиереев, священников, дьяконов и церковников“. ამ დანართის მიხედვით: 1) **მცხეთის ეპარქიაში** იყო ერთი მღვდელმთავარი, 122 ეკლესია, 133 მღვდელი, 20 დიაკონი, 118 ეკლესიის მსახური; 2) **თბილისის ეპარქიაში**: ერთი მღვდელმთავარი, 12 ეკლესია, 25 მღვდელი, 4 დიაკონი და 20 ეკლესიის მსახური; 3) **სამთავროს ეპარქიაში**: ერთი მღვდელმთავარი, 82 ეკლესია, 60 მღვდელი, 8 დიაკონი და 70 ეკლესიის მსახური; 4) **რუისის ეპარქიაში**: მღვდელმთავარი არ იყო, 52 ეკლესია, 42 მღვდელი, 4 დიაკონი, 42 ეკლესიის მსახური; 5) **წილკნის ეპარქიაში**: ერთი მღვდელმთავარი, 80 ეკლესია, 75 მღვდელი, 11 დიაკონი, 45 ეკლესიის მსახური; 6) **სამთავისის ეპარქიაში**: მღვდელმთავარი არ იყო, 44 ეკლესია, 23 მღვდელი, 5 დიაკონი, 16 ეკლესიის მსახური; 7) **ურბნისის ეპარქიაში**: მღვდელმთავარი არ იყო, 40 ეკლესია, 40 მღვდელი, 6 დიაკონი, 38 ეკლესიის მსახური; 8) **ნიქოზის ეპარქიაში**: მღვდელმთავარი არ იყო, 11 ეკლესია, 10 მღვდელი, 3 დიაკონი, 7 ეკლესიის მსახური; 9) **ბოდბის ეპარქიაში**: ერთი მღვდელმთავარი, 100 ეკლესია, 116 მღვდელი, 32 დიაკონი, 88 ეკლესიის მსახური; 10) **ალავერდის ეპარქიაში**: მღვდელმთავარი არ იყო, 113 ეკლესია, 84 მღვდელი, 20 დიაკონი, 84 ეკლესიის მსახური; 11) **ნინოწმინდის ეპარქიაში**: ერთი მღვდელმთავარი, 67 ეკლესია, 66 მღვდელი, 9 დიაკონი, 68 ეკლესიის მსახური; 12) **რუსთავის ეპარქიაში**: მღვდელმთავარი არ იყო, 20 ეკლესია, 23 მღვდელი, 7 დიაკონი, 23 ეკლესიის მსახური; 13) **ნეკრესის ეპარქიაში**: ერთი მღვდელმთავარი, 56 ეკლესია, 49 მღვდელი, 17 დიაკონი, 42 ეკლესიის მსახური. სულ 1811 წლის 18 თებერვლისათვის ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფოს ტერიტორიაზე (აღმოსავლეთ

<sup>62</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 163.

<sup>63</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 164-165.

საქართველოში) 13 ეპარქიაში იყო 7 მღვდელმთავარი, 799 ეკლესია, 746 მღვდელი, 146 დიაკონი და 661 ეკლესიის მსახური;<sup>64</sup> 13 ეპარქიის ტერიტორიაზე არსებულ მონასტრებში 75 ბერი იყო. ცალკე დანართში ჩამოთვლილია იმ საეკლესიო აზნაურების გვარები, რომლებიც სახელმწიფო საზინის მფლობელობაში უნდა გადასულიყვნენ თავიანთი გლეხებიანად. ესენი არიან (გვარებს მოვიყვანთ დედნის მიხედვით): **ქართლში** – მაგალოვ, გედევანოვ, კარსიდზე, ოლიოზოვ, კვალიევ, ტაზიევ, კადაგოვ, ჰუმბულიძე, კავრიევ, ტუხარელი, ბოჩორაძე, ანანიევ, მამაძოვ (ეს აზნაურები სულ 193 კომლ გლეხს ფლობდნენ); **კახეთში** – გარაკანიძე, მიცობლიძე, გიჯიმკრელი, სულხანოვ, ანდრონიკოვ, აბელოვ, მგალობელოვ, იერამოვ, ტანიევ, ნაძვალოვ, დეკანოზოვ, შატბეროვ (es aznaurebi sul 470 koml glexs flobdnen).<sup>65</sup>

ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების, მონასტრების, შავი და თეთრი სამღვდელოების რაოდენობის დადგენის, ასევე საეკლესიო შემოსავლების გარკვევის შემდეგ 1811 წლის 21 ივნისს რუსეთის ეკლესიის უწმიდესმა სინოდმა „უქვეშემდრომილესი მოხსენება“ წარუდგინა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს. 1811 წლის 30 ივნისს იმპერატორმა მოხსენება დაამტკიცა. დედანზე იმპერატორის ხელით გაკეთებულია ასეთი რეზოლუცია: „Быть по сему. Александр“.<sup>66</sup> ამ დოკუმენტმა გადაწყვიტა მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის, უძველესი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის ბედი.<sup>67</sup> შევეცდებით ზემოთხსენებული დოკუმენტის შინაარსი დაწვრილებით წარმოვადგინოთ. იმპერატორის მიერ დამტკიცებული უწმიდესი სინოდის მოხსენება ასეთი შინაარსისაა:

I. 1783 წელს ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ ცნო რუსეთის იმპერიის უზენაესი ხელისუფლება და ქვეშევრდომობა<sup>68</sup>. ხელშეკრულების (გეორგიევსკის ტრაქტატის – გ. გ.) მერვე მუხლის მიხედვით ორ სახელმწიფოს ეკლესიათა შორის ურთიერთობის თაობაზე ცალკე ხელშეკრულება უნდა დადებულიყო.

II. 1801 წლის განმავლობაში გამოიცა ორი მანიფესტი: პირველი – 18 იანვარს, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო უერთდებოდა რუსეთის იმპერიას, მეორე – 12 სექტემბერს, რომელსაც თან ახლდა დადგენილება ქართლ-კახეთის მმართველობის მოწყობის თაობაზე. გენერალ კარლ კნორინგს დაევალა მხარის სასულიერო ცხოვრების წესრიგში მოყვანა.

III. უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორმა ალექსანდრე გოლიცინმა საქართველოში მყოფი სინოდის წევრის, არქიეპისკოპოს ვარლამისა და მთავარსარდალ ალექსანდრე ტორმასოვის მეშვეობით მიიღო ცნობები ქართველი სამღვდელოების მდგომარეობის თაობაზე. ამ ცნობებიდან დგინდება, რომ ქართლისა და კახეთის 13 ეპარქიაში 7 მღვდელმთავარი, 799 ეკლესია, 746 მღვდელი, 146 დიაკონი და 661 ეკლესიის მსახური, 9 საარქიმანდრიტო, 6 არქიმანდრიტი და 75 ბერია. 13 ეპარქიაში 2.213 კომლი საეკლესიო გლეხია, ხოლო 9 საარქიმანდრიტოში – 637 კომლი. საეკლესიო აზნაურები 470 კომლ საეკლესიო გლეხს ფლობენ.

IV. მღვდელმთავრები საეკლესიო შემოსავლების თაობაზე არავის არანაირ ანგარიშს არ აბარებენ, შემოსავლების თაობაზე მათ არანაირი ცნობები არ გააჩნიათ, საეკლესიო შემოსავლებით სარგებლობენ ყოველგვარი წესის გარეშე. არქიეპისკოპოს ვარლამის გამონაგარიშებით, ეპარქიების შემოსავალი უნდა უდრიდეს 26.360 მანეთს, საარქიმანდრიტოებისა – 13.224 მანეთს.

V. არქიეპისკოპოსი ვარლამი გვთავაზობს შემდეგს:

<sup>64</sup> მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. 2009, გვ. 1095.

<sup>65</sup> Акты, собранные Кавказскою Археологическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 164-165.

<sup>66</sup> Акты, собранные Кавказскою Археологическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 166-169.

<sup>67</sup> მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბილისი, 2009, გვ. 1095; ელდარ ბუბულაშვილი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე. თბილისი, 2002, გვ. 72-74.

<sup>68</sup> გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის სამეფო შევიდა რუსეთის იმპერიის მფრაველობაში („Покровительство“) და არა ქვეშევრდომობაში („Подданство“) – გ. გ.



1) 13 ეპარქიიდან დარჩეს მხოლოდ ორი: მცხეთის, ანუ ქართლისა და ალავერდის, ანუ კახეთისა.

2) მცხეთისა და ქართლის მღვდელმთავარი, როგორც ქართველი სამღვდელოების უპირველესი იერარქი, იწოდება ასე: „**მიტროპოლიტი მცხეთისა და ქართლისა, სინოდის ეგზარქოსი საქართველოში**“.

3) 9 საარქიმანდრიტოდან დარჩეს 5 საარქიმანდრიტო.

4) დაარსდეს **დიკასტერია**, რომლის წევრები იქნებიან არა მღვდელმთავრები, არამედ არქიმანდრიტები და დეკანოზები. დიკასტერია ეპარქიებიდან და საარქიმანდრიტოებიდან მიიღებს ყველა აუცილებელ ცნობას, რომელიც შეეხება: ა) ზედმეტი ეკლესიების დახურვას, დახურული ეკლესიების ღვთისმსახურების სხვა ეკლესიებში გადაყვანას, ღვთისმსახურებისათვის ხარისხის მინიჭებას, საეკლესიო შემოსავლებს; ბ) საეკლესიო გლეხებიდან გადასახადების აკრეფის მოწესრიგებას, შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვას, გიმნაზიის შენახვას, სასწავლებლებისა და მოწყალების სახლების შენახვას; გ) ნატურით მიღებული გადასახადების ფულზე გადაყვანას.

5) სამღვდელოების შეიღებისათვის განათლების მისაცემად თბილისში უნდა დაარსდეს გიმნაზია (პირველ ხანებში 60 მოსწავლისათვის), ხოლი მაზრებში – სამაზრო სასწავლებლები. განათლებული ქართველი სამღვდელოება გამოყენებული უნდა იქნეს ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის გასაქრისტიანებლად.

6) საეკლესიო გლეხებისაგან მიღებული შემოსავალი ასე უნდა განაწილდეს: **მცხეთისა და ქართლის მღვდელმთავარს** – 5.000 მანეთი, **წილკნის ეპარქიის მღვდელმთავარ გერვასის** – 1.000 მანეთი, **ბოდბის ეპარქიის მღვდელმთავარ იოანეს და ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავარს** (იმჟამად კათედრა ვაკანტური იყო – გ. გ.) – 2.500 მანეთი, **სასულიერო დიკასტერიას** – 1.500 მანეთი, **გიმნაზიას** – 3.400 მანეთი, **სამაზრო სასწავლებლებს** – 2.000 მანეთი, ოთხ ადგილას ეკლესიებისა და სამრევლოების მშენებლობის დასრულებისათვის 3 წლის განმავლობაში – 3.300 მანეთი და სხვ.

VI. ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე რუსული მმართველობის შემოდგამდე (საქართველოს უმადლესი მთავრობის შექმნამდე) ვინც საეკლესიო აზნაურის წოდებას ატარებდა გლეხებიანად გადაირიცხოს სახელმწიფო ხაზინის გამგებლობაში.

VII. მიეცეს სარჩო მღვდლებისა და დიაკვნების ქვრივებსა და შეიღებს.

VIII. ქართველი სამღვდელოების თხოვნის მიუხედავად, არ შეიძლება არსებული მდგომარეობის უცვლელად დატოვება:

1) არ შეიძლება შენარჩუნდეს 13 ეპარქია.

2) რუსეთის მსგავსად შემოდებული უნდა იქნეს **სასამართლო – კონსისტორია** და **სასულიერო მმართველობა**, რომელიც თვალყურს ადევნებს სამღვდელოებას.

3) აუცილებელია სასულიერო სემინარიის დაარსება, რადგან მღვდლები უნდა იყვნენ განათლებულნი და მრევლისათვის მაგალითის მიმცემნი.

4) დაუშვებელია კერძო პირებზე საეკლესიო მამულების გასხვისება.

IX. **ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე უწმიდესი სინოდი მიიჩნევს:**

1. 13 ეპარქიიდან შეიქმნას 2 ეპარქია: ა) **მცხეთისა და ქართლისა**, ბ) **ალავერდისა და კახეთისა**; გ) 9 საარქიმანდრიტოდან შეიქმნას 5 საარქიმანდრიტო.

2. ქართველი სამღვდელოების უმადლესი იერარქი იქნება **მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტი**, რომელსაც ყოველთვის ექნება წოდება: „**უწმიდესი სინოდის ეგზარქოსი საქართველოში**“.

3. შეიქმნას **დიკასტერია**, რომელსაც სათავეში აუდგება ქართველი სამღვდელოების უმადლესი იერარქი („**მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტი, უწმიდესი სინოდის ეგზარქოსი საქართველოში**“). დიკასტერიის ხელმძღვანელის (უფროსის) გადაწყვეტილებით, სამაზრო ქალაქებში პირველდაწყებითი სასამართლო საქმისწარმოებისათვის შეიქმნას **სასულიერო**

**მმართველობები**, რომლის წევრები იქნებიან დეკანოზები და მღვდლები. გარდა ამისა, მაზრებში სამღვდლოებაზე მეთვალყურეობა დაევალოს **ბლალოჩინებს**.

4. სამღვდლოების შვილებისათვის სწავლა-განათლების მისაცემად გიმნაზიის ნაცვლად დაარსდეს **სასულიერო სემინარია**. სამაზრო სასწავლებლები გაიხსნას მას შემდეგ, რაც სასულიერო სემინარია ამ სასწავლებლებისათვის მოამზადებს მასწავლებლებს.

5. მღვდელმთავრების, არქიმანდრიტების, სასულიერო დიკასტერიის, სასულიერო სემინარიის, მღვდლებისა და დიაკვნების ქვრივებისა და შვილების შესანახი ხარჯები გაღებული იქნება საეკლესიო შემოსავლებიდან.

6. გლეხები, რომლებიც საეკლესიო გლეხების კატეგორიას განეკუთვნებოდნენ ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფოს ტერიტორიაზე რუსული მმართველობის შემოღებამდე (საქართველოს უმაღლესი მთავრობის შექმნამდე), დარჩებიან სასულიერო უწყების დაქვემდებარებაში. რაც შეეხება საეკლესიო აზნაურებს, სასულიერო დიკასტერიის შექმნის გამო, მათი გამოყენება საეკლესიო მამულების მოურავებად არ არის გათვალისწინებული. საეკლესიო აზნაურების საკითხს შეისწავლის უწმიდესი სინოდი და დასამტკიცებლად წარუდგენს იმპერატორს.<sup>69</sup>

ასეთია იმ დოკუმენტის შინაარსი, რომელმაც, რუსეთის იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, გააუქმა მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტი და უძველესი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის თვითმწყემსობა (ავტოკეფალია).<sup>70</sup>

ათი წელი (1801-1811 წწ.) ამზადებდა რუსეთის საიმპერატორო კარი მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის, უძველესი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) გაუქმებას. მიუხედავად ამისა, გაუქმება მოხდა სრულიად უკანონოდ, საეკლესიო სამართლის უხეში დარღვევით.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და მისი რუსეთის იმპერიასთან შეერთება არ შეიძლება საფუძველი გამხდარიყო მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტისა და უძველესი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) გაუქმებისა. ეს ეწინააღმდეგებოდა **ეფესოს წმიდა III მსოფლიო საეკლესიო კრების (431 წ.) მერვე კანონს**. ამ კანონის მიღების საფუძველი გახდა ანტიოქიის ეკლესიის მცდელობა, თავისი იურისდიქციისათვის დაემორჩილებინა კვიპროსის ეკლესია და, შესაბამისად, კვიპროსის ეკლესიისათვის ჩამოერთმია ავტოკეფალური უფლებები, რომელიც ძველთაგანვე ჰქონდა მინიჭებული. რადგან კვიპროსის ეკლესია ძველთაგანვე ავტოკეფალურად იყო აღიარებული, III მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაიცვა კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალია.<sup>71</sup>

მცხეთის უძველესი საპატრიარქოსა და უძველესი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) კანონიერად გაუქმებისათვის აუცილებელი იყო შემდეგი:

**პირველი.** კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს უნდა მოეწვია საეკლესიო კრება, რომელსაც უნდა მიეღო განჩინება ავტოკეფალური უფლებების დათმობისა და ავტოკეფალიის გაუქმების თაობაზე. ასეთი საეკლესიო კრება მოწვეული არ ყოფილა.

**მეორე.** გაუქმებული მცხეთის საპატრიარქოს რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში შესვლაზე თანხმობა უნდა მიეცა რუსეთის საეკლესიო კრებას. რუსეთში საეკლესიო კრებას აღარ იწვევდნენ, ხოლო უწმიდესი სინოდი საეკლესიო კრებას ვერ შეცვლიდა.

**მესამე.** მცხეთის უძველესი საპატრიარქოსა და უძველესი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის აუცილებელი იყო

<sup>69</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Том IV. Тифлис, 1870, стр. 166-169.

<sup>70</sup> **მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე.** საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბილისი, 2009, გვ. 1094-1095.

<sup>71</sup> **მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე.** საქართველოს საეკლესიო კრებები. წიგნი I. თბილისი, 2003, გვ. 204-205.

კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქისა და მსოფლიო მართლმადიდებელი პატრიარქების (იერუსალიმის, ანტიოქიის, ალექსანდრიის) თანხმობა. ასეთი თანხმობა რუსეთს არც უთხოვია და, ცხადია, არც მიუღია.

## **Vakhtang Guruli**

### **Abolition of Mtskheta Patriarchy**

**(1809-1811)**

#### **Summary**

After abolition of the Kingdom of Kartli-Kakheti and establishment of military-occupation regime (1801-1802) the authorities of Russia set a goal the abolition of Mtskheta Patriarchy. First persons of military-occupation government of Russia in Kartli-Kakheti, chief executive of Georgia, general Pavle Tsitsianov (1802-1806) and general Ivan Gudovich (1802-1806) took effective measures for abolition of the ancient apostolic church's autocephaly. The matter of Mtskheta Patriarchy abolition was brought to the end by commander in Chief of Georgia Alexander Tormasov (1809-1811). On 21st of June, 1811, on the basis of Alexander Tormasov's conclusions, the Holy Synod of the Russian Orthodox Church submitted a report to the Emperor Alexander I. The Emperor Alexander left the report unchanged and approved it. It was an illegal Act, since neither the Russian Emperor, nor Synod of Russian church had no rights to abolish the ancient apostolic church.

## კალის წმინდა კვირიკეს მონასტრის ისტორია და კვირიკობა სვანეთში

ნაშრომში წარმოდგენილია სვანეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცენტრის – კალის წმინდა კვირიკეს მონასტრის ისტორია, გამოვლენილია ამ სასულიერო კერის ტარდციული სოციალური ასპექტები და აღწერილია კვირიკობის დღესასწაული.

ნაშრომი შესრულებულია ისტორიული ეთნოლოგიის კვლევის თეორიულ ჩარჩოებში და ეყრდნობა როგორც საისტორიო წყაროებს, ასევე საველე-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგებს.

წმინდა კვირიკეს მონასტერი (სვანურად, „ლაგურკა“//„ლაგვირკა“) კალის თემში, ბაღს ზემო სვანეთში (მესტიის რაიონი), მდინარე ენგურის მარცხენა მხარეს, მაღალ მთაზეა აღმართული. ტრადიციულად, ეს მთაც საკრალურად ითვლება და საგულდაგულოდაა დაცული, რადგან ეკლესიის საკუთრებად ითვლება. მთა დაფარულია ხშირი წიწვოვანი ტყით, რომელსაც მიუყვება ერთადერთი გზა – საცალფეხო ბილიკი მონასტრისაკენ. ტყეც საეკლესიოა და მასაც უფრთხილდებიან.

„ლაგურკა“ შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესიაა. იგი აგებულია X-XI საუკუნეებში. ეკლესიის მოხატვის ზუსტი თარიღია ცნობილი წარწერიდან – მოხატულია მეფის მხატვრის თევდორეს მიერ 1111 წელს, კალის ხევის ფეოდალების დაკვეთით.<sup>1</sup> ტაძრის დასავლეთით დგას სამრეკლო, რომელიც ადგილობრივებს XX საუკუნის 60-იან წლებში აუგიათ ძველი დანგრეული კოშკის საძირკველზე.<sup>2</sup> სამრეკლოს გვერდით მდებარეობს ე. წ. ლაღბაში, დამხმარე ნაგებობა, სადაც სამი სარიტუალო კერაა გამართული და დგას განსაკუთრებული ზომის სპილენძის ქვაბები, რომლებშიც ზვარაკს (ხარებს) ხარშავენ.<sup>3</sup> მონასტერი გარშემორტყმულია მაღალი კბილოვანი, ქვითკირის გალავნით. გალავანი რესტავრირებულია. შემონახული ძველი სენაკი და სატრაპეზო.

კალის „ლაგურკა“ ცნობილი სასულიერო ცენტრი იყო. იგი მოქმედებდა, როგორც დედათა მონასტერი XVIII საუკუნის დამლევამდე. მონასტერში მოღვაწეობდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი წარმომადგენლები, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხის და თვით სამეფო დინასტიის წარმომადგენლებიც კი. მაგალითად, იქ მონაზვნად შემდგარა მეფის ასული თეკლა, რომელიც, როგორც ჩანს, იყო „იმერთა მეფის ბაგრატის ასული თინათი, იგი 1704 წელს ეკურთხა მოლოზნად“.<sup>4</sup>

მონასტერი ფლობდა სამონასტრო ქონებას: სახნავ და სათიბ მიწებს, არა მარტო კალას თემში, არამედ ქვემო სვანეთშიც, ჩოლურში.<sup>5</sup> მონასტერსვე ეკუთვნის მის გარშემო მდებარე ტყე.

მონასტერში დღემდე დაცულია მრავალი სიწმიდე, რომელთა შორისაც, სვანეთის მოსახლეობის აზრით, განსაკუთრებული ძალისაა დიდი სიწმინდე – ჯვარცმის გამომსახველი სანაწილე ხატი ე. წ. „შალიანი“. ხატი ბიზანტიურია. ხატი სხვადასხვა საინტერესო ლეგენდა-გადმოცემის სიუჟეტში იხსენიება და მას მნიშვნელოვანი სოციალური ასპექტებიც აქვს, სულიერთან ერთად.

<sup>1</sup> ამირანაშვილი შ. ი. История Грузинской монументальной живописи, Т. I. Тбилиси, 1957, стр. 134.

<sup>2</sup> მ. ჩართოლანი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1972 წლის სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXXI-ბ, თბილისი, 1975, გვ. 165-181.

<sup>3</sup> მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი, 1961, გვ. 6.

<sup>4</sup> მღ. პ. კარბელაშვილი. სვანეთში ორი კვირით.– გაზეთი „ივერია“, 1903, №232, 31 ოქტომბერი.

<sup>5</sup> გ. გასვიანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. თბილისი, 1973.

სამონასტრო ცხოვრების შეწყვეტის დროდ, საისტორიო მახსოვრობით, მეთვრამეტე საუკუნის მიწურული სახელდება. შემონახულია ტრაგიკული შინაარსის გადმოცემა, შემოსეული „თათრების“ მიერ მონასტრის აწიოკებისა და მონაზვნების დახოცვის შესახებ.

სამონასტრო ცხოვრების დასრულების შემდეგ „ლაგურკის“ მოვლა-პატრონობა ადგილობრივმა მოსახლეობამ ითავა. ჩვენ დრომდე მოღწეული პირველი წერილობითი წყარო, რომელშიც მოთხრობილია ამ მონასტრის შესახებ, არის რუსი მოხელის და ნუმიზმატის ბართოლომეის ჩანაწერები. ბართოლომეიმ 1854 წელს იმოგზაურა ბაღსზემო სვანეთში. მისი მასალით, ადგილობრივი მოსახლეობა საგულდაგულოდ იცავდა ტაძარს. იქაურობას დღე და ღამ ყარაულობდნენ შეიარაღებული მცველები, ხოლო ღვთისმსახურებას სასულიერო პირთა შთამომავლები, ე. წ. დეკანოზები ასრულებდნენ.<sup>6</sup> სიტყვა „დეკანოზს“ სვანეთის სულიერი ცხოვრების ამსახველი პაგანიზებული მასალა არ იცნობს, საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა ბართოლომეის აღმოსავლეთ ქართველ მთიელთა ყოფიდან აუღია და მექანიკურად მიუსადაგებია სვანეთის სარიტუალო პრაქტიკასათვის.

1860 წელს კალას თემი მოიარა დიმიტრი ბაქრაძემ,<sup>7</sup> 1875 წელს იქაურობას ეწვია ფრანგი მოგზაური ბერნოილი.<sup>8</sup> მიუხედავად დიდი სურვილისა, მონასტრის დათვალიერება ვერ შეძლეს სტოიანოვმა, თუმცა მან გარკვეული ინფორმაცია მაინც დაგვიტოვა,<sup>9</sup> ივანიუკოვმა და კოვალევსკიმ. ეს ბოლო ორი მკვლევარი კალელებმა მონასტერში არ შეუშვეს, რადგანაც, ადგილობრივი მოსახლეობის დაკვირვებით, უცხოელის მიერ „შალიანისათვის“ თვალის შეგვლებას, შესაძლოა, სოფლისთვის ათასი უბედურება დაეტეხა თავს.<sup>10</sup>

მონასტრის მხარე მუდმივ მზრუნველობას ავლენდა დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე.

1903 წელს მონასტერი მოინახულა მღვდელმა პოლიეექსტოს კარბელაშვილმა და ფრიად საყრადღებო მასალა გამოაქვეყნა „ივერიაში“.<sup>11</sup>

მონასტრის საუნჯის ნაწილი და ეპიგრაფიკული მასალა აღინუსხა გრაფინია პრასკოვია უვაროვას ექსპედიციის შედეგად 1895 წელს.<sup>12</sup>

1910 წელს ტაძრის განძი და ეპიგრაფიკული მასალა დაწვრილებით აღწერა ექვთიმე თაყაიშვილმა.<sup>13</sup> ამ ექსპედიციის შედეგები დღემდე უმნიშვნელოვანესია სვანეთში არსებული ქართული კულტურის კვლევის მხრივ.

უფრო გვიან საყრადღებო კვლევითი სამუშაოები ჩაატარეს პავლე ინგოროყვამ, სვიმონ ყაუხჩიშვილმა და გიორგი ჩუბინაშვილმა.<sup>14</sup>

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1972 წლის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის მიერ „ლაგურკაში“ 120 ხატი და ჯვარი, 196 წარწერა და 56 სხვადასხვა სახის ჭურჭელი აღირიცხა.<sup>15</sup>

სამონასტრო ცხოვრების დაცემის შემდეგ ელესიის მრევლმა, კალის თემმა ითავა მონასტრის მოვლა-პატრონობა. მონასტერს საგულდაგულოდ იცავდა კალის თემი და ეკლესიაში შესვლა უცხო პირისათვის მეტად გაძნელებული იყო, რასაც ყველა მკვლევარ-მოგზაური ადასტურებს. მიუხედავად ამისა, რამდენჯერმე ყოფილა მონასტრის გაძარცვის მცდელობა და ერთიც ძარცვის ფაქტი. ეს კიდევ უფრო ზრდიდა მონასტრის

<sup>6</sup> Бартоломей М. А. Поездка в Вольную Сванетию, ЗКОИРГО, Т. III, Тифлис, 1855, стр. 161-162.

<sup>7</sup> Бакрадзе Д. Сванетия. ЗКОИРГО, Т. VI, Тифлис, 1864.

<sup>8</sup> Беридзе В. Против Искажения истории грузинского искусства. Тбилиси, 1949.

<sup>9</sup> Стоянов А. И. Путешествие по Сванетии. ЗКОИРГО, к. X, вып. 2. Тифлис, 1876, стр. 267.

<sup>10</sup> В Сванетия. Из путешествия И. Иванюкова и М. Ковалевского. ВЕ., №8, 1866.

<sup>11</sup> მღ. პ. კარბელაშვილი. სვანეთში ორი კვირით— გაზეთი „ივერია“, 1903, №232, 31 ოქტომბერი.

<sup>12</sup> Уварова П. С. Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию. МАК, X, Москва, 1904.

<sup>13</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში, 1910 წ., ქელ. ტ. II, თბილისი, 1991.

<sup>14</sup> საქართველოს მუზეუმის 1931-32 წწ. მუშაობის ანგარიში. კრებული „საქართველოს მუზეუმის მოამბე“. ტ. VII. 1931-1932, 344-350.

<sup>15</sup> მ. ჩართოლანი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1972 წლის სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXXI-Б, თბილისი, 1975, გვ. 165-181.

საგულდაგულოდ დაცვის აუცილებლობას. ამ მხრივ მძიმე ისტორია არის აღწერილი აკაკი წერეთლის ჩანაწერებში.

საეკლესიო სოფელი განაგებდა მონასტრის მოძრავ და უძრავ ქონებას. სოფელი შეაკეთებდა ნაგებობას, ანაწილებდა საეკლესიო მიწას თემის წევრთა შორის, გამოყოფდა ტაძრის მცველებს („მოკილ“-ები), მეთვალყურეობდა საეკლესიო ტყეს და ა. შ. ეთნოგრაფიული მასალით, მონასტრის მიწა სულ 15 დღიური იყო. მას („საბგიარ დაბარ“ – საბეგრო დაბები//ყანები) ჰქვია) კალას მცხოვრებნი ამუშავებდნენ, სანაცვლოდ კი დღეობაზე (28 ივლისს) არაყი მიჰქონდათ.<sup>16</sup>

რა შეეხება საეკლესიო ტყეს, მისი სისშირე და ხელშეუხებლობა ყველა მეცნიერისა თუ მოგზაურის გაოცებას იწვევდა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ხე-ტყის ძლიერ ნაკლებობას უჩიოდა. კალელებმა ბართლომეს განუმარტეს – ეს ტყე საეკლესიოა და აქედან ხის მოჭრა ღვთის სასტიკ წყრომას გამოიწვევსო.<sup>17</sup> საეკლესიო ტყით სარგებლობა მხოლოდ მონასტრის საჭიროებისათვის შეიძლებოდა, მაგალითად, დღეობებზე, როცა ხე-ტყე შეშად სჭირდებოდათ, ან როცა ხის მასალა ტაძრის შეკეთებას ხმარდებოდა. მღვდელ პოლიექსტოს კარბელაშვილის დაკვირვებით, „ტყე დაცულია, ხელს ვერავინ ახლებს, ხმელს ნაყარს შეშასაც კი ვერავინ წაიღებს შინ: მართალია ქარიშხლისა და დიდი თოვლისაგან დიდძალი ხეებია მოგლეჯილი და ისე ღპება, მაგრამ სვანები მაინც უფროთხილდებიან, ხატისააო... ტყის სიძვირისა გამო თუ რომელსამე სვანს მოგლეჯილი ხე ან სხვა რამ დასჭირდებოდა, სოფლის ყრილობის დაფასებისამებრ, უნდა იყიდოს საყდრის სასარგებლოთ“.<sup>18</sup>

კალის მოსახლეობა დღემდე ინარჩუნებს ამ ტრადიციას და „ლაგურკას“ მთის ფერდობი ამჟამადაც ხშირი წიწვოვანი ტყითაა დაფარული.

წმიდა კვირიკეს მონასტრის სოციალური ფუნქცია, როგორც ჩანს, იზრდება სეტის წმიდა გიორგის მონასტრის დასუსტების შემდეგ. სვანეთში შემონახული დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ სვანეთის სულიერ და სოციალურ ცენტრს სეტის მთავარმოწამე წარმოადგენდა, რომლის „თავსდებობითა და შუგამდგომლობით“ არის შედგენილი უმნიშვნელოვანესი „დაწერილები“, „განჩინებები“, „სიგელები“...<sup>19</sup> ამ მონასტერთან მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს სეტის ქორეპისკოპოსის სახელო და „სეტის“ სოციალური როლი, რომელთა დასუსტების შემდეგ, სავარაუდოდ, გვიანი შუასაუკუნეების მიწურულიდან, ბალსხემო სვანეთის მთავარ სულიერ და სოციალურ ცენტრად კალის წმიდა კვირიკეს მონასტერი ყალიბდება. ფაქტია, რომ მეცხრამეტე საუკუნისათვის კალის წმიდა კვირიკეს მონასტერს დიდი გავლენა ჰქონდა მთელ სვანეთზე, მათ შორის, ბალს ქვემო სვანეთზეც. საინტერესო ინფორმაციაა მოცემული გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე: 1901 წელს ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ინსპექტორს მამინეიშვილს, რომლის აქტიური მოღვაწეობის შედეგად სვანეთში შვიდი სკოლა იყო გახსნილი, სვანეთის სკოლების საპატიო მზუნველის თავად თათარყან დადუშქელიანის სახლში მოუწვევია საერთო კრება. ამ კრებას მიუღია გადაწვეტილება: „**სვანეთში წმ. კვირიკეს და ივლიტეს სახელობაზე დაარსდეს „ამობა“, რომლის აზრით უნდა იყოს სკოლების დარიბი შეგირდების დახმარება**“ და სკოლების მატერიალური უზრუნველყოფა.<sup>20</sup> ცხადია, ამ უდიდესი სალოცავის სახელის დაკავშირება სასწავლო დაწესებულებასთან გაზრდიდა მოწაფეთა რიცხვსაც და ქველმოქმედ პირთა რაოდენობასაც.

კალის წმიდა კვირიკეს მონასტრის სოციალური სტატუსის ზრდის გამომწვევ მიზეზებს, ბუნებრივია, შემდგომი კვლევა სჭირდება.

<sup>16</sup> გ. ჯალაბაძე. მემინდვრობის კულტურა დასავლეთ საქართველოში. თბილისი, 1990, გვ. 12.

<sup>17</sup> Бартоломей М. А. Поездка в Вольную Сванетию, ЗКОИРГО, Т. III, Тифлис, 1855, стр. 162.

<sup>18</sup> მღ. პ. კარბელაშვილი. სვანეთში ორი კვირით – გაზეთი „ივერია“, 1903, №232, 31 ოქტომბერი.

<sup>19</sup> პავლე ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვეთი მეორე. თბილისი, 1941.

<sup>20</sup> ანტონიძე. ზემო სვანეთი – გაზეთი „ივერია“, 1901, №215, 5 ოქტომბერი.

ეთნოგრაფიული მასალით, კალის წმიდა კვირიკეს მონასტერს გამორჩეულ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იქ დაბრძანებული ერთ-ერთი სიწმიდე – „შალიანი“. „შალიანი“ მოუპოვა „ლაგურკის“ მონასტერს უპირველესი ადგილი სვანეთის სხვა ეკლესიათა შორის. მან აქცია კალის მონასტერი სვანეთის სულიერი და სოციალური ცხოვრების ცენტრად. ექვთიმე თაყაიშვილის მართებული დაკვირვებით, „კალის ეკლესია სვანებისათვის ის არის, რაც მთელი საბერძნეთისათვის დელფოს ტაძარი იყო. ეს აერთიანებს სვანებს თემებად დაყოფილს ისე, როგორც დელფოს ტაძარი აერთიანებდა სხვადასხვა ბერძენთა რესპუბლიკებს“.<sup>21</sup> ვერა ბარდაველიძის აზრითაც, განსხვავებით ლოკალური მნიშვნელობის სალოცავებისაგან, კალის „შალიანი“, დროშა „ლეში“ და სეტის წმ. გიორგის ხატი მთელი სვანეთის სალოცავი და გამაერთიანებელი იყო.<sup>22</sup>

„შალიანი“, როგორც ითქვა, ბიზანტიური ქმნილებაა, სანაწილე ხატია. „იგი განკუთვნილი ყოფილა შესანახავად ძელი ჭეშმარიტისა, ესე იგი ნაწილის იმ ჯვრისა, რომელზედაც ქრისტე იყო ჯვარცმული“.<sup>23</sup> მღვდელ პოლიევქსტოს კარბელაშვილის მოგზაურობის დროს, ძელი ჭეშმარიტის ნაწილი უკვე არ ჩანს: „მონასტრის ორმა მცველმა მოწიწებით ამოიღო დიდი სკივრიდან ძველი ყალბქარის მშვენიერ ბოხჩაში მძიმედ გახვეული ხატი და ტრაპეზზე დაასვენეს. „აი, ამის ყარაულები ვართ, ბატონებო“. გვიტხრეს თავახიანად სვანებმა. მე ეჭვი არ მაქვს, რომ შუაგულს ჯვარის ბუდეში ოდესმე ძველი ჭეშმარიტი სვენებულა და კუთხის უჯრებში, პატარა კოლოფებში, წმიდათა ნაწილები“.<sup>24</sup>

პრასკოვია უვაროვა ხატს IX-XI საუკუნეებით ათარიღებს და ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევს,<sup>25</sup> რ. ყენია და ნ. ალადაშვილი „შალიანს“ სვანეთში შემონახული უცხოური ხელოვნების ძეგლებს შორის საუკეთესო ნიმუშად წარმოგვიდგენენ, განსაკუთრებით გამოყოფენ რა ხატის შემკულობას, საუცხოო ჭედურობას და ძვირფას ქვებს.<sup>26</sup>

კალის წმიდა კვირიკეს მონასტერის აგებასა და მასში დავანებულ „შალიანის“ ხატთან საინტერესო ლეგენდა-გადმოცემებია დაკავშირებული, რომელთაგანაც სამეცნიერო თუ პროჟულარულ ლიტერატურაში უმთავრესად გაზიარებულია დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძისეული ვარიანტი. მსგავს ლეგენდას, ოდნავ განსხვავებული შინაარსით, მოგვითხრობენ ექვთიმე თაყაიშვილი და ევნატე გაბლიანი. საყურადღებოა ბალსქვემოური ლეგენდაც, მისი განსხვავებული შინაარსი შემოგვინახა ალექსეი სტოიანოვმა. მიუხედავად თანმიმდევრობით:

დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის ცნობით, „შალიანი ყოფილა მცხოვრები ივარის საზოგადოებაში, სოფ. „ზეგანს“. ერთ დღეს შალიანის შვილს სამწყემსურში ძროხისათვის მინდორში ნაპოვნი ქვა უსვრია, ქვას ტყვიასავით გაუხვრეტია ძროხა. შალიანის მოუნახავს ეს ქვა და მჭედლისთვის ცელი გაუჭედვინებია. რომლისთვისაც ეს ქვა ჩაუტანებია, ფოლადის ნაცვლად. „იმ ჟამად იმერეთში მეფეები ყოფილან. სვანეთი ვალდებული იყო თურმე, ყოველ წელიწადს დაეთიბა გეგუთის მინდორი, ქუთაისის ახლოს. იქ შალიანიც წასულა და ეს ცელი წაუღია, ქუთაისში შალიანი მეფესთან გამოცხადებულა: „მეფეე! თუ გეგუთის მინდორი, რომელიც სვანეთმა ერთ დღეს უნდა გათიბოს – მარტო მე მოვითბო ერთ დღეს, რაც გთხოვო ის მანუქქო“. „კარგიო!“ - უთქვამს მეფეს. შალიანს ეს ცელი ლაფშა ცხენისათვის კუდზე მოუბამს, გეგუთის მინდორი მოურონიებია, ცელი თავისით სთიბავდა თურმე და სადამომდი გეგუთის მინდორი სრულიად გათიბა... მეფისათვის შალიანს ეს

<sup>21</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში, 1910 წ., ქელ. ტ. II. თბილისი, 1991, გვ. 179.

<sup>22</sup> ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. დროშა „ლეში“, მგელი-ძალი, მსგ. XII-XIII. თბილისი, 1963, გვ. 144.

<sup>23</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში, 1910 წ., ქელ. ტ. II. თბილისი, 1991, გვ. 186.

<sup>24</sup> მღ. პ. კარბელაშვილი. სვანეთში ორი კვირით.– გაზეთი „ივერია“, 1903, №232, 31 ოქტომბერი.

<sup>25</sup> Уварова П. С. Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию. МАК, X, Москва, 1904, стр. 94-100.

<sup>26</sup> რ. ყენია, ნ. ალადაშვილი. საქართველოს მეგზური. II. ზემო სვანეთი. თბილისი, 2000, გვ. 49.

ჯვარცმის ხატი უთხოვია და სხვანეთში წამოუღია... როცა კალის საზოგადოებაში მოსულა იქ სცოდნიათ, რომ შალიანს სასწაულმოქმედი ხატი მოაქვსო. აქ ერთი ქალი თავისი ქმრის ჩაგონებით, შეუჩნდება შალიანს და თავისთან დააწვეს; როდესაც ამას ქმარი და საზოგადოება გაიგებს, შალიანის ამ ხატს დაატოვებინებენ... და დაასვენებინებენ იქ, სადაც დღეს არის. სვანეთს შალიანისათვის ის უპირატესობა მიუნიჭებია, რომ მის შთამომავლობას, რომელნიც დღეს მულახში ცხოვრობენ და შარვაშიძეებად ითვლებიან, არა ხდებათ ერთი ძროხა, რომელიც ყოველმა სვანმა, ვისაც წმ. კვირიკეზედ ფიცი უნდა, უნდა მიუყვანოს ჯერ ეკლესიას და მერე ფიცის ნება აქვს“.<sup>27</sup>

ლეგენდის ამ ვარიანტით „შალიანის“ ხატის სვანეთში მობრძანებისას, წმ. კვირიკეს მონასტერი უკვე აშენებული ყოფილა, ექვთიმე თაყაიშვილის მასალით, კი ხატის გადმოსვენებას მოყოლია ეკლესიის აგება: სვანების გადმოცემით, შალიანი სვანი იყო, ერთხელ იმერეთის მეფემ ასი სვანი გამოიწვია და მათ შეუკვეთა გეგუთის ველის მოთიბვა... შალიანმა დათქმულ დროზე მარტომ შეასრულა საქმე. გასამრჯელოდ მოითხოვა ეს კალას ხატი. მეფემ პირობა აუსრულა... შალიანი სვანეთში გამოემგზავრა. კალის თემის მცხოვრებლებმა მოკლეს შალიანი და ხატი ჩაიგდეს ხელში. მაგრამ არ იცოდნენ სად წაეღოთ, ამიტომ შეაბეს უღელში ორი კურო; უღელზე ბოძი მიაკრეს, ბოძზე ხატი დაამაგრეს და ისე გაუშვეს თავის ნებაზე... ხარებმა გადალახეს ენგური, შეუდგნენ აღმართს და გაჩერდნენ იმ მთის წვერზე, სადაც ეხლა წმ. კვირიკეს ეკლესია არის. აქ ააშენეს მონასტერი სვანებმა და მას შემდეგ აქ ინახება შალიანის ხეტი“.<sup>28</sup>

ეგნატე გაბლიანის ცნობით, შალიანს „შარშხლანი“ რქმევია და დღევანდელ შერვაშიძეთა წინაპარი ყოფილა, ხოლო ის კალელი, ვინც შარშხლანს ხატი დაატოვებინა, – იოსელიანი. იოსელიანს „შემდეგში ეს ხატი წაართვეს დადემქელიანებმა, მაგრამ მათ მალე ის მოჰპარეს... გომთელიანმა და ბერიანმა, იოსელიანს დაუბრუნეს და მის შემდეგ კალის წმ. კვირიკეს მონასტერში მოათავსეს და შეიარაღებული ყარაული დაუყენეს. როცა სვანები ამ ხატით ფიცულობენ, 25 მანეთი ხდებათ, ხოლო ამას არ იხდიან შერვაშიძეები. იოსელიანებიც იმიტომ, რომ ეს ხატი მათ შეიძინეს და დააბრუნეს დადემქელიანებისაგან“.<sup>29</sup>

ასეთია ფართოდ გავრცელებული ლეგენდების ბალსხემო სვანეთში. მათში იკვეთება შემდეგი საინტერესო მომენტები: ა) **საზგასმულია ხატის მომდინარეობა საქართველოს ძველი სატახტო ქალაქიდან – ქუთაისიდან.** ბ) **ხატის სვანეთში მომტანის სახელია შალიანი და იგი დაკავშირებულია შერვაშიძეთა საგვარეულოსთან;** გ) **კალელების დანაშაულებრივი ქმედება – ძალისმიერი გზით ხატის მოპოვება, გამართლებულია შემდეგით – უდიდესი სიწმინდე, სანაწილე ხატი, რჩება კალის თემში;** დ) **საყურადღებო მითოლოგიური ხასიათის პასაჟი - წმ. ადგილს ნებაზე მიშვებული ხარები აგნებენ;** ე) **ფიქსირდება „შალიანის“ ხატის რაღაც პერიოდში ბალსქვემთ, დადემქელიანებთან დაგანება.**

ეს უკანასკნელი მომენტი გავრცობილია და ფართოდ არის შემონახული ბალსქვემო სვანეთში (ბეჩო, ცხუმარი, ეცერი, ჩუბეხევი, ლახამულა), სადაც თვლიან, რომ „შალიანის“ ხატი ბალსქვემთ იყო დაბრძანებული და აქედან გაიტაცეს კალელებმა. პირველი ავტორი, ვინც ამ გადმოცემას წერილობით ადასტურებს, ალექსი სტოიანოვია. იგი XIX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში მოგზაურობდა სვანეთში, მან ორი თვე დაჰყო ეცერში, თენგიზ დადემქელიანის რეზიდენციაში, საიდანაც აწყობდა ექსკურსიებს სვანეთის სხვა სოფლებში და იწერდა ფოლკლორულ მასალას. ა. სტოიანოვის ცნობით, საბატონო სვანეთის მცხოვრებნი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ძვირფასი ხატი (შარლანი) ადრე მათი საკუთრება იყო და ინახებოდა ფხუტრერში. ლეგენდის თანახმად, ყოველ გაზაფხულზე, ფხუტრერის ეკლესიასთან მოდიოდა ფურირემი და ტოვებდა თავის ახალშობილს. მერე ეს

<sup>27</sup> ბ. ნიჟარაძე. სვანეთიდან – გაზეთი „დროება“, 1880 (1-8), 11 იანვარი.

<sup>28</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910 წ., ქელ. ტ. II. თბილისი, 1991, გვ. 180.

<sup>29</sup> ე. გაბლიანი. ძველი და ახალი სვანეთი. ტფილისი, 1925, გვ. 116.



ხატი მოიპარეს კალელებმა და შეინახეს სკივრში, თან ჯაჭვებით დააბეს. თავიდან ხატი ჰქონდა ვიღაც კალელს, მერე კი ეკლესიაში გადაუტანიათ. იქ მას სამი მცველი დარაჯობს, თორემ ხატი აუცილებლად ისევ ფხუტრერს დაუბრუნდება“. სტოიანოვი სხვაგანაც ეხება ამ საკითხს, აღწერს რა ფხუტრერის ეკლესიის ჯვარ-ხატებს, განსაკუთრებით აღნიშნავს, ერთ მათგანს: „ინტერესი აღმიძრა ტყავის ჩანთაში მოთავსებულმა ხატმა, რომელიც ხალხში უჩვეულო პატივისცემით სარგებლობს, მას ეძახიან „მოჭკვილ“-ს, ის ღვიძლი და თანასწორი ძმაა ცნობილი „შარლანის“ ხატისა, რომელიც ოდესღაც მოპარულ იქნა ფხოტრერიდან ლაგვირკაში“.<sup>30</sup>

„მოჭკვილ“ ხატს (ხატის ხალხური სახელი „მოჭკვილ“ „მოჭიქულს“, მინებიანს ნიშნავს) ისენიებენ გრაფინია პრასკოვია უვაროვაც (ხატს პ. უვაროვა XI საუკუნით ათარიღებს) და ექვთიმე თაყაიშვილიც (იგი ხატს XI-XII საუკუნით ათარიღებს).<sup>31</sup>

კიტი მაჩაბელის აზრით, ამ ხატის რამდენიმე ფრაგმენტი შემონახულია: „ხატის ზომებია 32X26. ხატის ზედაპირი დაყოფილი იყო მარმარილოს ფირფიტებით, რომელთა შორის, უჯრედებში ეტრატზე დაწერილი მინიატურები იყო მოთავსებული. მინიატურებს ზემოდან მინის ფირფიტები ჰქონდა დაფარებული“.<sup>32</sup>

„მოჭკვილი“ ხატი ბალსქვემო სვანეთის ერთ-ერთი უმთავრესი სიწმინდე იყო. ცნობილია, რომ სვანეთის ტრადიციულ ყოფაში შემონახულია „ისეთი საყდრები და ხატები, რომელთა მოხსენიება თვით ყველაზე მოკლე ლოცვის დროსაც კი აუცილებელია „მოჭკვილი“ ხატი ასეთ შემთხვევაშიც უთუოდ მოიხსენიება. „მოჭკვილი“ ხატი სანაწილე ყოფილა და გარკვეული ელემენტებით „შალიანის“ მსგავსი.<sup>33</sup>

კიტი მაჩაბელი მრავალფეროვანი შედარებითი მასალის ანალიზის საფუძველზე „მოჭკვილ“ ხატს მიაკუთვნებს ჩრდილო იტალიასა და გერმანიაში გავრცელებულ ე. წ. „დეკორატიული“ ან ორნამენტული მინიატურების შემცველი ხელოვნების ძეგლების რიგს. ასეთივე ხასიათის უნიკალურ ძეგლებად მიიჩნევენ მკვლევარი ლატალის იანაშის ჯვარს და უშგულის მურყმერის წმ. ბარბარეს ეკლესიის კანდელზე მდგარ ჯვარს.<sup>34</sup> საგულისხმოა ისიც, რომ მურყმერის ჯვარი, გადმოცემის თანახმად, ასევე ბალსქვემო სვანეთიდან, კერძოდ, დოლის წმ. ბარბარეს ეკლესიიდან არის წადებული,<sup>35</sup> რაც გვაფიქრებინებს ყველა ამ ჯვარ-ხატის ერთიან წარმომავლობას, რომელიმე ბიზანტიური ან იტალიური ცნობილი სკოლიდან და თავდაპირველ დავანებას სვანეთის, სავარაუდოდ, რომელიმე ერთ ეკლესიაში.

„შალიანის“ ხატზე მოგვითხრობს სხვა ვრცელი ლეგენდაც, „კასლეთიანის“ სახელწოდებით: სვანეთის ლაშქარი – „სვიმრა“ – სტუმრებია ეცერში, ტასლერში მცხოვრებ კასლეთიანს, რომელიც ორი ღამე კი გამასპინძლებია სტუმრებს, მაგრამ მესამე ღამისათვის სრულიად გადატაკებულა. ოჯახდაქცეულ კასლეთიანს გულში ბოღმა ჩაუდვია და ეცერზე შურისძიება გადაუწყვეტია. იმ დროისათვის ეცერზე ღვთის მაღლი ყოფილა გადმოსული. ყოველ გაზაფხულზე, ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს ფხოტრერის ეკლესიასთან მოდიოდა ფურირემი. კასლეთიანი დასდარაჯებია ფურირემს და მოუკლავს. მისი სისხლი საბიაშის წმ. ადგილისათვის მიუსხამს. შემდეგ ეცერელთა საყვარელი სასმელი წყლისათვის (სგიმ) დოლაბი დაუფარებია და გაუჭრია. ბოლოს, ღამით ფხოტრერის ეკლესიიდან უძვირფასესი ხატი გაუტაცნია. ცხადია, კასლეთიანს ეცერში აღარ დაედგომებოდა და ზემო ხევისკენ გაუწევა. იქ კალაში ერთ ოჯახს შეჭვარებია. კალელებს კასლეთიანისათვის ხატი წაურთმევიათ და თავიანთი ეკლესიისათვის შეუწირავთ. რადგანაც ეცერელთა მხრიდან

<sup>30</sup> Стоянов А. И. Путешествие по Сванетии. ЗКОИРГО, к. X, вып. 2. Тифлис, 1876, стр. 326.

<sup>31</sup> Уварова П. С. Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию. МАК, X, Москва, 1904, стр. 181; ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში, 1910 წ., ქელ. ტ. II. თბილისი, 1991, გვ. 416.

<sup>32</sup> კ. მაჩაბელი. სვანეთის საგანძურებიდან. თბილისი, 1982, გვ. 106.

<sup>33</sup> ა. დავითიანი. ბუნების კულტი ლახაშულას თემში 35. არქივი დაცულია ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.

<sup>34</sup> კ. მაჩაბელი. სვანეთის საგანძურებიდან. თბილისი, 1982, გვ. 97-109.

<sup>35</sup> რ. გუჯეჯიანი. ერთი სვანური ხალხური დღეობის შესახებ.– კრებული „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“. V. თბილისი, 2002, გვ. 238-257.

ხატის დაბრუნების მცდელობა გარდაუვალი იქნებოდა, ამიტომ ეკლესიისთვის შეიარაღებული მცველებიც დაუყენებიათ. ეს ხატია „შალიანი“-ო მოგვითხრობს 102 წლის ნ. პაკელიანი.<sup>36</sup>

თითქმის იდენტური შინაარსისაა ალი დავითიანის არქივში დაცული მასალა. განსაკუთრებით საყურადღებოა მეცნიერის ჩანაწერი, რომ ბალსქვემოთ „შალიანის“ ხატს ამკობენ ეპითეტით – „ხოშა ცხოველ ხატ“, რაც „დიდ ცხოველ ხატს“ გულისხმობს.<sup>37</sup>

„შალიანის“ ხატზე მოგვითხრობს ქვემო სვანური ლეგენდაც „ზემო ლაშხეთის ერთ-ერთ ძლიერ საკულტო ცენტრს წარმოადგენდა ლაგურკას ეკლესია მახაშის მახლობლად... თქმულების მიხედვით, კალას ლაგურკის ხატი ამ ეკლესიიდან მოუპარავთ და ძეწკვებით დაბმული ჰყოლიათ“.<sup>38</sup>

როგორც ვხედავთ, სვანეთის სამივე კუთხეში (ბალსქვემო, ბალსზემო და ქვემო სვანეთში) არსებობს გადმოცემები „შალიანის“ ხატზე. ყოველი მათგანი იჩემებს ამ ხატის მისეულობას.

ვფიქრობ, საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის ერთი ცნობა: „ლენხუმის სამხრეთით და ოდიშის აღმოსავლეთით არის ეცერი. აქა არს ეკლესია სუეტად წოდებული, სახიზარი სუეტის ცხოველის სამკაულსაუნჯისა, რომელსა შინა იტყვან სუეტის ცხოველის კანკლისა ყოფასა დღესაცა, რომელ მოიღო გორგასალ ინდოეთიდან, წითელისა იაგუნდისა ქმნილი, არამედ საჩინოდ არიან აწცა ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვერცხლისანი და მოოჭვილნი ქვითა, მრავალნი და პატიოსანნი, დიდნი და მცირენი, რომელთა ზედა აქუსთ სასოება და პატივს სცემენ, არამედ უმჯობესი ხატი უბიათ, ძეწკვთა ოქროისთა და იტყვან: უკუეთუ აუშვათ, დაღეწავს ყოველსავე აქა მყოფსა ხატჯუართა... თუ შევიდეს მუნ სასიკუდინოთა ანუ ტყუე, ვერარა ისაცა უყოფენ, გარნა განუტყევებენ თავისუფლად“.<sup>39</sup> შეიძლება თუ არა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, მართლაც, დაუკავშიროთ ეცერის რომელიმე ეკლესიას? ეგნატე გაბლიანი ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ვახუშტი ბატონიშვილის აღწერილობაში გეოგრაფიული უზუსტობა შეიმჩნევა, ვინაიდან ეცერი ნახსენებია ლენხუმის სამხრეთით და არა ჩრდილო აღმოსავლეთით.<sup>40</sup> ამასთანავე, სეტის ეკლესია სეტში (მესტიის ნაწილი) მდებარეობდა, სეტის მთავრამოწამე წარმოადგენდა სვანეთის სასულიერო ცენტრს, იგი ითავსებდა გარკვეულ საერო უფლებამოსილებასაც. ვინაიდან ცნობილია, რომ ისტორიული წყაროებში, მათ შორის, „ქართლის ცხოვრებაშიც“, ეცერი იხსენიება და იგი შუა საუკუნეების სვანეთის უმნიშვნელოვანეს პუნქტად სახელდება, ბუნებრივია, რომ ეცერის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა ვახუშტი ბატონიშვილსაც. ის თვითონაც მოგვითხრობს ერთ ფაქტს, სადაც მოქმდება სწორედ ეცერში ხდება: „ეცერსა ზედა“ მიდის მეფე ბაგრატე ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული სვანების დასასჯელად (1361 წ.), მეფე ეცერშივე გადააყენებს ვარდანიძეს და ერისთავად გელოვანს დასვამს.<sup>41</sup> ცნობილია სხვა წყაროც – „წიგნი სასისხლო საქმისა ბალს ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის“, რომელსაც პ. ინგოროყვა 1503 წლით ათარიღებს. მასში ხაზგასმით აღნიშნულია ეცერის მნიშვნელობა: „ვიყუნით ეცერს აქეთ რაც სუანეთი არის თორმეტს წელიწადს, ასე შეწყუდეულნი... და მერმე შევიყარენით სრულიად სუანთ ჩენილები და ვქენით ვაზირობა, მივედით ეცერს, რუხაგიანს და დადიშქელიანსა შევესუეწუნით და დადიანთან გავგზავნეთ... ამისი აჯა ვსთხოვეთ, რომ მეფეთ-მეფეს პატრონს აღექსანდრესთან აჯა ეთხოვნა“.<sup>42</sup> ე. ი.

<sup>36</sup> სვანური პროზაული ტექსტები. ტ. I. თბილისი, 1957.

<sup>37</sup> ა. დავითიანი. სვანეთის საისტორიო ამბები, №94. არქივი დაცულია ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.

<sup>38</sup> ნ. აბაკელია. ქ. ალავერდაშვილ, ნ. დამბაშიძე. ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბილისი, 1991, გვ. 121.

<sup>39</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. IV. თბილისი, 1973, გვ. 787-788.

<sup>40</sup> ე. გაბლიანი. ძველი და ახალი სვანეთი. ტფილისი, 1925, გვ. 28.

<sup>41</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. IV. თბილისი, 1973, გვ. 261.

<sup>42</sup> პავლე ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვეთი II. თბილისი, 1941.

ისტორიული წყაროები და ასევე გადმოცემები გვიდასტურებენ, რომ **ეცერი წარმოადგენდა ჯერ ვარდანძეთა, ხოლო შემდგომ გელოვანთა ერთ-ერთ რეზიდენციას.** იქვე „ისხდნენ“ ბალსქვემო სვანეთის „ვარგ“-ები (ვარგ-ი სვანეთში იხმარება თავადის მნიშვნელობით,<sup>43</sup> **რუჩაგიანები და ბალსქვემო სვანეთის მთავრები დადეშქელიანები.** ადგილი შესაძლებელია, რომ ერთ-ერთ ბალსქვემო მთავარს ხელში ჩაეგდო სვანეთის უმთავრესი სიწმინდე - „შალიანის“ ხატი და გარკვეული დროის მანძილზე, თავის სამფლობელოში, თავისივე რეზიდენციის მახლობლად, ფსოტრერის ეკლესიაში დაესვენებინა. საიდანაც, როგორც ზემოთ ითქვა, გადმოცემის თანახმად, ხატი კასლეთიანმა გაიტაცა.

„შალიანთან“ დაკავშირებულ გადმოცემებში ყურადღებას იქცევს რამდენიმე მითოლოგიური ხასიათის პასაჟი, მაგალითად, „კასლეთიანში“ აღწერილია, რომ მანამ, სანამ „შალიანი“ დაგანებულ იყო ფსოტრერის ეკლესიაში, იქაურობას და საერთოდ მთელ სოფელს ღვთიური მადლი ეფინა. ეს მადლი იმითაც გამოიხატებოდა, რომ ყოველ გაზაფხულზე ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათ დღეს ეკლესიასთან ნებაყოფილობით მოდიოდა ფურირემი და იქ თავის ახალშობილს ტოვებდა. ასევე საგულისხმოა, „შალიანის“ დასაბრძანებელი ადგილის ძიების სიუჟეტი: „წმინდა ადგილს ნებაზე მიშვებული ხარები აგნებენ. განიხილავს რა ნებით მსხვერპლს ქართულ მითოსსა და რიტუალებში, ი. სურგულაძე, დაასკვნის: „წარმოდგენები სალოცავში თავისი ნებით მისული სამსხვერპლო ცხოველების შესახებ მთელს კავკასიაშია გავრცელებული. ამათ რიგს განეკუთვნება სიუჟეტები – ტაძართან ადგილის შერჩევის შესახებ, როცა ტაძრის ასაგებ ადგილს მიანიშნებს ნებით მიმავალი ხარი, ან ურემში გაბნეული წყვილი, ყველა ამ შემთხვევაში ჯერ ნადირი, ხოლო შემდგომ მისი ექვივალენტი, პირუტყვი, წმ. ადგილზე, ანუ საკრალურ კვანძში მიჰყავს ღვთაების ძალას. ასეთი ნაბით მოსული ცხოველები იმ ადგილას იწირებიან და როგორც ჩანს, საფუძველს უყრიან დროში რიტმულად განმეორებად რიტუალს.“<sup>44</sup>

ცნობილია, რომ წერილობით წყაროთა სიმცირის დროს ხშირად ეთნოგრაფიული მასალა ხდება გადამწყვეტი ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის რეალური სურათის აღდგენისათვის.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება **შალიანის ხატის აფხაზ მეფეებთან – შალიანებთან კავშირის შესახებ.** „შალიანისა“ და აფხაზეთის მეფეთა – შავლიანთა შორის პარალელის არსებობა ქართველ მეცნიერთაგან გაზიარებულია. ამ მოსაზრებას ემხრობიან გერონტი გასვიანი, თეიმურაზ მიბჩუანი და სხვ. გერონტი გასვიანი მიიჩნევს, რომ „IX საუკუნის II ნახევრის აფხაზეთის მეფეები სვანთა წარმომადგენლები, შავლიანები იყვნენ“<sup>45</sup> თეიმურაზ მიბჩუანიც „შალიანის“ გვარს აკავშირებს IX ს-ის 60-იან წლებში აფხაზეთის სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალების ინიციატორთან იოანე შავლიანთან, რომელიც მკვლევარს „აფხაზეთის სამეფოს უკვე არსებული დინასტიის წარმომადგენლად მიაჩნია. „იოვანე შავლიანი მეფის ტახტზე შეცვალა მისმა შვილმა ადარნასემ. შავლიანები წარმოშობით სვანები იყვნენ. შავლიანები გვიანობამდე ცხოვრობდნენ ზემო სვანეთის სოფ. ივარში. შავლიანების სახელობის ხატი („შალიანი“), თქმულების თანახმად, ქუთაისიდანაა წამოღებული. „აფხაზეთის“ სატახტო ქალაქიდან, ვინმე შავლიანის მიერ... შავლიანის ხატით სარგებლობის განსაკუთრებული უფლებით სარგებლობდნენ სვანი შარვაშიძეები, რაც ამ უკანასკნელთა შავლიანებთან გენეტიკურ ნათესაობაზე მიგვანიშნებს.“<sup>46</sup>

ასეთია „შალიანის“ ვინაობისა და იდენტიფიკაციის ისტორია.

<sup>43</sup> ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორიის უძველესი ქრონოლოგიიდან, ენობრივი მასალების მიხედვით. შრომები. III. თბილისი, 1959, გვ. 135.

<sup>44</sup> ირ. სურგულაძე. ნებით მსხვერპლი ქართულ მითოსსა და რიტუალში. კრებული „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“. X. 2001, გვ. 241-242.

<sup>45</sup> გ. გასვიანი. ნარკვევის შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. თბილისი, 1991, გვ. 89-90.

<sup>46</sup> თ. მიბჩუანი. შავლიანები - აფხაზეთის მეფეები (IX) – კრებული „აია“. I. 1996, გვ. 7.

ხატს უდიდესი სასოებით ინახავენ ჩვენ დროშიც და ის კვლავაც არის უდიდესი სულიერი და სოციალური ფუნქციის მატარებელი. „შალიანისათვის“ ხელის ხლება წელიწადში მხოლოდ ორჯერ შეიძლება: **აღდგომის კვირის შაბათს და 28 (15) ივლისს კვირიკობის („ლიგურკა“) დღესასწაულზე.** ამ დღეებში ხატის ხელის ხლების უფლება რჩეულ პირებს, ე. წ. მოკილებს ეძლევათ. მოკილებს აღდგომის დამდეგ კვირას ირჩევენ. ამ დღეს „ლაგურკაში“ თავს იყრის მთელი კალას თემი. რჩეული პირები უფლებამოსილნი არიან შემდგომ აღდგომამდე მიხედონ და უპატრონონ მონასტერს. ამჟამად ამ მიზნით 12 კაცს ირჩევენ. აღდგომის კვირის შაბათს და კვირიკობის დღეობაზე შალიანის ხატს წყალში ავლებენ. ამ წყალს სასოებით ინახავენ სპეციალურ ჭურჭელში, სპილენძის სურაში. წყალი წმინდად ითვლება. ხატისაგან განსხვავებით, რომელიც მუდმივად მონასტერში უნდა იყოს დაცული, „წმინდა“ წყლით სავსე სურის ეკლესიიდან და თვით სოფლიდან გატანაც კი შესაძლებელია. განსაკუთრებულ შემთხვევებში მას სოფლიდან სოფელში ჩამოატარებენ და იყენებენ ფიცის დადებისას, ასევე სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედებათა გამოსავლენად და ავადმყოფობისაგან განსაკურნებლად.

როგორც უკვე ითქვა „ლაგურკას“ უდიდესი გავლენა ჰქონდა ზემო სვანეთის სოციალურ ცხოვრებაზე. ყველა მკვლევარი, გადმოცემა თუ მთხრობელი ერთხმად აღნიშნავს, რომ „შალიანის“ ხატზე დაუფიცებლად პოლიტიკური ხასიათის არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიიღებოდა. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას კი, როგორც ვიცით, წინ უძღოდა მთელი სვანეთის გამაერთიანებელი ყრილობის („ლუხორი“) მოწვევა.<sup>47</sup>

მთელი სვანეთის ყრილობას იწვევდნენ იმ ადგილებში, სადაც შეკრების საჭიროება წარმოიქმნებოდა. ტრადიციული ყოფიდან ცნობილია რამდენიმე გეოგრაფიული პუნქტი, სადაც ბოლო ორასი წლის განმავლობაში ყრილობა ჩატარებულა: ლალვერი (ბაღს ქვემო სვანეთი), ივარი (მინდორი „სვიმონ“), უშგული, კალა (1921 და 1924 წლებში). ეგნატე გაბლიანის ცნობით, „ლუხორ“-ი კალას თემის სოფელ ლალხორშიც იკრიბებოდა.<sup>48</sup> საგულისხმოა, რომ ტოპონიმი „ლალახორ“ სვანურად შესაკრებ, საბჭეო ადგილს ნიშნავს.

ყრილობებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს წმიდა კვირიკეს მონასტერში დადებული ფიცით განამტკიცებდნენ. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ყრილობა შემდგარა 1875 წელს, ზემო სვანეთის ცნობილი აჯანყების დაწყების წინ. ახალი გადასახადების შემოღების წინააღმდეგ შეკრული ბაღს ზემო სვანეთის მოსახლეობა დათქმულ დღეს კალაში შეკრებილა. გამართულა ყრილობა. ამ პროცესის მონაწილეს, დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძეს მოჰყავს აჯანყების ერთ-ერთი მონაწილის სიტყვები: **„ყოველს ამგვარს საზოგადო საქმეში ჩვენი წინაპრები ფიცს იღებდნენ წმ. კვირიკეზე. დღესაც ასე უნდა მოვიქცეთ.** წავიდეთ ყველა და მივიღოთ ფიცი ერთობისა, ერთგულებისა და თავდაუზოგველობისა; დავიფიცოთ, რომ ჭირში და ღვინში, რაც ამ საქმეს მოჰყვეს. ყველანი ერთ სიტყვაზე ვიდგეთ და ვინც ჩვენთაგანმა ეს ფიცი გატეხოს, იგი სახეოდ დაისაჯოს“.

ყრილობის მონაწილენი გაემართნენ მონასტრისაკენ. „კალელმა ფანგანმა „შალიანის“ ხატი გამოასვენა. ხალხმა ქუდები მოიხადა და მიაჩერდა ხატს და მის დამკავებელს ფანგანს. ფანგანმა ფიცის სიტყვები გაიმეორა და დაარისხა ამ ფიცის მოღალატე ყრილობამ „ამენ“ დაიგრიალა. შემდეგ ორმა კაცმა ჯოხის თავსა და ბოლოს მოჰკიდეს ხელი; ამ ჯოხ ქვეშ გასვლა იმის ნიშანი იყო, რომ ყუელამ უმეტ-ნაკლებოდ მიიღო ფიცი.<sup>49</sup> სვანეთის დიდი ანტისაბჭოთა აჯანყებები 1921 და 1924 წლებში კვლავ კალის წმიდა კვირიკეს მონასტრეთან დადებული ფიცის საფუძველზე შეიკრა და გაძლიერდა: „ლაგურკაში შეკრებილმა სვანებმა დაიფიცეს საქართველოს ერთგულება, გადაწყვიტეს, დაეწყეთ ბრძოლა ქვეყნის ოკუპაციის წინააღმდეგ.

<sup>47</sup> ბ. ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. ტ. I. თბილისი, 1962, გვ. 85-88.

<sup>48</sup> ე. გაბლიანი. ძველი და ახალი სვანეთი. ტფილისი, 1925, გვ. 60.

<sup>49</sup> ბ. ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. ტ. II. თბილისი, 1964, გვ. 177.

„ლაგურკასა“ და „შალიანის“ ხატს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული ჩვეულებიტი სამართლის სვანურ ნაირსახეობაში. სვანეთის ჩვეულებით სამართალში, მსგავსად საქართველოს სახელმწიფო სამართლისა, ფიცს განსაკუთრებული როლი აკისრია. სვანურმა ჩვეულებითმა სამართალმა სამი სახის ფიცი შემოგვინახა: ერთგულების, თანასწორობისა და თავის განწმენდა-გამართლების.<sup>50</sup> ყოველი სახის ფიცი ამა თუ იმ ეკლესიაში უნდა დადებულყო. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის საქმის განხილვა აუცილებლად „ლაგურკასთან“ სრულდებოდა. ამ მონასტერთან დაფიცება ხდებოდა იშვიათ შემთხვევაში „შალიანის“ ხატით, უმეტესად კი ხატის „ნაბანი“ წყლის მეშვეობით (ფიცის გენეზისთან დაკავშირებით უაღესად საყურადღებოა ბექა-აღბუღას სამართალი). რუსული კანონების გაბატონების შემდეგაც ადგილობრივი მოსახლეობა ეწინააღმდეგებოდ საშინაო საქმეებში რუსული ადმინისტრაციისა და სასამართლოს ჩარევას. სვენებისათვის დანაშაულებრივი ქმედების განხილვა არ ითვლებოდა დამთავრებულად, მხოლოდ ოფიციალური სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებით საქმე ხალხურ სამართალსაც უნდა განეხილა და წინაპართა წესისამებრ გადაეწყვიტა. ტრადიცია გაგრძელდა საბჭოთა პერიოდშიც და ცოცხალია დღესაც. სამედიატორო განაჩენის სისრულეში მოყვანა კი ეკლესიასთან დადებული ფიცით მთავრდებოდა, რადგანაც ფიცი ყველა კანონ-სამართალზე მაღლა იდგა და ღვას დღევანდელ სინამდვილეშიც. **ფიცი საბოლოოდ შეარიგებდა დაპირისპირებულ მხარეებს, ბოლოს უღებდა ხანგრძლივ შუღლსა და მტრობას.**

უაღრესად საინტერესოა 1912 წლის მოვლენები ზემო სვანეთში, რის შესახებაც მოგვითხრობს ეგნატე გაბლიანი: „1912 წელს, როცა სვანეთი უფიცმა ბოქაულებმა საშინელ მდგომარეობამდე მიიყვანეს და ქურდობაცაცებისაგან ხალხი ნადგურდებოდა. მე თვითონ ჩამოვიარე მთელი სვანეთი, მივიწვიე კრებები და მივალვინე ხალხს გადაწყვეტილება, რათა 15-50 წლის ყველა მამაკაცი წასულიყო კალის წმ. კვირიკესა და ივლიტას მონასტერში დასაფიცებლად. დანიშნულ დღეს კალაში სვანეთის თემებიდან თავი მოიყარა 3000 კაცმა... გამოასვენეს ეკლესიიდან „შალიანის“ ხატი, რომელიც სვანებისათვის ყველაზე ძლიერი და მძლავრია. ხალხის სურვილით შესრულდა „ბუგიდ ლიგურცამი“ (უძლიერესი ფიცი). ბევრ ქურდს ტანის ცახცახი აუტყდა. გათავდა ფიცი იმ ქურდების წყველა-კრულვით, რომელნიც ფიცს გატყდნენ, რასაც მთელმა ხალხმა შეჰბღავლა „ამინ“. მერე ქურდები მიწაზე დაახეთქეს. ამის შემდეგ თითოეული ჯოხ ქვეშ გამოვატარეთ და შეეუდექი დაკითხვას. ამნაირად აღმოჩნდა 750 შემთხვევა ქურდობისა. შევადგინე კომისია თემიდან 2-2 კაცით. შემოვიარე მთელი სვანეთი, ქურდებს ჩამოვართვით ნაქურდალის ორმაგი საფასური და დაზარალებულებს ჩავაბარეთ. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. ამის შემდეგ ხალხი იღებს ფიცს., რომ 5 წლის განმავლობაში არაფერი მოიპარონ, ხოლო ქურდი ამხილონ. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ 5 წელი ერთი ქურდობის მაგალითი არა ყოფილა“.<sup>51</sup>

ზემო სვანეთის ტრადიციულ ყოფაში მრავალი მაგალითია შემონახული „შალიანის“ „ნაბანი“ წყლის სასწაულმოქმედი ძალის შესახებ. მის „ძლიერებას“ (ასე მოიხსენიებენ მთხრობლები წყლის ძალას) ვერც ერთი ბოროტმოქმედი ვერ შეეწინააღმდეგებოდა. ამიტომაც ბევრი საჩოთირო საქმე, რომელსაც სხვადასხვა პრობლემა უნდა მოჰყოლოდა, სწორედ ამ „წმინდა წყლის“ გამოყენებით აღსრულებულ ჩვეულებით სამართალს გადაუწყვეტია. სურა, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სოფლებშიც გადაჰქონდათ.<sup>52</sup>

**კვირიკობის დღესასწაული („ლიგურკე“)** სვანეთის ყოფაში დიდ როლს ასრულებს. ამ დღისათვის მთელი წელი ემზადებიან. დღეობა საეკლესიო კალენდრიდან მომდინარეობს და ძველი სტილით 15 (28) ივლისს აღინიშნება. იგი დაწესებულია წმიდა მოწამეების დედა-შვილის ივლიტესა და კვირიკეს მოსახსენებლად. კალას თემში დიდიდან იკრიბებიან მორწმუნენი არა მხოლოდ ზემო სვანეთიდან, არამედ ქვემო სვანეთიდანაც და საქართველოს

<sup>50</sup> ბ. ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. ტ. I. თბილისი, 1962, გვ. 104.

<sup>51</sup> გ. გაბლიანი. თავისუფალი სვანეთი. ტფილისი, 1927, გვ. 89.

<sup>52</sup> კ. მანაბელი. სვანეთის საგანძურები. თბილისი, 1982, გვ. 42.

სხვა კუთხეებიდანაც. ბოლო ათწლეულის განმავლობაში იმატა მომლოცველთა ჯგუფებმა დედაქალაქიდანაც. დღესასწაულს ესწრებიან ტურისტებიც. წმიდა კვირიკეს მონასტრის მომლოცველი მთელი წლის მანძილზე იმედიანია. იგი გრძობს რაღაც განსაკუთრებულ სულიერ სიმშვიდეს, სიხარულსა და კმაყოფილებას. სვანეთში თვლიან, რომ ყოველი მომლოცველი სამჯერ მაინც უნდა ეწვიოს მონასტერს.

**აღსანიშნავია, რომ მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის შექმნისა და მღვდელმთავრად მეუფე ილარიონის (ქიტიაშვილი) დადგინების შემდეგ კვირიკობას სრულდება საეკლესიო კანონიკური წირვა-ლოცვა, რომელიც წინ უძღვის ხალხურ რიტუალს.**

„შალიანი“-ს ხატმა კალის წმიდა კვირიკეს მონასტერი, როგორც უკვე ითქვა, მთელი სვანეთის რელიგიურ ცენტრად აქცია. იმ „160 სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებით აღჭურვილ დღეთა შორის“, რომლებიც ვ. ბარდაველიძემ დაადასტურა სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში,<sup>53</sup> დღეისათვის ყველაზე ხალხმრავალი და გრანდიოზული დღესასწაული კვირიკობაა.

კვირიკობის მთავარ მეურვედ და მასპინძლად კვლავაც ზოგადად კალელები გვევლინებიან. ადრე დილით, კალის თემის მამაკაცებიდან არჩეული რამდენიმე საპატიო პირი მონასტრიდან გამოასვენებს „შალიანის“ ხატს, განბანენ ხატს, შემდეგ იგივე მამაკაცები გარსშემოუვლიან ეკლესიას, მამაკაცებს ხელთ უპყრიათ ანთებული სანთლები და წმიდა „ზედაშ“-ით სავსე ფიალები. ისმის სვანური სასულიერო გალობა, მათ შორის „კირია“ – საეკლესიო კირიელისონის სვანური ხალხური ვარიაცია. სამრეკლოდან რეკავენ ზარს. გალავანს შიგნით შეკრებილი მამაკაცები ამ რიტუალს დახოქილები და ქუდმოხდილები შესცქერიან. ქალები კი შეკრებილები არიან „ლადაშ“-ის მახლობლად. სხვა სოფლებიდან მოსული მლოცველები უფრო მოშორებით დგანან და ელოდებიან უმთავრესი „ლიმზირ“-ის (ლოცვის) დასრულებას. ეკლესიის გარშემოვლის შემდეგ, „შალიანს“ კვლავ შეასვენებენ მონასტერში, სადაც იგი ხელუხლებლად იქნება დაცული მომავალი წლის ბრწყინვალე შვიდეულის შაბათამდე. მანამ კი უხუცესი „მემზირ“-ი (მლოცველი) ამ ხატით დალოცავს მთელ საქართველოს, სვანეთს და „ლაგურკაში“ შეკრებილ მლოცველებს. მლოცველებს უკვე ეძლევათ საშუალება მიეახლონ ტაძრის კარიბჭეს, მიიტანონ შესაწირი, ილოცონ. პირველად შეიწირება კალას თემის შესაწირი, უნაკლო ხარი. კალელი უხუცესი მამაკაცები ყოველ მლოცველს ხმამაღლა დალოცავენ, რასაც გარშემო შემოკრებილი ხალხის ერთიანი შეძახილი – „ამენ“-ით ადასტურებს. როდესაც მლოცველთა ნაკადი იკლებს, მლოცველი („მემზირ“) მამაკაცებს შესაძლებლობა ეძლევათ მოუსმინონ ამა თუ იმ პრობლემით შეწუხებულ ადამიანებს, რომელთათვისაც კვირიკობის დღესასწაული ხსნად არის გადაქცეული. იქ მიდის შეურაცხყოფილი სვანი, ვისაც თავისი სიმართლის დამტკიცება სწყურია, იქ იმართლებს თავს ცილისწამებით გულდამძიმებული მლოცველი, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, სრულდება დამნაშავის ხატზე გადაცემის რიტუალი და ა. შ.

„შალიანის“ „ნაბან“ წყალს **სამკურნალო მიზნითაც** იყენებენ. მორწმუნეთა აზრით, მას მას სასწაულმოქმედი ძალა აქვს და ნებისმიერი სახის ავადმყოფობის განკურნება შეუძლია. წყალი მძიმე ავადმყოფებთან შინ მიაქვთ, ხოლო ვისაც ფეხზე დგომა შეუძლია, ის თავად ეახლება მონასტერს, სადაც ავადმყოფის „ამენ“-ით დალოცვის რიტუალიც სრულდება. ეს ხდება „ლიგურკეს“ დღეობაზე შემდეგი სახით: ავადმყოფის პატრონი შეპირებული საკლავის გულ-დვიძლს, სალოცავ პურებს („ლემზირ“) და არყით სავსე დოქს დააწყოებს პატარა ტაბლაზე, ანთებს სანთლებს და რჩეულ პირებს – მლოცველებს – შესთხოვს ავადმყოფის დალოცვას. ლოცვას („ლიმზირი“) გარშემო მყოფი ხალხის „ამენ“-ი ავირგვინებს. ყოველ „ლიგურკეზე“ რამდენიმე ასეთი დალოცვა სრულდება.

<sup>53</sup> ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. თბილისი, 1939.

ამრიგად, ნათელია, რომ ტრადიციული სვანის ცხოვრების წესს რელიგიური რწმენა ასაზრდოებს. ეს რწმენა, ამ შემთხვევაში, სიმბოლურად „შალიანის“ ხატშია ფოკუსირებული და იგი სოციალური ყოფის უმთავრესი მომენტების წარმართველი და მომწესრიგებელია. ჯვარცმის გამომსახველი ხატი, ე. წ. „შალიანი“, რომელიც განკუთვნილი ყოფილა უდიდესი ქრისტიანული სიწმინდის – ძელი ჭემშარიტის – ნაწილის შესანახად, სვანეთის ტრადიციული ყოფის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია. გარდა დიდი რელიგიური ღირებულებისა, ხატი სოციალურადაც ფასეულია. „ლაგურკა“, სადაც დავანებულია „შალიანი“, მთელი სვანეთის მთავარი სარწმუნოებრივი ცენტრია. ამ ხატზე დადებული ფიცი გადამწვევებია ჩვეულებითი სამართლის აღსრულების პროცესში. მრავალფეროვანი და ისტორიული თვალსაზრისით ღირებულია ხატთან დაკავშირებული ლეგენდა-გადმოცემები. დღეისათვის მოქმედია და მასშტაბურობით გამორჩეულია კვირიკობის დღესასწაული, რომლის სხვადასხვა რიტუალში მკაფიოდ იკვეთება სვანური ტრადიციული ცხოვრების წესისა და მენტალიტეტის ზოგიერთი ნიშანი, რაც საერთოქართული ტრადიციული სულიერი და სოციალური სტრუქტურების აღდგენის შესაძლებლობას გვაძლევს, ვინაიდან სვანეთი ამ მხრივაც ცოცხალ სულიერ საგანძურად გვევლინება.

## **Rozeta Gujejiani**

### **The history of St Kvirike monastery of Kala and Kvirikoba in Svaneti Summary**

The most popular chapel of Svaneti, known as the St. Kvirike's monastery ("Lagurka") is situated in Zemo Svaneti (upper Svaneti) in the village of Kala, in the left bank of the river Enguri. "Lagurka" is a medieval, aisleless building, where active agricultural monastery life was led till the 8<sup>th</sup> century. Today the monastery has its private lands and forests.

The most valuable icon "Shaliani", which is kept here, had a great influence on people's religions and legal views. The most important political issues were resolved by taking an oath to the icon. The water, in which this icon was cleaned, was used for revealing the criminals and curing the illness. The icon with an image of Crucifixion, known as "Shaliani" icon, is preserved in Svaneti at the monastery of St. Kvirike. The monastery is a center for spiritual life of Svaneti, and "Shaliani" icon is one of the most significant church objects for worshipping. "Shaliani" icon and traditions associated with it show that religious faith feeds traditional mode of life of the Svans. The faith is focused symbolically in "Shaliani" icon and the latter directs and regulates the most important moments in the social life. In case of urgency, the icon unites all villages throughout Svaneti. Vow taken by individual before the "Shaliani" icon ranks high in customary law. Legends associated with the icon, documented in villages of Svaneti, are varied and of historical value.

On July 28, the holiday of St. Kvirike is celebrated in the temple fence. The people of Svaneti and also from other parts of Georgia gather here. This Monastery is considered the main chapel in Zemo Svaneti. Where it cares for people. The traditional way of life, characteristic of Svaneti, and certain features of the folk mentality are disclosed in different rituals of the Feast.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“  
(„დამკომის“) ისტორიიდან  
(1922-1924)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებში, უმრავლესობაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) წარმომადგენლები იყვნენ. საქართველოს დანარჩენი პოლიტიკური პარტიები მმართველ ძალას ოპოზიციაში ედგნენ. გამომდინარე აქედან, სოციალ-დემოკრატებსა და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის მძაფრი წინააღმდეგობა არსებობდა. საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შემდეგ ამ წინააღმდეგობამ კულმინაციას მიაღწია. საბჭოთა რუსეთთან ომში საქართველოს დამარცხებას ქართული პოლიტიკური პარტიები სოციალ-დემოკრატების მიზანშეუწონელი და არაადეკვატური პოლიტიკის შედეგად მიიჩნევდნენ. თავის მხრივ, სოციალ-დემოკრატები ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ისინი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას საკმარისად არ ეხმარებოდნენ და თავიანთი შეურიგებელი პოლიტიკით მის საქმიანობას ხელს უშლიდნენ. ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთ ბრალდებების წაყენებამ დიდხანს გასტანა. ახრთა ასეთი სხვადასხვაობის მიუხედავად, პოლიტიკური პარტიის ლიდერები კარგად ხვდებოდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის ორგანიზებისათვის გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა და ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნა იყო საჭირო. გაერთიანებისაკენ მიმართული პირველი ნაბიჯი საზღვარგარეთ გადაიდგა. 1921 წლის 8 მაისს პარიზში, აზერბაიჯანის მთავრობის რეზიდენციაში, ერთმანეთს შეხვდნენ კავკასიის რესპუბლიკების ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენლები. თათბირს ესწრებოდნენ: 1. საქართველოს წარმომადგენლები: **ევგენი გეგეჭკორი, ნიკოლოზ ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, კონსტანტინე საბახტარაშვილი;** 2. აზერბაიჯანის წარმომადგენლები: **ა. შეიხ-ულ-ისლამოვი, დ. ჰაჯიბეგოვი, მ. აგერამოვი, ალ. თოფჩიბაშევი;** 3. სომხეთის წარმომადგენლები: **ა. აგარონიანი, ა. ხატისიანი, ნ. ბეკზადიანი;** 4. ჩრდილო კავკასიის წარმომადგენელი: **ა. ჩერმოვი.**<sup>1</sup>

1921 წლის 10 ივნისს კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ შეთანხმებას. შეთანხმების ხელმოწერისთანავე მათ ამის შესახებ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **არისტიდ ბრიანს** აცნობეს. არისტიდ ბრიანისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში შეთანხმების მონაწილენი აღწერდნენ კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეებს და იმ სარგებლობას, რომელსაც საფრანგეთი მიიღებდა, თუ კი მისი მთავრობა ემიგრაციაში მყოფ პოლიტიკურ ძალებს კავკასიაში ეროვნული ხელისუფლებების აღდგენაში დაეხმარებოდა.<sup>2</sup> ამასთან, კავკასიის წარმომადგენლები მზად იყვნენ რუსეთის იმპერიის ვალებიდან მათი კუთვნილი წილი გადაეხადათ.

<sup>1</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?!. თბილისი, 1998, გვ. 289.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VII. თბილისი, 1976, გვ. 190.



1921 წლის 7 ნოემბერს არისტიდ ბრიანის წარმომადგენელ ლუშერსა და კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება გაიმართა. ლუშერმა საკითხი შემდეგნაირად დასვა:

„1) რა სახის დახმარებას მოელიან საფრანგეთისაგან კავკასიის 4 რესპუბლიკის წარმომადგენლები კანონიერი და ხალხის სურვილის შესაბამისი ხელისუფლების დამყარების საქმეში იარაღის, ფულის და აღჭურვილობის მხრივ; 2) ბოლშევიკებისაგან რესპუბლიკათა გათავისუფლების შემდეგ რით შეუძლია საფრანგეთს დაეხმაროს პირველ ხანებში კავკასიის რესპუბლიკათა კულტურულ-სამრეწველო აღორძინებას, მეტადრე ისეთი ღონისძიებების მხრივ, როგორცაა გუბი, 4-ვე რესპუბლიკისათვის ერთნაირი სამონეტო სისტემის საემისიო ბანკი, ნავთობგამტარები და ბუნებრივი სიმდიდრის დაუყოვნებლივ ექსპლოატაცია, ამასთან, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ საფრანგეთს დახმარება შეუძლია უმთავრესად მასალით, იარაღითა და ნაწილობრივ ფულით, ოღონდ ვფიქრობთ, 1000000 ფრანკით, მეტი არა; 3) რა კომპენსაცია და რა ფასეულობანი შეუძლიათ მოგვცენ კავკასიის რესპუბლიკებმა ვალუტითა და ნედლი მასალით, მინერალებისა თუ საერთოდ პროდუქტების სახით პირველსავე ხანებში იმ დახმარებისათვის, რომელსაც საფრანგეთი გაუწევს კავკასიის რესპუბლიკებს“.

დელეგატებმა ლუშერს პირობა მისცეს, რომ ამ საკითხების დეტალურად დასამუშავებლად სპეციალურ კომისიებს შექმნიდნენ. 1921 წლის 9 ნოემბერს კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენელთა თათბირზე შეიქმნა: 1. სამხედრო კომისია; 2. საფინანსო-ეკონომიკური კომისია; 3. ნავთობმრეწველობის კომისია; 4. გზათა კომისია.

1921 წლის 16 ნოემბერს **სამხედრო კომისია** კავკასიის ემიგრირებული მთავრობების წარმომადგენელთა საერთო თათბირზე მოხსენებით წარსდგა. მოხსენებაში საუბარი იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის საერთო გეგმაზე. ამ გეგმის თანახმად კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე 2700 სამხედროსაგან არმიის შექმნა იყო განსაზღვრული. თათბირზე გადაწყდა, რომ სამხედრო შტაბი პარიზში იმუშავებდა, ხელმძღვანელი ცენტრი კი – რაც შეიძლება ახლოს მოქმედების თეატრთან. არისტიდ ბრიანის რჩევით კავკასიის წარმომადგენლებმა იმ ფრანგ კაპიტალისტებთან დაამყარეს კავშირი, რომლებიც კავკასიის სამრეწველო პოტენციალით იყვნენ დაინტერესებული.<sup>3</sup>

თავის მხრივ საქართველოს ემიგრანტული მთავრობა სხვადასხვა ქვეყნის ნავთობკომპანიებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა და მათი მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა. განსაკუთრებული დაინტერესება დიდი ბრიტანეთის ნავთობმომპოვებელმა ფირმა „შელი“-იმ გამოთქვა, რომელიც მზად იყო „დაფინანსებინა მენშევიკური რევოლუცია, რომელიც ბათუმის ჭიშკრის გავლით გაუსხნიდა მათ გზას ბაქოსაკენ“.<sup>4</sup>

კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენლების შეთანხმების პარალელურად, ემიგრაციაში მყოფი ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები იწყებენ მოძრაობას გაერთიანებისათვის. საქართველოს ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების გაერთიანებული ორგანოს როლს საზღვარგარეთ ჯერ **„დამფუძნებელი კრების კომისია“** და **„პარტიათა წარმომადგენლობა“** ასრულებდა, რომელიც შემდეგ **„პარიტეტულმა კოლეჯიამ“** შეცვალა, ხოლო ეს უკანასკნელი კი – **„საზღვარგარეთის ბიურომ“**.<sup>5</sup> საზღვარგარეთის ბიურო პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნა.<sup>6</sup> საზღვარგარეთის ბიუროში შევიდნენ: სოციალ-დემოკრატი **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე**, ეროვნულ-დემოკრატი **გრიგოლ ვეშაპელი** (მოგვიანებით ის სპირიდონ კელიამ შეცვალა), სოციალისტ-ფედერალისტი **სოსიკო მდივანი** და სოციალისტ-რევოლუციონერი **იოსებ გობეჩია**.<sup>7</sup>

<sup>3</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?!.. თბილისი, 1998, გვ. 289-291.

<sup>4</sup> კობა წინგუაშვილი. ლ. ტროცკი – „ქართველი მენშევიკების შესახებ“ – ჟურნალი „ანალები“, 2000, №2, გვ. 93.

<sup>5</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VII. თბილისი, 1976, გვ. 191.

<sup>6</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 3.

<sup>7</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?!.. თბილისი, 1998, გვ. 286.

საღვარგარეთის ბიუროსა და ემიგრანტული მთავრობის ყველა მოქმედება ევროპის სახელმწიფოებში „ქართული საკითხის“ პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. ამ მუშაობის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა კავშირ-დიდ ბრიტანეთს შორის წარმოებულ მოლაპარაკებაში ისეთი პუნქტის შეტანა, სადაც ინგლისი აცხადებდა, რომ ის ცნობდა საბჭოთა კავშირს იმ ტერიტორიებზე, რომელი ტერიტორიის მოსახლეობაც ცნობდა საბჭოთა ხელისუფლებას. ასევე მეორე ინტერნაციონალმა მიიღო ძალზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით მეორე ინტერნაციონალში შემავალი პარტიები ვალდებული იქნებოდნენ თავიანთ ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში დახმარებოდნენ საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას.

ევროპის სახელმწიფოებში საქართველოს საკითხთან დაკავშირებით საერთო აზრის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ პარიზში, ლონდონში და ჟენევაში „საქართველოს დახმარების კომიტეტები“ დაარსა. კარლო ჩხეიძე ჟენევაში სპეციალური მოხსენებით გამოვიდა. კარლო ჩხეიძე ინგლისს ურჩევდა საბჭოთა კავშირისათვის სესხი არ მიეცა, რადგან ეს თანხა, მისი აზრით, წითელი არმიის გაძლიერებას მოხმარდებოდა. ამ მოხსენების ანგარიში ჟენევის ყოველდღიურ გაზეთ „ტრავაი“-ში დაიბეჭდა.

სოციალ-დემოკრატები აკაკი ჩხენკელი და ირაკლი წერეთელი საფრანგეთში დემურგთან და ერიოსთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, რის შედეგადაც აკაკი ჩხენკელი დემურგმა სახეიმოდ მიიღო როგორც საქართველოს ოფიციალური ელჩი. ფრანგი სოციალისტი რენოდელი ირაკლი წერეთელს წერდა, რომ ფრანგი სოციალისტები საქართველოს საკითხში ჩარევას შეეცდებოდნენ. ეს წერილი საქართველოს საგანგებო კომისიას ჩაუვარდა ხელში.<sup>8</sup>

1922 წლის 6 მარტს საზღვარგარეთ მყოფმა საქართველოს ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ წარმომადგენელნი საქართველოში მოქმედი სამი მთავარი პოლიტიკური ორგანიზაციის – სოციალ-დემოკრატიული პარტიის, დემოკრატიულ (ბურჟუაზიულ-აგრარული პარტიების ბლოკი) და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის, რომელთაც დამოკიდებულებას... დამფუძნებელ კრებაში ემხრობოდა დეპუტატთა 93%, ვაცხადებთ: 1. დამოუკიდებელი საქართველოს სახელით უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკება, ხელშეკრულებათა დადება და კონცესიათა გაცემა შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ ჟორდანიას მთავრობას.

2. ყოველგვარი კონცესია და ხელშეკრულება, დარღვეული რუსეთის საოკუპაციო მმართველობის მიერ, ქართველი ხალხისათვის სავალდებულო აღარ არის და ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულია.

3. საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და იქ თავისი საოკუპაციო რეჟიმი დააწესა, რომელიც დღემდის გრძელდება. ასეთი აქტი რუსეთისა სრულიად ეწინააღმდეგება იმ დებულებას, რომელიც კანის კონფერენციის რეზოლუციის მექესე მუხლში არის აღნიშნული და რომელიც დიდ სახელმწიფოთა დადგენილებით, სავალდებულოა მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მთელი ქართველი ხალხის სახელით ჩვენ მოვითხოვთ საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანას და ოკუპაციის გაუქმებას, რასაც ბუნებრივია მოყვება რესპუბლიკის კონსტიტუციის მიერ დაწესებული კანონიერი რეჟიმის აღდგენა.

4. თუ ეს სამართლიანი მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული მშვიდობიანი გზით, არსებული საერთაშორისო უფლებრივ ნორმათა თანახმად ქართველი ხალხი იძულებული იქნება მიმართოს ბრძოლის ყოველნაირ საშუალებებს კანონიერ სახელმწიფოებრივ უფლებათა აღსადგენად და რუსეთის საოკუპაციო მმართველობისა და

<sup>8</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცლები 3-5.

უკანასკნელის მიერ მოსალოდნელ კონტრაგენტთა მიერ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად“.

დეკლარაციას ხელს აწერდნენ: **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ბენია ჩხიკვიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, რეზო გაბაშვილი, ლევან ჯაფარიძე, ექვთიმე თაყაიშვილი და კ. კობახიძე.**<sup>9</sup>

1924 წლის 6 აპრილს პარიზში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს რეზოლუცია საქართველოში აჯანყების მხარდასაჭერად.<sup>10</sup>

1922 წლის 29 ივნისს საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო:

1. საქართველოს განმანათავისუფლებელი ბრძოლის დღის წესრიგში დგას საერთო აჯანყება და ამისათვის საჭიროა გამოინახოს ყოველგვარი საშუალებანი;

2. წარმოებული უნდა იქნეს სისტემატიურად კერძო გამოსვლები წინააღმდეგ ევროპის მიერ ვაჭრობის წარმოების, განსაკუთრებით ნავთის გატანისა.

1922 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სტამბოლში მყოფი „პოლიტიკური კომისიისათვის“ 10 000 ფრანკი გაეგზავნა ე.წ. „პუნქტების“ მოსაწყობად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საზღვრის სიახლოვეს შექნილი ამ პუნქტების მეშვეობით ფოსტა-ტელეგრაფის და სპეციალური ლიტერატურის საქართველოში გადატანა და არალეგალი პირების გადაყვანა ხორციელდებოდა.

ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების გაერთიანების მიზნით ინტენსიური მუშაობა საქართველოშიც მიმდინარეობდა. გაერთიანების იდეის ინიციატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წინაშე დაისვა ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნის საკითხი, რომლის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა ყოფილიყო.<sup>11</sup> ეს მოლაპარაკებები დიდხანს გაგრძელდა, რადგან თითოეული პარტია მეტისმეტად გადაჭარბებულად აფასებდა თავის გავლენას საქართველოში და არ სურდა წასულიყო რაიმე დათმობაზე.<sup>12</sup> სოციალ-დემოკრატები იმ შემთხვევაში თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაემხოებოდა მოითხოვდნენ, როგორც საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასული საქართველოს მთავრობის, ისე დამფუძნებელი კრების სრულად აღდგენას.<sup>13</sup> საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კი მოითხოვდა საქართველოში საბჭოთა წყობილების დამხობის შემდეგ შექმნილიყო მთავრობა, რომელიც დაკომპლექტდებოდა თანაბარი რაოდენობით სოციალისტებისა და არასოციალისტებისაგან.<sup>14</sup>

საბოლოოდ, 1922 წლის 5 თებერვალს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, არალეგალურ კონფერენციაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის მთავარ ამოცანად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, საქართველოს ყველა ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიასთან შეთანხმებული მოქმედება იქცა.<sup>15</sup>

<sup>9</sup>ნესტან კირთაძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთაისი, 1996, გვ. 99-103.

<sup>10</sup>გოგი ცხოვრებაძე. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში. თბილისი, 1996, გვ. 107-108.

<sup>11</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 769.

<sup>12</sup>ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?!.. თბილისი, 1998, გვ. 129.

<sup>13</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 28, ფურცელი 798.

<sup>14</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 4.

<sup>15</sup>ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?!.. თბილისი, 1998, გვ. 283.

პოლიტიკურ პარტიებს შორის დაწყებული მოლაპარაკებები 1922 წლის 11 თებერვალს საქართველოში მომხდარი მასობრივი დაპატიმრებების გამო შეწყდა, მაგრამ მალე კვლავ განახლდა. თითოეულმა პარტიამ მოლაპარაკებისათვის თითო წარმომადგენელი გამოიყო. სოციალ-დემოკრატებიდან მოლაპარაკებას **ნიკოლოზ ქარცივაძე** აწარმოებდა, ეროვნულ-დემოკრატებიდან – **სპირიდონ კელია** (მისი დაპატიმრების შემდეგ – იასონ ჯავახიშვილი), სოციალისტ-ფედერალისტებიდან – **გრიგოლ რცხილაძე**, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან – **იოსებ გობეჩია**, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან – **მუხრან ხოჭოლავა**.<sup>16</sup> ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის დაწყებული მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. საერთო მიზნის მისაღწევად საქართველოს ხუთი წამყვანი პოლიტიკური პარტია გაერთიანდა: **საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (მენშევიკები)**, **საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია**, **საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტია**, **საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია** და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ჩამოშორებული ჯგუფი „**სსიველები**“ (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები). ამ პოლიტიკურმა პარტიებმა 1922 წლის აგვისტოში ინტერპარტიულ ორგანიზაციას „**საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს**“ („დამკომს“), იგივე „**პარტიტულ კომიტეტს**“ საფუძველი ჩაუყარეს. ადრე მიჩნეული იყო, რომ დამკომსი 1922 წლის აპრილ-მაისში შეიქმნა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.<sup>17</sup>

ხუთ ქართულ პოლიტიკურ პარტიას შორის დადებული შეთანხმების ტექსტი შემდეგი შინაარსის იყო: „1. დაარსდეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, აღნიშნულ პარტიათა თითო წარმომადგენლისაგან. კომიტეტს დაევალოს გაერთიანება და საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს გასათავისუფლად მიმართული მთელი მუშაობისა.

**შენიშვნა:** კომიტეტში ყველა საკითხი წყდება შეთანხმებით.

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უცხოეთში მყოფი კანონიერი მთავრობა განაგრძობს თავის მუშაობას მიმართულს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

3. დამოუკიდებლობის კომიტეტი მხარს უჭერს მთავრობის ამ მუშაობას, მთავრობა კი თავის მხრივ არ სდგამს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ახალი ურთიერთობის შემქმნელ ნაბიჯს დამოუკიდებლობის კომიტეტის დაუდასტურებლად.

4. მთავრობა ვალდებულია მიაწოდოს ნივთიერი საშვალეები მხოლოდ დამოუკიდებლობის კომიტეტს ეროვნული მუშაობის საწარმოებლად იმ ქონებიდან და თანხებიდან, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის ან რომლის გამო რესპუბლიკა პასუხისმგებელია.

**შენიშვნა:** მთავრობასა და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის არსებობს ურთიერთ ფინანსური ანგარიშ-ვალდებულება და კონტროლი.

5. გარდამავალ ხანაში მთავრობის ფუნქციების შესრულება მიენდოს დროებით მმართველობას, რომელსაც შეადგენს დამოუკიდებლობის კომიტეტი კოალიციის საფუძველზე, ყველა შეთანხმებულ პარტიათა წარმომადგენლებისგან იმ აუცილებელი პირობით, რომ არც ერთ პარტიას მმართველობაში ერთ მესამედზე მეტი ადგილი არ ქონდეს.

6. დროებითი მმართველობა დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის კონსტიტუციას აღდგენილად აცხადებს.

7. ადგილობრივი ხელისუფლების (თვითმმართველობის) ორგანოები ეწყობიან დროებითი მმართველობის პრინციპით და პროპორციით.

განაპირა კუთხეებში (აფხაზეთში, ბათუმსა და მის ოლქში, ბორჩალოს და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში), ხელისუფლების შექმნის საკითხი რჩება ღიათ და გადასწყდება დროებითი მმართველობის მიერ.

<sup>16</sup>ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის მმა შენი?!.. თბილისი, 1998, გვ. 150.

<sup>17</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (III), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 769.

**შენიშვნა:** დროებით მმართველობას უფლება აქვს გამოსცეს განსაკუთრებული დადგენილება საერთოდ ადგილობრივ ხელისუფლების შედგენის შესახებ.

8. დამფუძნებელი კრება იკრიბება პირველ შემთხვევისთანავე და ადასტურებს დროებით მმართველობას.

9. მთავრობა ჩამოსვლისთანავე წარუდგება დამფუძნებელ კრებას მოხსენებით და გადადგება. ასევე მოიქცევა და ამავე დროს გადადგება დროებითი მმართველობა.

ამის შემდეგ დამფუძნებელი კრება ადგენს კოალიციონურ მთავრობას იმავე პრინციპით, როგორც დროებითი მმართველობა.

10. დამფუძნებელი კრება უხსნის კრედიტს მთავრობას, იმუშავებს კანონს ერთიანი სამხედრო სისტემის შესახებ, ირჩევს საგანგებო, საგამომძიებლო პარიტეტულ კომისიას საქართველოს დამარცხების მიზეზების გამოსარკვევად, ირჩევს საარჩევნო პარიტეტულ კომიტეტს და იშლება.

11. არა უადრეს ორი თვისა, დამფუძნებელი კრების დაშლის შემდეგ, ან არა უგვიანეს ოთხი თვისა ხდება საქართველოს პარლამენტის არჩევნები<sup>18</sup>.

შეთანხმების ტექსტს ხელს აწერდნენ: სოციალ-დემოკრატებიდან – **გიორგი (გოგიტა) ფაღავა**, ეროვნულ-დემოკრატებიდან – **იასონ ჯავახიშვილი**, სოციალისტ-ფედერალისტებიდან – **გრიგოლ რცხილაძე**, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან – **იოსებ გობეჩია**, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან – **მუხრან ხოჭოლავა**.<sup>19</sup>

პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში შემავალი ყველა პოლიტიკური პარტია თანაბარუფლებიანი იყო. მოსახლეობაში პარტიის გაველენას არანაირი ყურადღება არ ექცეოდა. დამკომში დასმული ნებისმიერი საკითხი დღის წესრიგიდან იხსნებოდა თუ დამკომის ერთი წევრი წინააღმდეგი აღმოჩნდებოდა. გარდა ამისა, დამკომში შემავალ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ჰქონდა უფლება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნაბიჯი დამკომთან შეთანხმების გარეშე გადაედგა. თუ დამკომი წინააღმდეგი აღმოჩნდებოდა, მაშინ პარტიას ეს საკითხი დღის წესრიგიდან უნდა მოეხსნა.<sup>20</sup>

დამკომში შემავალი თითოეული პარტია კომიტეტში თითო წარმომადგენელს აგზავნიდა. დამკომში წარმომადგენლის დანიშნის წესს თითოეული პარტია თვითონ განსაზღვრავდა. ზოგიერთი პარტია დამკომში დასანიშნ წარმომადგენელს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ფარული კენჭისყრით ირჩევდა. ასე რომ, მხოლოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს შეეძლო სცოდნოდა დამკომში პარტიის წარმომადგენლად ვინ იყო გაგზავნილი. ზოგიერთ პარტიაში დამკომში გასაგზავნი წარმომადგენლის არჩევა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მეშვეობით ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობას არ უნდა სცოდნოდა, თუ ვინ იყო არჩეული დამკომის წევრად.

თბილისში მიღწეული შეთანხმების ტექსტი სოციალისტ-რევოლუციონერ **იოსებ გობეჩიას** ხელით საზღვარგარეთ მყოფ ნოე ჟორდანიას მთავრობას გაეგზავნა. ტექსტთან ერთად საზღვარგარეთ გაიგზავნა ასევე წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო: საჭიროა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმება სცნონ ნოე ჟორდანიამ და ქართული პოლიტიკური პარტიების საზღვარგარეთულმა ორგანიზაციებმა.<sup>21</sup>

მოგვიანებით, საზღვარგარეთიდან დამკომის სახელზე წერილი მოვიდა, რომელიც პარტიებს შორის დადებულ შეთანხმებას იწონებდა.<sup>22</sup>

<sup>18</sup>ნესტან კირთაძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთაისი, 1996, გვ. 85-87.

<sup>19</sup>ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 284.

<sup>20</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 289-291.

<sup>21</sup>ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 129-134.

<sup>22</sup>ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 173.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: სოციალ-დემოკრატებიდან დამკომში გიორგი (გოგიტა) ფაღავა შევიდა, ეროვნულ-დემოკრატებიდან – იასონ ჯავახიშვილი, სოციალისტ-ფედერალისტებიდან – გრიგოლ რცხილაძე, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან – იოსებ გობეჩია, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან – მუხრან ხოჭოლავა. დამკომის პირველი თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი გოგიტა ფაღავა გახდა, მდივანი – ეროვნულ-დემოკრატი იასონ ჯავახიშვილი.

მოგვიანებით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში გარკვეული ცვლილებები მოხდა. 1922 წლის აგვისტოშივე დამკომში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გოგიტა ფაღავა ნიკოლოზ ქარცივაძემ შეცვალა. შესაბამისად, დამკომის თავმჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე გახდა. 1922 წლის აგვისტოდან 1923 წლის მარტამდე დამკომს ნიკოლოზ ქარცივაძე თავმჯდომარეობდა.<sup>23</sup> ნიკოლოზ ქარცივაძემ დამკომში მართალია აჯანყების საკითხი დასვა, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გასარკვევად, თუ რა ძალებს ფლობდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანებული ძალები.<sup>24</sup> 1923 წლის მარტში ნიკოლოზ ქარცივაძე დააპატიმრეს. 1923 წლის მარტიდან დამკომის თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი გახდა. კოტე ანდრონიკაშვილი დამკომს 1924 წლის აჯანყების დამარცხებამდე თავმჯდომარეობდა.<sup>25</sup>

კოტე ანდრონიკაშვილს დამკომში მხოლოდ იასონ ჯავახიშვილი დახვდა. კოტე ანდრონიკაშვილმა იკითხა, თუ სად იყვნენ სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ამაზე მას იასონ ჯავახიშვილმა უპასუხა, რომ მასობრივი დაპატიმრებების შემდეგ ისინი დამკომში არ ცხადდებოდნენ. კოტე ანდრონიკაშვილმა დამკომში შემავალ პოლიტიკურ პარტიებთან მოლაპარაკებები დაიწყო. სოციალისტ-ფედერალისტებს მოსალაპარაკებლად კოტე ანდრონიკაშვილმა გედეონ სვანიძე მიუგზავნა. საბოლოოდ, სოციალისტ-ფედერალისტებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა დამკომში თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს.<sup>26</sup> რაც შეეხება დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებს 1922 წლის დეკემბერში მუხრან ხოჭოლავას გარდაცვალების შემდეგ მათ დამკომში წარმომადგენელი არ ჰყოლიათ.<sup>27</sup>

1923 წლის თებერვალში სოციალისტ-ფედერალისტი გრიგოლ რცხილაძე დამკომის შემადგენლობიდან გავიდა. გრიგოლ რცხილაძის დამკომიდან გასვლა გამოიწვია დამკომის ერთ-ერთ სხდომაზე აჯანყების საკითხის დასმამ. გრიგოლ რცხილაძე საქართველოში შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგი იყო, რის გამოც მან პროტესტის ნიშნად სხდომა და საერთოდ დამკომი დატოვა.<sup>28</sup>

1924 წლის თებერვალში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ დამკომში თავისი წარმომადგენელი სამსონ დადიანი გაგზავნა.<sup>29</sup> დამკომში გაწევრიანების შემდეგ, კოტე ანდრონიკაშვილმა სამსონ დადიანს „შეთანხმების ტექსტი“ გააცნო. ამასთან, ამ სხდომაზე კოტე ანდრონიკაშვილმა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა (დამკომის სხდომები როგორც წესი ერთ საათზე მეტხანს არ გრძელდებოდა). დამკომის მომდევნო სხდომაზე კოტე ანდრონიკაშვილმა შეიარაღებული აჯანყების საკითხი დასვა. სამსონ დადიანმა ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა. კოტე ანდრონიკაშვილმა ამაზე სამსონ დადიანს უპასუხა, რომ მან საკითხი დასვა

<sup>23</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 769.

<sup>24</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცელი 348.

<sup>25</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 769.

<sup>26</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 348-349.

<sup>27</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 769.

<sup>28</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 292-296.

<sup>29</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 769.

დამკომის წევრების აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის და არა გადასაწყვეტად. აღნიშნულ სხდომაზე შეიარაღებული აჯანყების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

1924 წლის ივლისში გამართულ დამკომის სხდომაზე კოტე ანდრონიკაშვილმა კვლავ გააცნო წევრებს საერთაშორისო მდგომარეობა. ამასთან, მან განაცხადა, რომ საქართველოს საკითხი ევროპაში ძალზე პოპულარული ხდებოდა. სხდომის დასასრულს კოტე ანდრონიკაშვილმა შეიარაღებული აჯანყების საკითხი დასვა და, თავის მხრივ, დაასაბუთა, თუ რატომ იყო პირადად ის და სოციალ-დემოკრატიული პარტია აჯანყების მომხრე. კოტე ანდრონიკაშვილის პოზიცია ეროვნულ-დემოკრატებმაც გაიზიარეს. სოციალისტ-ფედერალისტმა სამსონ დადიანმა შეიარაღებული აჯანყების საკითხზე თავისი უარყოფითი პოზიცია კიდევ ერთხელ დააფიქსირა. სოციალისტ-რევოლუციონერების წარმომადგენელი აჯანყების იდეას მიემხრო. სხდომის წევრებმა სამსონ დადიანს შემდეგი წინადადება მიმართეს: „ვინაიდან თქვენ კრიტიკას უკეთებთ ჩვენ მოქმედებას, წამობრძანდით სამხედრო კომისიის კრებაზე და მოისმინეთ და ნახავთ თითონ, რა მზადება გვაქვს და რა იმედები“. თუმცა ამაზე სამსონ დადიანმა უარი განაცხადა, უფრო მეტიც, მან დამკომს ულტიმატუმი წაუყენა: თუ აჯანყების საკითხი სხდომის დღის წესრიგიდან არ მოიხსნებოდა, ის სხდომას დატოვებდა. სამსონ დადიანს სხდომის წევრებმა განუცხადეს: „თუ ჩვენ არ ჩაუდგებით ამ საქმეს სათავეში, ეს მაინც მოხდება თავის და თავად, ეს მიიღებს სტიქიურ ხასიათს, და თქვენ კიდევ რომ წაბრძანდეთ, ჩვენც მაინც ასე უნდა მოვიქცეთ“. სამსონ დადიანმა სხდომის მონაწილეებს განუცხადა, რომ ის დამკომიდან სოციალისტ-ფედერალისტების გასვლის შესახებ დეკლარაციას გამოაქვეყნებდა. ამ სიტყვების შემდეგ ის გასასვლელისკენ წელი ნაბიჯებით წავიდა იმ იმედით, რომ მოაბრუნებდნენ, მაგრამ ამოდ. ბოლოს სამსონ დადიანმა იკითხა: „ის მაინც მითხარით, როდისთვის აპირებთ“-ო. ამაზე მას უპასუხეს: „თქვენ ერთ კვირაში აზრს ვერ შეიცვლით და რათ გინდათ დრო იცოდეთ“-ო.<sup>30</sup> 1924 წლის 18-19 აგვისტოს სამსონ დადიანმა დამკომი დატოვა.<sup>31</sup>

სოციალისტ-რევოლუციონერი იოსებ გობეჩია დამკომში **მიხეილ ბოჭორიშვილმა** შეცვალა, რომელიც დამკომში 1924 წლის აჯანყების დამარცხებამდე მუშაობდა.<sup>32</sup>

მოგვიანებით, დამკომში პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმება ერთგვარად შეიცვალა და კენჭისყრის დროს ვეტოს გამოყენების უფლება გაუქმდა და საკითხები ამიერიდან ხმათა უმრავლესობით წყდებოდა.<sup>33</sup>

თუ აღრე ნიკოლოზ ქარცივაძის თავმჯდომარეობის დროს დამკომში განსახილველი საკითხები შემოდიოდა მასში შემავალი პოლიტიკური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში დადებითად გადაწყვეტის შემდეგ განსახილველად, კოტე ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობის დროიდან საკითხები ჯერ დამკომში იხილებოდა და დადებითად გადაწყვეტის შემდეგ, საბოლოო სანქციის მისაღებად, პოლიტიკური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში გადადიოდა.<sup>34</sup>

კოტე ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობის დროს დამკომმა საზღვარგარეთიდან სულ 10 000 ლირა მიიღო (ორჯერ 5000-5000 ლირა). საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ფულს გოგიტა ფაღავა ღებულობდა. ეს ფული ორგანიზაციულ მუშაობას ხმარდებოდა. საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულის ნაწილს დამკომი ქაქუცა ჩოლოყაშვილს უგზავნიდა.<sup>35</sup>

<sup>30</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 258-262.

<sup>31</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 769.

<sup>32</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 769.

<sup>33</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცელი 298.

<sup>34</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 350-351.

<sup>35</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 370-372.

საქართველოში მიმდინარე მასობრივი რეპრესიების ფონზე კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა შეუძლებელი იყო. სწორედ ამ დროიდან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაზე პრაქტიკული საუბრები და ინტენსიური მზადება იწყება.<sup>36</sup>

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა საფინანსო კომისია, წითელი ჯვრის კომისია, სარედაქციო კომისია და „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“ ჩამოაყალიბა. ამ კომისიებიდან ყველაზე მძლავრი გაერთიანებული სამხედრო ცენტრი იყო. სამხედრო ცენტრის შექმნის ისტორია ასეთია: საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქვეყნის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა: 1) ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სამხედრო ორგანიზაცია; 2) ოფიცერთა და ჯარისკაცთა სამხედრო კომიტეტი, რომელსაც გენერალი გიორგი მაზნიაშვილი მეთაურობდა; 3) აჯანყებულთა რაზმების კომიტეტი; 4) საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაცია და 5) ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაცია.

დამკომის შექმნის შემდეგ ყველა ამ ორგანიზაციის გაერთიანების საკითხი დაისვა, რის შემდეგაც 1922 წლის აგვისტო-სექტემბრისთვის გაერთიანებული სამხედრო ცენტრი შეიქმნა. სამხედრო ცენტრში სოციალ-დემოკრატებს და სოციალისტ-ფედერალისტებს გენერალი ვარდენ წულუკიძე წარმოადგენდა, ეროვნულ-დემოკრატებს – გენერალი კონსტანტინე (კოტე) აფხაზი. სამხედრო ცენტრის დაზვერვას პოლკოვნიკი ივანე ნარიკელაძე განაგებდა. დამკომი სამხედრო ცენტრს საჭირო ინფორმაციებს აწვდიდა, ეს უკანასკნელი კი მათ ამუშავებდა. სამხედრო ცენტრი ადგილებზე საქართველოს სხვადასხვა რაიონში ფილიალების შექმნას შეუდგა.<sup>37</sup>

საქართველოს საგანგებო კომისიამ და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ მოიპოვეს ინფორმაცია გაერთიანებული სამხედრო ცენტრის შესახებ, რის შემდეგაც 1923 წლის 21 მაისს სამხედრო ცენტრის 15 ოფიცერი დააპატიმრეს და დახვრიტეს, ძებნილებად კი გამოცხადდნენ სამხედრო ცენტრის შემდეგი წევრები: ვასილ კობიაშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), ვასილ (ვასო) ზანდუკელი, სამსონ ერისთავი, ნიკოლოზ ზაქარიას ძე კეცხოველი (ეროვნულ-დემოკრატი), მიხეილ მილითაური, გერასიმე ნინიძე (სოციალ-დემოკრატი), ილია მაისურაძე (სოციალ-დემოკრატი), ივანე ლოლუა, იასონ ჯავახიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), სამსონ დადიანი (სოციალისტ-ფედერალისტი), ბიქტორ ელისაბედაშვილი (სოციალ-დემოკრატი), გიორგი კლიმიაშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), შალვა ამირეჯიბი (ეროვნულ-დემოკრატი), ნიკოლოზ ანდროს ძე კაიშაური, მიხეილ იშხნელი (ეროვნულ-დემოკრატი), ირაკლი ცაგურია (ეროვნულ-დემოკრატი), შალვა ჭუმბურიძე (სოციალ-დემოკრატი), გიორგი წინამძღვრიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), ნიკოლოზ იმნაიშვილი (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი), იოსებ ცინცაძე (სოციალ-დემოკრატი), გიორგი (გოგიტა) ფაღავა (სოციალ-დემოკრატი), ნოე ხომერიკი (სოციალ-დემოკრატი), შალვა ქარუმიძე (ეროვნულ-დემოკრატი), სიმონ ყიფიანი (ეროვნულ-დემოკრატი), დავით ვლადიმერის ძე ვაჩნაძე (ეროვნულ-დემოკრატი), გიორგი ფურცელაძე (სოციალისტ-ფედერალისტი), ელიზბარ ჭიჭინაძე (სოციალ-დემოკრატი), ვალიკო ჯუღელი (სოციალ-დემოკრატი), გიორგი ამილახვარი, იოსებ მაჭავარიანი (ეროვნულ-დემოკრატი), ილია ჩაჩიბაია (სოციალ-დემოკრატი), პართენ გოთუა (ეროვნულ-დემოკრატი), დიმიტრი დუმბაძე (ეროვნულ-დემოკრატი), აკაკი ჯიბლაძე (სოციალ-დემოკრატი), ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ცაგარელი (სოციალისტ-ფედერალისტი), აპოლონ სიმონის ძე ნიკოლაძე, არჩილ არაბიძე (სოციალ-დემოკრატი), ალექსანდრე ვასილის ძე ასმეტელი, აბესალომ შალამბერიძე (სოციალ-

<sup>36</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 350-351.

<sup>37</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის მმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 32-52.



დემოკრატი), ნიკოლოზ ციციშვილი, ვარლამ რუსაძე (სოციალ-დემოკრატი), კირილე ნინიძე, მიხეილ იასონის ძე ლაშხი (სოციალ-დემოკრატი), გრიგოლ ტიმოთეს ძე გიორგაძე (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი), მიხეილ შავდია და სხვ.<sup>38</sup>

ამის შემდეგ სამხედრო ცენტრმა მუშაობა შეწყვიტა. სამხედრო ცენტრის ფუნქციები ე.წ. „სამხედრო კომისიამ“ იკისრა. სამხედრო კომისიის შექმნის იდეით სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ სამხედრო ცენტრის არსებობის დროს გამოვიდნენ. სამხედრო კომისიას სამხედრო ცენტრისათვის პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. სამხედრო კომისია სოციალ-დემოკრატ ნოე ხომერიკის (რომელიც საქართველოში 1922 წლის ნოემბერში ჩამოვიდა) და ეროვნულ-დემოკრატ მიხეილ ჯავახიშვილის (ცნობილი ქართველი მწერალი) შემადგენლობით შეიქმნა.<sup>39</sup> სამხედრო კომისია, ფაქტიურად, სოციალ-დემოკრატების და ეროვნულ-დემოკრატების ორგანო იყო.<sup>40</sup> საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრების შემდეგ სამხედრო კომისიაში ეროვნულ-დემოკრატი გიორგი წინამძღვრიშვილი შევიდა.<sup>41</sup>

აღსანიშნავია, რომ საღვარგარეთიდან სოციალ-დემოკრატ ნოე ხომერიკის ჩამოსვლის შემდეგ დამკომის მუშაობა ერთგვარად გამოცოცხლდა.<sup>42</sup> ნოე ხომერიკმა დამკომის ერთ-ერთ სხდომაზე საქართველოს ემიგრანტული მთავრობისა და საზღვარგარეთის ბიუროს საქმიანობის შესახებ მოხსენება წაიკითხა. მისი თქმით, სწორედ მათი ეფექტური მუშაობის წყალობით საქართველოს საკითხი ევროპაში უფრო პოპულარული გახდა. ნოე ხომერიკმა დამკომის სხდომაზე ასევე განაცხადა, რომ თუ საქართველო აჯანყების შემდეგ შეძლებდა ძალაუფლების ხელში აღებას და მის შენარჩუნებას ერთი-ორი თვის განმავლობაში, მაშინ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მხრიდან დიპლომატიური საშუალებებითა და ფულადი სახსრებით დახმარების დიდი ალბათობა არსებობდა.<sup>43</sup>

დამკომის გააქტიურებული მუშაობა 1923 წლის 9 ნოემბერს ნოე ხომერიკის დაპატიმრებამ შეწყვიტა.<sup>44</sup> სამხედრო კომისიაში ნოე ხომერიკი გოგიტა ფაღავამ შეცვალა. ამის შემდეგ სამხედრო კომისიამ თბილისში სპეციალური „სამხედრო ქვეკომისია“ შექმნა საზღვარგარეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატ ნაპოლეონ კახიანისა და ეროვნულ-დემოკრატ სოლომონ ზაღდასტანიშვილის შემადგენლობით. ნაპოლეონ კახიანის დაპატიმრების შემდეგ თბილისის სამხედრო ქვეკომისიაში ვასილ (ვასო) ნოდია შევიდა. გოგიტა ფაღავას და გიორგი წინამძღვრიშვილის დაპატიმრების შემდეგ თბილისის ქვეკომისიამ, ვასო ნოდია და სოლომონ ზაღდასტანიშვილის შემადგენლობით, სამხედრო კომისიის ფუნქციები თავის თავზე აიღო. მოგვიანებით, დაპატიმრებული ვასო ნოდია საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა ვალიკო ჯუღელმა შეცვალა.<sup>45</sup>

სამხედრო კომისია რეგიონებში არსებულ დამკომის სამხედრო ორგანიზაციებს ეყრდნობოდა, ხოლო იქ, სადაც ასეთი არ არსებობდა – სპეციალურ სამხედრო რწმუნებულებებს. ეს რწმუნებულებები იმ პირების აღრიცხვას ახორციელებდნენ, რომლებსაც აჯანყებაში მონაწილეობის მიღება შეეძლო. ეს ისეთიარად კეთდებოდა, რომ ამის შესახებ ხშირ შემთხვევაში აღრიცხვაზე აყვანილებმაც კი არ იცოდნენ.<sup>46</sup> სამხედრო კომისია, მოსამზადებელი სამუშაოების დამთავრების შემდეგ, აჯანყების საკითხს დამკომში სვამდა,

<sup>38</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 81-84.

<sup>39</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 301.

<sup>40</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცელი 352.

<sup>41</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 2, ფურცელი 186.

<sup>42</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 2, ფურცელი 186.

<sup>43</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 3.

<sup>44</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 305.

<sup>45</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 245.

<sup>46</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 13.

გადაწყვეტილებას კი დამკომის გაფართოებული სხდომა იღებდა. აჯანყების თარიღის განსაზღვრა აჯანყების წინ დანიშნული მთავარსარდლის და მისი შტაბის კომპეტენციას შეადგენდა.<sup>47</sup>

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი სამხედრო კომისიები ჰქონდათ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამხედრო კომისიაში თავდაპირველად **ვასილ ნოდია** და **გოგიტა ფაღავე** შედიოდნენ, შემდეგ კი – **გიორგი ჯინორია** და **კოტე ანდრონიკაშვილი**. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო კომისიაში თავიდან შედიოდნენ: **დავით (დათა) ვაჩნაძე**, **ილიკო სიხარულიძე** და **სოლომონ ზალდასტანიშვილი**, მოგვიანებით კი – **სოლომონ ზალდასტანიშვილი** და **გიორგი წინამძღვრიშვილი**.<sup>48</sup> 1923 წლის დასაწყისიდან საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაქვემდებარებაში მყოფი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი დამკომის განკარგულებაში გადავიდა. აქედან მოყოლებული დამკომი ქაქუცა ჩოლოყაშვილს ყოველთვიურად 200 ლირას უგზავნიდა. დამკომი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ურთიერთობას სამხედრო კომისიის მეშვეობით აწარმოებდა.<sup>49</sup>

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის სამხედრო კომისია ამავე პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან არსებობდა. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას სამხედრო კომისია არ ჰქონდა. სოციალისტ-რევოლუციონერებმა მხოლოდ 1924 წლის აჯანყების წინ თბილისში „საგანგებო სამხედრო რაზმი“ შექმნეს. დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას სამხედრო ორგანიზაცია არ შეუქმნია.<sup>50</sup>

დამკომთან არსებულ სარედაქციო კომისიას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **დავით ონიაშვილი** ხელმძღვანელობდა. სარედაქციო კომისია დამკომის თავმჯდომარის მითითებებით დამკომის ბრძანებების, წერილების, პროკლამაციების გადამუშავებას ასორციელებდა. დავით ონიაშვილს დამკომის სხდომებზე დასწრების უფლება არ ჰქონდა.<sup>51</sup>

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს რეგიონებში რწმუნებულები და კომისიები ჰყავდა. დამკომი რწმუნებულებს ისეთ დიდ რაიონებში ნიშნავდა, სადაც პარიტეტული კომისიის შექმნა ვერ მოხერხდებოდა. ასეთი იყო ბათუმის ოლქი, სადაც დამკომის ერთადერთი სრულუფლებიანი წარმომადგენელი **გიორგი (გიზო) ანჯაფარიძე** იყო.<sup>52</sup>

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან ტერორისტული ჯგუფი არსებობდა, რომელსაც **მიხეილ კოდუაშვილი** ხელმძღვანელობდა. 1923 წლის 10 თებერვალს სწორედ ამ ჯგუფმა ოზურგეთის მაზრის სოფელ **ლიხაურში** სამხედრო კომისარ **ალექსანდრე ობოლაძეზე** და წითელი ჯარის მეთაურებზე: **სანიკიძეზე** და **ჩუბინიძეზე** თავდასხმა განახორციელა, რომლის დროსაც აღნიშნული პირების ლიკვიდირება მოხდა.<sup>53</sup>

მართალია, საქართველოს საგანგებო კომისია თავისი აგენტურული ქსელის მეშვეობით იღებდა ინფორმაციებს 1924 წლის აჯანყების მზადების შესახებ და, ამდენად, „კარგად“ მუშაობდა, მაგრამ არანაკლებ კარგად მუშაობდნენ პატრიოტული ძალები. მათ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიაში თავიანთი კაცი **არჩილ ნიკოლოზის ძე კახიანი** ჰყავდათ (ზოგიერთ დოკუმენტში ის კახიშვილად მოიხსენიება – **ავტ.**). არჩილ კახიანის გადაბირება ნოე ხომერიკის ინიციატივით მოხდა. ნოე ხომერიკი არჩილ კახიანის ბიცოლას

<sup>47</sup>სოლომონ ზალდასტანიშვილი. 1924 წლის ამბოხება. თბილისი, 1989, გვ. 19.

<sup>48</sup>ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 308.

<sup>49</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 771.

<sup>50</sup>ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 308.

<sup>51</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 310-314.

<sup>52</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 352-353.

<sup>53</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 771.

ალექსანდრა ჯუღელს დაუკავშირდა და თხოვა მას არჩილ კახიანის საზღაურის საფასურად გადმოიბრება ეცადა. საბოლოოდ, არჩილ კახიანი ამ წინადადებას დათანხმდა და 1923 წლის ივნის-ივლისიდან ალექსანდრა ჯუღელისათვის ინფორმაციების მიწოდება დაიწყო.<sup>54</sup>

1923 წლის აგვისტოში ნოე ხომერიკმა ალექსანდრა ჯუღელის მეშვეობით არჩილ კახიანს დაავალა გაერკვია შემდეგი: „1) ვინ გასცა სამხედრო ორგანიზაცია; 2) მოეცა ყველა ცნობა რომელიც გააჩნდა ინფორმატორებზე; 3) მენშევიკების ცეკას წევრების (ხომერიკი, ცინცაძე, ფაღავა) რა მისამართები იყო ცნობილი ჩეკასთვის“.

1923 წლის ოქტომბერში ნოე ხომერიკმა არჩილ კახიანს ახალი დავალება მისცა. მას უნდა გაერკვია: „1) იყო თუ არა ცნობილი ჩეკასთვის რომ მენშევიკები აგრძელებდნენ მუშაობას პარტიის მიერ სალიკვიდაციო კონფერენციის ჩატარების შემდეგ; 2) გადაეცა ასლები დაპატიმრებულების ჩვენებების, მათ შორის ჭუმბურიძის ჩვენება; 3) ინფორმატორების სია; 4) რა ცნობები ჰქონდა ჩეკას ფედერალისტებზე და ეროვნულ-დემოკრატებზე; 5) რა ხდებოდა აზერბაიჯანში; 6) ცნობები მენშევიკების მუშაობაზე საზღვარგარეთ“.

დავალების მიცემიდან რამდენიმე დღეში არჩილ კახიანმა ალექსანდრა ჯუღელის მეშვეობით ნოე ხომერიკს გადასცა საზღვარგარეთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორი თუ სამი შეკრების ამსახველი დოკუმენტის ასლი და საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის თვიური მოხსენების ასლი.

1923 წლის ოქტომბერში ნოე ხომერიკმა არჩილ კახიანს დაავალა გაერკვია, თუ რა იცოდნენ საქართველოს საგანგებო კომისიაში საზღვარგარეთ მყოფ და საქართველოში დაბრუნებულ პოლიტიკურ მოღვაწეებზე. როგორც არჩილ კახიანმა გაარკვია, საქართველოს საგანგებო კომისია ფლობდა ინფორმაციას საზღვარგარეთიდან ვალიკო ჯუღელის ჩამოსვლის შესახებ. ნოე ხომერიკმა არჩილ კახიანს ალექსანდრა ჯუღელის ხელით მიწოდებული ინფორმაციებისთვის 150 ლირა გადაუხადა.<sup>55</sup>

საქართველოს საგანგებო კომისიამ ნოე ხომერიკი 1923 წლის 9 ნოემბერს დააპატიმრა.<sup>56</sup> დაპატიმრებისას ნოე ხომერიკს აღმოაჩნდა: 1923 წლის 6 სექტემბრიდან 1923 წლის 30 სექტემბრამდე სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შესახებ ცნობები, ცნობები ვარშავიდან და საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის პოლიტიკური განყოფილების 1923 წლის სექტემბრის თვის მოხსენება.<sup>57</sup> ნოე ხომერიკს ასევე საზღვარგარეთიდან სპეციალურად მისთვის გამოგზავნილი წერილი აღმოაჩნდა. წერილში მას საქართველოს ემიგრაციაში მყოფი მთავრობის წარმომადგენლები სწერდნენ: „გიგზავნით რადიო-აპარატს. თუ ეს აპარატი იმუშაავებს, ჩვენ საშუალება გვექნება სამხედრო ცნობები შევკრიბოთ მთელ კავკასიაში, ჩვენი მიზნებისათვის ამას დაუფასებელი მნიშვნელობა ექნება“.

ნოე ხომერიკის დაპატიმრებისას აღმოჩენილმა მასალებმა არჩილ კახიანის საქმიანობა გამოამჟღავნა<sup>58</sup> და 1923 წლის 10 ნოემბერს იგი პატიმრობაში აიყვანეს.<sup>59</sup> პატიმრობაში აიყვანეს ასევე ალექსანდრა ჯუღელი. 1924 წლის მარტში, საქართველოს საგანგებო კომისიაში ხანგრძლივი დაკითხვების შემდეგ, ალექსანდრა ჯუღელი გაათავისუფლეს, არჩილ კახიანი კი 1924 წლის 15 იანვარს, ღამის 1 საათზე, დახვრიტეს.<sup>60</sup>

<sup>54</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 6, საქმე 23472, ფურცლები 8-23.

<sup>55</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 6, საქმე 23472, ფურცელი 23.

<sup>56</sup>თენგიზ ენდელაძე. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2004, გვ. 28.

<sup>57</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 28, ფურცელი 11.

<sup>58</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 28, ფურცელი 11.

<sup>59</sup>თენგიზ ენდელაძე. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2004, გვ. 28.

<sup>60</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 6, საქმე 23472, ფურცლები 41-47.

წარმოებულ კონტრდაზვერვითი სამუშაოების შედეგად მოპოვებულ მასალებს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას აწვდიდა.<sup>61</sup>

საქართველოს საგანგებო კომისიამ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები დააპატიმრა. ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეს მიხეილ ჩაჩუას ჩხრეკისას აღმოაჩნდა: ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქისა და კავკასიის განსაკუთრებული არმიის ნაწილების დისლოკაციის აღმნიშვნელი მასალები; საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, აღნიაშვილის ხელით დაწერილი მოხსენება; საქართველოს საგანგებო კომისიის განყოფილების უფროსის, პეტროსიანცისა და საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ოკუჯავას საიდუმლო ბრძანებები.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით გიორგი წინამძღვრიშვილი აგროვებდა ცნობებს ქართული და რუსული წითელი არმიის რაოდენობის, მილიციისა და საგანგებო დანიშნულების ნაწილების მდგომარეობის შესახებ საქართველოში. ამ მიზნით, გიორგი წინამძღვრიშვილს მაზრებში სათანადო რწმუნებულები ჰყავდა. დასავლეთ საქართველოში მსგავსი ხასიათის ცნობებს „დასავლეთ საქართველოს კომიტეტი“ აგროვებდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს სეით დევდარიანს დაპატიმრებისას წითელი ჯარის დისლოკაციისა და რაოდენობის აღმნიშვნელი მასალები აღმოაჩნდა.

სოციალ-დემოკრატ გიორგი (გოგიტა) ფაღავას დაპატიმრების დროს კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი წერილი უპოვეს, რომელსაც ხელს ვინმე „დიმიტრი“ აწერდა. წერილი 1923 წლის 5 სექტემბრით თარიღდებოდა. წერილში შემდეგი ფრაზა იყო: „ამას გარდა მოგვაწოდეთ სამხედრო ინფორმაცია“. გოგიტა ფაღავას ასევე საზღვარგარეთიდან „ფრანსუას“ მიერ გამოგზავნილი წერილი (1923 წლის 3 სექტემბრის თარიღით) აღმოაჩნდა. ამ წერილში ავტორი იძლეოდა ცნობებს სამხედრო გადაჯგუფების შესახებ სარატოვ-ასტრახან-ბაქოს რეგიონებში და ამ ცნობების გადამოწმებას ითხოვდა.

საქართველოს საგანგებო კომისიას ხელში საზღვარგარეთიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილი წერილიც ჩაუვარდა, რომელიც 1924 წლის 5 ივლისით თარიღდებოდა. წერილში ითხოვდნენ: „რაც შეიძლება ჩქარა გვაცნობეთ რუსული ჯარის რეორგანიზაცია, მისი ძალები და ქართული ჯარის რაოდენობა“. მეორე წერილში კი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს კონსტანტინოპოლიდან წერდნენ: „გვაცნობეთ შემდეგი: გადავიდნენ ჩვენში სამილიციო სისტემაზე თუ არა? ან თუ რეგულარულ ნაწილებთან ერთად არსებობენ ტერიტორიალური ნაწილები? როდის და სად მოეწყენ და რამდენია რუსის ჯარი?... ფრიად საჭიროა“.<sup>62</sup>

არაღეგაღურად მომუშავეები, როგორც წესი, წერილებს სათანადოდ შიფრავდნენ. საიდუმლო მიმოწერის მთელი ტექსტი არ იშიფრებოდა, რადგან როგორც დაშიფრვა, ისე გაშიფრვა დიდ დროს მოითხოვდა. ამიტომ ცალკეული, მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ადგილები იშიფრებოდა.<sup>63</sup>

თუმცა, როგორც გაირკვა, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შიფრების გამოყენება ცალკეულმა პირებმაც დაიწყეს. ამის გამო დამკომი ქაქუცა ჩოლოყაშვილს ატყობინებდა: „შევიტყვეთ, რომ ჩვენი შიფრით სხვებიც სარგებლობენ კერძო წერილებისათვის. ეს დაუშვებელია. ამიტომ ახალ შიფრს გიგზავნით, რომელსაც ძველი

<sup>61</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 770.

<sup>62</sup>საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარტიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა). თბილისი, 1925, გვ. 79-81.

<sup>63</sup>მალსახ მაცაბერიძე. ფოსტა №14. საქართველო აჯანყების წინ.- ჟურნალი „ახალი დროება“, 1999, №4, ივნისი-ივლისი, გვ. 40.

გასაღებოთ გაშიფრავთ ლექსად და შემდეგ ისარგებლებოთ ძველისამებრ. ეს შიფრი შეიძლება იცოდეს მხოლოდ ორმა.<sup>64</sup>

არაღუგაღურად მომუშავე პირები კონსპირაციის მიზნით სხვადასხვა სახელებს (ფსევდონიმებს) ირქმევდნენ, მაგალითად: „სოლომონი“ კონსტანტინე ანდრონიკაშვილის ფსევდონიმი იყო, „ზურაბი“ – ვალიკო ჯუღელის,<sup>65</sup> „გაიოზი“ – ალექსი ბოკერიახი (ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თავმჯდომარე),<sup>66</sup> „ფრიდონი“ – დავით ონიაშვილის (დ. ონიაშვილი ამ ფსევდონიმს 1921-1922 წლებში ატარებდა),<sup>67</sup> „ფრანსუა“ – ნოე ხომერიკის,<sup>68</sup> „ფრიდონი“ – გრიგოლ ცინცაბაძის (გრიგოლ ცინცაბაძე ამ ფსევდონიმს 1924 წელს ატარებდა),<sup>69</sup> „მთის არწივი“ – მიხეილ ლაშქარაშვილის,<sup>70</sup> „ორბი“ – სიმონ ბაგრატიონ-მუსხრანელის,<sup>71</sup> „ლუკა“ – იოსებ ცინცაძის,<sup>72</sup> „გოგი“ – ქაქუცა ჩოლოყაშვილის, „ქართლოსი“ – სოლომონ ზაღდასტანიშვილის, „სიკო“ – ვასილ (ვასო) წულაძის, „სამფერი“ – დავით ვაჩნაძის, „ავთანდილი“ – გიორგი (გოგიტა) ფაღავასი.<sup>73</sup>

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ჩრდილო კავკასიასთან და აზერბაიჯანთან დაკავშირება და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის ორგანიზება იყო. სომხებთან მოლაპარაკება პრაქტიკულად არ წარმოებდა, რადგან როგორც ნიკოლოზ ქარცივაძემ განაცხადა, სომხები ქართველებთან გულწრფელები არ იქნებოდნენ და ამიტომ მათთან დაკავშირება სარისკო იყო.<sup>74</sup> იგივე აზრზე იდგა ნოე ხომერიკი, რომლის თქმით „ჩვენი პარტია მუსავატელებთან ხელიხელჩაკიდებული ივლის. დაშნაკებს კი მაინცდამაინც ვერ ვენდობით“-ო. სომხეთთან დაკავშირებით ნოე ჟორდანიას თავის სადირექტივო წერილში აცხადებდა: „სომხეთი ჩვენ არ გამოგვევება, ყოველ შემთხვევაში დასაწყისში მაინც, მაგრამ შემდეგ (1924 წლის აჯანყების წარმატების შემთხვევაში – ავტ.) იძულებული გახდება ჩაებას ბრძოლაში“. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ქართველები მაინც შეეცადნენ სომხეთთან კავშირის დამყარებას, თუმცა უშედეგოდ.

1923 წლის მაისში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბაქოში **ევტიხი სალუქვაძე** მიაგვლინა, რათა მას მუსავატელებთან კავშირი დამყარებინა. ევტიხი სალუქვაძე მუსავატელების პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის **მირზა-ბალა-მამედ-ზადეს (მამედოვის)** რწმუნებულს **აღა-ალი იუსუფ-ზადეს** შეხვდა. მირზა-ბალა-მამედ-ზადემ, თავის მხრივ, აღა-ალი იუსუფ ზადეს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან კავშირის დამყარება დაავალა. 1923 წლის ნოემბერში აღა-ალი იუსუფ ზადე თბილისში ჩამოვიდა და გოგიტა ფაღავას შეხვდა, რომელმაც ის ნოე ხომერიკს შეახვედრა. ნოე ხომერიკმა აღა-ალი იუსუფ ზადეს შესთავაზა აზერბაიჯანს აჯანყებაში მონაწილეობა მიეღო, რომელიც, ნოე ხომერიკის თქმით, საქართველოში 2-3 კვირის შემდეგ დაიწყებოდა. აღა-ალი იუსუფ ზადემ განაცხადა, რომ აზერბაიჯანს აჯანყებაში მონაწილეობის მიღება 6 თვეზე უფრო ადრე არ შეეძლო. ამასთან, აღა-ალი იუსუფ ზადემ ქართველებისგან მატერიალური დახმარება ითხოვა. ნოე ხომერიკი მას 300 თურქულ ლირას შეჰპირდა. თუმცა 1923 წლის 9 ნოემბერს საქართველოს საგანგებო

<sup>64</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 28, ფურცელი 26.

<sup>65</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 28, ფურცელი 605.

<sup>66</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცელი 270.

<sup>67</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 194.

<sup>68</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცელი 375.

<sup>69</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 194.

<sup>70</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (I), ფონდი 6, საქმე 24060-64, ფურცელი 44.

<sup>71</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (I), ფონდი 6, საქმე 24060-64, ფურცელი 44.

<sup>72</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (I), ფონდი 6, საქმე 24060-64, ფურცელი 44.

<sup>73</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის მმა შენი?!.. თბილისი, 1998, გვ. 33-356.

<sup>74</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის მმა შენი?!.. თბილისი, 1998, გვ. 56.

კომისიამ ნოე ხომერიკი დააპატიმრა, 1924 წლის თებერვალში – ევტიხი სალუქვაძე და ალა-ალი იუსუფ ზადე, მოგვიანებით კი – გოგიტა ფაღავა. ამის შემდეგ, დამკომის კავშირი აზერბაიჯანთან გაწყდა.<sup>75</sup>

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა მოახერხა ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირის დამყარება. ჩრდილოეთ კავკასიასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა **ქაქუცა ჩოლოყაშვილს**. ქაქუცა ჩოლოყაშვილს დაღესტნის გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერ **ნაჯმუდინ გაცინსკისთან** მუდმივი კონტაქტი ჰქონდა. 1923 წლის აგვისტოში ქაქუცა ჩოლოყაშვილი 7-8 კაციან რაზმთან ერთად ნაჯმუდინ გაცინსკისთან შესახვედრად გაემართა. 1923 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაღესტნიდან ჩენნეთში, კონკრეტულად კი **ტუმსოში** გადავიდა.<sup>76</sup> ჩენნეთში ქაქუცამ გავლენიანი ბეგის **ათაბაი უმაევის** მეშვეობით **ალი მიტაევთან** (ჩენნეთის შეიხი) კონტაქტი დაამყარა. ალი მიტაევი ქაქუცას კავკასიის მასშტაბით აჯანყების მოწყობაში დახმარებას შეჰპირდა.<sup>77</sup> ცოტა ხნის შემდეგ, ათაბაი უმაევი ქაქუცა ჩოლოყაშვილს აცნობა, რომ ჩენნეთში შეიარაღებული ქისტების რაზმი შეიქმნა, რომელიც კახეთში გადასასვლელად მზად იყო. მაგრამ ქისტების ეს რაზმი თუშებმა არ გამოატარეს, რადგან ქისტების მიერ მათი საქონლის გატაცების დიდი ალბათობა არსებობდა.<sup>78</sup>

1923 წლის სექტემბერში სამხედრო კომისიის დავალებით (მაშინ მას ნოე ხომერიკი და გიორგი წინამძღვრიშვილი წარმოადგენდნენ) **გიორგი წინამძღვრიშვილი კონსტანტინე ყარანგოზიშვილთან** ერთად ბაქოს გავლით ჩენნეთში ალი მიტაევთან გაემგზავრა. ალი მიტაევი მზად იყო აჯანყებაში მონაწილეობა მიეღო და რამდენიმე ათასი მებრძოლიც გამოეყვანა, ოღონდ ის საქართველოდან 50 ოფიცრის ინსტრუქტორად გაგზავნას ითხოვდა. ალი მიტაევთან საუბარში გაირკვა, რომ ალი მიტაევსა და დაღესტნის უადრესად პოპულარულ პირს იმამ **ნაჯმუდინს** შორის ერთგვარი შუღლი არსებობდა. თუმცა ალი მიტაევი აღნიშნა, რომ ის მზად იყო საერთო საქმისთვის ეს წყენა დაევიწყებინა და გიორგი წინამძღვრიშვილის თანდასწრებით ნაჯმუდინს შერიგების თაობაზე წერილი მისწერა. გიორგი წინამძღვრიშვილმა კონსტანტინე ყარანგოზიშვილი ჩენნეთში დატოვა, თვითონ კი ათი დღის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა.<sup>79</sup>

საქართველოში დაბრუნებულმა გიორგი წინამძღვრიშვილმა ჩრდილოეთ კავკასიაში მოგზაურობის ანგარიში ნოე ხომერიკს გააცნო, ამ უკანასკნელმა კი – კოტე ანდრონიკაშვილს. დამკომმა გიორგი წინამძღვრიშვილის მოგზაურობის ანგარიში მოისმინა და გადაწყვიტა: ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირი შეენარჩუნებინა. რაც შეეხება 50 ქართველი ოფიცრის ჩრდილოეთ კავკასიაში გაგზავნას, უსახსრობის გამო ეს ამ ეტაპზე ვერ ხერხდებოდა.

მოგვიანებით, საქართველოში ერთი ჩენენი ჩამოვიდა, რომელმაც კონსტანტინე ყარანგოზიშვილის წერილი ჩამოიტანა. კონსტანტინე ყარანგოზიშვილი ჩენნეთში 50 ქართველი ოფიცრის გაგზავნის დაჩქარებას ითხოვდა.

1923 წლის მიწურულს საქართველოდან ჩენნეთში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი **ლეო დგებუაძე** გააგზავნეს. ლეო დგებუაძეს შემდეგი სახის დირექტივები მიეცა: „1. ალი მიტაევი დაარწმუნე, რომ განვაგრძობთ გაძლიერებულ მუშაობას აჯანყების მოსამზადებლად და რომ ეს მუშაობა სერიოზულია; 2. აღუთქვი, რომ 50 ოფიცერს ვუგზავნით; 3. შეკრიბე ინფორმაცია ჩენნეთისა და მისი მეზობლების მდგომარეობაზე“.

<sup>75</sup>ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 322-323.

<sup>76</sup>საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 285, აღწერა 1, საქმე 652, ფურცელი 289.

<sup>77</sup>ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 153-323.

<sup>78</sup>ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 324.

<sup>79</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 16.

1924 წლის იანვრის დამდეგს საქართველოში ლეო დგებუაძე დაბრუნდა. მისი თქმით, ალი მიტაევმა კახაკებთან ვინმე გენერალ ფელიუშინის მეშვეობით გააბა კავშირი. მოგვიანებით, სამხედრო კომისიის წინადადებით (მაშინ მას გოგიტა ფალავა და გიორგი წინამძღვრიშვილი წარმოადგენდნენ) ჩეხეთში მიხეილ იშხნელი გაემგზავრა. 1924 წლის თებერვლის შუა რიცხვებისათვის მიხეილ იშხნელმა ჩეხეთიდან საქართველოში ვილაც ჩეჩენის ხელით წერილი გამოაგზავნა. ამ წერილით იგი საქართველოდან სათანადო ინფორმაციების მიწოდებას ითხოვდა. სწორედ ამ დროს საქართველოს საგანგებო კომისიამ გიორგი წინამძღვრიშვილი დააპატიმრა, რის გამოც ჩეჩენი ფაქტიურად საქართველოდან უპასუხოდ წავიდა. გიორგი წინამძღვრიშვილის დაპატიმრების შემდეგ მალე ჩეხეთიდან საქართველოში მიხეილ იშხნელი დაბრუნდა, რომელმაც ჩეხეთთან კავშირის შენარჩუნების მიზნით თან ერთი ჩეჩენი ჩამოიყვანა.

დამკომის მიერ 1924 წლის თებერვლისათვის დანიშნული აჯანყება გოგიტა ფალავასა და გიორგი წინამძღვრიშვილის დაპატიმრების გამო გადაიღო. ამიტომ, დამკომი ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირის შენარჩუნებას ცდილობდა.

1924 წლის 14 აგვისტოს დამკომმა ყალბი პასპორტებით ჩეხეთში ეროვნულ-დემოკრატი ივანე ავალიშვილი (ზურაბ ავალიშვილის ძმა), ეროვნულ-დემოკრატი ვლადიმერ ბერიძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ნაკაშიძე გაგზავნა. ამ ჯგუფს შემდეგი სახის დირექტივები მიეცა: „1. რაღაც უნდა დასჯდომოდა დაემყარებინა კავშირი ალი მიტაევთან; 2. ადგილზე გასცნობოდნენ საქმის ვითარებას და ერთ-ერთი მათგანი დაბრუნებულიყო ინფორმაციის მისაწოდებლად და დირექტივების მისაღებად; 3. ცდილიყო, დაკავშირებოდა დაღესტანს ნაჯმუდინ გოცინსკის სახით“. დამკომმა მათ სახარჯო ფული – 500-700 მანეთი გამოუყო. ამ ჯგუფმა გროზნოში ჩასვლის შემდეგ გაიგო, რომ ალი მიტაევი დაპატიმრებული იყო. ამის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირი გაწყდა.<sup>80</sup>

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ-დემოკრატი შალვა ამირეჯიბი ჩრდილოეთ კავკასიასთან და აზერბაიჯანთან ერთად აჯანყებას მხარს არ უჭერდა. მისი აზრით, ევროპაში მთიელების დამოუკიდებლობის საკითხი პოპულარული არ იყო და მას არანაირი პერსპექტივა არ გააჩნდა. გარდა ამისა, შალვა ამირეჯიბის აზრით ჩრდილოეთ კავკასიასთან და აზერბაიჯანთან ერთად აჯანყების მოწყობა საქართველოსათვის საზიანო იყო, რადგან როგორც შალვა ამირეჯიბი აცხადებდა, საბჭოთა რუსეთი ბაქოს ნავთობს არ დათმობდა.<sup>81</sup>

ასე რომ, საქართველო, რიგი მიზეზების გამო, იძულებული იყო 1924 წლის აჯანყება მხოლოდ საკუთარი ძალებით დაეწყო.

ამ მუშაობის პარალელურად საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ცდილობდა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა მოეპოვებინა. ამ მიზნით 1923 წლის 26 მაისს დამკომმა ერთა ლიგას წერილი გაუგზავნა (წერილის ასლი ასევე ევროპის სოციალისტურ პარტიებს, ამსტერდამის ინტერნაციონალსა და ევროპის სახელმწიფოების მთავრობებს გაეგზავნა). წერილში ნათქვამი იყო: „ქართველი ერის სახელით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის გარშემო ადგილობრივ შემოკრებილია დღეს მრავალტანჯული ქართველი ერი, მიმართავს ერთა ლიგას და მისი საშუალებით მთელ განათლებულ კაცობრიობას და აუწყებს მათ ქართველი ერის დღევანდელ უბედურ მდგომარეობას.

ჩვენს მიერ აღწერილი სურათი ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობისა იქნება მერთალი, რადგან შეუძლებელია სიტყვით გადმოცემა იმ ვაების, იმ წამებისა, რომელსაც დღეს განიცდის საქართველო...

1921 წლის თებერვალში რუსის ჯარი მოულოდნელად შემოესია ჩვენს საქართველოს... რუსეთმა ის კვლავ დაიპყრო. დღეს საქართველო კვლავ რუსეთის ოკუპაციის ქვეშაა. ეს ოკუპაცია – დაპყრობა არ შეედრება არც ერთ ისტორიაში არსებულ ეროვნულ

<sup>80</sup>ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 153-327.

<sup>81</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცლები 16-17.

ძალდატანებას და დაპყრობას... საქართველოში გამეფდა უსაშინელესი კულტურული და ფიზიკური ტერორი. დღეს საქართველოს განაგებს რუსეთის ჩეკა და დამსჯელი რაზმები... საქართველო სასაკლავოდ არის გადაქცეული. ნადგურდება და ისპობა პატარა კულტურული ერი. ვფიქრობთ, რომ ერთა ლიგა აიმაღლებს თავის ავტორიტეტულ ხმას ამ ბარბაროსობის წინააღმდეგ...

რუსეთის ჩეკამ და დამსჯელმა რაზმებმა ამ ორი წლის განმავლობაში ააოხრეს, ცეცხლს და მახვილს მისცეს საქართველოს მთელი ოლქები: კახეთი, სვანეთი, გურია. ამ ორი თვის წინათ გურია, საქართველოს ეს საუკეთესო და კულტურული ნაწილი, სამხედრო ექსპედიციებმა მთლად გაანადგურეს. აქ ჩეკამ გაგზავნა დამსჯელი რაზმების მეთაურად ყოფილი ყაჩაღი, ახლა ბოლშევიკი ობოლადე. ობოლადემ გადასწვა მთელი სოფლები, დახვრიტა უდანაშაულო ხალხი, ცეცხლში დაწვა ახალგაზრდა უდანაშაულო 15 წლის ვაჟი. ეს ვერაგი მოკლეს და ამ მკვლელობას დამპყრობლებმა იმით უპასუხეს, რომ ერთ ღამეში 92 კაცი გამოიყვანეს თბილისის ციხიდან და დახვრიტეს, მათ შორის 15 პოლიტიკური მოღვაწე, მასწავლებლები, სტუდენტები, კოოპერატორები, მუშები, გლეხები...

ამა წლის 20 მაისს რუსეთის ჩეკამ გაუსამართლებლად დახვრიტა 15 ქართველი მხედარი. ქართველი მხედრობის ხელმძღვანელები – გენერლები, შტაბის ოფიცრები, სახელგანთქმული მეომრები და პოლიტიკური მოღვაწენი...

ისპობა და ნიაველება საუკუნეობით შექმნილი კულტურული ნაშთები. საქართველოში არ გაისმის არა თუ თავისუფალი სიტყვა და აზრი, მორწმუნე ხალხს ღოცვაც აღარ შეუძლია. ბოლშევიკურმა რუსეთმა დაანგრია და გაანადგურა ეკლესია-მონასტრები... საშუალო საუკუნეების ინკვიზიცია არარაა იმ წამებასთან, რომელსაც ოკუპანტები აყენებენ მუშებსა და გლეხებს... მაგრამ ქართველი ერი შეგნებულად ებრძვის დამპყრობელთ და იცავს თავის კულტურას და დამოუკიდებლობას.

ერთა ლიგისადმი მიმართვა ქართველი ერისათვის არის ერთი ამ საშუალებათაგანი... ისმინეთ ხმა კულტურული პატარა ერისა. ეს ერი იფლიტება ფიზიკურად, ისპობა მისი კულტურა, ინგრევა მისი კულტურული კერა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს იმედი აქვს, რომ ერთა ლიგა – ეს სამართლიანობის უაღრესი ორგანო, მიიღებს ყოველგვარ ზომებს ქართველი ერის გადასარჩენად და მისი დამოუკიდებლობის აღსადგენად<sup>82</sup>.

აღნიშნული წერილი კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა შეიმუშავა და რედაქტირებისთვის ის დავით ონიაშვილს გადასცა. დავით ონიაშვილმა რედაქტირების შემდეგ წერილი წასაკითხად იასონ ჯავახიშვილსა და მიხეილ ბოჭორიშვილს გადასცა. სოციალისტ-ფედერალისტები და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები წერილზე ხელმოსაწერად არ გამოცხადნენ.<sup>83</sup>

ხაზგასასმელია ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობით უკმაყოფილო იყო. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა წერილი, რომელიც ნოე ხომერიკს დაკავებისას აღმოაჩნდა. დამკომი კონსტანტინოპოლის და პარიზის კომიტეტებს შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნიდა: „თქვენდამი თხოვნით მიმართვამ არანაირი შედეგი არ გამოიღო. ორი თვეა თქვენ წერთ ერთი და იმავე შინაარსის წერილებს.– შალვა ქართველიშვილისაგან, შალიკაშვილის ხელწერით, 15-20/VIII თარიღით. 5/XII-ს მენშევიკებმა მიიღეს კონსტანტინოპოლიდან ფოსტა, დათარიღებული 8/XI-ით. ამას მოჰყვა 19/VIII-ით თარიღით დაწერილი წერილის ასლი და სხვა არაფერი.

ნუთუ შეუძლებელია პატარა წერილების გადაწერა.

<sup>82</sup>ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია). რედ. აკ. როინ მეტრეველი. თბილისი, 2004, გვ. 550-552.

<sup>83</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცელი 374.



მთავარი კომიტეტი განცვიფრებულია თქვენი საქციელით. აქამდე საზღვარგარეთ წასულმა არცერთმა პიროვნებამ და არც კომიტეტმა არაფერი არ შეგვატყობინეს თავის მუშაობაზე. აქ ბევრი საქმეა, ხოლო თქვენ კი იქ უსარგებლო საქმეებით ხართ დაკავებული.

იქ უნდა შეიქმნას კომიტეტი ორი პირისგან, საზღვარგარეთის საქმეების წარმოებისთვის, ამიტომაც მთავარი კომიტეტი ანულირებას უკეთებს ყველა მანდატს, რომელიც გამოცემულია საზღვარგარეთის ყოფილი წევრების მიერ /ასათიანი, გვაზავა, ბაქრაძე, გარდა კედიასი და გ. ვაშაპელის/.

ბოლო „ინტერვიუს“ ვთვლით არაწინდახედულად ნაციონალური საქმისთვის. ეს ნიშნავს კონსპირაციის დარღვევას, ჩვენი სამუშაოს ჩავარდნას.

ამ საკითხზე მოგვეცით ამომწურავი ახსნა-განმარტება.

რა არის გაკეთებული დანიშნულ „ვადასთან“ დაკავშირებით. ორი თვე გავიდა, თქვენ კი დუმხართ.

დამკომი გაგიგზავნით ფრიად საიდუმლო მისიით განსაკუთრებულ კურიერს. ამ საკითხს ჩვენი პარტია მოაგვარებს წარმატებულად. პასუხი უნდა იყოს საჩქაროდ, ამ საკითხს მოეკიდეთ კონსპირაციულად.

5/VIII წერილით ადამიანი მოვა.

მთავარი კომიტეტი: შალვა, გიორგი, იასონი 7/XII-23 წელი<sup>84</sup>

1924 წლის მაისში საზღვარგარეთიდან თბილისში **ვასილ (ვასო) ნოდია, ვალიკო ჯუღელი, ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი, ვლასა მგელაძე, ვასილ ცინცაბაძე და ბიქტორ ცენტერაძე** ჩამოვიდნენ. მათ შემდეგი სახის ინფორმაცია ჩამოიტანეს: „საერთაშორისო მდგომარეობა ხელს უწყობს აჯანყების დაწყებას, და, თუ ვინიცობაა, აჯანყება დამარცხდეს, მაშინ მოძრაობა პროვინციებში უნდა გაგრძელდეს, რომ ამით პარიზში მყოფმა გაერთიანებულმა ცენტრმა შესძლოს ზოგიერთ მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოსთან დიპლომატიური წესით მოაგვაროს საქართველოს საკითხი რუსებთან“.<sup>85</sup>

საქართველოს ემიგრანტული მთავრობა ვალიკო ჯუღელზე დიდ იმედს ამყარებდა. მას მალეულად პარიზში სენ-სირის სამხედრო სკოლა დაამთავრებინეს. აჯანყებას სამხედრო თვალსაზრისით სწორედ ვალიკო ჯუღელი უნდა ჩადგომოდა სათავეში.<sup>86</sup>

1924 წლის ზაფხულში დამკომმა ნოე ჟორდანიასაგან სადირექტივო წერილი მიიღო (ეს წერილი ვლასა მგელაძემ ჩამოიტანა, რომელიც შემდეგ ბენია ჩხიკვიშვილს დაპატიმრებისას აღმოუჩინეს). ამ წერილში ნოე ჟორდანია დაწვრილებით მიმოიხილავდა საქართველოში აჯანყების საკითხს და მეზობლებთან (ჩრდილოეთ კავკასია, აზერბაიჯანი) დამოკიდებულებას. თუმცა ეს წერილი საქართველოს საგანგებო კომისიას ჩაუვარდა ხელში.<sup>87</sup>

საქართველოში აჯანყების თარიღის დანიშვნა დამკომისა და მთავარსარდლის კომპეტენცია იყო. აჯანყების მთავარსარდლად გენერალ **სპირიდონ ჭავჭავაძის** კანდიდატურა წამოაყენეს. კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა სპირიდონ ჭავჭავაძესთან მოლაპარაკება დაიწყო. სპირიდონ ჭავჭავაძე შემოთავაზებულ წინადადებას დათანხმდა. მთავარსარდლის დასახმარებლად ორი პოლკოვნიკი დაინიშნა. დამკომის გადაწყვეტილებით აჯანყება საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულებას უნდა დამთხვეოდა.<sup>88</sup>

დამკომმა საერთაშორისო ვითარების გასარკვევად საზღვარგარეთ **ვასო ნოდია** გაგზავნა. ვასო ნოდია საზღვარგარეთ მომუშავე ქართულ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიებს აუწყა, რომ დამკომი უკვე მზად იყო საქართველოში აჯანყების დასაწყებად და ამიტომაც, დამკომს აინტერესებდა საერთაშორისო მდგომარეობა იყო თუ არა ხელსაყრელი.

<sup>84</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 28, ფურცელი 27.

<sup>85</sup>სოლომონ ზალდასტანიშვილი. 1924 წლის ამბოხება. თბილისი, 1989, გვ. 27.

<sup>86</sup>გელა სულაძე. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.). თბილისი, 2010, გვ. 80.

<sup>87</sup>ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 308.

<sup>88</sup>სოლომონ ზალდასტანიშვილი. 1924 წლის ამბოხება. თბილისი, 1989, გვ. 23-26.

ვასო ნოდიაშ საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა პასუხი – საერთაშორისო სიტუაცია აჯანყების დასაწყებად ხელსაყრელი იყო.<sup>89</sup>

საზღვარგარეთიდან მიღებული ინფორმაციების გათვალისწინებით, დამკომმა საქართველოში აჯანყება 1924 წლის თებერვლისათვის დანიშნა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, 1923 წლის 9 ნოემბერს საქართველოს საგანგებო კომისიამ **ნოე ხომერიკი** დააპატიმრა, 1924 წლის 24 იანვარს – **გოგიტა ფალავა** (გ. ფალავა აზერბაიჯანთან კავშირის დამყარების შემდეგ ბაქოდან ჩამოსულმა კაცმა გასცა, რომელმაც ჩეკისტი მის ფარულ ბინაში მიიყვანა), 1924 წლის 28 იანვარს – **გიორგი წინამძღვრიშვილი** (გ. წინამძღვრიშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან იარაღს აგზავნიდა, მაგრამ იარაღის წამღებთა შორის ერთი მოღალატე აღმოჩნდა).<sup>90</sup> ამიტომ, დამკომი იძულებული გახდა, განხორციელებული მასობრივი დაპატიმრებებისა და ფულადი სახსრების უქონლობის გამო, აჯანყების თარიღი გადაეწია.

დამკომისა და სამხედრო კომისიის ერთობლივი სხდომა 1924 წლის ივლისის დასაწყისში ჩატარდა. სხდომას ესწრებოდნენ: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ბოჭორიშვილი, ვალიკო ჯუღელი, სოლომონ ზაღდასტანიშვილი და შალვა ამირეჯიბი**. სამხედრო კომისიის მოხსენება სოლომონ ზაღდასტანიშვილმა წაიკითხა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: აჯანყების მოწყობას აღმოსავლეთ საქართველოში თავის თავზე ქაქუცა ჩოლოყაშვილი იღებდა, რომლის განკარგულებაში 600 შეიარაღებული მებრძოლი იყო. ქაქუცა ჩოლოყაშვილს კახეთი, დუშეთის მაზრა და მანგლისის რაიონი უნდა აეჯანყებინა. გარე კახეთში აჯანყებისათვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უნდა ეხელმძღვანელა. გურიას (ძირითადად სოციალ-დემოკრატებს) 700 შეიარაღებული უნდა გამოეყვანა, სვანეთს – 600, სამეგრელოს – რამდენიმე ასეული. სვანეთისა და სამეგრელოს შეიარაღებულ ძალებს აფხაზეთის დაკავება ევალებოდათ. იმერეთში იმედები ძირითადად შორაპნის მაზრაზე იყო დამყარებული. აჯანყების გეგმაში მთავრობის იარაღის საწყობების ხელში ჩაგდება, ამ იარაღების მოსახლეობისათვის გადაცემა და ამით აჯანყების კიდევ უფრო გაფართოება შედიოდა. ქალაქ თბილისში სოციალ-დემოკრატებს 500 შეიარაღებული მებრძოლი უნდა გამოეყვანათ, ეროვნულ-დემოკრატებს – 150, სოციალისტ-რევოლუციონერებს – 60. სამთავრობო ჯარების რაოდენობა (რუსული წითელი არმია და წითელი არმიის ქართული ნაწილები), სოლომონ ზაღდასტანიშვილის ინფორმაციით, 10-11 ათასს აღწევდა. სოლომონ ზაღდასტანიშვილის აზრით, წითელი არმიის ქართული ნაწილების აჯანყებულთა მხარეზე გადასვლის დიდი ალბათობა არსებობდა.<sup>91</sup>

1924 წლის ივლისის ბოლოს დამკომისა და სამხედრო კომისიის მეორე გაფართოებული სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, ვალიკო ჯუღელი, სოლომონ ზაღდასტანიშვილი, შალვა ამირეჯიბი**<sup>92</sup> და მთავარსარდალი გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე. ბინას, სადაც სხდომა ტარდებოდა **მიხეილ (მიშა) კოლუაშვილის** და ეროვნულ-დემოკრატთა შეიარაღებული რაზმი იცავდა. ეს სხდომა ფაქტიურად წინა სხდომის გაგრძელება იყო. მთავარსარდალმა განაცხადა, რომ ძალები აჯანყებისათვის და აჯანყების ტექნიკური თვალსაზრისით მომზადება მას საკმარისად მიაჩნდა.<sup>93</sup> საბოლოოდ, სხდომამ შეიარაღებული აჯანყების საკითხი დადებითად გადაწყვიტა. ამის შემდეგ, თანხმობის მიღების მიზნით, აჯანყების საკითხი დამკომში შემავალი პოლიტიკური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში იქნა გადატანილი.<sup>94</sup>

<sup>89</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცელი 373.

<sup>90</sup> სოლომონ ზაღდასტანიშვილი. 1924 წლის ამბოხება. თბილისი, 1989, გვ. 23.

<sup>91</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (III), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 14.

<sup>92</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის მშა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 246.

<sup>93</sup> სოლომონ ზაღდასტანიშვილი. 1924 წლის ამბოხება. თბილისი, 1989, გვ. 29.

<sup>94</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის მშა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 246.

დამკომმა აჯანყების თარიღად 1924 წლის 17 აგვისტო დანიშნა. აჯანყება შემდეგი გეგმით უნდა წარმართულიყო: აჯანყება პირველად თბილისში დაიწყებოდა. ამისათვის ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით თბილისს 20 კილომეტრზე მიუახლოვდებოდა და სოფელ **ნახშირის გორასთან** დაბანაკდებოდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილს დაუკავშირდებოდნენ: **მიხეილ (მიშა) ლაშქარაშვილი** თავისი რაზმით, **გ. ნაცვლიშვილი** დუშეთისა და დიდმის რაზმით, **ელიზბარ ვაჩნაძე** ბორჩალოს რაზმით. ამ ძალებს მანგლისის რაზმი დაემატებოდა. ვაზიანში დისლოცირებული წითელი არმიის არტილერია 120 ზარბაზანს ითვლიდა. ამ იარაღის ხელში ჩაგდება თბილისის ბედს ნახევრად მაინც წყვეტდა. ამიტომ, აჯანყებულებს რაღაც არ უნდა დაჯდომოდათ ეს არტილერია ხელში უნდა ჩაეგდოთ. ამ რაიონის სარდლად არტილერისტი პოლკოვნიკი **ირაკლი ცაგურია** დაინიშნა. ირაკლი ცაგურიას განკარგულებაში სოციალ-დემოკრატთა რაზმი იყო. შემუშავებული გეგმით, ამ რაზმს რუსებისათვის ზარბაზნები უნდა წაერთმია და თბილისისათვის ნაეთლუდის მხრიდან უნდა შეეტია. აჯანყების მეორე დღეს, თელავის, სიდნაღისა და გურჯაანის რაზმები ირაკლი ცაგურიას განკარგულებაში უნდა გადასულიყვნენ.<sup>95</sup>

1924 წლის 6 აგვისტოს **ვალეკო ჯუღელი** დააპატიმრეს. ამან, ძალაუნებურად, აჯანყების გეგმა შეცვალა. საპრობილეში საგანგებო კომისიის თანამშრომელმა **მოროზოვმა** ვალეკო ჯუღელს აჯანყების გეგმა დაულო წინ (შესაძლებელია მის მიერ შედგენილი) და უთხრა, რომ სამხედრო კომისიის ერთ-ერთი წევრი ხელისუფლებას ინფორმაციებს აწვდიდა. ამან ვალეკო ჯუღელზე დიდად იმოქმედა და მან დამკომს რამდენიმე წერილი გაუგზავნა, რომელშიც აჯანყების საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნას ითხოვდა. დამკომმა ვალეკო ჯუღელის წერილებს დიდი ყურადღება არ მიაქცია, რადგან საქართველოს საგანგებო კომისიის საპრობილიდან ანალოგიური შინაარსის წერილები ადრე **გიორგი წინამძღვრიშვილისა** და **გოგიტა ფაღავას** სახელითაც მოვიდა. განსხვავება მხოლოდ წერილის კატეგორიულობაში იყო. დამკომმა ვალეკო ჯუღელთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო და მას თავისი წერილები უკანვე გაუგზავნა. მაშინ ვალეკო ჯუღელმა საქართველოს საგანგებო კომისიას დროებით გაათავისუფლება და თავის თანამებრძოლებთან მოსალაპარაკებლად გაშვება შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. საქართველოს საგანგებო კომისიამ მხოლოდ **ვანო ღლონტი** გაათავისუფლა, რომელმაც ვალეკო ჯუღელის სახელით საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს აჯანყებაზე ხელის აღება სთხოვა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვანო ღლონტს უპასუხა: „გადაეცით ჯუღელს და ჩეკას, რომ გამოსვლის საკითხი ახლო მომავალში არა სდგას და არც არავითარ აჯანყებას არ ვაპირებთ“-ო. ამ პასუხით საქართველოს საგანგებო კომისია რასაკვირველია არ დაკმაყოფილდა და მასობრივ რეპრესიებს მიმართა. ხელისუფლებამ მანევრებზე მეოფი წითელი არმიის ნაწილები თბილისში დააბრუნა, თბილისის ირგვლივ გზები შეკრა, საღამოს 9 საათიდან თბილისიდან გასვლა და თბილისში შემოსვლა აკრძალა, ქალაქის მნიშვნელოვანი პუნქტები გაამაგრეს, ქუჩებში პატრულები გამოიყვანეს და საექვო სამხედრო პირების დაპატიმრება დაიწყო. ბათუმში გენერალი **გიორგი ფურცელაძე** დააპატიმრეს, გურიაში – გენერალი **სოლომონ ყარალაშვილი**. ყოველივე ამან დამკომს თავზარი დასცა.<sup>96</sup> დამკომმა აჯანყების 1924 წლის 17 აგვისტოს დაწყება გადაიფიქრა.

1924 წლის 18 აგვისტოს დამკომის პრეზიდიუმმა პლენარული სხდომა მოიწვია, რომელსაც ესწრებოდნენ: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი**, **იასონ ჯავახიშვილი**, **მიხეილ ბოჭორიშვილი** და **სამსონ დადიანი**. სხდომას დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან არავინ დასწრებია. სხდომამ აჯანყების საკითხი კვლავ განიხილა. აჯანყებას მხარი დაუჭირეს: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა**, **იასონ ჯავახიშვილმა** და **მიხეილ ბოჭორიშვილმა**. **სამსონ დადიანმა** კი სოციალისტ-ფედერალისტების სახელით აჯანყებაში

<sup>95</sup>სოლომონ ზალდასტანიშვილი. 1924 წლის ამბოხება. თბილისი, 1989, გვ. 30.

<sup>96</sup>სოლომონ ზალდასტანიშვილი. 1924 წლის ამბოხება. თბილისი, 1989, გვ. 30-31.

მონაწილეობაზე უარი განაცხადა და სხდომა დატოვა.<sup>97</sup> დამკომის ამავე სხდომაზე გადაწყდა აჯანყების თარიღი ხუთ კაცს განესაზღვრა: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, იასონ ჯავახიშვილს, შალვა ამირეჯიბს, დავით ონიაშვილს** (სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს თავმჯდომარე) და მთავარსარდალ გენერალ **სპირიდონ ჭავჭავაძეს**. მთავარსარდალ სპირიდონ ჭავჭავაძეს აჯანყების წარმატებაში ეჭვი შეეპარა და დამკომის აჯანყების გადადება სთხოვა. იასონ ჯავახიშვილმა, სოლომონ ზალდასტანიშვილის პირით, სპირიდონ ჭავჭავაძეს შეუთვალა: „აჯანყება უკვე დაწყებულია და ამ პირობებში უკან დახევა და მისი შეჩერება უფრო მეტ მსხვერპლს გამოიწვევს. ვთხოვ მთავარ-სარდალს თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგეს“. იასონ ჯავახიშვილმა დამკომში მთავარსარდალის გადაყენება და მის ნაცვლად **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** დანიშვნა მოითხოვა. დამკომმა ეს წინადადება უარყო და სპირიდონ ჭავჭავაძე მთავარსარდალად დატოვა.<sup>98</sup>

1924 წლის 22 აგვისტოს დამკომის უკანასკნელი სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი და შალვა ამირეჯიბი**. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, აჯანყება საქართველოში 1924 წლის აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. დამკომის ამავე სხდომაზე გადაწყდა, რომ თბილისში აჯანყების დაწყებაზე უარი ეთქვათ, რადგან ხელისუფლებამ ქალაქში დამატებითი ძალების შემოყვანით კიდევ უფრო გაამაგრა იგი. თბილისზე შეტევა პროვინციებში წარმატების მიღწევის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო.<sup>99</sup> თბილისში სამხედრო კომისია დარჩა, რომლის წინაშე შესასრულებლად შემდეგი ამოცანები იდგა: ვაზიანის სამხედრო ბაზის დაკავება, აეროპლანების ხელში ჩაგდება,<sup>100</sup> ფოსტა-ტელეგრაფის დაკავება, ჯავშნოსანი ავტომობილებისა და ჯავშნოსანი მატარებლის ხელში ჩაგდება, საქართველოს საგანგებო კომისიის შენობის დაკავება, სამხედრო კურსანტებისა და საავიაციო რაზმის დაპატიმრება.<sup>101</sup>

დამკომის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკურმა პარტიებმა ადგილებზე თავიანთ ორგანიზაციებს შეატყობინეს. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ **ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და გოგი ჭაჭიაშვილს** (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოში) შეტყობინებები გაუგზავნა.<sup>102</sup>

1924 წლის 24 აგვისტოს ხუთმა კაცმა (კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა, იასონ ჯავახიშვილმა, შალვა ამირეჯიბმა, სპირიდონ ჭავჭავაძემ და დავით ონიაშვილმა) აჯანყების თარიღად 1924 წლის 28-29 აგვისტოს დამის 2 საათი განსაზღვრეს.<sup>103</sup>

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა, დამკომის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, თბილისი 1924 წლის 27 აგვისტოს დატოვა და **შიო მღვიმის** ტყეში გადავიდა. შიო მღვიმის ტყეში ასევე გადავიდნენ: **დავით ონიაშვილი და შალვა ამირეჯიბი**.<sup>104</sup> შიო მღვიმის ტყეში ისინი **ქაქუცა ჩოლოყაშვილს** შეხვდნენ. საუბარი 2 საათს გაგრძელდა.<sup>105</sup>

1924 წლის აჯანყების მზადების შესახებ საქართველოს საგანგებო კომისიაში ინფორმაციები 1924 წლის ადრე გაზაფხულზე შევიდა. ამით იყო განპირობებული ის, რომ საქართველოს საგანგებო კომისიამ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს თხოვნით მიმართა საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოებში წინა წლებში

<sup>97</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 772.

<sup>98</sup> სოლომონ ზალდასტანიშვილი. 1924 წლის ამბოხება. თბილისი, 1989, გვ. 31-34.

<sup>99</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 247.

<sup>100</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 356-357.

<sup>101</sup> სოლომონ ზალდასტანიშვილი. 1924 წლის ამბოხება. თბილისი, 1989, გვ. 36.

<sup>102</sup> ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?.. თბილისი, 1998, გვ. 247.

<sup>103</sup> სოლომონ ზალდასტანიშვილი. 1924 წლის ამბოხება. თბილისი, 1989, გვ. 36.

<sup>104</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 192.

<sup>105</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 194.

მომუშავე ჩეკისტების აღრიცხვა მოეხდინა აუცილებლობის შემთხვევაში მათგან საგანგებო კომისიის დაკომპლექტების მიზნით. 1924 წლის მარტის თვეში საგანგებო კომისიაში მოთხოვნილი სიები ადგილებიდან მართლაც შევიდა. 1924 წლის 14 მარტს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ლავრენტი ბერიამ აჭარის საგანგებო კომისიის, აფხაზეთის საგანგებო კომისიის, პოლიტიბიუროებისა და სატრანსპორტო განყოფილებების უფროსებს ტელეგრამა გრიფით **სრულიად საიდუმლო** გაუგზავნა, რომელიც იტყობინებოდა, რომ 1924 წლის 25-26 მარტს, ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციასთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო შეიარაღებული აჯანყების დაწყება. ამ შეიარაღებული გამოსვლის მიზანი, ლავრენტი ბერიას აზრით, იქნებოდა: 1) საბჭოთა ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობა, 2) საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიებით ევროპის სახელმწიფოების აღშფოთების გამოწვევა.

მოსალოდნელი გამოსვლების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, საგანგებო კომისია კატეგორიულად მოითხოვდა: 1) მუდმივ სიფხიზლეს, სიმძიმის ცენტრის აგენტურულ-ინფორმატორულ მუშაობაზე გადატანას და შიდა თვალთვალის მაქსიმალურად გაძლიერებას; 2) მუშაობის გააქტიურებას არალეგალური ორგანიზაციების სამხედრო ნაწილებთან კავშირის გამოვლენის მიმართულებით; 3) განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას მილიციისადმი და განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებისადმი, იქ არასასურველი ელემენტების აღმოჩენის შემთხვევაში კომუნისტური პარტიის კომიტეტებში ფილტრაციის საკითხის დასმა და ამ გზით აღნიშნული დაწესებულებებიდან მათი გაძევება; 4) მუშაობის წარმართვა ანტისაბჭოთა პარტიების ყოფილი წევრების მიმართ, რომლებიც შესაძლოა აგრძელებდნენ ძველ საქმიანობას; 5) საქართველოს საგანგებო კომისიის აპარატის მომზადებას აქტიური ანტისაბჭოთა ელემენტების მასობრივი დაპატიმრებისათვის; 6) საგანგებო კომისიის საიდუმლო ოპერატიული ნაწილისათვის ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობის შესახებ ინფორმაციული ცნობების დაუყოვნებლივ მიწოდებას.

1924 წლის 16 ივლისს საგანგებო კომისიამ თავის ადგილობრივ ორგანოებს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების მიერ უახლოეს პერიოდში შეიარაღებული აჯანყების შესაძლო დაწყების შესახებ ტელეგრამა გაუგზავნა. მოსალოდნელი აჯანყების აღკვეთის მიზნით, საგანგებო კომისია თავის ადგილობრივ ორგანოებს ნებას რთავდა არალეგალური ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირების შერჩევით დაპატიმრება განეხორციელებინათ.

1924 წლის 12 აგვისტოს საქართველოს საგანგებო კომისიამ, საიდუმლო ცირკულარით, აჭარის საგანგებო კომისიისა და აფხაზეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეებს, ყველა პოლიტიბიუროსა და საინფორმაციო პუნქტის უფროსს მოსალოდნელი აჯანყების შესახებ კიდევ ერთხელ შეატყობინა. ცირკულარებში ნათქვამი იყო: „ანტისაბჭოთა პარტიებს გადაწყვეტილი აქვთ არაუგვიანეს 15 აგვისტოსა მოაწიონ შეიარაღებული აჯანყება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ავანტურის მეთაურის – გ. ჯუღელის დაპატიმრებასთან დაკავშირებით არ არის გამორიცხული შეიარაღებული გამოსვლების დასაწყისის გადადება ორი კვირით, ე.ი. შეიარაღებული აჯანყება მოსალოდნელია არაუგვიანეს აგვისტოს ბოლო რიცხვებისა“. საგანგებო კომისია თავის ადგილობრივ ორგანოებს ავალებდა, მოსალოდნელი „ავანტურის“ ხელმძღვანელებისა და აქტიური მონაწილეების დროულად გამოვლენისა და იზოლირებისათვის გადამჭრელი ზომები მიეღოთ.

1924 წლის 27 აგვისტოს ეპიფანე კვანტალიანმა პირდაპირი სატელეფონო ხაზით, დაშიფრული ტექსტით, ადგილობრივ ორგანოებს გადასცა ინფორმაცია, რომ უტყუარი მონაცემებით ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიებს განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული გამოსვლის მოწყობა 1924 წლის 28-29 ან 29-30 აგვისტოს ღამით და ავალებდა მათ დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები შეიარაღებული აჯანყების აღკვეთის მიზნით, ემოქმედათ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად,

შეენარჩუნებინათ სიმშვიდე, ხოლო დაშიფრული ინფორმაციები დღეში სამჯერ მაზრის ხელმძღვანელებისათვის მიეწოდებინათ.

1924 წლის 28 აგვისტოს ეპიფანე კვანტალიანმა აჭარის საგანგებო კომისიის, აფხაზეთის საგანგებო კომისიის და ყველა პოლიტიურს უფროსს გაუგზავნა შეტყობინებები, რომ 1924 წლის 28 აგვისტოს, დამის 2 საათზე, ანტისაბჭოთა აჯანყება იყო მოსალოდნელი. შესაბამისად, ეპიფანე კვანტალიანი ზემოთ ხსენებულ ორგანოებს ნებას რთავდა მასობრივი რეპრესიული ღონისძიებები განეხორციელებინათ, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სამაზრო კომიტეტებთან ერთად ემოქმედათ, შედეგების შესახებ კი საქართველოს საგანგებო კომისიისათვის ეცნობებინათ.<sup>106</sup>

დღემდე გაურკვეველი მიზეზებით 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება დაგეგმილზე ერთი დღით ადრე დაიწყო ჭიათურაში. ჭიათურელმა აჯანყებულებმა ადვილად დაამარცხეს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და ძალაუფლება ხელში აიღეს, თუმცა ჭიათურაში მომხდარი ნაადრევი აჯანყების შესახებ ინფორმირებული არ იყო საქართველოს რეგიონებში მყოფი დანარჩენი აჯანყებულები და მათ აჯანყება დანიშნულ დროს დაიწყეს. აჯანყებულთა წარმატება დროებითი აღმოჩნდა. საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში დისლოცირებულმა წითელი არმიის ნაწილებმა აჯანყება სისხლში ჩაახშვეს. დაიწყო აჯანყებაში მონაწილეებისა და ეჭვმიტანილების დაპატიმრება-დახვრეტის პროცესი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა 1924 წლის ოქტომბერში საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკური) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჯალათი სერგო ორჯონიკიძის მიერ გაკეთებული განცხადება: „**მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს. იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველება**“.<sup>107</sup>

1924 წლის 3 სექტემბერს მცხეთის მილიციის ცხენოსანმა პატრულმა ვ. არჯევანიძის მეთაურობით, შიო მღვიმის მონასტერთან ახლოს, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი** და დამკომის მდივანი **იასონ ჯაფახიშვილი** დააპატიმრა. მალევე დააპატიმრეს სოციალისტ-რევოლუციონერი **მიხეილ ბოჭორიშვილი**, ეროვნულ-დემოკრატი **მიხეილ იშხნელი**, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი **გიორგი ჯინორია** და სხვ. პატიმრები ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საპრობილემო მოათავსეს.<sup>108</sup> 1924 წლის 4 სექტემბერს კონსტანტინე ანდრონიკაშვილი პირადად ლავრენტი ბერიამ დაკითხა.<sup>109</sup> 1924 წლის 4 სექტემბერის დამეს დამკომის დაპატიმრებულმა ხელმძღვანელებმა, მუქარის ქვეშ, ხელი მოაწერეს განცხადებას დამკომის დაშლის შესახებ. საპრობილიდან კოტე ანდრონიკაშვილმა თანამებრძოლების მისამართით წერილი გააგზავნა, სადაც უხსნიდა მათ, თუ რა მიზეზით მოაწერა ხელი დეკლარაციას, მაგრამ წერილმა დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია, ის საგანგებო კომისიას ჩაუვარდა ხელში.<sup>110</sup> დამკომის დაშლის შესახებ განცხადება დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტი“<sup>110</sup>, ასევე ის პროკლამაციის სახით ჩამოყარეს სხვადასხვა ადგილებში, რათა ტყეში გახიზნულ აჯანყებულებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა შეეწყვიტათ.

ასე დასრულდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ორწლიანი ისტორია.

<sup>106</sup> **თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალადგანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2003, გვ. 121-124.

<sup>107</sup> **ზ. გამსახურდია**. ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული... საკ. კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის ოქმის ამონაწერის კომენტარი.— გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, №33, 19 თებერვალი, გვ. 2.

<sup>108</sup> **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II)**, ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 358-368.

<sup>109</sup> **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II)**, ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 201.

<sup>110</sup> **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრის არქივი (II)**, ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 358-368.

ამდენად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით 1922 წლის აგვისტოში ხუთმა წამყვანმა ქართულმა პოლიტიკურმა პარტიამ შექმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ („დამკომი“). დამკომის ორგანიზებით 1924 წლის აგვისტოში საქართველოში აღიგლი ჰქონდა მძლავრ ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებას, თუმცა ის მარცხით დამთავრდა. 1924 წლის 3 სექტემბერს დამკომის თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი და დამკომის მდივანი იასონ ჯავახიშვილი პატიმრობაში აიყვანეს. 4 სექტემბერს ისინი იძულებული გახდნენ ხელი მოეწერათ დამკომის დაშლის შესახებ განცხადებაზე. ასე დაასრულა მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა. სამწუხაროდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იმხანად ვერ მოხერხდა.

**Levan Jikia**

### **Abstract from the History of „Committee of Independence of Georgia“ („Damkomi“)**

**(1922-1924)**

#### **Summary**

With the aim of restoring independence of Georgia in August 1922 five leading political parties of Georgia established “Committee of Independence of Georgia” (“Damkomi”) (short form for Independence Committee). The Committee of Independence had close relations with the Anti-Soviet forces being in the northern Caucasus and Azerbaijan in order to organize Anti-Soviet revolts within the whole Caucasus. Though after the mass arrests being implemented by the special commission this relation with the north Caucasus and Azerbaijan was broken.

In August 1924 the committee of independence organized great anti-soviet national revolts in Georgia though it ended with collapse. On the 3rd of September, 1924 the chairman of the committee of independence – Mr. Konstantine Andronikashvili and Secretary of the committee – Iason Javakhishvili were imprisoned. On the 4<sup>th</sup> of September they were forced to sign the declaration on collapse of the committee of independence. So the committee of independence of Georgia finished its working. Unfortunately restoring the state independence of Georgia was impossible at that time.

## ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა 1888-1914 წლებში

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ბათუმი და მთლიანად აჭარა რუსეთს შეუერთდა. 1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ჯარები ბათუმში შევიდნენ. დაიწყო რუსული მმართველობის ჩამოყალიბება. 1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა დაამტკიცა დროებითი წესდება ბათუმის ოლქში ახალი ადმინისტრაციული მმართველობის შესახებ, რომლის მეშვიდე პუნქტში აღნიშნული იყო: „ქალაქ ბათუმს ერქმევა სახელად „ნავსადგურის ქალაქი“. ყველა საქმეები ამ ქალაქის შესახებ ნამესტნიკის მთავარსამმართველოს საშუალებით წარედგინება დასამტკიცებლად კავკასიის მეფისნაცვალს“.<sup>1</sup> რუსეთთან შეერთების შემდეგ მთელი 10 წლის განმავლობაში ბათუმში სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმი არსებობდა. მართალია ქალაქის წარჩინებულ მოსახლეობას უფლება ჰქონდა აერჩია ოთხი დეპუტატი, მაგრამ ადმინისტრაცია მათ მხოლოდ გადასახადების აკრეფის დროს იყენებდა. „ბათუმის დაგეგმარების, განაშენიანების, კომუნალური მეურნეობის, კულტურისა და სხვა საკითხებს წყვეტდა პოლიცმეისტერი ბათუმის ოლქის უფროსთან და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან შეთანხმებით.“<sup>2</sup> ასეთი სახის მმართველობა ბათუმის ეკონომიკური შესაძლებლობის გამოყენებას ვერ უზრუნველყოფდა, პირიქით, საგრძნობლად აბრკოლებდა მის ზრდა-განვითარებას.

საქართველოსთან შეერთების შემდეგ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ბათუმის განვითარება. ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ნავსადგურისა და ბათუმისამტრედიის სარკინიგზო ხაზის მშენებლობას. სულ მოკლე დროში ბათუმი თვალშისაცემად შეიცვალა და იგი ყველა მნახველს აკვირვებდა. ქალაქში არნახული გამოცოცხლება შეიმჩნეოდა. სერგი მესხი, რომელმაც 1878-1882 წწ. სამჯერ მოინახულა ბათუმი, „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში „ბათუმი და ბათუმელები“ აღნიშნავდა: „...დიდი განსხვავებაა მაშინდელს და ახლანდელს ბათუმს შუა. სად ახლანდელი ორ-სამ და ოთხეტიანი უზარმაზარი ქვითკირის სახლები და სასტუმროები და სად მაშინდელი მინგრეულ-მონგრეული ხის ქოხები და უწმინდური ყავახანები. სად ახლანდელი ნამდვილი ევროპიული მდიდარი მაღაზიები, რომლებშიც მგონი ჩიტის რძესაც კი იშონის კაცი და სად მაშინდელი დუქნები, რომლებშიაც მუხლმოკეცილი ბათომელი ორიოდ თოფ ტრაპიზონის ჩითეულობით ვაჭრობდა... საცა არ გაიხედავთ, ყველგან ახალი შენობები გაუშენებიათ ან აშენებენ. მთელი ახალი უბნები გაკეთებულან, ქალაქის ბაღს ჰმართავენ, ქალაქი გააპლანულია, ტბებს აშრობენ, წყალი გამოჰყავთ, ნავთსადგურის გაფართოებას აპირებენ, რკინიგზა გაჰყავთ და სხვა და სხვა.“<sup>3</sup> პირველი ათი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ქალაქის მოსახლეობა, ისე მისი ეკონომიკური პოტენციალი. შეცვლილი ქალაქი მოითხოვდა ცვლილებებს მმართველობის სფეროშიც.

ბათუმელთა მოთხოვნის საფუძველზე 1888 წლის 28 აპრილს ხელისუფლებამ გასცა განკარგულება ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღების შესახებ. აღნიშნული

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“, 1878, №198.

<sup>2</sup> გაზეთი „ბათუმის გაზეთი“, 1911, №15.

<sup>3</sup> გაზეთი „დროება“, 1882, №257.



განკარგულების განხორციელებისათვის შეიქმნა კომისია, რომელსაც სათავეში კავკასიის მთავარმართებლის კანცლარიის მოხელე კ. დ. გავრონსკი ჩაუყენეს. განკარგულების მიხედვით ქალაქის თავის მოვალეობას პირველი ოთხი წლის მანძილზე შეასრულებდა არა სათათბიროსაგან არჩეული, არამედ მთავრობისაგან დანიშნული პიროვნება, ასევე ქალაქის სამშენებლო ნაწილი დარჩებოდა საგუბერნიო მმართველობის განკარგულებაში. ამდენად ბათუმის თვითმმართველობის უფლებები იმთავითვე შეკვეცეს, რასაც ემატებოდა რუსეთის იმპერიის საქალაქო თვითმმართველობებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები: არჩევნების შეზღუდულობა, ადმინისტრაციის მხრიდან სათათბიროს საქმეებში ჩარევის შემთხვევები და სხვა. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა საქალაქო თვითმმართველობის შემოღება ბათუმში იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რამაც სერიოზული გავლენა მოახდინა როგორც ქალაქის ეკონომიკურ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმში თავი მოიყარა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულმა ძალებმა, რომელთა მიზანი იყო „ბათუმის ქართულ ქალაქად გადაქცევა“.<sup>4</sup>

1888 წლის 25 აგვისტოს და 2 სექტემბერს ჩატარდა ბათუმის საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა პირველი არჩევნები. ოთხი წლის ვადით აირჩიეს სამი თანრიგის 36 ხმოსანი. ბათუმის პირველი სათათბიროს შემადგენლობა ეროვნული ნიშნის მიხედვით ასეთი იყო: ქართველი – 11, რუსი – 8, სომეხი – 10, ბერძენი – 2, ებრაელი – 2, პოლონელი – 2, გერმანელი – 1.<sup>5</sup>

1 ოქტომბერს შედგა ბათუმის თვითმმართველობის საზეიმო გახსნა. ქალაქის თავად დაინიშნა კ. გავრონსკი, მისი მოადგილე გახდა დ. ბიკოვი, გამგეობის წევრები იყვნენ ა. კოიანდერი და ი. შადინოვი, ქალაქის მდივანი გახდა ი. მესხი.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა ჩამოყალიბებისთანავე ენერგიულად შეუდგა ქალაქისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას. 1889 წლის 13 თებერვლის სხდომაზე შეიქმნა კომისია ი. მამულაშვილის თავმჯდომარეობით, რომელსაც უნდა შეესწავლა ის კონტრაქტები, რომელთა საფუძველზეც მოხდა სავაჭრო ფირმებისათვის ნავთობსადენების გაყვანაზე ნებართვის გაცემა.<sup>6</sup> თვითმმართველობა დაჟინებით სვამდა საკითხს ქალაქის ფარგლებიდან ნავთისა და ნავთობპროდუქტების საწყობების გატანის აუცილებლობის შესახებ.<sup>7</sup>

ბათუმის სათათბიროს ხმოსანთა განმეორებითი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 1892 წელს. წინასაარჩევნო სამზადისი დაიწყო კიდევ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცენზიან მოქალაქეთა ქონების მესამედი ეკუთვნოდა როტშილდის კასპია-შავი ზღვის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოებას. ე.ი. მხოლოდ როტშილდი უნდა შესულიყო ამომრჩეველთა პირველ თანრიგში და მასვე უნდა აერჩია ხმოსანთა მესამედი. შექმნილ ვითარებაში ქუთაისის გუბერნატორმა შესაძლებლად ჩათვალა ბათუმის ამომრჩევლების ორ თანრიგად დაყოფა, თუმცა საქმეს ვერც ამან უშველა. ახალი დაყოფით პირველ თანრიგში ხვდებოდა ექვსი მესაკუთრე, რომლებიც ფლობდნენ ბათუმელთა მთელი ქონების ნახევარს და მათვე უნდა აერჩიათ ხმოსანთა ნახევარი - 18 ხმოსანი. დანარჩენ ცენზიან მოქალაქეებს (500 კაცს) შეეძლოთ ასევე აერჩიათ 18 ხმოსანი. ბათუმის გამგეობამ მოითხოვა არჩევნების გაერთიანებული სიით ჩატარების უფლება, რაზეც კავკასიის ადმინისტრაციამ ახალი დებულების მიღებამდე უარი განაცხადა. გადაწყვედა ძველ ხმოსნებს გაგრძელებოდათ უფლებამოსილება, სანამ არ გაუქმდებოდა თანრიგები და ყველა ცენზიანისთვის საერთო-საარჩევნო კრება ჩამოყალიბდებოდა. <sup>8</sup>

<sup>4</sup> სოფრომ მგალობლიშვილი. მოგონებები. თბილისი, 1938, გვ. 85.

<sup>5</sup> Батумь и его окрестности. Батумь, 1906, стр. 486.

<sup>6</sup> აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 6, საქმე 57, ფურცელი 6.

<sup>7</sup> აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 6, საქმე 73, ფურცლები 13-17.

<sup>8</sup> Батумь и его окрестности. 1906, стр. 492-493.

ახალი დებულება დამტკიცდა 1892 წლის 11 ივნისს. ამ დებულებით ბათუმში ხმის მიცემის უფლება ეძლეოდათ 1000 მანეთზე მეტი ქონების მფლობელ მოქალაქეებს. ამით საარჩევნო სიაში ხვდებოდა მხოლოდ მსხვილი და საშუალო მესაკუთრეები. ფაქტობრივად მესამე თანრიგის ამომრჩევლებმა (წერილმა მესაკუთრეებმა) დაკარგეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ასეთმა კანონმა მნიშვნელოვნად შეამცირა ამომრჩეველთა რაოდენობა ბათუმში. თუ 1888 წლის არჩევნებში ბათუმის 14.000 მცხოვრებიდან მონაწილეობდა 525 კაცი, 1894 წელს – 25 ათასიდან მხოლოდ 318.

1894 წლის 12 ოქტომბერს ბათუმში მეორედ ჩატარდა სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები. სიაში მყოფი 318 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 239 კაცმა. მათ აირჩიეს 35 ხმოსანი და 9 კანდიდატი. ხმოსნების ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირი იყო: ქართველი – 19, რუსი – 8, ბერძენი – 5, პოლონელი – 3. ქართველებმა სათათბიროში მიიღეს ადგილების 55%, რამაც უზრუნველყო ქალაქისთვისა და გამგეობის არჩევნებისას ქართველთა წარმატება. ხმების დიდი უმრავლესობით ქალაქისთვისად აირჩიეს ლუკა ასათიანი. „ივერია“ ამ ფაქტს შემდეგნაირად აღწერდა: „ქალაქის თავის თანამდებობაზე სამმა კანდიდატმა იყარა კენჭი: ბ. ბიკოვმა, ბ. სევერინმა და ბ. ლუკა ასათიანმა. ბიკოვმა და სევერინმა მიიღეს 16 თეთრი და 19 შავი კენჭი, ლუკა ასათიანმა – 19 თეთრი და 17 შავი... ამგვარად ქალაქის თავად არჩეულ იქნა ლუკა ასათიანი, გამგეობის წევრებად გრ. ვოლსკი და ივ. ივანოვი. სეკრეტრად მარტო ბ. ივანე მესხს უყარეს კენჭი, რომელსაც ამოუვიდა 30 თეთრი და 5 შავი.“<sup>10</sup>

ახლად არჩეული სათათბირო და გამგეობა აქტიურ საქმიანობას შეუდგა ბათუმის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის. ცხადია, ქალაქისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა პორტის განვითარებას. ამიტომ პორტის თემა სათათბიროს მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1888 წლის 23 სექტემბერს სათათბიროს სხდომაზე მოისმინეს განსაკუთრებული მოსამზადებელი კომისიის მოხსენება „ბათუმის პორტის სანაპირო ზოლის გაფართოებისა და მისთვის მიმდებარე მიწის გამოყოფის საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტის შესახებ“, რომელშიც ხაზგასმული იყო: „ამჟამად ბათუმის პორტის ნავმისადგომი ზოლი მხოლოდ 380 საჟენს შეადგენს, რაც მხოლოდ ნავთობპროდუქტების ექსპორტისთვის არის საკმარისი... ტვირთბრუნვის პროგრესული ზრდის შემთხვევაში არსებული ზოლი მოთხოვნილების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს თუ დააკმაყოფილებს... საჭიროა ნავმისადგომი ზოლი 800 საჟენის მასშტაბისა“.<sup>11</sup>

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად პორტს შემდგომშიც უჭირდა დაეკმაყოფილებინა ტვირთბრუნვის სულ უფრო მზარდი მოცულობა. ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა ბათუმისა და ფოთის პორტებში გემების მიმოსვლისა და ტვირთბრუნვის მოცულობის შედარება. 1893 წლის, მონაცემებით ბათუმის პორტში შემოვიდა სულ 2751 გემი (2. 1.58 ორთქლის, ხოლო 593 იაღქნიანი), როცა ფოთის პორტმა მიიღო სულ 590 გემი (514 ორთქლის, ხოლო 76 იაღქნიანი). იმავე წელს ბათუმის პორტში შემოიტანეს 6. 068. 120 ფუთი ტვირთი (რომლის ღირებულება შეადგენდა 9. 701. 774 მანეთს), ხოლო გაიტანეს 57. 725. 902 ფუთი (ღირებულება შეადგენდა 23. 556. 659 მანეთს). მაშინ როცა ფოთის პორტში შემოიტანეს 1. 787.000 ფუთი ტვირთი (საერთო ღირებულებით 2. 239. 500 მანეთი), ხოლო გაიტანეს 11. 495. 542 ფუთი (საერთო ღირებულებით 2. 239. 500 მანეთი).<sup>12</sup>

მოითხოვდა რა პორტის გაფართოებას, ბათუმის თავი ლუკა ასათიანი 1900 წლის 28 აგვისტოს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითებდა: „20 წლის წინათ ბათუმის პორტის ტვირთბრუნვა არ აღემატებოდა 500.000 ფუთს, 1899 წელს კი

<sup>9</sup> ალ. ბენდიანიშვილი. საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში. თბილისი, 1982, გვ. 234.

<sup>10</sup> გაზეთი „ივერია“, 1894, №79.

<sup>11</sup> აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 7, საქმე 3, ფურცლები 10-12.

<sup>12</sup> ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, საქმე 178, ფურცლები 7-14.

მან 90 მლნ. ფუთს მიაღწია. 1898 წელს ბათუმის პორტში შემოსული გემების რაოდენობამ შეადგინა 1740 (თურქული და რუსული პატარა გემების ჩათვლევად). ბათუმის პორტის ნავმისადგომი შეადგენს მხოლოდ 600 საჟენს. საშუალოდ ერთ საჟენზე უნდა მოდიოდეს 200.000 ფუთი ნავთობი, ხოლო სხვა ტვირთი 40.000 ფუთი. ამ შესაბამისობით პორტის ნავმისადგომი ზოლი უნდა იყოს 1333 საჟენი...<sup>13</sup>

სათათბირო ცდილობდა გაზრდილიყო ბათუმის პორტიდან მარგანეცის ექსპორტიც. ამ მიზნით 1899 წლის 22 თებერვლის სხდომაზე ქალაქის გამგეობას შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრაც დაავალა. <sup>14</sup>

შემოსავლების გაზრდის მიზნით სათათბირო ხელს უწყობდა სხვადასხვა სავაჭრო სახლებისა და ფირმების დამკვიდრებას ბათუმში.<sup>15</sup>

ბათუმის ეკონომიკური ზრდისა და სათათბიროს მეცადინეობით თვალსაჩინოდ გაიზარდა ქალაქის ბიუჯეტიც. თუ 1892 წელს შემოსავალმა შეადგინა 122. 161 მანეთი <sup>16</sup> 1896 წელს მიაღწია 334. 995 მან.<sup>17</sup>, ხოლო 1900 წლისთვის - 680. 996 მანეთამდე გაიზარდა.<sup>18</sup>

სათათბირო სერიოზულად ზრუნავდა ქალაქის კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის, განათლებისა და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. სათათბიროსა და გამგეობის შეთანხმებული მოქმედების შედეგები მალე დაეტყო ბათუმს – გაიზარდა ქალაქის ფართობი და მოსახლეობა, გაიხსნა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, შეიძვალა ქალაქის იერსახე. 1897 წლის 22 ოქტომბრის ქალაქის სათათბიროს სხდომაზე აღინიშნა: „ბათუმის მოსახლეობა გახდა 26.41

7 ადამიანი, ახალგაზრდა ქალაქში აშენდა 3000 სახლი, მათ შორის 800 ქვის, ქარხნების რაოდენობა გაიზარდა 18-მდე, მათი საერთო ღირებულებით 7. 094. 480 მანეთი ვერცხლით. ყოველივე ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალაქის კეთილმოწყობა“ <sup>19</sup>. ამ წარმატებებში დიდი იყო ქალაქის სათათბიროსა და გამგეობის წვლილი.

1898 წლის 18 ოქტომბერს ჩატარდა ბათუმის სათათბიროს მესამე არჩევნები. 2 დეკემბერს შედგა ხმოსანთა ფიცის დადების ცერემონიალი. 1899 წლის 7 იანვარს ჩატარდა გამგეობის არჩევნები. როგორც სათათბიროს, ისე გამგეობის შემადგენლობა ძირითადად უცვლელი დარჩა.

ცარიზმის რეჟიმის მხრიდან სერიოზული ზეწოლის მიუხედავად ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ 1888-1900 წლებში დიდი როლი შეასრულა როგორც ქალაქის ეკონომიკური აღმავლობის, ისე მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღების საქმეში.

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი სამრეწველო განვითარების დონით ამიერკავკასიაში მესამე ადგილზე იყო თბილისისა და ბაქოს შემდეგ. სამრეწველო განვითარების შესაბამისად სწრაფი ტემპით იზრდებოდა ბათუმის მოსახლეობაც. თუ 1878 წელს რუსეთთან შეერთების დროისათვის, ბათუმში 3000 მცხოვრები ითვლებოდა, 1907 წლის აღწერით ეს რიცხვი 33543-მდე გაიზარდა, ხოლო 1913 წელს ქალაქის სათათბიროს მონაცემებით თითქმის 40 000-ს მიაღწია.<sup>20</sup>

ბათუმის ხელმძღვანელობას დაძაბული მუშაობა უხდებოდა სწრაფი ტემპით მზარდი ქალაქის მრავალრიცხოვან საჭიროებათა გადასაჭრელად. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქის თავის ივანე ანდრონიკაშვილის დამსახურება. იგი 1902 წლის მარტში (1901 წლის ნოემბერში ლუკა ასათიანის მოულოდნელად

<sup>13</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 12, საქმე 713, ფურცლები 52-53.

<sup>14</sup> აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 7, საქმე 315, ფურცლები 5-7.

<sup>15</sup> აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 6, საქმე 112, ფურცელი 25.

<sup>16</sup> აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 6, საქმე 97, ფურცელი 4.

<sup>17</sup> ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, საქმე 184, ფურცელი 21.

<sup>18</sup> აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 6, საქმე 214, ფურცელი 8.

<sup>19</sup> აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 6, საქმე 152, ფურცელი 39.

<sup>20</sup> აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 7, აღწერა 1, საქმე 551, ფურცელი 18.

გარდაცვალების შემდეგ) აარჩიეს ქალაქის თავად და 14 წლის განმავლობაში უძღვებოდა ქალაქის საქმიანობას, ბევრს ზრუნავდა საქალაქო მეურნეობისა და განაშენიანებისათვის სათანადო მატერიალური ბაზის შესაქმნელად.

ბათუმის ბიუჯეტისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფუთო გადასახადს. 1889 წლის 9 მაისს ბათუმის ნავსადგურში გავლილ საქონელზე დაწესდა საფუთო გამოსაღები, (ბათუმის პორტზე გავლილი ტვირთი იბეგრებოდა ფუთზე მეოთხედი კაპიკით-ჯ.კ.) რომლის ოთხი მეხუთედი სახელმწიფო ხაზინაში მიდიოდა, ერთი მეხუთედი კი თვითმმართველობას ეძლეოდა ნავსადგურის კეთილმოწყობისა და პორტისაკენ მიმავალი ქუჩების მოკირწყვლისათვის. მართალია, საფუთო გამოსაღებიდან შემოსული თანხები ბრძანებით მხოლოდ ნავსადგურის საჭიროებისათვის უნდა დახარჯულიყო, მაგრამ თვითმმართველობა ახერხებდა ქალაქის სხვა საჭიროებისათვის მათ გამოყენებას.<sup>21</sup> თუ რამდენად დიდი იყო ბათუმის შემოსავლებში საფუთო გადასახადის როლი, ამაზე მეტყველებს შემდეგი სტატისტიკა: 1901 წელს ქალაქის მთელი შემოსავალი უდრიდა 575.438 მანეთს, აქედან საფუთო გამოსაღებზე მოდიოდა 244.705 მანეთი, საერთოდ კი 1889-1901 წლებში ამ გზით ქალაქის ბიუჯეტს შეემატა 1.974.521 მანეთი. სამწუხაროდ, 1901 წლის 8 ივნისის კანონით საპორტო შემოსავლების რეორგანიზაცია მოხდა. მომავალში საფუთო გადასახადების აკრეფა დაევალა საბაჟოებს, რომლებსაც ის სახელმწიფო ხაზინაში შეჰქონდათ. ამ კანონმა ბათუმი სერიოზულად დააზარალა. თუ ადრე საფუთო გადასახადიდან წელიწადში საშუალოდ 200-250.000 მანეთს იღებდა, ამიერიდან ბათუმს მხოლოდ 30-40.000 მანეთის მოთხოვნა შეეძლო, ისიც მხოლოდ ნავსადგურისათვის. ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა წლების მანძილზე დაჟინებით ცდილობდა აღედგინა საფუთო გადასახადი.<sup>22</sup>

ბათუმის თვითმმართველობას მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა ქალაქის ქონება-საკუთრების ოპტიმალური ექსპლუატაცია. მომგებიანი წარმოება-დაწესებულებები იყო: ნურის ბაზარი, ლომბარდი, სასაკლაო, წყალსადენი, ელექტროსადგური და რამდენიმე სხვა ობიექტი, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. 1901 წლიდან, როცა ქალაქს საფუთო გამოსაღები შეუწყდა, იგი დიდი ფინანსური პრობლემის წინაშე დადგა. თვითმმართველობა იძულებული იყო შეემცირებინა ხარჯები, ხოლო ბიუჯეტის შემოსავლები მაქსიმალურად გაეზარდა (ამის ნათელ მაგალითად საფუთო გადასახადის აღდგენის დაჟინებული ცდაც გამოდგება, ამავე დროს თვითმმართველობა იმპერიის სხვა ქალაქებშიც გამოფენა-ბაზრობების ორგანიზებით ცდილობდა მიეღო შემოსავალი. სათათბირო აქტიურობდა ბათუმ-ყარსის რკინიგზის მშენებლობის საკითხშიც. ამ რკინიგზით ბათუმი დაუკავშირდებოდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო რაიონებს, რაც მომარაგებასთან ერთად გაზრდიდა ტვირთბრუნვას და შესაბამისად ქალაქის შემოსავალსაც). თუმცა თვითმმართველობამ დეფიციტი ქალაქის ბიუჯეტში მაინც ვერ აღმოფხვრა. 1911 წელს ქალაქის შემოსავალმა შეადგინა 457.212 მანეთს, როცა იმავე წელს გასავალი 493.973 მანეთს შეადგენდა.<sup>23</sup>

მიუხედავად ფინანსური სირთულეებისა, თვითმმართველობა ცდილობდა გადაეწყვიტა ქალაქისათვის ისეთი აუცილებელი საკითხები როგორც იყო წყლით მომარაგება, განათება, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, ჯანდაცვისა და განათლების პრობლემები და სხვა.

თვითმმართველობის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენდა ქალაქის ქუჩების განათება. თუ 1879 წელს ნავთის ღამპებით (23 ფარანი) ქალაქის განათებაზე

<sup>21</sup> ალ. ბენდიანიშვილი. საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში. თბილისი, 1982, გვ. 252-253.

<sup>22</sup> ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 7, აღწერა 1, საქმე 664, გვ. 366.

<sup>23</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწერა 2, საქმე 403, ფურცლები 26-27.

დაიხარჯა 1575 მანეთი, 1888 წელს უკვე 395 ფარანი იყო, ხოლო განათების ხარჯებმა 5335 მანეთს მიაღწია.<sup>24</sup> 1911 წელს ბათუმის განათებაზე დაიხარჯა 49.504 მანეთი. აქედან ელექტროგანათებაზე - 45476 მანეთი, ხოლო ნავთით განათებაზე - 4028 მანეთი.<sup>25</sup>

ბათუმის თვითმმართველობის ყურადღების ცენტრში მუდმივად იყო სახალხო განათლება. მისი მონღომების გარეშე არ გაიხსნებოდა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაც. როცა თვითმმართველობამ იკისრა გიმნაზიის შენობის ასაგები ხარჯები და ყოველწლიური სუბსიდია 15000 მანეთის რაოდენობით, განათლების სამინისტრომ მხოლოდ ამის შემდეგ დართო გიმნაზიის გახსნის ნება. ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის შენობის აგებაზე თვითმმართველობამ 215.000 მანეთი დახარჯა. ამის შემდეგაც იგი არ იფარგლებოდა ფინანსური მხარდაჭერით (მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად თავად უჭირდათ) და ყურადღებას არ აკლებდა გიმნაზიას.

თვითმმართველობის ყურადღება არც სხვა სასწავლებლებს აკლდა. ბათუმის ისედაც შეზღუდული ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი განათლებაზე მიდიოდა. მაგალითად, თუ 1888 წელს განათლების ხარჯებმა 2300 მანეთი შეადგინა, 1901 წელს ეს ხარჯები 38.821 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო 1911 წელს 84.394 მანეთს მიაღწია.<sup>26</sup> მართალია განათლების სფეროზე ქალაქის თვითმმართველობის მიერ გამოყოფილი თანხა ბიუჯეტის მდგომარეობის შესაბამისად მეტნაკლებად მერყეობდა, მაგრამ საშუალოდ წელიწადში იგი ქალაქის ბიუჯეტის 10-15 % შეადგენდა.<sup>27</sup>

ფინანსური სიძნელებები რომ არ ყოფილიყო შემაფერხებელი, ბათუმის თვითმმართველობას კიდევ ბევრი სასიკეთო იდეის განხორციელება შეეძლო. უნდა ითქვას, რომ თვითმმართველობის სამოქმედო ასპარეზს არანაკლებ ზღუდავდა იმდროინდელი რუსეთის სახელმწიფო სისტემის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საქალაქო თვითმმართველობის უფლებებს სერიოზულად კვებავდა.

იშვიათი არ იყო შემთხვევები, როცა ბათუმის ოლქისა თუ კავკასიის ადმინისტრაცია უხეშად ერეოდა თვითმმართველობის საქმეებში. ამის მაგალითი იყო 1901 წელს გამგეობის წევრად ი. ივანოვის კანდიდატურის თავს მოხვევა. 1911 წელს ბათუმის ოლქის გუბერნატორი მოითხოვდა ქალაქის თავისაგან ხმოსნების : გ. სოგოროვის, ე. ბერძენიშვილის, ა. დეკანოზოვის, გ. ელიავას და ხმოსანთა კანდიდატის ე. ხორომანსკის გადაყენებას და მათ შეცვლას ს. გურგენიძით, ვ.რუხაძით. ნ. საიპოვით და ი. კახიანიტ.<sup>28</sup>

თვითმმართველობის წინააღმდეგ ცილისწამების ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1910 წლის 2 აპრილს „რუსკოე ზნამიაში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ბათუმის თვითმმართველობის წევრებს და გამგეობას 1905-1907 წლების რევოლუციური მოვლენების დროს აჯანყებულებზე მხარდაჭერა ბრალდებოდათ (ეს შეიძლება ნაწილობრივ მართალიც იყოს, რადგან ქალაქის მაშინდელი თავის - ი. ანდრონიკაშვილისა და მდივნის ი. მესხის მემარცხენეობაზე სხვა ცნობებიც მოიპოვება-ჯ.კ.). წერილის ავტორი მოითხოვს, რომ სანამ ბათუმში ასეთი გამგეობა იქნება, მას არავითარი მხარდაჭერა არ უნდა ჰქონდესო. ივანე ანდრონიკაშვილმა სათათბიროსთან შეთანხმების შემდეგ საქმე აღძრა გაზეთ „რუსკოე ზნამიას“ რედაქტორის დუბროვინის წინააღმდეგ. პეტერბურგში ბათუმის სათათბიროს ინტერესებს იცავდა იურისტი ზარუნდი. ეს საქმე ბათუმის თვითმმართველობამ მოიგო. 1915 წლის 31 მარტს სასამართლომ დუბროვინს 2 თვით პატიმრობა მიუსაჯა.<sup>29</sup>

<sup>24</sup> Батумь и его окрестности. 1906, стр. 478-479.

<sup>25</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწერა 2, საქმე 403, ფურცელი 39.

<sup>26</sup> სცსსა, ფონდი 13, აღწერა 2, საქმე 403, ფურცელი 9.

<sup>27</sup> აღ. ბენდიანიშვილი. საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში. თბილისი, 1982, გვ. 271.

<sup>28</sup> გაზეთი „ბათუმის გაზეთი“, 1911, №12.

<sup>29</sup> აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 6, საქმე 652, ფურცლები 1-6, 17-27, 50-52.

ბათუმის საქალაქო თვითმართველობა დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. ამის დამადასტურებელია ნოვოროსიისკის ქალაქის თავის თხოვნა ივანე ანდრონიკაშვილისადმი, რომ მან გაუზიაროს საფუთო გადასახადის დაწესების საქმეში ბათუმის თვითმართველობის გამოცდილება.<sup>30</sup>

1913 წლის 1 ოქტომბერს ბათუმის თვითმართველობამ აღნიშნა 25 წლის იუბილე. საიუბილეო დღეებში აღინიშნა ის წარმატებები, რომლებიც ბათუმმა მოიპოვა თვითმმართველობის 25 წლის მანძილზე. წინ ჯერ კიდევ ბევრი იყო გასაკეთებელი, მაგრამ 1914 წელს დაწყებული მსოფლიო ომის გამო ბათუმის თვითმმართველობის ბევრი სასიკეთო წამოწყება განუხორციელებელი დარჩა.

## **Jemal Karalidze**

### **Batumi urban self-government in 1888-1914**

#### **Summary**

After freeing from Osman rule, Batumi became a fast growing city. Grown population and economical revival demanded changes in the management of the city as well. On the 28<sup>th</sup> of April 1888, tsarism had to order urban self-government in Batumi. Despite great restrictions (Gavrinski was appointed as the head of the city, but building part was still in the competence of the province government), self-government began its energetic work immediately. In 1894 there was held deliberative voters' election for the second time in Batumi. Luka Asatiani was elected as a head of the city. Since then the council with the government played an active part in improving organization of public services and amenities, education and health care conditions.

Despite suppression and legislative restrictions from the government, self-government played an important role in the development of Batumi as a Georgian city.

The author studies the main directions of economic, social and cultural activity of Batumi Municipality in 1888-1914 on basis of periodical and new archival materials in 1888-1914.

---

<sup>30</sup> აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 6, საქმე 664, ფურცელი 304.

## დოკუმენტები და მასალები ფინეთის ახალი ისტორიისათვის (1808-1947)

კიევის რუსეთსა (IX–XIII სს.) და მოსკოვის რუსეთს (XIV–XVIII სს.) ჰქონდათ ბალტიისპირეთისა და ფინეთის დაპყრობის მუდმივი მისწრაფება. ბალტიისპირეთისა და ფინეთისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო მოსკოვის რუსეთის მეფის პეტრე I დიდის (1696-1725) დროს. ეს ომი ისტორიაში ჩრდილოეთის ომის (1700-1721 წწ.) სახელმწოდებით შევიდა. ეს ომი არ ყოფილა მხოლოდ რუსეთ-შვედეთის ომი. შვედეთის მოკავშირე იყო დიდი ბრიტანეთის სამეფო და ევროპის სხვა სამეფო-სამთავროები. 1710 წელს რუსები ფინეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ფინეთის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის შეჭრას დიდი უბედურება მოჰყვა. რუსის ჯარმა ფინეთში შავი ჭირის ეპიდემია შეიტანა. ეპიდემია მოედო მთელ სამხრეთ-დასავლეთ ფინეთს. 1721 წლის 30 აგვისტოს რუსეთსა და შვედეთს შორის ფინეთის დასავლეთ სანაპიროზე, ბოთნიის ყურეში მდებარე ქალაქ უუსიკაუპუნკიში, დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება. ზავის თანახმად, რუსეთმა დატოვა ფინეთის ოკუპირებული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ნიშტატის ზავით რუსეთს გადაეცა სამხრეთ ფინეთი (ტერიტორია ვიპურამდე), ინკერი, კარელიის ნაწილი, კუნძულები ფინეთის ყურეში. შვედეთმა მთლიანად დაკარგა ბალტიის ზღვის სანაპირო.

1808-1809 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-შვედეთის მორიგი ომი, რომელიც შვედეთის დამარცხებით დასრულდა. რუსეთ-შვედეთის ზავი ხელმოწერილი იქნა 1809 წლის 5 სექტემბერს ფინეთის ყურეში მდებარე ქალაქ ჰამინაში. ზავის თანახმად, რუსეთმა მიიღო მთელი ფინეთი ალანდის კუნძულების ჩათვლით. ფინეთში მცხოვრებ შვედებს შეეძლოთ გადასახლებულიყვნენ შვედეთში, ხოლო შვედეთში მცხოვრებ ფინელებს – ფინეთში. დადგინდა რუსეთ-შვედეთის ახალი საზღვარი. იგი გადიოდა მდინარე ტორნიოსა და მის შენაკად მუონიოზე. შვედეთის პროვინცია ვესტერბოთენი ორად გაიყო. მისი სამხრეთ ნაწილი რუსეთს დარჩა.

დაპყრობილი ფინეთის ტერიტორიაზე რუსეთის იმპერატორმა შექმნა ფინეთის დიდი სამთავრო. ფინეთის დიდ მთავრად რუსეთის იმპერატორი ითვლებოდა. ფინეთს ებოძა სეიმი (პარლამენტი). აღმასრულებელი ხელისუფლება ფინეთის სენატს (მთავრობას) გადაეცა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთში რომანოვების მონარქია დაამხო. 1917 წლის 2 მარტს რუსეთის იმპერატორი და ფინეთის დიდი მთავარი ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა. მთელი ძალაუფლება ხელში აიღო რუსეთის დროებითმა მთავრობამ.

რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომა, რომელიც ამავე დროს ფინეთის დიდი მთავარიც იყო, ფინეთის უმაღლესი ხელისუფლების გარდაქმნის აუცილებლობას იწვევდა. 1772 წლის 21 სექტემბერს შვედეთის სამეფოში მიღებული იქნა „კანონი შვედეთის მმართველობის ფორმის შესახებ“. კანონი ფინეთში რუსეთის მიერ ფინეთის დაპყრობის შემდეგაც (1809 წ.) მოქმედებდა, ანუ ძალაში იყო ფინეთის დიდი სამთავროს შექმნის შემდეგ. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1809 წლის 16 მარტს ქალაქ პორვოში ფინეთის სეიმის გახსნისას განაცხადა: „მე გპირდებით, რომ დავიცავ თქვენს კონსტიტუციას, თქვენს ძირითად კანონებს...“ ძირითად კანონებში იგულისხმებოდა 1771 წლის 21 სექტემბრის „კანონი შვედეთის მმართველობის ფორმის შესახებ“. მმართველობის შესახებ კანონისა და კონსტიტუციის 38-ე მუხლის ძალით ფინეთის პარლამენტს რუსეთის იმპერატორისა და ფინეთის დიდი მთავრის ტახტიდან გადადგომის შემდეგ უფლება ჰქონდა აერჩია ფინეთის უმაღლესი ხელისუფლება.

ფინეთის სენატი რუსეთის იმპერიის არსებობის ბოლო დღემდე მუშაობდა. 1917 წლის 7 მარტს რუსეთის დროებითმა მთავრობამ გამოსცა „მანიფესტი ფინეთის დიდი სამთავროს კონსტიტუციის დამტკიცებისა და მისი სრულად გამოყენების შესახებ“. მანიფესტის ძალით ფინეთს დაუბრუნდა ყველა ის ავტონომიური უფლება, რომელიც რუსიფიკაციის წლებში (1899-1916 წწ.) ჩამოერთვა. დროებითი მთავრობა ფინელ ხალხს დაჰპირდა, რომ მოიწვევდა პარლამენტს და კანონმდებლობას განაახლებდა. 1917 წლის 13 მარტს რუსიფიკაციის წლებში მოქმედი სენატის ნაცვლად შეიქმნა ფინეთის მრავალპარტიული, კოალიციური სენატი (მთავრობა). სენატში ადგილები თანაბრად გაიყვეს ფინეთის სოციალ-დემოკრატია და ბურჟუაზიის ბლოკმა (ფინეთის თანხმობის პარტიამ, ახალგაზრდა ფინელების პარტიამ – კონსტიტუციურმა პარტიამ, აგრარულმა ალიანსმა და შვედურმა პარტიამ). მიუხედავად სენატში ადგილების თანაბრად გაყოფისა, ფინეთის სენატში უმნიშვნელოვანესი თანამდებობები სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს. ფინეთის ბურჟუაზია ამას პროტესტით არ შეხვედრია, რადგან თვლიდა, რომ მრავალპარტიული სენატი უმჯობესი იყო ქვეყნის მომავლისათვის. სენატის თავმჯდომარის მოადგილე გახდა ფინეთის პროფკავშირების ლიდერი სოციალ-დემოკრატი ოსკარ ანგტი ტოკოი. ფინეთის სენატის თავმჯდომარედ ჯერ-ჯერობით კვლავ ითვლებოდა რუსი გენერალ-გუბერნატორი. 1917 წლის 31 მარტს კი ფინეთის სენატის თავმჯდომარედ აირჩიეს სოციალ-დემოკრატი მიხაილ სტახოვიჩი.

ფინეთის პარლამენტის შეკრება მხოლოდ 1917 წლის 4 აპრილს გახდა შესაძლებელი. ფინეთის სენატი ცდილობდა პარლამენტში გაეტანა ისეთი საკითხები, როგორებიც იყო: ფინეთის დამოუკიდებლობა, კანონების განახლება, მიწის საკითხი და სხვა. 1917 წლის 20 აპრილს პარლამენტში გამოსვლისას ტოკოიმ აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო „სახელმწიფო გარდაქმნების“ გატარება, რაც ფინეთის დამოუკიდებლობას გულისხმობდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფინეთის დიდი სამთავროს სენატს ოფიციალურად ეწოდებოდა „იმპერატორის ფინეთის სენატი“. ფინეთის პარლამენტმა 1917 წლის აპრილში სენატის სახელწოდებიდან სიტყვა „იმპერატორის“ ამოიღო. რუსეთთან დამოკიდებულების თვალსაზრისით ფინეთის სენატის წევრები ორად გაიყვნენ: შემთანხმებლები (პრორუსული ორიენტაციის მომხრეები) და კონსტიტუციონალისტები (დამოუკიდებლობის მომხრეები).

ფინეთის პარლამენტსა და სენატში დაიწყო პოლემიკა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების შესახებ. პოლიტიკოსები სვამდნენ კითხვებს: 1) შეიძლებოდა თუ არა რუსეთის დროებითი მთავრობა ყოფილიყო ფინეთის დიდი სამთავროს ხელისუფლების სამართალმემკვიდრე; 2) შეიძლებოდა თუ არა ფინეთის კანონების საფუძველზე გადაჭრილიყო ფინეთის დიდი სამთავროს ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ორი შეხედულება. პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების სამართალმემკვიდრე – რუსეთის დროებითი მთავრობა – ამავე დროს ფინეთის დიდი სამთავროს ხელისუფლების სამართალმემკვიდრეც იყო. მათი აზრით საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა რუსეთის დამფუძნებელი კრების კომპეტენციაში შედიოდა. ეროვნული ორიენტაციის პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ ფინეთის დიდ სამთავროში ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა ფინელი ხალხის წარმომადგენლობით ორგანოს. 1917 წლის ივნისში ფინელმა სოციალ-დემოკრატებმა პარლამენტში წარადგინეს კანონპროექტი „სახელმწიფოს შესახებ“, რომელიც ფინეთის ავტონომიის გაფართოებას მოითხოვდა. ამის შემდეგ ფინელმა სოციალ-დემოკრატებმა პარლამენტს წარუდგინეს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ფინეთის პარლამენტი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა. 1917 წლის 5 ივლისს კანონპროექტმა პარლამენტში 135 ხმა მიიღო. წინააღმდეგი იყო 55 დეპუტატი. ამის საპასუხოდ რუსეთის დროებითმა მთავრობამ (თავმჯდომარე ალექსანდრე კერენსკი) ფინეთის პარლამენტი დაითხოვა. დაძაბულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ფინეთის სენატის სოციალ-დემოკრატმა წევრებმა 1917 წლის ზაფხულში უარი თქვეს მოვალეობის შესრულებაზე. 1917 წლის 17 აგვისტოს გადადგა



სენატის თავმჯდომარე ტოკოი, მისი ადგილი დაიკავა ემილ ნესტორ სეტალამ. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ფინეთის გენერალ-გუბერნატორმა მიხაილ სტახევიჩმა პარლამენტის რეზიდენციის შესასვლელთან დაცვა დააყენა, რათა არ დაეშვა პარლამენტის მუშაობის განახლება. 1917 წლის 4 სექტემბერს ალექსანდრე კერენსკიმ მიხაილ სტახევიჩი გუბერნატორის თავამდებობიდან გადააყენა და მის ნაცვლად ნიკოლაი ნეკრასოვი დანიშნა. 1917 წლის 8 სექტემბერს ფინეთის სენატის ახალი შემადგენლობა შეიკრიბა, რომლის თავმჯდომარეც პრორუსული ორიენტაციის ემილ სეტალა გახდა. 1917 წლის 30 სექტემბერს ფინეთის გენერალ-გუბერნატორმა ნიკოლაი ნეკრასოვმა რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს ალექსანდრე კერენსკის ფინეთის დიდი სამთავროს სეიმის არჩევნების დანიშვნის თხოვნით მიმართა. ალექსანდრე კერენსკიმ არჩევნები 1917 წლის 19 ოქტომბრისათვის დანიშნა. მანამდე, 1917 წლის ოქტომბრის დამდეგს, გაიმართა ფინეთის პარლამენტის არჩევნები. სოციალ-დემოკრატებმა 200 ადგილიდან მხოლოდ 92 ადგილი მიიღეს. პარლამენტის უმრავლესობას გლეხთა კავშირი შეადგენდა.

1917 წლის 24-25 ოქტომბერს რუსეთში ბოლშევიკებმა კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს. დროებითი მთავრობა დაემხო. რუსეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ფინელმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ, თუ რა მზაკვრული გეგმები ჰქონდა საბჭოთა რუსეთს ფინეთის მიმართ. პეტროგრადში განვითარებულმა მოვლენებმა დააჩქარა ფინეთში ხელისუფლების საკითხის გადაჭრა.

1917 წლის 15 ნოემბერს კონსტიტუციის 38-ე მუხლის ძალით პარლამენტმა თავი ფინეთის უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოდ გამოაცხადა და დანიშნა მთავრობა – სენატი. ამავე დროს მიღებული იქნა დადგენილება კონსტიტუციისა და მმართველობის შესახებ კანონის შეცვლის თაობაზე. 1917 წლის 27 ნოემბერს შეიკრიბა ფინეთის სენატის ახალი შემადგენლობა, რომლის თავმჯდომარე გახდა პერ ევინდ სვინჰუფვუდი. 1917 წლის 4 დეკემბერს ფინეთის სენატმა პარლამენტს წარუდგინა ფინეთის კონსტიტუციის პროექტი. პროექტის მიხედვით, ფინეთი ცხადდებოდა სუვერენულ რესპუბლიკად. კონსტიტუციის პროექტს ხელს აწერდნენ ფინეთის სენატის წევრები: პერ ევინდ სვინჰუფვუდი, ემილ ნესტორ სეტალა, კუესტი კალიო, იალმარი კასტრენი, ონი ტასალი, არტურ კასტრენი, ჰეიკი რეინვალდი, იუჰანი არაიარვი, ალექსანდერ ფრეი, ერო იურიო პეჰკონენი, ოსკარ ვილხო ლოუჰინუორი.

1917 წლის 6 დეკემბერს ფინეთის პარლამენტმა დაამტკიცა კონსტიტუციის პროექტი. 1917 წლის 6 დეკემბერი ითვლება ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღედ.

ფინეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საბჭოთა რუსეთის მთავრობა. ბოლშევიკები აღიარებდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას სრულ სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე. ფინეთმა სწორედ ამ უფლებით ისარგებლა. საბჭოთა რუსეთის მთავრობისათვის, ცხადია, მიუღებელი იყო ფინეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში იგი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1917 წლის 18 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ (მთავრობამ) ცნო ფინეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მთავრობის დადგენილებას ხელს აწერდნენ: სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ლენინი, სახალხო კომისრები (მინისტრები): ლევ ტროცკი, გრიგორი პეტროვისკი, იოსებ სტალინი, ისააკ შტეინბერგი, ვლადიმერ კარელინი, ალექსანდრ შლიხტერი. ამ დოკუმენტის რატიფიკაცია 1917 წლის 22 დეკემბერს მოახდინა რულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა.

1918 წლის 4 იანვრიდან 9 ოქტომბრამდე ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ცნეს: საფრანგეთმა, შვედეთმა, გერმანიამ, საბერძნეთმა, ნორვეგიამ, დანიამ, შვეიცარიამ, ავსტრია-უნგრეთმა, ნიდერლანდებმა, ესპანეთმა, ოსმალეთმა, ბულგარეთმა, არგენტინამ, ირანმა, ტაილანდმა; 1919 წლის 8 მარტიდან 31 დეკემბრამდე –

პოლონეთმა, ინგლისმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იაპონიამ, ბელგიამ, ჩილემა, პერუმ, იტალიამ, ურუგვაიმ, ლიხტენშტეინმა, პორტუგალიამ, ბრაზილიამ, კოლუმბიამ; 1920 წლის 8 აპრილიდან 23 აგვისტომდე – რუმინეთმა, ვენესუელამ, პანამამ, ეკვადორმა, უნგრეთმა. 1921 წელს – პარაგვაიმ და ლუქსემბურგმა.

ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება უაღრესად რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში მოხდა. მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომი. 1918 წლის მარტში რუსეთში სამოქალაქო ომი დაიწყო. შექმნილ ვითარებაში ფინეთის პარლამენტის დეპუტატებმა რესპუბლიკური წყობილებისადმი თავიანთი დამოკიდებულება შეცვალეს. 1918 წლის მაისში მუშაობა განაახლა ფინეთის პარლამენტმა. ამ დროისათვის პარლამენტის სოციალ-დემოკრატი დეპუტატებიდან 40 რუსეთში იმალებოდა, ხოლო 50 უკვე დაპატიმრებული იყო. პარლამენტის პირველ სხდომაზე გამოცხადდა მემარჯვენე ორიენტაციის 97 დეპუტატი და 1 დეპუტატი სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობიდან. მემარჯვენე დეპუტატებში ძლიერი იყო მონარქიის აღდგენისაკენ მისწრაფება. 1918 წლის 18 აგვისტოს ფინეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება ფინეთში რესპუბლიკური წყობილების მონარქიით შეცვლის თაობაზე. ეს დადგენილება გადაეგზავნა ფინეთის სენატს. 1918 წლის 9 ოქტომბერს პარლამენტმა ფინეთი სამეფოდ გამოაცხადა. მეფედ მოიწვიეს გერმანიის იმპერატორის ცოლისძმა, ჰესენის პრინცი ფრიდრიხ კარლ ლუდვიგ კონსტანტინ ფონ ჰესენ-კასელ რუმპენჰეიმი (ფინური ტრანსკრიფციით: ფრედერიკ კაარლე). მეფე ფინეთში არ ჩამოსულა. მის მოვალეობას ასრულებდა რეგენტი, ფინეთის სენატის (მთავრობის) თავმჯდომარე სვინჰუფვუდი. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ, 1918 წლის 12 დეკემბერს, ფრიდრიხ კარლმა უარი თქვა ფინეთის ტახტზე. იმავე დღეს პარლამენტმა მოიწონა რეგენტის, სვინჰუფვუდის გადადგომა და ახალ რეგენტად აირჩია გენერალი კარლ გუსტავ ემილ მანერჰეიმი (მანერჰეიმის რეგენტად არჩევა კანონიერად გაფორმდა მოგვიანებით, 1919 წლის 17 ივნისს, მას შემდეგ, რაც 1919 წლის მარტში ჩატარდა ფინეთის ახალი პარლამენტის არჩევნები).

კარლ გუსტავ ემილ მანერჰეიმი დაიბადა 1867 წლის 4 ივნისს ასკაინენში (ფინეთის დიდი სამთავრო, ქ. ჰელსინკიდან ჩრდილო-დასავლეთით 194 კილომეტრი). იყო ლუთერანული ეკლესიის მრევლი. 1887-1889 წლებში სწავლობდა სანკტ-პეტერბურგში ნიკოლოზის საკავალერიო სასწავლებელში. 1904-1905 წლებში მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში, 1906-1908 წლებში რუსეთის სამხედრო სპეციალისტებთან ერთად იმყოფებოდა ჩინეთის ექსპედიციაში, 1909 წლიდან მსახურობდა პოლონეთის სამეფოში, 1914 წლიდან მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე.

1918 წლიდან ფინეთი პრაქტიკულად მუდმივ საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ჯერ საბჭოთა რუსეთთან, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირთან. სამხედრო კონფლიქტებსა და ომებში დასავლური სამყარო სერიოზულ დახმარებას უწევდა ფინეთს. სამწუხაროდ 1939-1940 წლების საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ფინეთს სერიოზული დახმარება ვერ აღმოუჩინეს. 1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტის ძალით გერმანიას არ შეეძლო საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში ფინეთის მხარეზე ჩაბმულიყო. ინგლისის, საფრანგეთისა და შვედეთის მიერ აღმოჩენილი დახმარება ძალზე უმნიშვნელო იყო. ასე რომ, ფინეთი მარტოდმარტო აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მიუხედავად გმირული ბრძოლებისა, საბოლოოდ ფინეთი მაინც დამარცხდა და იძულებული გახდა 1940 წლის 12 მარტს მისთვის არასასურველი ზავი დაედო საბჭოთა კავშირთან. მეორე მსოფლიო ომში ფინეთი გერმანიის მოკავშირედ გამოდიოდა. გერმანიის დამარცხების შემდეგ საბჭოთა კავშირის მოთხოვნით გამარჯვებულმა ქვეყნებმა ფინეთი დასაჯეს. 1947 წლის 10 თებერვალს ფინეთმა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებთან ხელშეკრულება დადო. ეს ხელშეკრულება დასაჯდა ფინეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ დოკუმენტებსა და მასალებს ფინეთის ახალი ისტორიიდან.

*დოკუმენტი №1. ალექსანდრე I -ის 1808 წლის 20 მარტის მანიფესტო*  
**Манифест**

**О покорении шведской Финляндии и о присоединении оной навсегда  
к России 20-го марта 1808 года.**

Из деклараций, в свое время изданных, известны праведные уважения подвигнувшие Нас к разрыву с Швецией и к введению войск наших в шведскую *Финляндию*. Безопасность отечества нашего взыскивала от нас сея меры.

Явная преклонность короля шведского к державе, нам неприязненной, новый союз его с нею и наконец насильственный и неимоверный поступок, с посланником нашим в Стокгольме учиненный, происшествие столько же оскорбительное Империи нашей, как и противное всем правам в просвещенных странах свято наблюдаемым, превратили меру воинской предосторожности в необходимый разрыв и соделали войну неизбежной.

Всевышний приосенил помощью своею праведною наше дело. Войска наши с мужеством им обычным, борясь с препятствиями и преодолевая все трудности им предстоявшие, пролагая себе путь чрез места, кои по настоящее время считались непроходимыми, повсюду встречая неприятеля и храбро поражая его, овладели и заняли всю почти Шведскую Финляндию.

Страну, сию оружием нашим таким образом покоренную, мы присоединяем отныне навсегда к Российской империи, и вследствие того повелели мы принять от обывателей ее присягу на верное престолу нашему подданство.

Возвещая о сем присоединении верным нашим подданным, удостоверены мы, что разделяя наши чувства признательности и благодарения к престолу Всемогущего, прольют они теплые их молитвы, да вседействующая Его сила предвидет храброму воинству нашему в дальнейших его подвигах, да благословит и увенчает оружие наше успехами, и отстранит от пределов отечества нашего бедствия, коими враги потрясти его искали.

**Александр**

Дан в С.Петербурге, 20 марта 1808 г. Подписан императором Александром I и контрастигнован министром иностранных дел графом **Николаем Румянцевым**.

**Полное собрание законов Российской империи. Собрание первое.** Том 30. 1808-1809. СПб., 1830, стр. 146; **П. Шиловский.** Акты, относящиеся к политическому положению Финляндии. СПб., 1903. стр. 127; Национальная политика в императорской России. Под редакцией **Ю.И. Семенова.** Москва, 1997.  
(internetversia ix.: <http://rus-sky.org/history/library/documents.htm> [http://www.hrono.info/dokum/1800dok/1808\\_03.php](http://www.hrono.info/dokum/1800dok/1808_03.php))

*დოკუმენტი №2. ალექსანდრე I -ის 1808 წლის 5 (17) ივნისის მანიფესტო*

**Манифест**  
**О присоединении Финляндии**  
**5 (17) июня 1808 года**

Божиею милостью, **Мы Александр первый** Император и Самодержец Всероссийский, и проч., и проч., и проч. Нам верноподданным обывателям новоприсоединенной **Финляндии** всякого чина и состояния.

По непреложным судьбам Вышнего, благословляющего оружие Наше, присоединив навсегда Финляндию к России, с удовольствием Мы зрели торжественные обеты, обывателями сего края принесенные на верное и вечное их Скипетру Российскому подданство. Вместе с сим восприяли Мы на себя священную обязанность хранить сие достояние, промыслом Нами врученное, во всей его незыблемости и в непреложном и вечном с Россиею единстве.

В чреде народов, Скипетру Российскому подвластных и единую Империю составляющих, обыватели новоприсоединенной Финляндии с сего времени восприяли навсегда свое место. От сего великого состава противу воли и предопределений Вышнего ничто отторгнуть их не может. То же самое Провидение, которое споспешествовало храброму воинству Нашему в обладании сей страны, будет покровительствовать Нам в неразрывном ее соблюдении.

Обыватели Финляндии! Да запечатлеются истины сии неизгладимо в сердцах ваших. Под сению престола Нашего покоются многочисленные народы, судьбы их равно сердцу Нашему драгоценны; вступив в состав Империи Нашей, вы приобрели тем самым равные права с ними. Сверх древних установлений, страны вашей свойственных и свято Нами хранимых, новое поле вашей деятельности и трудолюбию открывается.

Под сильным щитом России, земледелие ваше, торговля, промыслы, все источники народного богатства и благосостояния воспримут новую жизнь и расширение. Мы познаем вскоре все ваши нужды и не уедем простереть вам руку помощи и облегчения. Оружие Наше оградит пределы ваши от всякого к вам прикосновения и отразит все покушения врагов, если бы когда либо возмутить спокойствие ваше они дерзнули. Приверженность, единство и непоколебимая верность есть единое возмездие, коего Мы за все сие от вас требуем и ожидаем несомненно.

Обыватели Финляндии! Да не колеблется внимание ваше слухами и обольщениями, если бы враги наши паче чаяния рассеять их между вами покусились. Судьба страны вашей решена невозвратно. Всякое разглашение о восстановлении шведского над вами владычества было бы тщетное заблуждение, единственно во вред вам устремляемое. Всякая преклонность и приобщение обывателей к таковым внушениям повлекло бы с собой неминуемую им гибель и разорение.

Нам известно, что некоторые соотечественники ваши теперь еще служат в войсках шведских, против вас самих вооружаются. Доселе ожидали Мы с терпением раскаяния их и покорности. Долговременное коснение их полагало уже конец ожиданию Нашему; но преклонясь к судьбе семейств оставленных ими без призрения, Мы еще готовы принять их как верных подданных наших и заблуждения их навсегда изгладить из памяти Нашей, если в течение шестинедельного срока, считая со дня обнаружения сего манифеста Нашего, поспешат они возвратиться. Да престанут они отныне работать чуждой власти. Да возвратятся в недра своего отечества, но да возвратятся немедленно в назначаемый срок. По прошествии оно и раскаяния их не будет уже места.

Верные обыватели Финляндии! Будьте тверды и непоколебимы в преданности вашей к России. Слово Наше о сохранении вас в единстве есть непреложно и Мы всегда Императорскою Нашею милостью пребудем вам благосклонны.

В Санкт-Петербурге, июня дня **1808** года

На подлинном подписано собственной Его Императорского Величества рукой тако: **Александр**

Контрассигновано: Министр Граф **Николай Румянцев**

**П. Шиловский.** Акты, относящиеся к политическому положению Финляндии. СПб., 1903. стр. 133-134; Национальная политика в императорской России. Под редакцией **Ю.И. Семенова.** Москва, 1997.

(обобщенный текст об.: <http://www.hrono.info/dokum/manif1808.html>)

*დოკუმენტი №3. 1917 წლის 7 (20) მარტის მანიფესტი ფინეთის დიდი სამთავროს  
კონსტიტუციის შესახებ*

*Манифест  
об утверждении конституции Великого Княжества Финляндского и  
о применении её в полном объеме*

Облеченные всей полнотой власти, мы сим вновь утверждаем и удостоверяем религию, основные законы, права и преимущества, которыми граждане Великого Княжества Финляндского, от мала до велика, по конституции этой страны пользуются, обещая хранить оные в ненарушимой и непреложной их силе и действии.

Вместе с тем считаем необходимым принять следующие меры для применения сей конституции в полном её объеме.

Сим отменяем основные положения, объявленные при высочайшем Манифесте от 3/15 февраля 1899 года; высочайше утвержденный журнал Совета Министров от 26 мая (8 июня) 1908 года, о порядке доклада финляндских дел; изданный без согласия сейма Финляндии закон от 17/30 июня 1910 года, о порядке издания касающихся Финляндии законов и постановлений общегосударственного значения, и все изданные на основании оногo закона административные постановления.

Действие высочайшего Постановления от 20 мая (2 июня) 1904 года о распространении на Финляндию Положений о полевом управлении войск, об управлении крепостями и Правил о местностях, объявляемых на военном положении, а равно действие всех изданных по поводу мировой войны противоречащих финляндским законам правил должно прекратиться по окончании войны. Кроме того, должно прекратиться действие Манифеста от 31 мая (12 июня) 1890 года о почтовой части Великого Княжества Финляндского и высочайше утвержденных 30 сентября 1909 года временных правил о порядке надзора Министерства путей сообщения за финляндскими железными дорогами.

Повелеваем Финляндскому Сенату, в видах необходимого изменения прочих изданных за последние годы противоречащих финляндским законам положений, войти к нам с соответствующими предположениями.

Всем лицам, который совершили политические или религиозные преступления или нарушили закон от 20 января 1912 года об уравнивании в правах с финляндскими гражданами других русских подданных, или вообще за свои политические убеждения и деятельность были заключены в тюрьму или высланы за пределы Финляндии, даруется полная амнистия и они освобождаются от наказания и судебного преследования, и, буде они содержатся под стражей, подлежат немедленному освобождению.

Сейму Финляндии, который мы решили созвать в возможно краткий срок, будут переданы проекты новой Формы Правления для Великого Княжества Финляндского, и, если того потребуют обстоятельства, предварительно будут переданы проекты отдельных основных законоположений, в развитие конституции Финляндии. В особенности будут в этих проектах выяснены и расширены права Сейма в отношении права моций и определения доходов и расходов казны, а также и в том смысле, чтобы исконное право самообложения финляндского народа было распространено и на таможенное обложение и чтобы обеспечено было своевременное движение подлежащих утверждению законов, принятых Сеймом. Равным образом в Сейм будут внесены законопроект о предоставлении Сейму

права поверять служебные распоряжения членов Финляндского правительства, а также проекты законов о независимом высшем суде, о свободе печати и о союзах.

Мы торжественно сим актом подтверждаем Финляндскому народу, на основе его конституции, незабываемое сохранение его внутренней самостоятельности, прав его национальной культуры и языков. Мы выражаем твердую уверенность, что Россия и Финляндия будут отныне связаны уважением к закону, ради взаимной дружбы и благоденствия обоих свободных народов.

**В Петрограде, 7/20 марта 1917 года.**

**Министр-председатель, министр внутренних дел князь *Львов***

**Министр иностранных дел *Павел Милюков***

**Министр земледелия *А. Шингарев***

**Министр народного просвещения *А. Мануилов***

**Министр путей сообщения *Н. Некрасов***

**Министр торговли и промышленности *А. Коновалов***

**Обер-прокурор Святейшего Синода *В. Львов***

Контрассигновано:

Помощник комиссара по делам Статс-секретариата Великого Княжества Финляндского

***Д. Протопопов***

Управляющий делами Совета министров Временного правительства ***Влад. Набоков***

<http://heninen.net/sopimus/1917j.htm>

*დოკუმენტი №4. ფინეთის სენატის 1917 წლის 4 დეკემბრის  
მიმართვა ფინელ ხალხს*

### ***Народу Финляндии***

**Сенат Финляндии уполномочил своего председателя представить собирающемуся ныне Парламенту Финляндии проект новой **Формы Правления Финляндии**. Передавая его Парламенту, он выразил устремления Сената следующим образом:**

15-го ноября сего года Парламент Финляндии, в соответствии с параграфом 38 **Формы Правления**, провозгласил себя обладателем высшей государственной власти и назначил Правительство, основными задачами которого являются осуществление и защита независимости Финляндии. Этим шагом народ Финляндии взял свою судьбу в собственные руки, что не только оправдано, но и необходимо в существующей ситуации. Народ Финляндии глубоко осознаёт, что не может осуществить свою национальную и всемирную миссию иначе, как будучи полностью свободным. Вековая мечта о свободе стала теперь реальностью; народ Финляндии выступает в ряду других народов мира в качестве независимой нации.

Для достижения этой высокой цели Парламенту надлежит осуществить ряд мер. Действующая **Форма Правления Финляндии**, уже несоответствующая современному положению вещей, требует полного обновления, и по этой причине Парламенту представлен сейчас на обсуждение проект **Формы Правления Финляндии**, проект, который основывающийся на том, что Финляндия является независимым государством. Считая, что основные положения новой **Формы Правления** должны быть введены в силу безотлагательно, Правительство одновременно с передачей проекта основного закона

представляет также и проекты некоторые других законодательных актов, которые требуется обновить до того, как новая Форма Правления вступит в силу.

Все та же главная цель требует мер со стороны Правительства. Правительство обращается к властям других государств за получением международного признания независимости нашей страны. Это особенно необходимо сейчас, когда страна приведена полной изоляцией в опасное положение, когда голод и безработица вынуждают Правительство установить прямые контакты с зарубежными странами, срочная помощь которых импортом необходимых товаров для удовлетворения насущных потребностей населения и нужд промышленности является нашим единственным спасением от грозящего голода и остановки производства.

Народ России, сам свергнувший власть царя, неоднократно декларировал свое намерение наделить народ Финляндии правом распоряжаться своей собственной судьбой на основе своего многовекового культурного развития. Твёрдая воля финского народа пронесена через ужасы войны и основывается на принципе, согласно которому ни одна нация не должна быть зависима от другой без её желания. Народ Финляндии верит, что свободный народ России и его Учредительное Собрание не будут препятствовать усилиям Финляндии войти в число свободных и независимых народов. И народ Финляндии смеет надеяться на признание другими нациями своей полной независимости и свободы, и сделает всё от него зависящее, чтобы занять своё место в числе цивилизованных наций мира.

Обращая эти слова ко всем Гражданам Финляндии, Правительство выражает искреннее желание, чтобы каждый Гражданин, будь он частным или официальным лицом, сделал бы всё от него зависящее для сохранения порядка и, выполняя свой патриотический долг, непреклонно боролся за высокую общенациональную цель в момент, важнее и решающее которого ещё не было до сих пор в жизни народа Финляндии.

**Хельсинки, 4 декабря 1917 года.**

**Сенат Финляндии:**

- *П. Э. Свинхувуд*
- *Э. Н. Сетяля*
- *Кюёсти Каллио*
- *Ялмар Кастрен*
- *Онни Талас*
- *Артур Кастрен*
- *Хейкки Ренвалл*
- *Юхани Араярви*
- *Александр Фрэй*
- *Э. Ю. Пехконен*
- *О. В. Лоухивуори*

Сенат Финляндии представил эту Декларацию Парламенту Финляндии 4 Декабря 1917 года. 6 Декабря 1917 года Парламент Финляндии утвердил эту Декларацию.

<http://heninen.net/sopimus/1917i.htm>

*დოკუმენტი №5. საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს  
1917 წლის 18 დეკემბრის დადგენილება*

**СОВѢТЪ НАРОДНЫХЪ  
КОМИССАРОВ.**

**Петроградъ.**

"18" декабря 1917 г.

*No 101.*

Въ отвѣтъ на обращеніе финляндскаго Правительства о признаніи независимости Финляндской республики, Совѣтъ Народныхъ Комиссаровъ, въ полномъ согласіи съ принципами права націй на самоопредѣленіе, ПОСТАНОВЛЯЕТЪ: Войти въ Центральный Исполительный Комитетъ съ предложеніемъ:

а/ признать государственную независимость финляндской Республики

и б/ организовать, по соглашенію съ финляндскимъ Правительствомъ, особую Комиссію изъ представителей обѣихъ сторонъ для разаработки тѣхъ практическихъ мѣропріятій, которыя вытекають изъ отдѣленія финляндіи отъ Россіи.

**Предсѣдатель Совѣта Народныхъ  
Комиссаровъ** *Вл. Ульяновъ (Ленин)*

**Народные Комиссары:** *Л. Троцкій*  
*Г. Петровскій*  
*І. Сталин*  
*І. Штейнбергъ*  
*В. Карелинъ А. Шлихтэръ*

**Управляющій Дѣлами Совѣта Народныхъ**

**Комиссаровъ** *Влад. Бончъ-Бруевичъ*

**Секретарь Совѣта** *Н. Горбуновъ.*

<http://histdoc.net/history/ru/itsen.html>



*დოკუმენტი №6. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის 1917 წლის 22 დეკემბრის დადგენილება*

**ВСЕРОССИЙКІЙ ЦЕНТРАЛЬНЫЙ  
Исполнительный Комитетъ  
совѣтовъ  
РАБОЧИХЪ и СОЛДАТСКИХЪ  
депутатовъ.**

**Петроградъ.**

"23" декабря 1917 г.

*No 321.*

ВЫПИСКА ИЗЪ ПРОТОКОЛА ЗАСѢДАНІЯ ЦЕНТРАЛЬ-  
НАГО ИСПОЛНИТЕЛЬНОГО КОМИТЕТА отъ 22-го

Декабря 1917 года.

Въ засѣданіи 22-го Декабря 1917 г., Всерос-  
скій Центральный Исполнительный Комитетъ совѣта  
Рабочихъ, Солдатскихъ и Крестьянскихъ Депутатовъ  
постановилъ:

1/. Признать Государственную независимость  
Финляндской Республики.

2/. Организовать по соглашенію съ Финляндскимъ  
Правительствомъ и Представителями Финлянд-  
скаго рабочаго класса особую комиссію для  
разработки тѣхъ практическихъ мѣропріятій,  
которыя вытекають изъ отдѣленія Финляндіи  
отъ Россіи.

**Предсѣдатель *И. Свердловъ***

**Секретарь *В. Аванесовъ***

<http://histdoc.net/history/ru/itsen.html>

*დოკუმენტი №7. საბჭოთა კავშირისა და გერმანიას შორის 1939 წლის  
23 აგვისტოს თავდაუსხმელობის ხელშეკრულება*

**Договор о ненападении между Германией и Советским Союзом**

*23 августа 1939 г.*

Правительство СССР и Правительство Германии, руководимые желанием укрепления дела мира между СССР и Германией и исходя из основных положений договора о нейтралитете, заключенного между СССР и Германией в апреле 1926 года, пришли к следующему соглашению:

### **Статья I**

Обе Договаривающиеся Стороны обязуются воздерживаться от всякого насилия, от всякого агрессивного действия и всякого нападения в отношении друг друга, как отдельно, так и совместно с другими державами.

### **Статья II**

В случае если одна из Договаривающихся Сторон окажется объектом военных действий со стороны третьей державы, другая Договаривающаяся Сторона не будет поддерживать ни в какой форме эту державу.

### **Статья III**

Правительства обеих Договаривающихся Сторон останутся в будущем в контакте друг с другом для консультации, чтобы информировать друг друга о вопросах, затрагивающих их общие интересы.

### **Статья IV**

Ни одна из Договаривающихся Сторон не будет участвовать в какой-нибудь группировке держав, которая прямо или косвенно направлена против другой стороны.

### **Статья V**

В случае возникновения споров или конфликтов между Договаривающимися Сторонами по вопросам того или иного рода, обе стороны будут разрешать эти споры или конфликты исключительно мирным путем в порядке дружественного обмена мнениями или в нужных случаях путем создания комиссий по урегулированию конфликта.

### **Статья VI**

Настоящий договор заключается сроком на десять лет, с тем что, поскольку одна из Договаривающихся Сторон не денонсирует его за год до истечения срока, срок действия договора будет считаться автоматически продленным на следующие пять лет.

### **Статья VII**

Настоящий договор подлежит ратификации в возможно короткий срок. Обмен ратификационными грамотами должен произойти в Берлине. Договор вступает в силу немедленно после его подписания.

Составлен в двух оригиналах, на немецком и русском языках, в Москве 23 августа 1939 года.

**По уполномочию  
Правительства СССР  
В. Молотов**

**За Правительство  
Германии  
И. Риббентрон**

[http://katyn-books.ru/archive/year/God\\_krizisa\\_1t\\_2t.htm#602doc](http://katyn-books.ru/archive/year/God_krizisa_1t_2t.htm#602doc)

**დოკუმენტი №8. საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის 1939 წლის  
23 აგვისტოს დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულების  
დამატებითი საიდუმლო ოქმი**

### **Секретный дополнительный протокол к Договору о ненападении между Германией и Советским Союзом**

При подписании договора о ненападении между Германией и Союзом Советских Социалистических Республик нижеподписавшиеся уполномоченные обеих сторон обсудили в строго конфиденциальном порядке вопрос о разграничении сфер обоюдных интересов в Восточной Европе. Это обсуждение привело к нижеследующему результату:

1. В случае территориально-политического переустройства областей, входящих в состав Прибалтийских государств (Финляндия, Эстония, Латвия, Литва), северная граница Литвы одновременно является границей сфер интересов Германии и СССР. При этом интересы Литвы по отношению Виленской области признаются обеими сторонами.

2. В случае территориально-политического переустройства областей, входящих в состав Польского государства, граница сфер интересов Германии и СССР будет приблизительно проходить по линии рек Нарева, Висла и Сана.

Вопрос, является ли в обоюдных интересах желательным сохранение независимого Польского государства и каковы будут границы этого государства, может быть окончательно выяснен только в течение дальнейшего политического развития.

Во всяком случае оба правительства будут решать этот вопрос в порядке дружественного обоюдного согласия.

3. Касательно юго-востока Европы с советской стороны подчеркивается интерес СССР к Бессарабии. С германской стороны заявляется о ее полной политической незаинтересованности в этих областях.

4. Этот протокол будет сохраняться обеими сторонами в строгом секрете.

**Москва, 23 августа 1939 года**

**По уполномочию  
Правительства СССР  
В. Молотов**

**За Правительство  
Германии  
И. Риббентроп**

[http://katyn-books.ru/archive/year/God\\_krizisa\\_1t\\_2t.htm#602doc](http://katyn-books.ru/archive/year/God_krizisa_1t_2t.htm#602doc)

**დოკუმენტი №9. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის 1940 წლის 12 მარტს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება**

### **Мирный договор между Союзом Советских Социалистических Республик и Финляндской Республикой**

Президиум Верховного Совета СССР, с одной стороны, и Президент Финляндской Республики, с другой стороны, руководимые желанием прекратить возникшие между обеими странами военные действия и создать прочные взаимные мирные отношения, убежденные, что интересам обеих Договаривающихся Сторон соответствует определение точных условий обеспечения взаимной безопасности, в том числе обеспечения безопасности городов Ленинграда и Мурманска, а также Мурманской железной дороги, признали необходимым заключить в этих целях Мирный Договор и назначили своими уполномоченными

Президиум Верховного Совета СССР:

**Молотова Вячеслава Михайловича**, Председателя Совета Народных Комиссаров СССР и Народного Комиссара Иностранных Дел,  
**Жданова Андрея Александровича**, члена Президиума Верховного Совета СССР,  
**Василевского Александра Михайловича**, комбрига.

Президент Финляндской Республики:

**Рюти Ристо**, Председателя Совета Министров Финляндской Республики,  
**Паасикиви Юхо Кусти**, министра,  
**Вальден Карла Рудольфа**, генерала,  
**Войонмаа Вяйнё**, профессора.

Означенные уполномоченные, по взаимном предъявлении своих полномочий, признанных составленными в надлежащей форме и в полном порядке, согласились о нижеследующем:

#### **Статья I**

Военные действия между СССР и Финляндией прекращаются немедленно в порядке, предусмотренном прилагаемым к настоящему Договору Протоколом.

#### **Статья II**

Государственная граница между СССР и Финляндской Республикой устанавливается по новой линии, по которой в состав территории СССР включаются весь Карельский перешеек с г.Выборгом (Виипури) и Выборгским заливом с островами, западное и северное побережье Ладожского озера с городами Кексгольмом, Сортавала, Суоярви, ряд островов в Финском заливе, территория восточнее Меркярви с городом Куоляярви, часть полуостровов Рыбачьего и Среднего - согласно приложенной к настоящему Договору карте.

Более подробно описание пограничной линии будет установлено смешанной комиссией из представителей Договаривающихся Сторон, каковая комиссия должна быть образована в десятидневный срок со дня подписания настоящего договора.

#### **Статья III**

Обе Договаривающиеся Стороны обязуются взаимно воздерживаться от всякого нападения одна на другую и не заключать каких-либо союзов или участвовать в коалициях, направленных против одной из Договаривающихся Сторон.

#### **Статья IV**

Финляндская Республика выражает согласие сдать Советскому Союзу в аренду с ежегодной уплатой Советским Союзом 8 миллионов финских марок, сроком на 30 лет, полуостров Ханко и морскую территорию вокруг него, радиусом в 5 миль к югу и востоку и в 3 мили к западу и северу от него, и ряд островов, примыкающих к нему, в соответствии с приложенной картой, - для создания там военно-морской базы, способной оборонять от агрессии вход в Финский залив, причем в целях охраны морской базы Советскому Союзу предоставляется право держать там за свой счет необходимое количество наземных и воздушных вооруженных сил.

Финляндское Правительство в течение десяти дней с момента вступления в силу настоящего Договора выводит с полуострова Ханко все свои войска, и полуостров Ханко вместе с прилегающими островами переходит в управление СССР, в соответствии с настоящей статьей Договора.

#### **Статья V**

СССР обязуется вывести свои войска из области Петсамо, добровольно уступленной Финляндии советским государством, согласно Мирному Договору 1920 года.

Финляндия обязуется, как это было предусмотрено Мирным Договором 1920 года, не содержать в водах своего побережья Северного Ледовитого океана военных и прочих вооруженных судов, за исключением вооруженных судов размером меньше 100 тонн, каковые Финляндия имеет право держать без ограничения, а также содержать не более 15 военных и прочих вооруженных судов, тоннаж которых не должен превышать 400 тонн для каждого.

Финляндия обязуется, как это было предусмотрено тем же Договором, не содержать в означенных водах подводных лодок и вооруженных воздушных судов.

Равным образом Финляндия обязуется, как это было предусмотрено тем же Договором, не устраивать на этом побережье военных портов, баз для военного флота и военных ремонтных мастерских объемом больше, чем потребно для упомянутых судов и их вооружения.

#### **Статья VI**

Советскому Союзу и его гражданам, как это было предусмотрено Договором 1920 года, предоставляется право свободного транзита через область Петсамо в Норвегию и обратно, причем в области Петсамо Советскому Союзу предоставляется право учреждения консульства.

Грузы, провозимые через область Петсамо из СССР в Норвегию, а равно грузы, провозимые из Норвегии в СССР через ту же область, освобождаются от осмотра и контроля, за исключением лишь

контроля, необходимого в видах урегулирования транзитного сообщения, а также не облагаются таможенными пошлинами, транзитными и иными сборами.

Упомянутый выше контроль транзитных грузов допускается лишь в форме, соблюдаемой в таких случаях по установившимся обычаям международного сообщения.

Граждане СССР, направляющиеся через область Петсамо в Норвегию и обратно из Норвегии в СССР, имеют право свободного транзитного проезда на основании выдаваемых подлежащими советскими органами паспортов.

При соблюдении действующих общих положений советские невооруженные летательные аппараты имеют право поддерживать воздушное сообщение через область Петсамо между СССР и Норвегией.

#### **Статья VII**

Финляндское Правительство предоставляет Советскому Союзу право транзита товаров между СССР и Швецией, и в целях развития этого транзита по кратчайшему железнодорожному пути СССР и Финляндия признают необходимым построить, каждая сторона на своей территории, по возможности в течение 1940 года железную дорогу, соединяющую г.Кандалакша с г.Кемиярви.

#### **Статья VIII**

По вступлении в силу настоящего Договора возобновляются экономические отношения между Договаривающимися Сторонами, и с этой целью Договаривающиеся Стороны вступят в переговоры для заключения торгового договора.

#### **Статья IX**

Настоящий Мирный Договор вступает в силу немедленно по его подписании и подлежит последующей ратификации.

Обмен ратификационных актов будет произведен в течение десяти дней, в г.Москве.

Настоящий Договор составлен в двух оригиналах, на русском, финском и шведском языках каждый, в г.Москве, 12 марта 1940 года.

**В. Молотов**

**А. Жданов**

**А. Василевский**

**Ристо Рюти**

**Ю. Паасикиви**

**Р. Вальден**

**Вяйнё Войонмаа**

<http://heninen.net/sopimus/1940.htm>

**დოკუმენტი №10. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების  
1947 წლის 10 თებერვლის პარიზის სამშვიდობო  
ხელშეკრულება ფინეთთან**

[10 февраля 1947 г.]

#### **Мирный договор с Финляндией**

Союз Советских Социалистических Республик, Соединенное Королевство Великобритании и Северной Ирландии, Австралия, Белорусская Советская Социалистическая Республика, Канада, Чехословакия, Индия, Новая Зеландия, Украинская Советская Социалистическая Республика и Южно-Африканский Союз, как государства, находящиеся в состоянии войны с Финляндией и активно участвовавшие в войне против вражеских государств в Европе существенными военными контингентами, именуемые в дальнейшем "Союзные и Соединенные Державы", с одной стороны, и Финляндия, с другой стороны;

Принимая во внимание, что, став союзником гитлеровской Германии и участвуя на ее стороне в войне против Союза Советских Социалистических Республик, Соединенного Королевства и других Объединенных Наций, Финляндия несет свою долю ответственности за эту войну;

Принимая, однако, во внимание, что 4 сентября 1944 года Финляндия полностью прекратила военные действия против Союза Советских Социалистических Республик, вышла из войны против Объединенных Наций, порвала отношения с Германией и ее сателлитами и, заключив 19 сентября 1944 года Перемирие с Правительствами Союза Советских Социалистических Республик и Соединенное Королевства, действовавшими от имени Объединенных Наций, находящихся в состоянии войны с Финляндией, лояльно выполняла условия Соглашения о Перемирии; и Принимая во внимание, что Союзные и Соединенные Державы и Финляндия желают заключить мирный договор, который, соответствуя принципам справедливости, урегулирует вопросы, остающиеся еще нерешенными в результате перечисленных выше событий, и явится основой дружественных отношений между ними, тем самым давая Союзным и Соединенным Державам возможность поддержать обращение Финляндии о принятии ее в члены Организации Объединенных Наций, а также о присоединении Финляндии к любой конвенции, заключенной по почину Организации Объединенных Наций;

В соответствии с этим решили объявить о прекращении состояния войны и для этой цели заключить настоящий Мирный Договор и назначили для этого нижеподписавшихся в качестве своих Полномочных Представителей, которые по представлении своих полномочий, найденных в порядке и надлежащей форме, согласились о следующих постановлениях:

### ***Часть I. Территориальные постановления***

#### **Статья 1**

Границами Финляндии будут границы, существовавшие на 1 января 1941 года, как они показаны на прилагаемой к настоящему Договору карте (Приложение I), с изменениями, предусмотренными в следующей статье.

#### **Статья 2**

В соответствии с Соглашением о Перемирии от 19 сентября 1944 года Финляндия подтверждает, что она возвратила Советскому Союзу область Петсамо (Печенга), добровольно уступленную Финляндии Советским Государством по мирным договорам от 14 октября 1920 года и от 12 марта 1940 года.

Границы области Петсамо (Печенга) показаны на карте, прилагаемой к настоящему Договору (Приложение I).

### ***Часть II. Политические постановления***

#### **Раздел I**

#### **Статья 3**

В соответствии с Соглашением о Перемирии действие Мирного Договора, заключенного между Советским Союзом и Финляндией в Москве 12 марта 1940 года, восстанавливается, при условии, что статьи 4, 5 и 6 этого Договора заменяются статьями 2 и 4 настоящего Договора.

#### **Статья 4**

1. В соответствии с Соглашением о Перемирии Советский Союз подтверждает, что он отказался от своих прав на аренду полуострова Ханко, предоставленных ему Советско-Финским Мирным Договором от 12 марта 1940 года, а Финляндия, со своей стороны, подтверждает, что она предоставила Советскому Союзу на правах аренды в пользование и управление сроком на 50 лет, с ежегодной уплатой Советским Союзом 5 миллионов финских марок, территорию и водные пространства для создания советской военно-морской базы в районе Порккала-Удд, как показано на карте, прилагаемой к настоящему Договору (Приложение I).

2. В соответствии с Соглашением о Перемирии Финляндия подтверждает, что она обеспечила Советскому Союзу пользование железнодорожными, водными, шоссейными и воздушными путями, необходимыми для перевозки людей и грузов, отправляемых из Советского Союза в военно-морскую базу Порккала-Удд, а также подтверждает, что она предоставила Советскому Союзу право

беспрепятственного пользования всеми видами связи между Советским Союзом и арендуемой территорией в районе Порккала-Удд.

### Статья 5

Аландские острова должны оставаться демилитаризованными в соответствии с существующим в настоящее время положением.

<http://heninen.net/sopimus/1947.htm>

## VAKHTANG GURULI

### Dokumente und Materialien zur neuen und neuesten Geschichte von Finnland (1808-1947) Resümee

In der Epoche des Spätmittelalters erreichte das Königreich Schweden große Erfolge bei der Besetzung von Finnland. Finnland, das politisch, wirtschaftlich, sozial und kulturell zurückgeblieben war, nahm Kontakt zum entwickelten Europa durch Schweden auf. Für Finnland war Schweden kein Eroberer im wahren Sinne des Wortes. Finnland wurde de facto und de jure zum Bestandteil des Königreichs Schweden, hatte jedoch seine autonomen Rechte behalten. Seit dem 12. und 13. Jahrhundert versuchte Kiewer Rus das Territorium von Finnland zu besetzen. In nächsten Jahrhunderten ging die aggressive Politik von Moskauer Rus in Kriege über. Ivan der Schreckliche war derjenige, der den Krieg um baltische Staaten entfesselte, allerdings erlitt Russland im **Liwoner Krieg (1558-1583)** eine Niederlage.

Die neue Etappe im Krieg um Finnland ist mit dem Namen des Zaren **Peters des Großen (1696-1725)** verbunden. Im Großen Nordischen Krieg (1700-1721) besiegte Russland Schweden. Durch den Friedensvertrag Nystad (1721) gewann Russland gewisse Vorteile im Baltikum und schuf dadurch eine günstige Basis für Expansion von Finnland. Dieser Prozess wurde während der Herrschaft des Imperators Alexanders des Ersten (1801-1825) durch Russisch-Schwedischen Krieg (1808-1809) vollendet. Das besetzte Territorium von Finnland wurde an das Russische Kaiserreich angegliedert, konnte jedoch Teile seiner Selbstständigkeit als **Großfürstentum Finnland** bewahren.

Die Besetzung von Finnland durch das Russische Kaiserreich wurde durch die Manifeste vom 20. März 1808 und vom 5. Juni 1808 bekräftigt. Am 6. Dezember 1917 also nach einhundertneun Jahren wurde die Unabhängigkeit von Finnland wiederhergestellt. Am 23. Dezember 1917 erkannte Zentrales Exekutivkomitee vom sowjetischen Russland in der militärisch und politisch schweren Lage die staatliche Unabhängigkeit Finnlands. Dies bedeutete jedoch nicht, dass sowjetisches Russland seine aggressiven Pläne nicht weiter verfolgte, was in 20-er und 30-er Jahren zu Spannungen und ein paar Male sogar zu militärischen Konflikten zwischen der Sowjetunion und Finnland führte.

1939 wurde Finnland zum Opfer der deutsch-sowjetischen Vereinbarung. Am 23. August 1939 wurde Finnland aufgrund des geheimen Zusatzprotokolls vom deutsch-sowjetischen Nichtangriffspakt zur sowjetischen Interessensphäre erklärt, was hieß, dass Deutschland die Sowjetunion bei der Eroberung von Finnland nicht verhindern würde. Der sowjet-finnische Krieg (1939-1940) war die Folge der o.g. Vereinbarung. Trotz des tapferen Widerstandes, den Finnland zur Verwunderung der ganzen Welt geleistet hatte, verlor es den Krieg und musste nach dem am 12. März 1940 abgeschlossenen Moskauer Vertrag auf strategisch wichtige Territorien verzichten.

Während des sowjet-deutschen Krieges (1941-1945) war Finnland ein Alliiertes von Deutschland. Staaten, die den Zweiten Weltkrieg gewonnen hatten, bestrafte Deutschland und seine Verbündeten. Am 10. Februar 1947 verlor Finnland aufgrund Pariser Friedensvertrag seine strategischen Territorien.

Unten veröffentlichen wir Dokumente und Materialien aus der neuen und neuesten Geschichte Finnlands (1808-1947).

## სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე ანდრონიკაშვილი საბჭოთა სამსჯავროზე (1925 წლის ივლისი-აგვისტო)

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია განახორციელა. მიუხედავად ამისა, ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს ქვეყნის განთავისუფლებისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის კოორდინირებული მოქმედებისთვის დაიწყო მუშაობა, რათა ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის ორგანიზება მომხდარიყო. თითოეულმა პოლიტიკურმა პარტიამ მოლაპარაკებისათვის თითო წარმომადგენელი გამოჰყო. ეს მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. საერთო მიზნის მისაღწევად საქართველოს ხუთი წამყვანი პოლიტიკური პარტია გაერთიანდა: **საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (მენშევიკები), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია** და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ჩამოშორებული ჯგუფი „**სხიველები**“ (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები). ამ პოლიტიკურმა პარტიებმა 1922 წლის აგვისტოში ინტერპარტიულ ორგანიზაციას „**საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს**“ („დამკომს“), იგივე „**პარიტეტულ კომიტეტს**“ საფუძველი ჩაუყარეს. ადრე მიჩნეული იყო, რომ დამკომი 1922 წლის აპრილ-მაისში შეიქმნა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.<sup>1</sup>

**საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის** პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: სოციალ-დემოკრატებიდან დამკომში გიორგი (გოგიტა) ფაღავა შევიდა, ეროვნულ-დემოკრატებიდან – იასონ ჯავახიშვილი, სოციალისტ-ფედერალისტებიდან – გრიგოლ რცხილაძე, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან – იოსებ გობეჩია, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან – მუხრან ხოჭოლავა. შესაბამისად, დამკომის პირველი თავმჯდომარე გოგიტა ფაღავა გახდა, ხოლო მდივანი – იასონ ჯავახიშვილი.

მოგვიანებით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში გარკვეული ცვლილებები მოხდა. 1922 წლის აგვისტოშივე დამკომში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გოგიტა ფაღავა ნიკოლოზ ქარცივაძემ შეცვალა. შესაბამისად, დამკომის თავმჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე გახდა. 1922 წლის აგვისტოდან 1923 წლის მარტამდე დამკომს ნიკოლოზ ქარცივაძე თავმჯდომარეობდა.<sup>2</sup> 1923 წლის მარტში ნიკოლოზ ქარცივაძე დააპატიმრეს. 1923 წლის მარტიდან დამკომის თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი გახდა. კოტე ანდრონიკაშვილი დამკომს 1924 წლის აჯანყების დამარცხებამდე თავმჯდომარეობდა.<sup>3</sup>

კონსტანტინე ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობის დროს დამკომში პოლიტიკურ პარტიებს შორის ადრე არსებული შეთანხმება კენჭისყრის დროს ვეტოს გამოყენების შესახებ გაუქმდა და საკითხები ამიერიდან ხმათა უმრავლესობით წყდებოდა.<sup>4</sup>

<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 769.

<sup>2</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 769.

<sup>3</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 769.

<sup>4</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცელი 298.



თუ ადრე ნიკოლოზ ქარცივაძის თავმჯდომარეობის დროს დამკომში განსახილველი საკითხები შემოდოდა მასში შემავალი პოლიტიკური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში დადებითად გადაწყვეტის შემდეგ განსახილველად, კოტე ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობის დროიდან საკითხები ჯერ დამკომში იხილებოდა და დადებითად გადაწყვეტის შემდეგ, საბოლოო სანქციის მისაღებად, პოლიტიკური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში გადადიოდა.<sup>5</sup>

კოტე ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობის დროს დამკომმა საზღვარგარეთიდან სულ 10 000 ლირა მიიღო (ორჯერ 5000-5000 ლირა). საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ფულს გოგიტა ფაღავა ღებულობდა. ეს ფული ორგანიზაციულ მუშაობას ხმარდებოდა. საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულის ნაწილს დამკომი ქაქუცა ჩოლოყაშვილს უგზავნიდა.<sup>6</sup>

საქართველოში მიმდინარე მასობრივი რეპრესიების ფონზე კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა შეუძლებელი იყო. სწორედ ამ დროიდან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაზე პრაქტიკული საუბრები და ინტენსიური მზადება იწყება.<sup>7</sup>

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა საფინანსო კომისია, წითელი ჯვრის კომისია, სარედაქციო კომისია და „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“ ჩამოაყალიბა. ამ კომისიებიდან ყველაზე მძლავრი გაერთიანებული სამხედრო ცენტრი იყო.

1924 წლის 24 აგვისტოს ხუთმა კაცმა (კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა, იასონ ჯავახიშვილმა, შალვა ამირეჯიბმა, სპირიდონ ჭავჭავაძემ და დავით ონიაშვილმა) აჯანყების თარიღად 1924 წლის 28-29 აგვისტოს ღამის 2 საათი დანიშნეს.<sup>8</sup> საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა დამკომის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით თბილისი 1924 წლის 27 აგვისტოს დატოვა და შიო მღვიმის ტყეში გადავიდა. შიო მღვიმის ტყეში ასევე გადავიდნენ: **დავით ონიაშვილი** და **შალვა ამირეჯიბი**.<sup>9</sup> შიო მღვიმის ტყეში ისინი **ქაქუცა ჩოლოყაშვილს** შეხვდნენ. საუბარი 2 საათს გაგრძელდა.<sup>10</sup>

1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება საქართველოში დამარცხდა, რომლის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყების მონაწილეებისა და ეჭვმიტანილების დახვრეტა-დაპატიმრების პროცესი დაიწყო. 1924 წლის 3 სექტემბერს შიო მღვიმის მონასტერთან ახლოს დამკომის თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი და მდივანი იასონ ჯავახიშვილი დააპატიმრეს. მალევე დააპატიმრეს სოციალისტ-რევოლუციონერი მიხეილ ბოჭორიშვილი, ეროვნულ-დემოკრატი მიხეილ იშხნელი, სოციალ-დემოკრატი გიორგი ჯინორია და სხვები. პატიმრები ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საპრობილემოში მოათავსეს.<sup>11</sup> 4 სექტემბერს კოტე ანდრონიკაშვილი პირადად ლავრენტი ბერიამ დაკითხა.<sup>12</sup> 4 სექტემბრის ღამეს დამკომის დაპატიმრებულმა წევრებმა, მუქარის ქვეშ, ხელი მოაწერეს განცხადებას დამკომის დაშლის შესახებ. საპრობილიდან კოტე ანდრონიკაშვილმა თანამებრძოლების მისამართით წერილი გააგზავნა, სადაც უხსნიდა მათ, თუ რა მიზეზით მოაწერა ხელი დეკლარაციას,

<sup>5</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 350-351.

<sup>6</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 370-372.

<sup>7</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 350-351.

<sup>8</sup> სოლომონ ზაღდასტანიშვილი. 1924 წლის ამბოხება. თბილისი, 1989, გვ. 36.

<sup>9</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 192.

<sup>10</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 194.

<sup>11</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 358-368.

<sup>12</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 201.

მაგრამ წერილმა დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია, ის საგანგებო კომისიას ჩაუვარდა ხელში.<sup>13</sup>

1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელი პირების გასამართლება მოხდა 1925 წლის ივლის-აგვისტოში. სასამართლომ, დამკომის თავმჯდომარეს, **კონსტანტინე ემანუილის ძე ანდრონიკაშვილს** „დაუმტკიცა“ წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16-ე, 58-ე, 59-ე (I ნაწილი), მე-60-ე, 64-ე და 66-ე მუხლებით და მიუსაჯა მას სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, რაც მოგვიანებით შეუცვალა 10 წლიანი პატიმრობით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.<sup>14</sup>

ქვემოთ გთავაზობთ კონსტანტინე ანდრონიკაშვილის დაკითხვის სტენოგრამას. სტენოგრამა ქვეყნდება დედნის სტილის შეუცვლელად, გასწორებულია მხოლოდ ორთოგრაფიული შეცდომები და პუნქტუაცია, კვადრატულ ფრჩხილში მოტანილი ტექსტი ეკუთვნის გამომცემელს.

### **დოკუმენტი №1. კონსტანტინე ანდრონიკაშვილის მიერ 1925 წლის 15 ივლისს სასამართლოში მიცემული ჩვენება**

#### **კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილის დაკითხვა**

**1925 წლის 15 ივლისის სხდომა**

**თავმჯდომარე:** ბრალდებული ანდრონიკაშვილო! საბრალმდებლო დასკვნით წამოყენებული გაქვთ 4 მუხლი ბრალდება. პირველი მუხლი - საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობა საბჭოთა მთავრობის დამსობის მიზნით. მესამე - უცხო სახელმწიფოსთან კავშირი ინტერვენციის მიზნით, მეოთხე - ტერორისტული აქტების მოწყობა და მესხეთე - ჯაშუშობა. რომელ ბრალდებას სცნობთ თქვენ და რა მუხლით სცნობთ დამნაშავეთ?

**ანდრონიკაშვილი:** მე ვსცნობ დამნაშავეთ თავს პირველი მუხლით გათვალისწინებული, დანარჩენ მუხლებს უარყოფ.

**თავმჯდომარე:** მარტო პირველ მუხლში?

**ანდრონიკაშვილი:** დიახ, მარტო პირველი მუხლში.

**თავმჯდომარე:** თქვენ, როდესაც წამოგიყენეს ბრალდება, მაშინ სცანით თქვენი თავი დამნაშავეთ სავსებით პირველ მუხლში, ნაწილობრივ მესხეთეში და შესწორებით მესამეში, რომ თქვენ იყავით დიპლომატიური ჩარევის მომხრე. უარყოფდით სავსებით მეოთხე მუხლს?

**ანდრონიკაშვილი:** ამაზე მოგახსენებთ შემდეგს: როდესაც მე განმარტება გავაკეთე, მაშინ არ მქონდა საბრალმდებლო დასკვნა და ჩემი განმარტება სრულებით არ მიუღებდა საბრალმდებლო დასკვნის ამ მუხლს და მე მას უარყოფ. სასამართლოს მსვლელობაში მე განმარტებას გავაკეთებ, თუ რამდენად ჩემი მოქმედება შეეხება ამ მუხლს. მე მოგახსენებთ, რომ ამ მუხლით არ არის გათვალისწინებული ჩემი განმარტება.

**თავმჯდომარე:** მე გთხოვთ, მოკლეთ უპასუხოდ სასამართლოს. როდესაც დაკითხვა წარმოგიდგინეთ თქვენ სცანით თავი დამნაშავეთ პირველ მუხლში გათვალისწინებული?

**ანდრონიკაშვილი:** დიახ.

**თავმჯდომარე:** დანარჩენ მუხლს?

<sup>13</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 358-368.

<sup>14</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცლები 776-779.

ანდრონიკაშვილი: უარყოფ.

თავმჯდომარე: როგორ გსურთ ჩვენების მიცემა, ესლა თუ შემდეგ?

ანდრონიკაშვილი: მე ვთხოვ ესლავე არა ფაქტიური მხარეს, არამედ განმარტებას, თუ როგორ და რატომ მივედი მე აჯანყებამდე.

თავმჯდომარე: კარგი დაბრძანდით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 375, ტომი 1, ფურცლები 40-41.

**დოკუმენტი №2. კონსტანტინე ანდრონიკაშვილის მიერ 1925 წლის 24 ივლისს სასამართლოში მიცემული ჩვენება**

**კონსტანტინე ანდრონიკაშვილის დაკითხვა**

**1925 წლის 24 ივლისის სხდომა**

თავმჯდომარე: ბრალდებულ ანდრონიკაშვილო! /დგება ანდრონიკაშვილი/. რამდენი წლისა ხართ?

ანდრონიკაშვილი: 49 წლის.

თავმჯდომარე: სოციალური მდგომარეობა?

ანდრონიკაშვილი: ინტელეგენტი.

თავმჯდომარე: ყოფილი წოდება?

ანდრონიკაშვილი: მე გახლავართ უფლებააყრილი თავადი. თვითმპყრობელობის დროს სასამართლომ გამასამართლა ორჯერ და გადამიწვევია სამუდამო გადასახლება.

თავმჯდომარე: ოჯახური მდგომარეობა?

ანდრონიკაშვილი: ცოლიანი.

თავმჯდომარე: ქონება გაქვთ რამე?

ანდრონიკაშვილი: არავითარი.

თავმჯდომარე: ხელობა?

ანდრონიკაშვილი: ჟურნალისტი.

თავმჯდომარე: განათლება?

ანდრონიკაშვილი: უმაღლესი.

თავმჯდომარე: პარტიული მდგომარეობა?

ანდრონიკაშვილი: სოც[იალ]-დემ[ოკრატიული] მენშევიკურ პარტიისა.

თავმჯდომარე: რომელ რიცხვიდან ითვლებით პარტიის წევრად?

ანდრონიკაშვილი: 1901 წლიდან.

თავმჯდომარე: პასუხისგებაში ყოფილხართ?

ანდრონიკაშვილი: დიახ, მოგახსენებთ. თვითმპყრობელობის დროს სამჯერ ვიყავი პასუხისგებაში მიცემული.

თავმჯდომარე: საბჭოთა ხელისუფლების დროს?

ანდრონიკაშვილი: იხოლიაციის წესით ვიყავი დაპატიმრებული.

თავმჯდომარე: რომელი წლიდან იყავით სოც[იალ]-დემოკრ[ატიული] პარტიის ცენტრ[ალური] კომიტეტის წევრი?

ანდრონიკაშვილი: 21 წლიდან.

თავმჯდომარე: თავმჯდომარეთ როდის გახდით? რამდენ ხანს იყავით?

ანდრონიკაშვილი: 23 წლიდან აჯანყებამდე.

თავმჯდომარე: ვინ შედიოდა ცენტრ[ალური] კომიტეტში თქვენ დროს?

**ანდრონიკაშვილი:** ერთი შუამდგომლობა მაქვს. ამ შეკითხვების შესახებ მე ვშუამდგომლობ, მომეცეს საშუალება შევეხო არა მარტო ტექნიკურ მხარეს აჯანყებისას, არამედ შევეხო იმ ეტაპს, რომელმაც მიიყვანა საქართველოს ხალხი აჯანყებამდე. მე ვფიქრობ, რომ სასამართლოს უამისოდ არ ექნება ნათელი წარმოდგენა აჯანყებაზე და ეს დაფასება მოგცემს თქვენ სრულ წარმოდგენას იმ საზოგადოებაზე, რომელსაც ჩვენ ვატარებდით...

**თავმჯდომარე:** ბრალდებულო ანდრონიკაშვილო! თქვენ გემახსოვრებათ ბრალდებულ გიორგაძის შემდეგ რანაირი დადგენილება გააკეთა სასამართლომ. ვინაიდან ეხლა ხდება დაკითხვა, თვითეულ ბრალდებულს რომ მივცეთ უფლება ვრცლად შევეხო ამ საკითხს ეხლავე, მაშინ მეტად გაძნელებოდა მუშაობა. ამიტომ სასამართლომ მიიღო მიზანშეწონილი წესი: ბრალდებულების დაკითხვა ჩატარდეს შეკითხვების სახით, ყოველგვარი განცხადება, განმარტება და ახსნა სხვადასხვა ხასიათის შეუძლია ბრალდებულს წარმოუდგინოს სასამართლოს მაშინ, როდესაც ექნება ბრალდებულს დაცვის სიტყვის უფლება და საბოლოო სიტყვა.

**ანდრონიკაშვილი:** მე მოვისმინე თქვენი დადგენილება, მაგრამ ვთხოვ უზენაეს სასამართლოს გამონაკლისი დაუშვას ჩემს შესახებ, ვინაიდან მე გახლავარ მომწიბობი და ხელმძღვანელი აჯანყების და თუ არ გავაშუქებ მთელ პირობებს იმ მიზეზებს, რომელიც წინ უძღოდა ამ აჯანყებას, ეს იქნება ერთმხრივი გაშუქება ამ ისტორიული აქტის და ამიტომ, თუ მაინცდამაინც მომისპობთ ამ უფლებას, მაშინ მე უარს განვაცხადებ დაკითხვაზე, რადგანაც ცალმხრივი დაკითხვას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც აჯანყების ტექნიკური მხარე მხოლოდ არ წარმოადგენს ინტერესს. ვინაიდან აჯანყება ერთი დღის საქმე არ იყო, ამას წინ მიუძღოდა მთელი ამბები და თუ არ მომცემთ საშუალებას დავაკავშირო ეს წინასწარი პირობები აჯანყებასთან, მაშინ თქვენ არ გექნებათ მთლიანი წარმოდგენა მასზე.

**თავმჯდომარე:** ვრცელი ახსნა-განმარტების უფლება ბრალდებულს აქვს თავის დაცვითსა და საბოლოო სიტყვებში და თუ სასამართლო ასეთ წესს მიიღებს, რომ ყოველ ბრალდებულს ერთსა და იმავე საკითხზე სამჯერ მისცემს ლაპარაკის უფლებას, ამით საქმის მსვლელობა შეფერხდება და ამიტომ სასამართლომ დაუშვებლათ მიიჩნია ეს.

**ანდრონიკაშვილი:** მე ვთხოვთ, ეს უფლება მომცეთ ერთხელ და შემდეგში შეგიძლიათ აღარ მომცეთ.

**ნასიძე (დამცველი):** ვიდრე დადგენილებას გამოიტანდეთ ვთხოვთ...

**თავმჯდომარე:** ამ საკითხის შესახებ აღძრულია შუამდგომლობა თვით ბრალდებულის მიერ.

**ნასიძე:** მე მინდა ჩემი განმარტება მოგახსენოთ: ეს შუამდგომლობა, რომ მართლაც კანონიერია და სამართლიანი იქიდან სჩანს, რომ ჩვენ დამცველი მოკლებული ვართ საშუალებას ავხსნათ ესა თუ ის ბრალდება, თუ არ ვიცით ამ ბრალდებულობის მიზეზი, მოტივები და ფაქტორები. ბრალდებულს აქვს უფლება შემდეგ თავის სიტყვაში ახსნა-განმარტება მისცეს ფაქტებს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაშია დამცველი, როდესაც მან არ იცის ის მიზეზები და ფაქტორები, რომელთაც წარმოშვეს ესა თუ ის მოვლენა. ბრალდებული თავის უკანასკნელ სიტყვაში ახსნის ამას, მაგრამ დამცველი ამით თავის მიზანს ვერ მიაღწევს და თუ ანდრონიკაშვილს არ მიეცემა საშუალება ახსნას და გააშუქოს ის მიზეზები, ის მოტივები რომელთაც წარმოშვეს ეს მოვლენა, მაშინ დამცველის მიერ ამ საკითხის გაშუქებაც ვერ მიაღწევს შედეგებს.

**თავმჯდომარე:** ბრალდებული ანდრონიკაშვილის შუამდგომლობა, რომ მას მიეცეს საშუალება საკითხის ვრცლად ახსნა-განმარტება წარმოუდგინოს სასამართლოს, სასამართლომ დააკმაყოფილა. სასამართლოს სხდომას ხუთი წუთით ვწყვეტ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 377, ტომი 3, ფურცლები 421-426.

**დოკუმენტი №3. კონსტანტინე ანდრონიკაშვილის მიერ 1925 წლის 24 ივლისს სასამართლოში მიცემული ჩვენება**

**კონსტანტინე ანდრონიკაშვილის დაკითხვა  
1925 წლის 24 ივლისის სხდომა**

**თავმჯდომარე:** სხდომა გრძელდება. ბრალდებული ანდრონიკაშვილი!

**ანდრონიკაშვილი:** მოქალაქე მსაჯულნო! თითქმის საქართველოს გასაბჭოების დღიდან ქართველმა პოლიტიკურმა პარტიებმა გამოუცხადეს ხელისუფლებას ბრძოლა. გარდა ამისა, საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით, როგორც მე, ისე დანარჩენი ბრალდებულები წარდგენილი არიან თქვენ წინაშე მხოლოდ როგორც კონტრევოლუციონერები, ბანდიტები, ტერორისტები... დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა როგორ მოიქცენ ქართველი პოლიტიკური პარტიები? შეეძლოთ მათ გამოეცხადებინათ ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ თუ არა? დღეს კი, დამარცხების შემდეგ, რა თქმა უნდა ამაზე ფიქრიც არ შეიძლება. რა ხაზი უნდა მიეღოთ მაშინ მათ? რასაკვირველია, ისინი ვერ შეურიგდებოდენ ოკუპაციას, დამოუკიდებლობის დაკარგვას. მაგრამ ბრძოლაზე ფიქრი შეუძლებელი იყო. უნდა გამოენახათ გზა, ენა ახალ ხელისუფლებასთან. ჩვენმა პარტიამ ამოირჩია დელეგაცია. მეც გახლდით ამ დელეგაციაში. ვინახულეთ ფილიპე მახარაძე. შევეცადეთ გამოგვენახა საერთო გასაგები ენა. განუცხადეთ, რომ ჩვენი ერთადერთი გზა - თანამშრომლობა საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში. მოისმინა მახარაძემ ეს განცხადება და განაცხადა: ეგ არის დელეგაციის აზრი, ჩვენთვის კი სასურველია გავიგოთ პარტიის აზრი. ნებას დაგრთავთ და თქვენ იცით, რომ მოხდა ტფილისში ყველა სოც[იალ]-დემ[ოკრატიული] ორგანიზაციების ყრილობა. ამის შესახებ თქვენ მოისმინეთ და მე აღარ შეგვხები პატივცემულ მოწმის, დევდარიანის ჩვენებას. იყო გაკეთებული მოხსენება და გამოვიტანეთ ცნობილი ათი აპრილის რეზოლიუცია. მე არც ამ რეზოლიუციას შეგვხები, ვინაიდან მასზედ საკმარისათ ილაპარაკეს დევდარიანმა და თევზაიამ. მხოლოდ მე მინდა აღვნიშნო ის ფაქტები, რომლებიც გამოტოვებული იყო. 10 აპრილის შემდეგ დავინახეთ, რომ იღებენ ჩვენს წინააღმდეგ ზომებს, გვისპობენ ლეგალურათ არსებობის საშუალებას. შემდეგ გადაწყდა საკითხი ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ. ამ დღიდან ეკარგება საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც მას კიდევ შერჩა გასაბჭოების შემდეგაც. საქართველო შევიდა ფედერაციაში არა უშუალოდ, როგორც ასეთი. ამით საქართველოს ეკარგება დამოუკიდებლობა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური. აქ იმალება იდეა დამოუკიდებლობის აღდგენისა და საქმიდანაც სჩანს, რომ სწორედ 22 წლის აგვისტოდან ჩაეყარა საფუძველი დამოუკიდებლობის კომიტეტს. აქედან იწყება ბრძოლა, ბრძოლა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, არალეგალური. პირველ პერიოდში ამ დამოუკიდებლობის კომიტეტს თავმჯდომარეობდა დღეს ბრალდებული ქარცივაძე და როგორც მოგახსენათ, მან დასვა საკითხი აჯანყების შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გამოერკვიათ, თუ რა ძალას წარმოადგენდენ, რა შეძლება ქონდათ მათ. მაგრამ, როცა მე ჩაუდექი დამოუკიდებელ კომიტეტს სათავეში წინანდელ კომიტეტისაგან არავითარი მემკვიდრეობა არ მიმიღია არც ორგანიზაციული, არც სამხედრო. როცა მე შევედი თავმჯდომარეთ დამოუკიდებელ კომიტეტში, იქ დამხვდა მხოლოდ იასონ ჯავახიშვილი, როგორც ეს თითონ მან აღნიშნა და არავითარი წარმომადგენლები სხვა პარტიებისა არ იყვნენ. ჩემს შეკითხვაზე: რატომ არ არიანო? მან მიპასუხა - რომ დაჭერების შემდეგ აღარ მოსულანო. მაშინ მე ვიკისრე თავზე გამომერკვია, რომელი პარტია არ გზავნიდა ჩვენთან, არ სურდა ჩვენთან გამოეგზავნა

წარმომადგენელი და მინდოდა მათთან მოლაპარაკება მეწარმოებია, წარმომადგენლები მოეცათ, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მე ვერ მოვახერხე, გარდა ესერებისა. სხიველებს არ ყავდათ კაცი ჩვენთან. ფედერალისტებიდან მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა მოვიდნენ. დამოუკიდებლობის კომიტეტმა ჩემის თავმჯდომარეობით აიღო ნამდვილი ხაზი ბრძოლის ხელისუფლებასთან. მას წინ უძღვოდა მთელი რიგი რეპრესიებისა, დუშეთის გამოსვლები, ოზურგეთის გამოსვლები. ობოლადის მოკვლის შემდეგ მოხდა მასიური რეპრესია. მე მახსოვს ის დღე, როდესაც შევხვდი იასონ ჯავახიშვილს და ვთქვით, რომ აღარ არსებობს საერთო ენა საბჭოთა ხელისუფლებასთან. ვცდილობდით გამოგვეჩინა საერთო ენა დიპლომატიური საშუალებით, მოლაპარაკებით და შიგნით ეს გამწვავებული მდგომარეობა გაგვეწვინებია, მაგრამ დღეს აღარ არის საერთო ენა, ბრძოლაა, მხოლოდ ბრძოლა. აქედან იწყება აჯანყების საკითხის გაშუქება, მისი პრაქტიკულად დასმა, გადაჭრა. შევუდექით ენერგიულ, ინტენსიურ მზადებას. შესდგა სამხედრო კომისია, რომელსაც დაევადა ორგანიზაციული მხარე. უნდა გაგახსენოთ, რომ შევსცვალეთ მეთოდი მუშაობის. დამოუკიდებლობის კომიტეტი ჩემის თავმჯდომარეობით განსხვავდებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტიდან ქარცივაძის თავმჯდომარეობით იმით, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტი ჩემის თავმჯდომარეობით მართლაც დამოუკიდებელი იყო პარტიებისაგან იმდენათ, რამდენათ ქარცივაძის თავმჯდომარეობის დროს დამოუკიდებლობის კომიტეტში გადადიოდა საკითხები ცეკებიდან და ჩემის თავმჯდომარეობის დროს ისმებოდა საკითხები დამოუკიდებლობის კომიტეტში, სწვდებოდა აქ და საბოლოო სანქციის მისაღებათ გადადიოდა პარტიების ცეკაში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დამოუკიდებლობის კომიტეტში დავსვით ეს საკითხი და თუ ის არ გადაწყდებოდა, არ გადაგვეკონდა ისე პარტიაში. ჯერ დამოუკიდებლობის კომიტეტს უნდა აეწონა-დაეწონა, გაეთვალისწინებია შინაური მდგომარეობა ძალების, საერთაშორისო სიტუაცია და თუ მიიღებდა დადგენილებას, მერე გადაიტანდა სანქციისათვის პარტიის ცეკაში.

დავიწყეთ ორგანიზაციის მოწყობა. ჩვენ ვკმაყოფილდებოდით ძალების აღნუსხვით. სამხედრო კომისიას მიეცა ავტორიტეტული უფლება, აღნუსხვა და ამასთან არა პარტიული, არამედ ინტერპარტიული, დახმარება მხოლოდ პარტიების მხრივ. არავითარი სამხედრო კომისია ცენტრალურ კომიტეტთან. ყოველ შემთხვევაში მე შემიძლიან თამამად ვსთქვა ეს სოც[იალ]-დემოკრატიულ პარტიაზე. ეს არ იყო არც ცენტრალურ კომიტეტთან, არც ტფილისის კომიტეტთან. არის ჩვენებებში ერთი განსხვავება, მაგრამ ეს ამტკიცებს, რამდენად იყვნენ ისინი ჩახედილი საქმეში, რამდენად კონსპერატიულად სწარმოებდა მუშაობა. ერთი არ უზიარებდა მეორეს როგორ აწყობდა ორგანიზაციას. სამხედრო კომისია იყო, სადაც შედიოდნენ პარტიის წარმომადგენლები, მაგრამ ფაქტიურად ეს იყო სოც[იალ]-დემოკრატების და ნაც[იონალ]-დემოკრატების. აი, ამ პარტიების საშუალებით ეწყობოდა აჯანყება, ამათი საშუალებით პოულობდა ძალებს. იმ რაზმებში შეიძლება შესულიყო არა მარტო მენშევიკი, არამედ უპარტიო კაცი. როდესაც გამოირკვა, რომ ჩვენი ორგანიზაციები მზათ არიან აჯანყებისათვის, ჩვენ შევუდექით მის განხორციელებას. ჩვენ ვცდილობდით ყველა პროვინციაში, ქალაქში შეგვედგინა პარიტეტული კომისია. რწმუნებულებს ჩვენ ვნიშნავდით მხოლოდ დიდ რაიონებში, სადაც უფრო მეტი პასუხისმგებლობა მიუძღოდა ამა თუ იმ პარტიას და სადაც ვერ შესდგებოდა პარიტეტული კომისია. ეს იყო ერთად ერთი ბათუმის ოლქი და ერთად ერთი სრულუფლებიანი წარმომადგენელი დამოუკიდებლობის კომიტეტის იქ იყო გიზო ანჯაფარიძე. სხვაგან არ იყო. სხვაგან უნდა შეედგინათ ადგილობრივი კომისია. მუშაობა სამხედრო მიმართულებით მიდიოდა კარგათ და როდესაც ჩვენ დავინახეთ სამხედრო ორგანიზაციის მხრივ, ე. ი. ჩვენი ძალების აღნუსხვით, რომელიც შეგვეძლო აჯანყებისათვის გამოგვეყენებია, რომ თითქმის მზათ ვართ - მაშინ დავსვით საკითხი პრაქტიკულად აჯანყებაზე. ეს იყო 1923 წ[ლის] ოქტომბერს. აქამდის საკითხი ჩვენ არ გადავიტანია ცენტრალურ კომიტეტში სანქციის მისაღებად. ეს გადავიტანეთ მხოლოდ

მის შემდეგ, რაც დააპატიმრეს საქართველოს სოც[იალ]-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე სეიდ დევედარიანი. სწორედ ამის შემდეგ მე გადავიტანე ცენტრალურ კომიტეტში ეს საკითხი. თქვენ უნდა მიაქციოთ თქვენი ყურადღება იმას, თუ რაში გამოიხატებოდა ჩვენი და მეზობელ რესპუბლიკების შორის კავშირი. კავშირი იწვევს წარმომადგენლობას ერთგვარს და თუ ეს არ არის მაშ, კავშირიც არ გვქონია. მაგრამ, გვიან აჯანყების მოწყობის საქმეში მეზობელ ქვეყნებთან კავშირის დაკავების ცდა არ დამთავრდა ჩვენ სასარგებლოდ. როცა წინამძღვრიშვილმა გააკეთა მოხსენება, რომ ჩვენთვის დიდი დახმარების მოცემა შეუძლიან ჩრდილო კავკასიასო, მე მართლა გითხრათ, ამ მოხსენებისათვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, ვინაიდან საჩენეს იმედი მე იმდენათ არ მქონდა და ასეც დაბოლოვდა. ადერბეიჯანთან კი, როგორც უკვე იცით, გოგიტა ფაღავას შემდეგ ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი იყო და აქ საქართველომ გადაწყვიტა თავისი ძალებით გამოსვლა. შემდეგ ამბობენ, რომ იმედი ჰქონდათ ევროპისაო. ხშირად ნახავთ ამას ჩვენებაში, რომელიც მოისმინეთ თქვენ აქ. ჩვენ არ ვიყავით მომხრე ინტერვენციის, მხოლოდ ვცდილობდით, რომ ევროპის საზოგადოების აზრი ჩვენს მხარეზე ყოფილიყო. ამ მიმართულებით ვმუშაობდით და ჩვენ იმედი გვქონდა, რომ როდესაც ჩვენ აქ აჯანყებას მოვაწყობდით, იქიდანაც მივიღებდით დახმარებას დიპლომატიური ჩარევისა და მოლაპარაკების სახით. აი, ამ იმედით და ჩვენი ძალების იმედით გადავდგიოთ ნაბიჯი. ჩვენ ვიყავით საკმაოდ მომზადებული. მხოლოდ შეცდომა, რომელიც აქ აღნიშნა იასონ ჯავახიშვილმა - ჭიათურაში ადრე გამოსვლა - ამან გადაწყვიტა აჯანყების ბედი, ამით გაიგო ხელისუფლებამ, რომ აჯანყება დაიწყო და ჩვენი მთავარი ამოცანა, ვაზიანის ალების ამოცანა ვედარ შესრულდა. როდესაც ჭიათურა ერთი დღით ადრე გამოვიდა, ამან მთავრობას მისცა საშუალება ჯარი გადმოეყვანა ტფილისში. ამავე დროს უნდა აღვნიშნო, რომ სადაც ასეთი მოძრაობაა, იქ გამცემლობაცაა. ჩემთვის დღესაც არ არის გამორკვეული, რომ სამხედრო კომისიამ, რომელიც დატოვებული იყო ტფილისში და რომელსაც დავალებული ქონდა მთელი რიგი ამოცანებისა, რატომ არც ერთი დავალება არ შეასრულა. ტფილისის გარეთ, ვაზიანის ალების ამოცანა, აეროპლანების ხელში ჩაგდება, ბრონევიკების ხელში ჩაგდება, სიგნალი და შესრულება ერთი იქნებოდა, მაგრამ არც ერთი არ შესრულებულა და რატომ არ შეასრულა სამხედრო კომისიამ, ჯერაც არ ვიცი. ჩვენი გეგმა იყო ტფილისის ალება, მაგრამ როცა ხელისუფლებამ გაიგო, აქ გამცემლობას ქონდა ალბათ ადგილი. ეს ზაფხულზე იყო. ჯარი გასული იყო აქედან, მაგრამ 16 თუ 17 აგვისტოს ტფილისი გაივსო ჯარით. გამოსვლა იმ პირობებში იქნებოდა საშინელი სისხლისღვრა და ამის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ გადავწყვიტეთ გადაგვეტანა ცენტრი პროვინციაში. შეიარაღებული რაზმები, როგორც მოგეხსენებათ ჩვენ არ გვყავდა. ერთადერთი თავისუფალი რაზმი, ეს გახლდათ ჩოლოყაშვილის რაზმი. აი, ჩვენ გვინდოდა დაკავშირება მასთან, მაგრამ ჩვენ მოვტყუვდით იმ მხრით, რომ მას არ აღმოაჩნდა იმდენი ხალხი, რისი იმედი ჩვენ გვქონდა. გეგმა იყო ასეთი: ადგებოდა ქართლი, კახეთი, ბორჩალო და შემოვარტყამდით ალყას ტფილისს. აქ პირველი ამოცანა ჰქონდა ვაზიანს. მოგახსენებთ, რომ კახეთში არ მიუღია აჯანყებას მასიური ხასიათი. ეს აიხსნება იმით, რომ კახეთის გლეხკაცობა არ არის გონებით შეგნებული. აი, აქედან უნდა მისულიყო დახმარება ვაზიანში, მაგრამ საბედისწერო გამოდგა ერთი დღე, ჭიათურა გამოვიდა ერთი დღით უფრო ადრე. ამის გამო დასავლეთ საქართველოში სწრაფად ჩააქრეს აჯანყება. მთავრობამ, რა თქმა უნდა, მიიღო ყოველივე ზომა, რადგან ჭიათურის ამბებმა გააფრთხილა ის. ჩვენ დავმარცხდით. დამოუკიდებლობის კომიტეტი მთლიანად ჩავარდა, მთელი შემადგენლობით დაჭერილი იქნა. აი, მთელი ჩვენი განმარტება მოკლეთ.

**თავმჯდომარე:** თქვენ არ მოგსვლიათ დასმული კითხვები ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოგილევსკისა და ბერიასაგან?

**ანდრონიკაშვილი:** მომივიდა.

**თავმჯდომარე:** უპასუხეთ თუ არა ამ კითხვებზე?

**ანდრონიკაშვილი:** დიახ.

**თავმჯდომარე:** ხომ არ ყოფილა ლაპარაკი ჩეკას მხრივ, რომ უნდა მიგეცათ ისეთი პასუხი კითხვებზე, როგორც ჩეკას უნდოდა?

**ანდრონიკაშვილი:** არ ყოფილა. მივიღე თქვენი წერილი. მე კიდევ ვიმეორებ, რომ დამკომის განცხადება გავაკეთე /ყოველ შემთხვევაში მე ჩემს თავზე ვამბობ/ სრულიად შეგნებით. მე რომ არ ვყოფილიყავი დაჭერილი მაინც პერსონალურად ვფიქრობდი განცხადებით გამოსვლას, რომ დავმარცხდით და უნდა ხელი ავიღოთ შეიარაღებული ბრძოლის საშუალებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე. მე ამაში დამარწმუნა ჩვენმა გამოსვლამ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. გამოვიდა ნამდვილი ავანტიურა. მართალია დასავლეთ საქართველოში გამოსვლა იყო უფრო მასიური, ვიმეორებ უფრო იმიტომ, რომ მცხოვრებლებმა მთლად არ დაგვიჭირეს მხარი, ამიტომ ამბობებულებმა ორი-სამი დღის მეტი თავი ვერ დაიჭირეს. როსტომი იმ დღეებშიც ჩემთან იყო და მაშინაც აცხადებდა, რომ ავანტიურა გამოდისო. განა მე კი არ ვხედავდი, რომ ავანტიურა გამოდიოდა, მაგრამ როსტომს ვაჩერებდი და ვაძლევდი შენიშვნას, რადგან როცა მოქმედებაში ხარ გული არც შენ, არც სხვას არ უნდა გაუფუჭო.

**თავმჯდომარე:** მე თქვენ მოგაგონებთ ზოგიერთ ადგილს იმ ჩვენებიდან, რომელიც თქვენ მიგიციათ საგანგებო კომისიაში. თქვენ ეს სხვათაშორის ჩამოწერილი გაქვთ თვითონ. ასე რომ, ალბად კითხვაზე სრულიად დამშვიდებით და წყნარად მიეცით პასუხი? ასე არის თუ არა?

**ანდრონიკაშვილი:** დიახ.

**თავმჯდომარე:** თქვენ აქ უჩვენებთ: „საზოგადოთ იღვია შეიარაღებულ გამოსვლისა არა თუ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ სხვა ძალების წინააღმდეგ, გაკოტრებულად მიმანია. ქართველ ხალხს არც გამოცდილება აქვს აჯანყებაში, არც უნარი, არც ხალისი, არც სურვილი!“ ასე არის თუ არა?

**ანდრონიკაშვილი:** დიახ.

**თავმჯდომარე:** შემდეგ: „შეიარაღებული გამოსვლა, როგორც ბრძოლის საშუალება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ უნდა იყოს უკუგდებული და აღიარებული ქართველი ხალხისათვის მანვე გზათ“.

**ანდრონიკაშვილი:** მერმედ, განა ეს ეწინააღმდეგება იმას, რაც მე მოგახსენეთ?

**თავმჯდომარე:** უკაცრავად, ბევრად ეწინააღმდეგება. ეს ერთი. მეორე, თქვენ ამ აჯანყების შემდეგ, მის შემდეგ, რაც მოაწერეთ ხელი დეკლარაციას, ამის შემდეგ გარეთ ამხანაგებისათვის ხომ არ გაგიგზავნიათ რაიმე წერილი?

**ანდრონიკაშვილი:** მიმიწერია.

**თავმჯდომარე:** თქვენ გახსოვთ შინაარსი? მე წავიკითხავთ და გთხოვთ დაადასტუროთ: „ძვირფასო მეგობარო“. აი, ეს არის თქვენი წერილის დასაწყისი. სასამართლო გთხოვთ დაადასტუროთ, ეს წერილი თქვენ დასწერეთ?

**ანდრონიკაშვილი:** დიახ. ეხლა გთხოვთ, მომცეთ განმარტების ნება. როდესაც საიდუმლოთ იწერება წერილი იმ პირობებში, როგორშიაც მე მომიხდა მაგ წერილის დაწერა, რა თქმა უნდა, არა გაქვთ გარანტია, რომ წერილი მივა დანიშნულებისამებრ. ბოლო ამ წერილისა თქვენ არ წავიკითხავთ. იქ ბოლოში სწერია, რომ ამ პირობებში, რომელშიაც მე ვწერდი...

**თავმჯდომარე:** ე. ი. თქვენ განგებ დასწერეთ ეს წერილი, რომ საგან[გებო] კომისიას ჩავარდნოდა ხელში?

**ანდრონიკაშვილი:** სრულიადაც არა. მე ბოლოში დაუმატე მხოლოდ, რომ ჩვენ დეკლარაციას მიხვდებიან. რა თქმა უნდა, როცა აღმოსავლეთი საქართველო ვერ გამოვიდა, ამან დაამარცხა დასავლეთი საქართველოც. ვინაიდან მთელი ძალა ხელისუფლებისა მიმართული იყო იქით. ეს იყო ერთი მიზეზთაგანი. მეორე მიზეზი, აქ დავრწმუნდით, რომ



ჩვენ ბრძოლაში დავმარცხდით და შეიძლება ჩვენ ეს წარმოგვედგინა ისე, რომ ეს იყო ავანტიურა.

**თავმჯდომარე:** თქვენ უჩვენეთ სასამართლოს, რომ სამხედრო მუშაობას აწარმოებდა მარტო პარტიტული კომიტეტი. ყოველნაირი სამხედრო მუშაობა გამოტანილი იყო პარტიებიდან და გადატანილი პარტიტულ კომიტეტში. რომელი წლიდან იყო ეს?

**ანდრონიკაშვილი:** ჩემი თავმჯდომარეობის დაწყებიდან.

**თავმჯდომარე:** კასრადის რაზმი არ ყოფილა პარტიტულ კომიტეტის განკარგულებაში?

**ანდრონიკაშვილი:** არა.

**თავმჯდომარე:** ვინ იყო ის?

**ანდრონიკაშვილი:** წინად ყოფილა პარტიული წევრი. მერე ის მოკლეს.

**თავმჯდომარე:** თქვენ წინასწარი გამოძიებაზე უჩვენეთ, რომ ცენტრ[ალურ] კომიტეტთან არსებობდა კასრადის რაზმი.

**ანდრონიკაშვილი:** არა, არ მიჩვენებია.

**თავმჯდომარე:** ვინ მისცა წინადადება ოთარ დადიანს და გარდაფხაძეს, რომ რაზმები მოეწყოთ?

**ანდრონიკაშვილი:** მაგენი არ ყოფილან ჩემ განკარგულებაში.

**თავმჯდომარე:** თქვენ, სასამართლოს გამომძიებელს მის შეკითხვაზე: ადასტურებთ თუ არა თქვენს ჩვენებას საგანგ[ებო] კომისიაში მიცემულს? უპასუხეთ, რომ ვადასტურებო. მაშასადამე, სასამართლოსაც ასე შეუძლიან მიიღოს. მე მოგიყვანთ თქვენი ჩვენების ერთ ადგილს: „ოთარ დადიანს და გარდაფხაძეს უნდა შეექნათ რაზმებიო. შეიძლება ეს წინადადება მისცა მენშევიკებმა მარტო“. მე თქვენ გეკითხებით, პარტიასთან არსებობდა რაიმე რაზმი თუ არა?

**ანდრონიკაშვილი:** წინადადება, რომ შეეძლო მიეცა სამხედრო კომისიას, ეს არ ნიშნავს რაზმების არსებობას. მანდ არის ნათქვამი, რომ წინადადება იყო გატარებული ცხოვრებაში? არ არის ეს.

**თავმჯდომარე:** თქვენ როგორ ფიქრობთ, დასაშვები იყო თუ არა თქვენი შეხედულებით სამხედრო რაზმების არსებობა პარტიების დაუკითხავათ?

**ანდრონიკაშვილი:** დამოუკიდებლობის კომიტეტთან არსებობდა სამხედრო კომისია, რომლებშიდაც შევიდოდნენ პარტიების წარმომადგენლები და როგორ შეეძლო დამოუკიდებლობის კომიტეტს, შემდგარს პარტიებისაგან აემუშავებია თავისი აპარატი პარტიების დაუკითხავად.

**თავმჯდომარე:** მაშასადამე, ეს იყო პარტიტული კომიტეტის დავალებით, არა?

**ანდრონიკაშვილი:** სამხედრო კომისიის წევრის.

**თავმჯდომარე:** საიდან ღებულობდა პარტიტული კომიტეტი და პარტიები ფულებს?

**ანდრონიკაშვილი:** როგორც ჩვენებაში მაქვს, ჩემი თავმჯდომარეობის დროს საზღვარგარეთიდან მივიღეთ 10. 000 ლირა. წინათ არ ვიცი რამდენი იყო მიღებული. საზღვარგარეთთან კავშირი ქონდა ფაღავას, ის ღებულობდა.

**თავმჯდომარე:** 10. 000 ლირა ერთად მივიღეთ, თუ ნაწილ-ნაწილად.

**ანდრონიკაშვილი:** ორ გზის მივიღეთ.

**თავმჯდომარე:** ვინ მიიღო, პარტიტულმა კომიტეტმა თუ ცეკამ?

**ანდრონიკაშვილი:** ფაღავას ქონდა კავშირი საზღვარგარეთთან. მის დაჭერამდე ის ღებულობდა ფულებს და გადმოცემდა მე, როგორც დამოუკიდებელი კომიტეტის თავმჯდომარეს.

**თავმჯდომარე:** მაშასადამე, ფულები მოდიოდა პარტიტული კომიტეტის სახელზე. ამ ფულებიდან პარტიებს აძლევდით თუ არა რამე ნაწილს?

**ანდრონიკაშვილი:** არაფერს.

**თავმჯდომარე:** რას ხმარდებოდა ეს ფულები?

**ანდრონიკაშვილი:** ორგანიზაციულ მუშაობას, კაცების გაგზავნას, რაზმების აღნუსხვას, ზოგიერთის შენახვას, აი, მაგალითად, როცა გადავწყვიტეთ ქაქუცას დახმარება, მას ვუგზავნიდით.

**თავმჯდომარე:** როდის მიიღეთ საზღვარგარეთიდან უკანასკნელათ ნოე ჟორდანიას წერილი?

**ანდრონიკაშვილი:** ეს იყო ჯუღელის დროს, რომ ჯერ არ იყო დაჭერილი...

**თავმჯდომარე:** არ შეგიძლიათ სასამართლოს გადასცეთ შინაარსი?

**ანდრონიკაშვილი:** ის თავის აზრს გამოსთქვამდა, თუ როგორი შეხედულება ქონდა...

**თავმჯდომარე:** იმ წერილის შინაარსზე გეკითხებით, სადაც აჯანყების გეგმაა.

**ანდრონიკაშვილი:** ის გვატყობინებდა, რომ არ იზიარებდა ჩვენს გადაწყვეტილებას.

**თავმჯდომარე:** ეს წერილი იყო დასმული განსახილველათ ცეკაში?

**ანდრონიკაშვილი:** როგორც ინფორმაცია ისე გადავეცი და ცეკამ მიიღო ცნობათ. დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ უკვე შემუშავებული იყო გეგმა და მან ნოე ჟორდანიას გეგმა აღარ გაიზიარა.

**თავმჯდომარე:** მაშ, ამ წერილის შინაარსი ცეკას მთელმა შემადგენლობამ იცოდა?

**ანდრონიკაშვილი:** გავუზიარე, ყველამ იცოდა.

**თავმჯდომარე:** აი, თქვენ უჩვენეთ სასამართლოს, რომ ემზადებოდით აჯანყებისათვის და მისი დრო დანიშნეთ. სანამ დროს დანიშნავდით, თქვენ არ მოითხოვეთ საზღვარგარეთელ ბიუროსაგან ამის შესახებ მათი აზრი და სანქცია?

**ანდრონიკაშვილი:** ჩვენ ნოდია გავაგზავნეთ მოხსენების გასაკეთებლად: ჩვენ მზათ ვართ, გადავწყვიტეთ აჯანყება, გვინდა ვიცოდეთ თქვენი დასკვნა, ე. ი. გვაცნობეთ რამდენად ხელსაყრელია დღეს გამოსვლები საერთაშორისო სიტუაციის მიხედვით. ეს სანქცია კი არ არის, ეს დასკვნა არის.

**თავმჯდომარე:** რა პასუხი ჩამოიტანა ნოდია?

**ანდრონიკაშვილი:** საერთაშორისო სიტუაცია ჩვენი სასარგებლო არის.

**თავმჯდომარე:** როგორ ფიქრობთ, ბრალდებულ ანდრონიკაშვილს! ნოდია რომ სხვანაირი პასუხით ჩამოსულიყო ევროპიდან, აჯანყებას მოახდენდით?

**ანდრონიკაშვილი:** მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის საჭირო და აუცილებელი იყო თანაგრძნობა, ერთგვარი დიპლომატიური დახმარება, მიუხედავად ამისა, იმათ რომ უარი შამოეთვალათ, ჩვენ მაინც გამოვიდოდით.

**თავმჯდომარე:** თქვენ მაინც გამოხვიდოდით?

**ანდრონიკაშვილი:** დიახ.

**თავმჯდომარე:** თქვენ უჩვენეთ სასამართლოს, რომ პარიტეტულ კომიტეტს თავისი პარიტეტული კომიტეტები არ ყავდა მაზრებში, იყვნენ რწმუნებულები ანუ კომისიები და მეტი არაფერი. ერთადერთი რწმუნებული თქვენ გყავდათ აჭარისტანში ანჯაფარიძე, ასე არის?

**ანდრონიკაშვილი:** დიახ.

**თავმჯდომარე:** თქვენ წინასწარ გამოძიების დროს უჩვენეთ, რომ გაერთიანებული კომიტეტი იყო ბათუმში, ქუთაისში და ჭიათურაში.

**ანდრონიკაშვილი:** ეს შეცდომა არის. მე ვთქვი კომისიები.

**თავმჯდომარე:** ვინ იყო ავტორი მემორანდუმის, რომელიც გაუგზავნეთ ლონდონის კონფერენციას და ერთა ლიგას?

**ანდრონიკაშვილი:** ეს შევიმუშავე მე, შემდეგ რედაქციისათვის გადავეცი ონიაშვილს, რედაქცია შევიმუშავეთ ჩვენ და საბოლოოდ გადავეცი იასონ ჯავახიშვილს და ბოჭორიშვილს.

**თავმჯდომარე:** ვინ მოაწერა ხელი მემორანდუმს? იქ იყო მოხსენებული სხიველების და ფედერალისტების პარტია. იცოდენ თუ არა?

**ანდრონიკაშვილი:** არ იცოდენ იმიტომ, რომ არ მოვიდენ.

**თავმჯდომარე:** როგორი წერილი გაგზავნეთ თქვენ აჯანყების შესახებ?

**ანდრონიკაშვილი:** მანდ მოყვანილია ეს წერილი, მაგრამ სწორი რედაქცია არ არის. მე ვაცნობე დღე და საათი, როდესაც უნდა მომხდარიყო გამოსვლები. ჩამატება რაც არის, მე არ მეკუთვნის და მდივანს არ ექნება უფლება ჩამატებინა. მაგისტანა დროს განკარგულება ხდება რაც შეიძლება მოკლედ.

**თავმჯდომარე:** მოკლედაც არის. აქ ბოლოში სწერია, რომ დახმარებას ევროპიდან გაგვიწვევს.

**ანდრონიკაშვილი:** ეს არ არის ჩემგან მიწერილი.

**თავმჯდომარე:** მაშასადამე, თქვენ განკარგულების გარეშე არის მიწერილი ეს?

**ანდრონიკაშვილი:** დიახ, მდივანის მიერ.

**თავმჯდომარე:** ვინ იყო მდივანი?

**ანდრონიკაშვილი:** მაგაზე არ გიპასუხებთ.

**თავმჯდომარე:** ვინ აწერდა ხელს?

**ანდრონიკაშვილი:** ჩემ გვარს აწერდა მდივანი.

**თავმჯდომარე:** როგორ შეიძლებოდა ასეთი დიდ მნიშვნელოვან საკითხის შესახებ მდივანს თითონ წაეწერა?

**ანდრონიკაშვილი:** ეს არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფსიხოლოგიურად დასაშვებია.

**თავმჯდომარე:** ვინ აწარმოებდა კონტრ-რაზვედკას?

**ანდრონიკაშვილი:** მაგვარი რამ არ არსებობდა.

**თავმჯდომარე:** არც თქვენსობას, არც შემდეგ?

**ანდრონიკაშვილი:** მე პირადად წინააღმდეგი ვიყავი სპეციალური კონტრ-რაზვედკის შექმნისა. რასაკვირველია, მე საწინააღმდეგო არა მქონდა რა, რომ მიმელო ცნობები კერძო პირებისაგან, სანდო პირებისაგან, მაგრამ რაც შეეხება შპიონაჟს...

**თავმჯდომარე:** უკაცრავად, კერძო განხილვაზე ნუ გადახვალთ. თქვენ გეკითხებიან კონკრეტულად კონტრ-რაზვედკაზე. კონტრ-რაზვედკის აპარატი ქონდა თუ არა პარიტეტსო?

**ანდრონიკაშვილი:** არ გვქონია.

**თავმჯდომარე:** თქვენ წინასწარ ჩვენებაში გაქვთ ნათქვამი, რომ ქონდა ფაღავას და ნოე ხომერიკსო...

**ანდრონიკაშვილი:** მე ეგ...

**თავმჯდომარე:** სასამართლო გეკითხებათ არა ისე, როგორც ანდრონიკაშვილს, არამედ ისე როგორც პარიტეტულ კომიტეტის თავმჯდომარეს. თქვენ ამბობდით ჩვენებაში, რომ კონტრ-რაზვედკა ქონდა მოწყობილი ფაღავას და ხომერიკსო. ქონდათ თუ არა ფაღავას და ხომერიკს კავშირი პარიტეტულ კომიტეტთან?

**ანდრონიკაშვილი:** ქონდა.

**თავმჯდომარე:** სად მიდიოდა შეკრებილი ცნობები?

**ანდრონიკაშვილი:** დამკომში და პარტიის ცეკაში.

**თავმჯდომარე:** საზღვარგარეთ არ წასულა?

**ანდრონიკაშვილი:** ჩემი თავმჯდომარეობის დროს არც წასულა და ვერ დამიმტკიცებ.

**თავმჯდომარე:** დაბრძანდით. სასამართლოს სხდომას დილის 9 საათამდე ვწვევთ. /სხდომა იხურება 10 ს[აათსა] [და] 20 წ[უთხე].

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 375, ტომი 1, ფურცლები 339-387.

**დოკუმენტი №4. 1925 წლის 1 აგვისტოს კონსტანტინე ანდრონიკაშვილის მიერ  
სასამართლოში წარმოთქმული დასკვნითი სიტყვა**

**კონსტანტინე ანდრონიკაშვილის საბოლოო სიტყვა  
1925 წლის 1 აგვისტოს დილის სხდომა**

**თავმჯდომარე:** უზენაეს სასამართლოს სამსჯავრო გრძელდება. სასამართლო გადადის ბრალდებულთა უკანასკნელ სიტყვაზე. ბრალდებულ ანდრონიკაშვილო! უკანასკნელი სიტყვა თქვენია.

**ანდრონიკაშვილი:** მოქალაქე მსაჯულნო! ჩემი უკანასკნელი სიტყვა არ იქნება აშენებული რა თქმა უნდა ჩემი თავის გამართლებაზე. ბრალდება, რომელიც გათვალისწინებულია პირველი მუხლით, მე ვიკისრე სავსებით და მე სრული შეგნებით ვაგებ პასუხს და დამშვიდებული მოვისმენ განაჩენს. მე ამ უკანასკნელ სიტყვაში, რომელიც ჭეშმარიტად იქნება უკანასკნელი, მინდა გავაგებინო ქართველ ხალხს და განსაკუთრებით მშრომელ მასებს, რომელსაც მე თითქმის 30 წელიწადი ვემსახურები, ის თუ რამ მაიძულა ჩავბმულიყავი პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც გამოიხატებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში დღიდან ოკუპაციისა და რომლის ლოლიკური დასკვნა იყო აჯანყება. მე მინდა გავაგებინო მათ, თუ რამ მიმიყვანა ამ აჯანყებამდე, რომელიც ვიმეორებ ლოლიკური დასკვნა იყო იმ მდგომარეობის, რომელიც შეიქნა საქართველოს ხალხის მხრივ და ახალი ხელისუფლების შეურიგებელი პოლიტიკისაგან. მე მინდა გამოვთქვა, თუ როგორ მოხდა, რომ მე, სოციალისტმა ავწიე შეიარაღებული ხელი მუშურ-გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ. მე მივაქცევ თქვენ ყურადღებას სახელმწიფო ბრალმდებელის სიტყვას, რომელიც დაიწყო სოც[იალ]-დემოკრატიული პარტიის მუშაობის, მისი გეზის კრიტიკით და დაათავა უკანასკნელი მისი მოქმედების ფაქტით, აჯანყების ფაქტით. მე ამასთანავე უნდა გამოვთქვა ის სიამოვნება, რომელიც ვიგრძენი მე საზოგადო ბრალმდებელის ამ საკითხისადმი მიდგომით. მან ამ პროცესს მოაშორა ყველა ის ჭუჭყიანი საქმეები, სისხლის სამართლის საქმეები, რომელიც ყოველთვის თან სდევნენ ასეთ მოძრაობას და ეწოდებოდა „სპუტნიკი სოპროვაჟდაიუშიე“. ამ მხრით ჩამოაცილა მას ჩირქი და სათანადო ისტორიული და პოლიტიკურ მნიშვნელობის საკითხად დააყენა და მე არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ესევე იგრძნო ყველა სხვა ბრალდებულებმაც...

საზოგადო ბრალმდებელი, პატივცემული ქავთარაძე ბრძანებს, რომ საქართველოში არის ფორმალური ოკუპაცია და არა არსებითი, ოკუპაცია იყო მაშინ, როდესაც აქ იმყოფებოდა გერმანელის და ინგლისის ჯარი. უნდა მოგახსენოთ, რომ არავითარი ოკუპაცია არ ყოფილა, მათი ჯარი სავსებით გვემორჩილებოდა, პატივს სცემდა ჩვენ სუვერენობას. იქ, სადაც შესაძლებელი იყო სუვერენობა დაცული იყო სავსებით და არავითარი ოკუპაცია არ ყოფილა. ესეა კი არის ოკუპაცია ორნაირი: ერთი წმინდა იდეური და მეორე წმინდა იმპერიალისტური. სხვათაშორის ესევე განაცხადა ორჯონიკიძემ საბჭოების პირველ ყრილობაზე: „მენშევიკები გაიძახიან, რომ ჩვენ შემოვიყვანეთ რუსის ჯარი, მოვსპეტ საქართველოს დამოუკიდებლობა. მართალი არის ეს. დიახ, შემოვიყვანეთ წითელი ჯარი თეთრი ჯარის წინააღმდეგ, შემოვიყვანეთ, რომელიც ბედნიერებას მოუტანს და ნუთუ ვინმე თქვენთაგანი აქ მყოფი იტყვის, რომ ეს ჯარი არ არის საჭირო?“ მაშასადამე, საჭირო იყო, რომ დაეცვათ საქართველო მტრებისაგან და მოუტანეს ქართველებს ბედნიერება... ისტორიამ

დააფასოს ეს ფაქტი საქართველოს დაკავებისა რუსეთის ჯარის მიერ. მე არ შევუდგები კრიტიკას, მე დისკუსიას არ ვმართავ, მხოლოდ ფაქტი უნდა აღვნიშნო, თუ რატომ მე, სოციალისტმა ვიკისრე იარაღის აღება და გამოვედი მთავრობის წინააღმდეგ? ამის უფლებას მე მაძლევდა ლენინი, მაძლევდა ენგელსი, მაძლევდა ჩემი სოციალისტური სინიდი. ეს არის შოვინისტურათ დაყენება ეროვნული საკითხის? არა. აქ დაინტერესებული იყო მუშა, გლეხი და ერის ყველა ნაწილი. ახლა ისმება საკითხი, ქონდათ თუ არა თქვენ უფლება საზოგადოთ საქართველოს და კერძოთ საქართველოს სოც[იალ]-დემოკრატიულ პარტიას დღიდან საქართველოს დატოვებისა გამოეცხადებია აჯანყება?.. როგორი იყო რეპრესიები მთელი ქართული პარტიების წინააღმდეგ და განსაკუთრებით სოც[იალ]-დემოკრატიულ პარტიების წინააღმდეგ? მოგახსენებთ, რომ სწორედ ამ რეპრესიებმა, მიუხედავად მისა, რომ სწორედ ეს რეპრესიები იყო ჩვენ მიმართ მეტად სასტიკი, ჩვენ მაინც შევეცადეთ გამოგვენახა საერთო ენა. 23 წელს, როცა ცენტრ[ალურ] კომიტეტის თავმჯდომარე იყო სეით დევდარიანი ნოე ხომერიკმა შემოიტანა ასეთი წინადადება, რომ იქმნება აუცილებლობა, რომ მოვიწვიოთ მობილიზაცია ჩვენი პარტიისა და მათ შევეკითხოთ, ეგებ მათ არ უნდათ გამონახონ საერთო ენა მთავრობასთან და ბრძოლა სურთო? სეით დევდარიანმა კი ასე სთქვა: ეგებ გამოვნახოთ რაიმე ლეგალური საშუალება და ბრძოლა თავიდან ავიცილოთო. მე უპასუხე: საქართველოს ხალხი ამას არ მოისურვებს და პირიქით, ამით მხოლოდ დაეცემა ჩვენი პარტიის ავტორიტეტი. მე ამის თქმის უფლება მქონდა, რადგან ვიცოდი რაში იყო საქმე, რადგან ვიყავი ჩართული საქმეში და ვმუშაობდი აჯანყების საკითხის მოსაგვარებლად და ჩვენ შეუდევით ტეხნიკურად მის სამზადისს. სწორედ ამ დროს მითხრა ეს. ვიცოდი, რომ ცენტრ[ალურ] კომიტეტში რომ დაესვა ეს საკითხი სეით დევდარიანს დაგვარგავდით როგორც მუშას და ხელმძღვანელს პარტიულ მუშაობაში. ეგებ გახსოვთ ცენტრ[ალურ] კომიტეტმა რომ მიმართა მოკლე თეზისებით საბჭოთა ხელისუფლებას, სადაც იყო რომ ეს საკითხი გადასაწყვეტად დეე მიეცეს მუშათა და გლეხთა და თუ ისე მოხდეს, რომ ერთი მესამედი ხმის მაინც მიიღოთ თქვენ, ჩვენ მაშინ გამოვაცხადებთ თავს დამარცხებულათო. იმათმა გვიპასუხეს დაცინვით და მოგვისპეს ყოველგვარი გამოგვენახა საერთო ენა და ამით აგვეცილებინა თავიდან ეს აჯანყება, რომელმაც მოიტანა უამრავი მსხვერპლი ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების, საუკეთესო მეზობლების. დიახ, ჩვენ მივედით აჯანყებამდე. მე ჩემ პირველ გამოსვლაშიაც ვთქვი, რომ ჩვენ დავმარცხდით აქ ფიზიკურად, მაგრამ მორალურად არ დავმარცხებულვართ და გთხოვთ, რომ ეს ჩემი სიტყვა არ იყოს სხვანაირად გამოქვეყნებული პრესაში და კომენტარიებს ნუ უკეთებთ სხვანაირად. ამას ვამბობ იმიტომ, რომ როცა მე ეს ვთქვი, ამას სულ სხვა აზრი მისცეს. ააშენეს თავისი აზრი ამაზე. შეიძლება მოკლეთ მოვსტერი, მაგრამ განმარტება უნდოდა მაინც. ჩვენ მორალურათ გავიმარჯვეთ იმიტომ კი არ ვთქვი, რომ ეს გვიკარნახებს იმავე გზას, ეს იმიტომ არის ნათქვამი, რომ იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა დარჩა ისე და თქვენც გწამთ ეს იდეა. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი კომუნისტები როდესაც მოუძღოდენ რუსის ჯარს, ისინი ფიქრობდენ, რომ ნამდვილი დამოუკიდებლობა მოგვაქვს საქართველოსთვისო. მაგრამ ეს არ გამოდგა. ჩვენ მივდიოდით, ვფიქრობდი, მართალია სხვა გზით, მაგრამ მაინც ამ დამოუკიდებლობის დასაცავად. დიახ, იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა თქვენთვისაც და ჩვენთვისაც იქნება საყვარელი წმინდა. ჩვენ შეგვიძლია ძველი მეთოდი უვარგვოთ, უვარგვავით იგი, მაგრამ შეგვიძლია სხვა გზით, შეერთებული გზით თქვენთან ერთად გადავწყვიტოთ ეს დამოუკიდებლობის საკითხი. ნუთუ არ ქონია ცხოვრებაში ნიადაგი უკლონიზმს? როცა საქართველო შედიოდა კავშირში არა უშუალოდ, არამედ ფედერაციის სახით, თქვენს რიგებში დაიბადა ეს პროტესტი, საქართველო რატომ არ შედიოდა უშუალოდ კავშირში? მაგრამ ეს ჩაქრა. შეიძლება თქვენთან ერთად გამონახოს საერთო ლეგალური ენა, ეს თქვენზეა დამოკიდებული. ახლაც კი ამ აჯანყების შემდეგ, ამ ბოლო დროს გამოვიდა ფელეტონი, ავტორი გეცოდინებათ ალბათ თქვენც, რომ არის პასუხისმგებელი კომუნისტი. მას ვერ წარმოუდგენია ლეგალურათ არსებობა მენშევიკური პარტიის. ეს მოტყუებააო და

ყოვლად შეუძლებელიაო, რომ არსებობდეს პოლიტიკური პარტია და არ იბრძოდეს ხელისუფლებასთანო. რა თქმა უნდა ეს ასეა, მაგრამ ევროპაში პოლიტიკური პარტიები ლეგალურათ იბრძვიან ხელისუფლების ჩასაგდებათ. ამ ფელეტონის ავტორს ვერ წარმოუდგენია, რომ ლეგალურათ არსებობდეს მენშევიკური პარტია. მაშ, ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ? ბრძოლა კი შეიძლება, მაგრამ ბრძოლა კანონიერ ნიადაგზე, პრესის საშუალებით, კრების საშუალებით, საღი გონიერი კრიტიკის საშუალებით, საერთო ლეგალური საშუალებით... ერთხელ კიდევ მოგმართავთ! გამოვნახოთ ახალი გზა, გამოვნახოთ საერთო ენა. ერთხელ კიდევ გთხოვთ მოგვცეთ პასუხი. მე ამ აჯანყების დამარცხებამ მითხრა ახალი გზა. მე დავსწერე თეზისები და სხვათაშორის იქ მაქვს ნათქვამი, თუ მუშათა კლასი დადგება საერთო შეთანხმების გზაზე, ეს იქნება დიდი ნაბიჯი წინ, ეს გამოიწვევს გაერთიანებას, რომელიც აუცილებელია, რომელიც მოგვეხმარება მოვიგერიოთ რეაქციის და ბურჟუაზიის იერიში... მე ჩემ აზრს ვამბობ და თამამათ შემიძლიან ვთქვა, რომ ეს გახლავთ აზრი იმ ბრალდებულთა, რომლებიც აქ ზიან საბრალდებულს სკამზე. აი, მოხდა აქტი და მე ვთხოვ მოსამართლეს, რომ არ ჩამითვალონ ეს განცხადება შუამდგომლობათ ჩვენ მიმართ. არა, ეს ჩემი მოვალეობაა როგორც მოღვაწისა. როცა მე საგანგებო კომისიაში ბერიასთან წამიყვანეს და იქ ვიგრძენი ჩემი თავი პასუხისმგებელი ხალხის წინაშე, როცა მან მითხრა, რომ ხალხს ვხვრეტავთ, ეს თქვენი ბრალია და თქვენ ასეთი განცხადება უნდა გააკეთოთ. მე დავიმცირე თავი, ვინაიდან ეს განცხადება ააცილებდა სასჯელს იმ ქართველებს, რომელნიც პირველ რიგებში იდგენ დასახვრეტად. საჭირო იყო მათი გადარჩენა. ეს მე ჩემ მოვალეობათ ვცან და დღესაც ჩემი მოვალეობაა თქვენი საშუალებით გადაეცეს ხალხს აი რა. მე ეს სიტყვა-სიტყვით მინდა შეიტანოთ ოქმში, რადგანაც შეიძლება ამას კომენტარიები გაუკეთონ, მერე რედაქცია გაუკეთონ, ამიტომ მე მინდა ეს სიტყვა-სიტყვით იქნეს შეტანილი და ამიტომ მე ამას წავიკითხავთ. აი, ასეთია ჩემი დასკვნა: „გზა, რომელმაც მიგვიყვანა აჯანყებამდე ლოდიკურად გამომდინარეობდა 1921 წელში საქართველოში შექმნილ ობიექტიური მდგომარეობიდან, სახელდობრ საქართველოს ოკუპაცია, საქართველოს საბჭოთა მთავრობის შეურიგებელი პოლიტიკა მიმართული ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ქართველ პოლიტიკური პარტიების სახით, რაც გამოიხატებოდა იმ პარტიათა დევნაში, დაპატიმრებაში, მასიურ გადასახლებაში და დახვრეტაში. აჯანყების დამარცხება სრულიად არ ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის დამარცხებას, გაკოტრებას, მხოლოდ სვლა აჯანყების გზით ამ იდეის ცხოვრებაში გასატარებლად უნდა ჩაითვალოს ერთხელ და უკანასკნელად მაწინა მეთოდად ერის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ სადაო საკითხების გადაწყვეტაში. აჯანყების შედეგები და მის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა ავალებს საქართველოს, ყველა ქართველ პოლიტიკურ პარტიებს დაადგენ მშვიდობიან გზას და საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობით და გზადაგზა ღონიერი და საღი კრიტიკით მიიღონ მონაწილეობა ქართველი ხალხის ეროვნულ სახელმწიფოებრივი, ეკონომიური და კულტურულ აღმშენებლობაში“. ეს არის ჩემი აზრი და საჭიროა, რომ ყველა ქართველი პარტია იმ დაადგენ მშვიდობიან გზას. ამით ვათავებ მე ჩემს სიტყვას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 379, ტომი 5, ფურცლები 1-33.

**Levan Jikia**

**The social-democrat - Konstantine Andronikashvili on the soviet justice  
(July-August 1925)**

**Summary**

In February-March 1921 the Soviet Russia implemented occupation and annexation of the democratic republic of Georgia. Despite the national-patriotic forces continued struggling for the country liberation. For achieving the common aim the following five leading political parties of Georgia united: Social-democrat Laborers' Party of Georgia (Mensheviks), National-Democratic Party of Georgia, Socialist-Federal Party of Georgia, Socialist-Revolutionists Party of Georgia (SR) and the Group „Skhivlebi“ (beam) (independent social-democrats) separated from Social-democrat Laborers' Party of Georgia. These political parties established the interparty organization „committee of Independence of Georgia“, the „patriotic committee“ in August 1922.

In August 1924 under the leadership of the „committee of independence of Georgia“ the powerful anti-soviet national revolts took place in Georgia though the revolts failed and as a result of it the soviet government started imprisonment and shooting process of the participants and suspects of the revolt.

The trials of the leaders of the revolt 1924 were held in July-August 1925. The court „confirmed“ the accusation determined by the Articles 16, 58, 59 (I Part), 60, 64 and 66 of Criminal Law Code of Georgian SSR and charged to the chairman of the committee of independence of Georgia – Konstantine Andronikashvili patronymic Emanuil and he was sentenced the highest penalty – shooting that was later replaced by 10 years-imprisonment, strict isolation including preliminary arrest.

3 0 3 3 3 3 0 3



## სამეტყველო კოდების ურთიერთმიმართებისა და შერევის სოციოლინგვისტური კვალიფიკაციის საკითხი

ბუნებრივი ენები არაერთგვაროვანია: ისინი არსებობენ მრავალი სახესხვაობის სახით, რომელთა ფორმირება და ფუნქციონირება განპირობებულია საზოგადოების სოციალური დიფერენცირებულობით და მისი კომუნიკაციური მოთხოვნილებების მრავალფეროვნებით. მაგალითად, სტუდენტი იყენებს სტუდენტურ ჟარგონს ძირითადად თავის წრეში, თანატოლებთან ურთიერთობისას, ხოლო დანარჩენ სიტუაციებში მიმართავს სალიტერატურო ენას; პროგრამისტები იყენებენ კომპიუტერულ ჟარგონს პროფესიულ თემებზე საუბრის დროს, ხოლო პროფესიული გარემოდან გამოსვლის შემდეგ საერთო სალიტერატურო ენის სიტყვებსა და კონსტრუქციებს მიმართავენ. ერთი ეროვნული ენის სხვადასხვა ქვესისტემის ამგვარ ფლობას და ურთიერთობის სფეროს ან სიტუაციის შესაბამისად გამოყენებას „შიდაენობრივი დიგლოსია“ ეწოდება. ამის გარდა, იშვიათად, ზოგი ლინგვისტისათვის ტერმინი „დიგლოსია“ აღნიშნავს სხვადასხვა ენის ცოდნასა და მათ მონაცვლეობით გამოყენებას ურთიერთობის დონისა და სიტუაციის შესაბამისად, თუმცა სადექსიკონო განმარტებით, და ენათმეცნიერებაში თითქმის საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისით, დიგლოსია ერთი ენის შიდა ვარიანტების ფლობა-გამოყენებას გულისხმობს.<sup>1</sup> და მაინც, რამდენადაც ამ ტერმინების განმარტებები ხშირად არის სადავო, ზოგჯერ იყენებენ მესამე ტერმინსაც „კოდების გადართვას“, რომელიც სიტუაციური მოხმარებისთვის უფრო უწყინარი ჩანს, თუმცა პირის ან საზოგადოების ენობრივი კომპეტენციის ფუნდამენტური დახასიათებისთვის არ გამოდგება.

სოციოლინგვისტიკას აინტერესებს არა მარტო ის, თუ რა გავლენას ახდენს ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის სოციალურ ცხოვრებაზე რამდენიმე ენის ცოდნა, არამედ ისიც, თუ რა განსაკუთრებულ ფუნქციას ატარებს გამოყენებულ ენათაგან თითოეული. ეს განპირობებულია იმ თავისთავად ცხადი ფაქტით, რომ სხვადასხვა ტიპის მეტყველებას ადამიანი სხვადასხვა სოციალურ გარემოში ან სიტუაციაში იყენებს. ამ ვითარების ამსახველი ერთ-ერთი ტერმინია დიგლოსია.<sup>2</sup>

სპეციალურ ლინგვისტურ ლექსიკონებში დიგლოსია განმარტებულია, როგორც ერთი ენის შიგნით კოლექტივის (ან პიროვნების) მიერ სხვადასხვა ქვესისტემის ფლობა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, იშვიათად ამ ტერმინში სხვადასხვა ენის ორი (ან მეტი) ქვესისტემის ფლობასაც გულისხმობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ (და არა მარტო ქართულ) საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს ტერმინი ჯერაც არ არის ერთნაირად გაგებული.<sup>3</sup>

<sup>1</sup> the coexistence of two closely related native languages or dialects among a certain population, one of which is regarded to be more prestigious than the other; also, that of two unrelated languages n. the presence of a cleft or doubled tongue. <https://www.wordnik.com/words/diglossia>.

<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს, რომ პირის ან საზოგადოების მიერ ორი ან მეტი განსხვავებული ენის მოხმარების დროსაც (რასაც ჩვეულებრივ ბილინგვიზმს ან მულტილინგვიზმს უწოდებენ) არ არის გამორიცხვადი დიგლოსიის არსებობაც; თუნდაც ჯოშუა ფიშმანის ცნობილი სტატიის სათაური გავისხენოთ: Bilingualism With and Without Diglossia; Diglossia With and Without Bilingualism. <http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/j.15404560.1967.tb00573.x/abstract>

<sup>3</sup> თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2003, გვ. 459-461.

წინამდებარე სტატიის ერთ-ერთი მიზანი ისიცაა, რომ ტერმინ „დიგლოსიის“ სალექსიკონო დეფინაციები შეუჯერდეს იმ მნიშვნელობას, რომელიც ამ ტერმინში ჩადო ამერიკელმა ენათმეცნიერმა ჩარლზ ფერგიუსონმა 1959 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში.<sup>4</sup>

საზგასასმელია ის გარემოება, რომ ენათა უმრავლესობაში დასახელებულ ტერმინთა მონათესავე სიტყვა „ორენოვნება“ (ან მრავალენოვნება) არსებობს (შდრ. რუს. ДВУЯЗЫЧИЕ), მაგრამ ამ ტერმინის შინაარსობრივი „გასაგებობა“, ენათმეცნიერთა უმეტესობას ლინგვისტური დეფინირებისათვის დამაბრკოლებლად მიაჩნია; და არცთუ უსაფუძვლოდ: მართლაც, რაც უფრო ნათელია ამ ტერმინის შინაარსი, მით უფრო ძნელია მასში მრავალფეროვანი შესაძლებლობებისა და ვარიანტების დახასიათებათა „მოქცევა“. მაგალითად, სტუდენტ ფილოლოგთა, ან უკვე დიპლომირებულ ფილოლოგთა გამოკითხვამ გვინჟენა, რომ რესპონდენტთა უდიდესი უმრავლესობისათვის ორენოვნება არის ორი ენის თანაბრად ან ძალიან კარგად ფლობა და მეტი არაფერი. მათთვის ეს ტერმინი არ გულისხმობდა ინტერფერენციას, ერთ-ერთი ენის პრესტიჟულობას ან სხვა ტიპის ლინგვო-სოციალურ მომენტებს. უნდა ვაღიაროთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში არც ტერმინები დიგლოსია და ბილინგვიზმი ყოფილა მათ მიერ მაინცა და მაინც ნათლად გამიჯნული და შეფასებული, მაგრამ ამ ტერმინთა ბუნდოვანება უფრო განაწყობდა რესპონდენტს მათი „ოფიციალური“ განმარტებების მისაღებად; ამდენად, მაგალითად, ვაინრაიხისეული სამსახოვანი ბილინგვიზმი (შედგენილი (შერეული) ოჯახები), კოორდინაციული (სიტუაციის შესაბამისად იმ ენის გამოყენება, რომელიც მოლაპარაკეს საჭიროდ მიაჩნია, ასეთები არიან „სხვა ენოვან“ გარემოში ჩასახლებული მიგრანტები) და სუბორდინაციული (ამ შემთხვევაში მეორე ენის სისტემა პირველის თარგზუა გამოჭრილი.<sup>5</sup> რა თქმა უნდა, ფერგიუსონის შემდეგ ამ ტერმინებმა მნიშვნელობები მრავალგზის შეიცვალა, მაგრამ ისინი არასოდეს აღნიშნავდნენ, და არც დღეს აღნიშნავენ ოდენ ორი ენის ცოდნას, ამ ცოდნის სახესხვაობათა გათვალისწინების გარეშე.

სხვადასხვა წარმოშობის ენათა „შერეული“ გამოყენების შემთხვევის მიმართ ენათმეცნიერება იყენებს ტერმინს „ბილინგვიზმი“ (ანუ „ორენოვნება“)<sup>6</sup>. ხოლო იმგვარი სიტუაციისათვის, რომელშიც რამდენიმე ენის ფუნქციონირებაა საჭირო, მოქმედებს ტერმინი „მრავალენოვნება“ ჩ. ფერგიუსონმა დიგლოსიის ცნების ფორმულირება წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც ეს არის შედარებით სტაბილური ენობრივი სიტუაცია, რომელშიც ენის პირველად დიალექტებთან ერთად (რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს ზოგადი, ან რეგიონალური სტანდარტები) არსებობს მათგან ძალიან განსხვავებული, მაღალ დონეზე კოდიფიცირებული (ხშირად გრამატიკულად უფრო რთული) ზედდებული ვარიაცია, რომლის შეთვისება ჩვეულებრივ ხდება ფორმალურ სფეროებში (მაგ., საგანმანათლებლო სისტემაში, ოფიციალურ სამეტყველო და წერილობით სფეროებში), მაგრამ არასოდეს გამოიყენება ყოფით კომუნიკაციებში.<sup>7</sup>

დიგლოსიური ენები და სიტუაციები განისაზღვრება, როგორც სამეტყველო ერთობაში ორი ან რამდენიმე ენობრივი სახესხვაობის შემცველი. ამ დროს ეს სამეტყველო ვერსიები ერთმანეთთან შემავსებელ დამოკიდებულებაშია. ენობრივ სფეროებს შორის, დიგლოსიის შემთხვევაში, ერთგვარი იერარქიული ურათიერთობაა დიდად შეფასებულიდან მცირედ შეფასებულამდე:

<sup>4</sup> Charles Ferguson. Diglossia. Word journal, Word 15: 325-340.1959.

<sup>5</sup> Weinreich Uriel, Languages in contact: findings and problems. (publ. of the Linguistic Circle of N.Y., 1) New York.1953.

<sup>6</sup> ეპისტემის ლექსიკონში ტერმინი ბილინგვიზმი განმარტებულია, როგორც: 1. the ability to speak two languages; 2. the frequent use (as by a community) of two languages.

<sup>7</sup> „Diglossia is a relatively stable situation in which, in addition to the primary dialects of the language (which may include a standard or regional standards), there is a divergent, highly codified (often grammatically more complex) superposed variety,... which is learned largely by formal education and is used for most written and formal spoken purposes but is not used by any sector of the community for ordinary conversation.” Ferguson (1959, p.336)”. ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ.: მ. ტაბიძე. ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები. თბილისი, 2005, გვ. 143-147.

1. თუკი ენობრივი სახესხვაობები მიიჩნევა მონათესავედ, ე. წ. „სტანდარტიზებული სახეობა“, როგორც წესი, წარმოადგენს ენის უფრო კონსერვატიულ ფორმას, რომელიც გამოიყენება ფორმალურ სფეროებში – საჯარო მეტყველებისას, რელიგიურ ტექსტებში, განათლებაში და სხვ.

2. „სახალხო“ ვარიანტი (სახეობა) გამოიყენება უფრო არაფორმალურ სფეროში, ყოფითი ურთიერთობისას, ანეკდოტებში, ქუჩაში, ბაზარში, ტელეფონზე საუბრისას და ა. შ.

3. იმ შემთხვევაში, თუ 1 და 2 ფორმები ერთმანეთთან გენეტიკურ კავშირში არაა, ძირითადად 1 ენობრივი სახესხვაობაა უფრო მაღალი საერთაშორისო პრესტიჟის მქონე.

ჯოშუა ფიშმანმა შეცვალა და განავითარა ფერგიუსონის თეორიის ის ნაწილი, რომელიც ფსიქოლინგვისტიკის ნიშნით იყო ჩამოყალიბებული. მისი განმარტებით, ბილინგვიზმი არის არა ენობრივი კონტაქტის მდგომარეობა, არამედ ენობრივი კონტაქტის შედეგი. ჯ. ფიშმანის მიხედვით დიგლოსია ორნაირად გაიანჯრება:

– დიგლოსია წარმოადგენს ორ სამეტყველო კოდს – როცა სიტუაცია აპირისპირებს მაღალ და დაბალ ვარიანტებს.

– დიგლოსია ფუნქციონალურ დიფერენციაციას ახდენს ორ ენას შორის.

როგორც ვხედავთ, ჯ. ფიშმანის თვალსაზრისში ჩანს დიგლოსიის ბილინგვიზმთან გათანაბრების ტენდენცია.<sup>8</sup>

ფერგიუსონის მიხედვით, დიგლოსია გულისხმობს ერთი ენის ორ (ან მეტ) ენობრივ ვარიანტს, სტანდარტიზებულ ვარიანტსა და ხალხურ ვარიანტს აქვს ერთი და იგივე მოდელი, განსხვავება კი ისაა, რომ შესაძლებელია ერთის კონტროლი, ხოლო მეორე კონტროლის გარეშეა. ფიშმანის მიერ ამ თეორიის განვითარებით გამოდის, რომ ბილინგვიზმი არის ენობრივი კონტაქტების შედეგი. მისი აზრით, დიგლოსია ორ ენაზე მეტს აერთებს. თუმცა, ჩვენი აზრით, ამას აქვს თავისი მიზეზი: ფიშმანის ინტერესის უპირველეს საგანს წარმოადგენდა მიგრანტების ენობრივი ადაპტაციის პრობლემები აშშ-ში, რაც სტანდარტული ბილინგვიზმისაგან განსხვავებით მეორე-მესამე თაობის ბილინგვიზმში ატიპურ ენობრივ ვარიანტთა სპეციფიკურ ერთიანობა-განსხვავებას წარმოქმნიდა.<sup>9</sup>

ჯ. ფინჩის საცნობარო ტიპის ნაშრომში<sup>10</sup> მოცემული განმარტებაც ჩ. ფერგიუსონის თვალსაზრისს მისდევს. მისი განსაზღვრებით, „ზოგ ენას აქვს ორი უაღრესად განსხვავებული ვარიანტი, რომელიც მოქმედებს სამეტყველო საზოგადოებაში, და რომელთაგანაც თითოეულს თავისი განსხვავებული სოციალური ფუნქცია აქვს. თუკი თქვენ ხართ მაგალითად, საბერძნეთში, თქვენ ნახავთ ადამიანებს, ვისთვისაც მშობლიურია წერისას ერთი ფორმა „katharevousa“, ხოლო მეტყველებისას მეორე – „dhimotiki“. ეს სიტუაცია იწოდება დიგლოსიად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთ ფორმას ეწოდება „მაღალი“ და მას იყენებენ ოფიციალურ სფეროებში – განათლებაში, პოლიტიკასა და კომერციაში, ხოლო მეორე, ანუ „დაბალი“ ვარიანტი მოქმედებს საშინაო და არაფორმალურ სიტუაციებში. ასეთ დროს „მაღალი“ უფრო პრესტიჟულია, ხოლო „დაბალი“ უფრო მიღებულია მისი გამოყენების კონტექსტებში... დიგლოსიური სიტუაცია დასტურდება ეგვიპტეში, სადაც გამოყენებულია ორივე – კლასიკური არაბულიცა და თანამედროვე არაბულიც; და შვეიცარიაში, სადაც მოლაპარაკენი იყენებენ მაღალ გერმანულსა და შვეიცარიულ გერმანულს („ზიუდ დუჩი“). ამის ისტორიული მაგალითია ისეთი რომანული ენები, როგორცაა საფრანგეთის ესპანური და იტალიური, მათაც ახასიათებდათ დიგლოსიური სიტუაციები, რომლებშიც „მაღალი ლათინური“ გამოიყენებოდა განათლებაში, რელიგიასა და ოფიციალურ ვითარებაში, ხოლო ჩვეულებრივი სასაუბრო ლათინური – ყოველდღიურ მეტყველებაში. ასეთი სიტუაციები დღესაც არსებობს წყნარი ოკეანისა და

<sup>8</sup> Joshua A. Fishman. Bilingualism With and Without Diglossia; Diglossia With and Without Bilingualism, Journal of Social Issues, Volume 23, Issue 2, pages 29-38, April, 1967.

<sup>9</sup> ამის მაგალითია ესპანურენოვანთა ინგლისური ანუ „სპენგლიში“.

<sup>10</sup> Jeffrey Finch. Linguistic Terms and Concepts. London, 2000.

კარიბის აუზის მოსახლეობაში, სადაც ინგლისურის სტანდარტული ვარიანტიც და პიჯინიზებულიც ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ. მთავარი, ჩვენთვის, ამ მაგალითებით იმის საზგასმაა, რომ ეს ერთი ტერმინი პრაქტიკაში ნაირგვარ სამეტყველო სიტუაციებს შეიძლება მიესადაგებოდეს.

ღუსული ლინგვისტური ლექსიკონის მიხედვით, დიგლოსია არის ორი ენის ან ერთი ენის ორი ფორმის ერთდროული არსებობა საზოგადოებაში, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროში. ბილინგვიზმისაგან და მრავალეროვნებისაგან განსხვავებით, დიგლოსია ითვალისწინებს მოლაპარაკის მიერ შეგნებულ შეფასებას „მაღალი – დაბალი“ (მაღალფარდოვანი–ყოველდღიური) ვარიანტებისას.<sup>11</sup>

**ტერმინი დიგლოსია 2006 წელს გამოცემულ სოციოლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში<sup>12</sup>** შემდეგნაირადაა განმარტებული: „1. შიდაენობრივი დიგლოსია – ფლობა მოცემული ნაციონალური ენის სხვადასხვა ქვესისტემისა (როგორც წესი, ტერიტორიული დიალექტისა და ენის სალიტერატურო ფორმისა) და მათი გამოყენება სიტუაციის ან ურთიერთობის სფეროდან გამომდინარე. ტერმინი „დიგლოსია“ შემოიტანა ჩარლზ ფერგიუსონმა შემდეგი მნიშვნელობით: „ორი და მეტი სახესხვაობა ერთი და იმავე ენისა, გამოყენებული ზოგიერთი მოლაპარაკის მიერ სხვადასხვა გარემოებაში“, მაგ., იტალიური ენის მტარებლები იყენებენ ადგილობრივ დიალექტს შინ, მეგობრებს შორის, მაგრამ გადადიან სალიტერატურო ენაზე სხვა დიალექტების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს ან საჯარო გამოსვლებში. 2. იშვიათად დიგლოსიაში იგულისხმება სხვადასხვა ენის პარალელური და იერარქიული გამოყენება, მაგრამ განსხვავებით ბილინგვიზმისაგან, დიგლოსია ამ გაგებით აღნიშნავს სხვადასხვა ნაციონალური ენის ორი ქვესისტემის ფლობას, რომელთაგანაც ყოველი მათგანი გამოიყენება მხოლოდ ურთიერთობის გარკვეულ სფეროში. დიგლოსია ასეთი ტიპისა აუცილებლად არ ახლავს ორენოვნებას, რომლის დროსაც ფუნქციონალური გადანაწილება ორ გამოყენებად ენას შორის შესაძლოა წაშლილი იყოს ან არ არსებობდეს საერთოდ.

ნებისმიერი ტიპის დიგლოსიის დროს მნიშვნელოვანია მოლაპარაკის მიერ სხვადასხვა კომუნიკაციურ საშუალებას შორის შეგნებული არჩევანის გაკეთება და ისეთი საშუალების გამოყენება, რომელიც საუკეთესოდ უზრუნველყოფს კომუნიკაციას ურთიერთობის მოცემულ სფეროში”.

**ქართული ენის ენციკლოპედიაში<sup>13</sup>** რომელიც გამოიცა 2008 წელს, დიგლოსიას ასეთი განმარტება აქვს: „დიგლოსია არის ორი ენის ან ერთი ენის ორი ვარიანტის ერთდროული არსებობა. მაგ., კლასიკური არაბული და სალაპარაკო არაბული.” სალიტერატურო არაბული გამოიყენება ოფიციალურ სფეროებში (განათლების სისტემა, მასმედია, ადმინისტრაციული მმართველობა და სხვ.), ხოლო „ხალხური არაბული ენა-დიალექტებისა“ – ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო სიტუაციებში. არაბულ სამყაროში საუნივერსიტეტო ლექციები სტანდარტულ ენაზე ტარდება, მაგრამ სავარჯიშოებისათვის ახსნა-განმარტებების შედგენისას „დაბალ“ ვარიანტს მიმართავენ. შეიძლება, ვინმეზე თქვან, არაბული არ იცისო, როცა ეს პირი არ ფლობს სალიტერატურო ენას. განათლებული არაბები ხშირად უარყოფენ არასტანდარტული ენის ცოდნას, თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში სწორედ მას იყენებენ.

დიგლოსიის დროს სალიტერატურო ენას პრივილეგია ენიჭება და იგი პრესტიჟულად მიიჩნევა. მხოლოდ ის ითვლება რეალურ ენად, ხოლო არასტანდარტული ენა ოფიციალურ

<sup>11</sup>ЛИНГВИСТИЧЕСКИЙ ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКИЙ СЛОВАРЬ. Главный редактор В. Н. ЯРЦЕВА. МОСКВА, 1990.

<sup>12</sup> Словарь социолингвистических терминов, Российская Академия наук, Институт языкознания и Российская Академия лингвистических наук, Институт иностранных языков, Москва, 2006.

<sup>13</sup> ქართული ენა, ენციკლოპედია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია; არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი (შემდგ. იზაბელა ქობალავა, რედ. გუჩა კვარაცხელია). თბილისი, 2008.

მიმოქცევაში არ გამოიყენება; ზოგის აზრით, ეს ფაქტი ამა თუ ენის ამა თუ იმ ქვესისტემის (დიალექტური სახეობის) დაკნინებასა და იგნორირებას ნიშნავს, რაც ცხადია ასე არაა.

დიგლოსიის მოვლენამ გააღვივა ინტერესი სტანდარტული (სალიტერატურო) ენების დახასიათებისა და შესწავლისადმი, როდესაც საზოგადოებაში თანაარსებობს სოციალური სტატუსით განსხვავებული ორი ენა ან ერთი და იმავე ენის ორი სხვადასხვა სახეობა.

მიიჩნევა, რომ ენის „მაღალ“ და „დაბალ“ ვარიანტებს შორის განსხვავებაა გრამატიკაში, თუმცა არის აზრი (რომელიც ჩვენთვისაც სავსებით მისაღებია), რომ ამ განსხვავებას განაპირობებს ენათმეცნიერთა მიერ ამ ვარიანტების გრამატიკული დახასიათებისადმი განსხვავებული მიდგომა და აღწერა-შეფასების განსხვავებული მეთოდები.

განსხვავებულია ლექსიკურ ერთეულთა ფორმა და გამოყენება. სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია ენის „მაღალ“ ვარიანტში შედის.

დიგლოსიის დროს ფონოლოგიური სისტემები შეიძლება თითქმის ერთნაირი იყოს.

როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი სფერო სოციოლინგვისტიკისა არის დიალექტისა და ენის გამიჯვნის საკითხი. ამ ცნებათა შინაარსობრივი სხვაობა უფრო ნათლად ჩანდა თავდაპირველად, როდესაც დიალექტები ენის ქვესისტემებად მიიჩნეოდა, მაგრამ ეს პრობლემა დროთა განმავლობაში დაამძიმა სოციალურ-პოლიტიკურმა დატვირთვამ, და ცნებებიც კიდევ უფრო გაბუნდოვანდა.

ქართული ენობრივი სიტუაციის დიგლოსიური თვალსაზრისით განხილვისას აზრთა სხვადასხვაობაა ქართველ ენათმეცნიერთა შორისაც, რაც უშუალოდ კავშირშია იმ მრავალწლიან პოლემიკასთან, რომელიც ეხება ენისა და კილოს გამიჯვნის კრიტერიუმებსა და სამეტყველო ფორმათა სტატუსის განსაზღვრას.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დიგლოსიასთან დაკავშირებით არსებული თვალსაზრისები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ა) „ქართველური ენობრივი სამყაროს შემთხვევაში საქმე გვაქვს მონოლინგვურ დიგლოსიასთან, ე.ი. დიგლოსიის პირობებში გვაქვს: დედაენა და მშობლიური დიალექტი. **ბილინგვიზმის დროს კი არსებულ ორ ენათაგან ერთი დედაენაა, მეორე უცხო ენა**“. და ბ) “ქართველური ენების ურთიერთობა სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ისეთ ენობრივ სიტუაციას ქმნის, რომელსაც „კლასიკურ დიგლოსიას“ უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ მეგრელებისა და სვანებისათვის, მეგრული და სვანური მშობლიური ენაა, ქართული ენა კი ძირითადი ენის კატეგორიას მიეკუთვნება.

ენათმეცნიერებაში არსებული ტერმინოლოგიური სიჭრელე მრავალი გაურკვევლობის მიზეზი ხდება. წინააღმდეგობრივია თითქმის ყველა ტერმინი, რომლებიც ერთდროულად ესაჭიროება ლინგვისტიკას, ეთნოლოგიასა და პოლიტიკას. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორაა კვალიფიცირებული ესა თუ ის ენა მისი გავრცელების არეალში და როგორია მისი როლი სახელმწიფოებრივ კონტექსტში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სტატიაში განხილული თემატიკის თაობაზე სპეციალისტის სამეცნიერო პოზიცია და დასახელებული ტერმინებისადმი დამოკიდებულება დიდად განსაზღვრავს ამ სპეციალისტის სამეცნიერო თვალსაზრისებს ენა-კილოთა კლასიფიკაცია-კვალიფიკაციის, გრამატიკული სისტემის ვარიანტულობის, ლექსიკოგრაფირების პრინციპების, ენისა და კულტურის პრობლემების კვლევისა და სხვა მრავალი საკითხის მიმართ.

**Manana Tabidze**

**The issue of sociolinguistic qualification of correlation and mixing capacity  
of the speech codes  
Summary**

Sociolinguistics is interested not only in what influence does it make on social life of the individual or groups of individuals to know few language, but also the spacial function of each used language. According to this interest it was necessary under the terms of the selection, which would simplify the study of reasoning. Thus were born the terms: bilingualism, Diglossia, source switching, language mixing, language Subsystems, language options and others.

The difference between the "high" and "low" options in grammar is noticed. However, there is an opinion (which is perfectly acceptable to us), that this difference is caused from the different approach and a different evaluation methods, used by the linguists. There are different ways of using lexical units and form.

The terminological diversity becomes a source of uncertainty in linguistics. Almost all the terms that are simultaneously are needed in linguistics, ethnology and policies are controversial. It is therefore very important, how the language is qualified in its area of spreading and what role does it have in state context.

### თურქი/ბუნთურქი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით<sup>1</sup>

ძველ ქართულ წყაროებში ნახსენები „ბუნ-თურქების“ შესახებ ბოლო 160 წლის მანძილზე დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა დაგროვდა; კერძოდ, დღემდე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, „ბუნ-თურქი“ ეთნონიმი და აღნიშნავს:

- პირველყოფილ, თავდაპირველ თურქებს - თურანელებს (მ. ბროსე);
- შუბოსან თურქებს (ე. თაყაიშვილი);
- ამიერკავკასიაში ქართველებზე ადრე მოსახლე (თუ ავტოქტონ) თურქმანთა ტომს/თურქებს (ნ. მარი, კ. კეკელიძე, ზ. ანჩაბაძე, მ. სეიდოვი, ი. ზეირეკი...); წინააღმდეგობრივ ქართლში მცხოვრებ თურქებს (დ. მუსხელიშვილი);<sup>2</sup>
- დევნილ და საქართველოში შემოსიზნულ ჰუნებს (გ. მელიქიშვილი, ვ. გაბაშვილი, ვ. გოილაძე...);
- დევნილ და საქართველოში შემოსიზნულ სკვითებს (მ. სანაძე, გ. ალასანია);
- ისტორიულ ქართლში ჩრდილო კავკასიის გზით შემოჭრილ ჩრდილოურ ტომებს - სომხური წყაროების ბულდარელებს (გ. ქავთარაძე)...<sup>3</sup>

გ. ყორანაშვილის აზრით, „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაცია ბუნ-თურქების შესახებ სინამდვილეს არ ასახავს;<sup>4</sup> ზოგ მკვლევარს კი მიაჩნია, რომ ბუნ-თურქი პალეოგრაფიული შეცდომაა, უნდა იყოს: ჰუნ-თურქი (დ. მელიქსეთ-ბეგი); შდრ.: „ქართლის ცხოვრების“ სამ ხელნაწერში გვაქვს მუნ თურქი; ერთ-ერთში მ გადაფხეკილია და ჩაწერილია ბ.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ისტატიის ნაწილი წაკითხულია მოხსენებად საერთაშორისო სიმპოზიუმზე: ქართული ხელნაწერი I, თბილისი, 2009, 19-25 ოქტომბერი; მოხსენების სათაური: „ბუნ თურქნი: პალეოგრაფიული შეცდომა, თურქულენოვანი ხალხის აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი ეთნონიმი, კომპაქტურად დასახლებული ლტოლვილი „თურქები“ თუ „სასტიკ წარმართთა“ აღმნიშვნელი მეტაფორა?“

<sup>2</sup> დ. მუსხელიშვილი (1993, გვ. 341) ბუნ-თურქებს არაქართველებად მიიჩნევს, მაგრამ არ აკონკრეტებს მათ ენობას.

<sup>3</sup> გ. ქავთარაძე. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები. კავკასიოლოგიური სერია. II. თბილისი, 2006, გვ. 69, 74.

<sup>4</sup> იხ.: აგრეთვე: „მოქცევა“ ქართლისა“ს ავტორს სურს, ბუნთურქები განესხვაგვებინა გვიანდელი, მისთვის ცნობილი თურქებისაგან. ქართული წყაროების ეს ცნობა ლეგენდარულია. (<http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>).

<sup>5</sup> სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის ვრცლად იხ.: გ. ალასანია. ქართული წერილობითი წყაროების ბუნ-თურქები (საკითხის ისტორიოგრაფია). ქართული წყაროთმცოდნეობა. IX. თბილისი, 2000; მ. სანაძე. 2001; ტ. ფუტკარაძე. ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები). ქუთაისი, 2005; გ. ალასანია. 2008; ვ. გოილაძე. ჰუნ-თურქები კავკასიაში. თბილისი, 2008. იხ.: აგრეთვე: Nora Dudwick. *The case of the Caucasian Albanians: Ethnohistory and ethnic politics*, Cahiers du monde russe et soviétique, 1990, Volume 31, Issue 2, pp. 377-383; „Bunturks“ settled on the banks of the Kura River.9 These accounts reveal Azerbaijanians' ambivalence over how they want to be viewed by themselves and others. Both lampol'skii and Guseinov aim to counter the... [http://www.ca-c.org/journal/eng-01-2002/19.aliprimen.shtml](http://www.persee.fr/web/revues/home/prescript/article/cmr_00080160_1990_num_31_2_2237?luceneQuery=%28%2B%28fullContent%3Abunturk%5E900.0+fullTitle%3Abunturk%5E940.0+content%3Abunturk+title%3Abunturk%5E2.0+summary%3Abunturk+authors%3Abunturk%5E5.0+illustrations%3Abunturk%5E4.0+bibrefs%3Abunturk%5E4.0+toctitles%3Abunturk%5E4.0+toctitles%3Abunturk%5E3.0+toctitles2%3Abunturk%5E2.0+toctitles3%3Abunturk%29%29+AND+%28+%2Baccess_right%3A%28free%29+%29&words=bunturk&words=900&words=940&words=free; http://www.namebase.org/xtoc/Cyrl-Toumanoff.html; ზოგი მიიჩნევს, რომ ბუნ-თურქები არიან ე.წ. მუსხელიშვილის თურქების წინაპრები (მსჯელობისათვის იხ.: <a href=)); არსებობს, ასევე, ვებგვერდი ბუნთურქი: <http://bunturk.livejournal.com>. ყველაზე უფრო „საინტერესო“ ის არის, რომ ზოგს სურს, ჯერ ე. წ. ბუნ-თურქების მემკვიდრეებად გამოაცხადოს მუსლიმანი ქართველები (თუ „თურქ მუსხელიშვილი“ წოდებული საზოგადოება) და საქართველოში ახალდამკვიდრებული აზერბაიჯანელები, შემდეგ კი „დაიცვან“ მათი, როგორც „ისტორიული ეთნიკური

2008 წელს გამოვიდა „ქართლის ცხოვრების“ შეჯერებული ვარიანტი და მისი რუსული თარგმანი; კომენტარებში წარმოდგენილია რედაქტორისა და მთარგმნელ-კომენტატორებისათვის უფრო მისაღები კვალიფიკაციები;<sup>6</sup> ბუნ-თურქებთან დაკავშირებით კომენტარებში ვკითხულობთ:

*ბუნთურქების შესახებ თხრობა გვაქვს „ქართლის მოქცევაში“; სამეცნიერო ლიტერატურაში ბუნ- სიტყვის რამდენიმე სახის ახსნა გვაქვს, მაგრამ საკითხი გადაწყვეტილი არ არის. „ქართლის ცხოვრებაში“ ბუნთურქებად იწოდება „მძვინვარე წარმართი ხალხი“ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ლეონტი მროველისთვის ბუნთურქნი ნიშნავს ჩრდილოეთით მცხოვრებ თურქული წარმოშობის ხალხს, რამდენადაც ყივჩაყების საცხოვრისი მროველისთვის კარგად იყო ცნობილი“.<sup>7</sup> შდრ., მათ მიერ ნაგარაუდები სხვა კვალიფიკაციები: ძვ.წ. ამბების აღწერისას მოხსენიებული თურქები - თურანები, საზარები - სკვითები.<sup>8</sup>*

ამათვისვე ვიტყვით, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ბუნ-თურქნი ნამდვილად არ არიან ჩრდილოეთიდან მოსულნი; ჩანს, კომენტარების ავტორების ამგვარ მოსაზრებას ბიძგი მისცა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის არასწორმა გააზრებამ (იხ., ქვემოთ).

როგორც ვხედავთ, ასწლოვანი კვლევების მიუხედავად, ბუნ-თურქთა ვინაობა ისევ კამათის საგანია. რაზეც არავინ დაობს, ისაა, რომ სიტყვა-ფორმა: ბუნთურქნი აგებულია მიხედვითარის რთული - კომპოზიტია, რომლის პირველი კომპონენტია ბუნ-, მეორე კი - თურქი.

წარმოდგენილ სტატიაში შევეცდებით, არგუმენტირებული პასუხი გავცეთ კითხვებს:

- ბუნ-თურქების შესახებ რომელია პირველწყარო: „ქართლის ცხოვრება“ თუ „მოქცევა“ ქართლისა?
- ეტიმოლოგიურად რას ნიშნავს კომპოზიტი ბუნ-თურქნი? გვაქვს კი საფუძველი დამოუკიდებელ ეთნონიმად გამოვაცხადოთ იგი?
- ლეონტი მროველისთვის თუ „ქართლის ცხოვრების“ ამ ეპიზოდის ავტორისათვის რომელ და სად მცხოვრებ ხალხს (თუ საზოგადოებას) აღნიშნავს ბუნ-თურქნი? რომელ ხალხს თუ როგორ საზოგადოებას აღნიშნავს ბუნ-თურქნი „მოქცევაში ქართლისაის ავტორისთვის“?
- რა უფრო ლოგიკურია: ეთნონიმ „თურქის“ ქვეშ ვიგულისხმოთ: კავკასიის ავტოქთონი თურქი (ნ. მარი)? ჰუნი (გ. გაბაშვილი)? სკვითი (მ. სანაძე)? თურანელი (მ. ბროსე), თუ, მოცემულ კონტექსტში – უბრალოდ, ველური საზოგადოება?

**პირველ რიგში, ვნახოთ ორივე ძირითადი ქართული წყარო, სადაც დასტურდება „ბუნ-თურქი“:**

„ქართლის ცხოვრება“, 1955, გვ. 15-17:

„სპარსთაგან ოტებულმა“ თურქებმა ქართველებს დახმარება აღუთქვეს სპარსელებთან ბრძოლაში, ამიტომ ხუნანიდან სპერის ზღვამდე გადაჭიმული ქართლის სხვადასხვა ქალაქების მფლობელებმა („ყოველთა ქართველთა“) დევნილი „თურქების“ ერთი ნაწილი ჯგუფებად დაყვეს და თავიანთ ქალაქებში ჩაასახლეს. ლტოლვილთა ძირითადი ნაწილი კი მცხეთის მამასახლისმა კომპაქტურად დაასახლა სარკინეში. „აღექსანდრეს

უმცირესობის“ ენობრივი უფლებები „რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ ევროპული ქარტიის“ პრინციპების მიხედვით („ენის ქარტიის“ პრინციპების შესახებ ვრცლად იხ.: <http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia>). წინასწარ ვიტყვი, რომ ის ხალხი, ვისაც მემბტიანე ბუნ-თურქებს უწოდებს, მემბტიანისვე ცნობით, ირანის მხრიდან ლტოლვილად მოვიდა და მალევე გადაიხვეწა ჩრდილო კავკასიაში (თუ მემბტიანეს ვუჯერებთ, რომ მოვიდნენ, მასვე დაუჯეროთ, რომ მალევე წავიდნენ კიდევ!).

<sup>6</sup> ლეონტი მროველის „მეფეთა წიგნი“ რუსულად თარგმნა და საინტერესო კომენტარებით აღჭურვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ახვლედიანმა.

<sup>7</sup> ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი, 2008, გვ. 70.

<sup>8</sup> ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი, 2008, გვ. 68-69.



შემოსვლის“ აღწერისას, **სწორედ სარკინეს მოსახლეობის აღსანიშნავად გვხვდება კომპოზიტი: ბუნ-თურქნი:**

ალექსანდრემ „გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყვნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უხმ არს. და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკური-სასა მიხვევით, დაუკვირდა ესე ალექსანდრეს...“

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (შატბერდის კრებული, 1979, გვ. 320):

„პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შედადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად და დაბნები მათი: სარკინე, კასპი, ურბნისი და ოძრხე და ციხენი მათნი: ციხედ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხედ კასპისა, ურბნისისა და ოძრხისაჲ. დაუკვირდა ალექსანდრეს...“

სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომ „მოქცევაჲს“ შესავალი უძველესი ქართული წყაროა; ვფიქრობთ, ამგვარ მიდგომას მხარს არ უჭერს **ბუნთურქთა ეპიზოდების შეპირისპირება „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲს“ მიხედვით;** კერძოდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენამდე მოღწეული „მოქცევაჲს“ შესავალი ტექსტი „ქართლის ცხოვრების“ ადრეული რედაქციის მოკლე და, ამავე დროს, დამახინჯებული ვარიანტია; წარმოვადგენთ სათანადო ფრაზათა ტექსტოლოგიურ ანალიზს:

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტში სიტყვაფორმა „მიხვევით“ გულისხმობს მრავლად; ტექსტი ასე უნდა გავიგოთ:

ალექსანდრემ ქართლში, მტკვრის/მცხეთის გასწვრივ (ახლოს) მრავლად ნახა ბუნთურქების მსგავსი ველური ქართველები (გვ. 17: ალექსანდრემ „პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდა ნათესაობა...“). შდრ., „მოქცევაჲს“ ტექსტში სიტყვაფორმის - „მიხუევით“ - შინაარსი გაურკვეველია, რის გამოც ამ ცნობილი ტექსტის პროფესიონალი გამომცემლები სხვადასხვანაირ პუნქტუაციას იყენებენ; შდრ.:

ილია აბულაძე, 1964, გვ.81: „იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, - მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი“.

ბ. გიგინეიშვილი, ელ. გიუნაშვილი, 1979, გვ. 320: „იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი“ (აქ სიტყვაფორმა მიხვევით მძიმეებით აღარ არის გამოყოფილი).

ზ. სარჯველაძის მიერ ეს ადგილი განმარტებულია, როგორც „მიყოლებით“; მისეული ტექსტი ასე გამოიყურება:

„იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი - მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიყოლებით/მიხვევით ოთხ ქალაქად“ (ზ. სარჯველაძე, 1995); განმარტება დაუსაბუთებელია; შდრ., იქვე, ზ.სარჯველაძის მიერვე სავსებით მართებულია და განმარტებული საწყისი ფორმა მიხუევა; კერძოდ: მიხვევა - მოდება, მიხვევა; შდრ., მოედო, დაეხვია.

დაეხვია (/მოედო; შდრ., ხვაგი და გამოთქმა: „ბუზივით ეხვეოდა“) ზმნისგან შეიძლება ვაწარმოოთ სიმრავლის აღმნიშვნელი ზმნისართი მიხვევით/მრავლად/ხვაგიერად, მაგრამ ამ ზმნური ფუძისგან თანამიმდევრობის/მიყოლების (მიყოლებით) აღმნიშვნელი ზმნისართი ვერ წარმოიქმნება; შესაბამისად, ერთ სინტაგმად უნდა განვიხილოთ მსხდომარენი მიხვევით ანუ, მსხდომარენი მრავლად/მიყრით; შდრ., ზ.სარჯველაძის აზრით: მიხვევით/მიყოლებით ოთხი ქალაქი.

გარდა ზემოთქმულისა, „მოქცევაჲს“ ტექსტის წარმოდგენილი ფრაგმენტის მეორეულობასა და საეჭვოობას ცხადყოფს დასახელებულ ქალაქთა განლაგებაც: ოძრხე არ არის მტკვრის ხეობაში, მით უმეტეს, ურბნისს მიყოლებით (შდრ.: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შეიქმნა IX

საუკუნეში „ნინოს ცხოვრების“ საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, დაიწერა VII საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ; პინგოროვცა, ლ. ჯანაშია, კ. თუმანოვი..).

ვფიქრობთ, ნათელია:

ქართველთა ქრისტიანობამდელი ისტორიის გადმოცემისას, „მოქცევადას“ ავტორი ეყრდნობა „ქართლის ცხოვრების“ ადრეულ რედაქციას - მის შესავალ ნაწილს (შდრ., ნ. ბერძენიშვილი, 1990, გვ. 554-555); ჩანს, შესავალი ნაწილი მეტად შემოკლებულია და, აგრეთვე, ტექსტის ერთი მონაკვეთის ვერგაგების გამო, შინაარსიც დამახინჯებულია. წარმოდგენილი მსჯელობა კიდევ ერთი ფაქტით ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის დასკვნას:

წმ. ნინოს შატბერდისეული ცხოვრება ძველი ცნობების გადამუშავებითაა შექმნილი და, ამავე დროს, ბევრ სიყალბეს შეიცავს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, I, გვ. 226-227).

აქვე აღვნიშნავთ, რომ **საზართა ეპიზოდის** აღწერისას შედარებით თანამიმდევრული და ლოგიკურია „ქართლის ცხოვრება“; მაგ., „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში გარკვევით წერია, რომ ქართლში აღექსანდრეს დახვდნენ **ყოველნი ქართველნი**, მაგრამ ისინი იყვნენ წარმართები, ურწმუნონი, არაქრისტიანნი (მემატიანე მართლმადიდებლობის აპოლოგეტი ბერია!), და, ამდენად, ცუდი ქართველი ადამიანები; შდრ., აღექსანდრეს მოსვლამდე, ძვ.წ. VI საუკუნეში, ნაბუქოდონოსორის დროს ქართლში „შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი“; საზარები, თურქები (მიდიიდან გამოქცეულნი), ებრაელები, ბერძენები, ასურელები... სწორედ ხალხთა ამ აღრევის გამო „იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთასა. რამეთუ ცოლქმრობისათვის არა უჩნდათ ნათესაობა; ყოველსა სულიერსა ჭამდეს; საფლავი არ იყო, მკუდარსა შესჭამდეს“ (გვ. 16)... აღექსანდრეს შემოსვლის დროსაც ამავე სიტყვებს იმეორებს მემატიანე; ქრისტიანი ავტორი თუ რედაქტორი ძველი დროის წარმართ ქართველებსა და არაქართველებს აღარებს თავის თანამედროვეთათვის (XI-XII საუკუნეების) ნაცნობ ველურებს - თურქებსა და ყივჩაყებს.

**ლოგიკურია ისიც, რომ ტექსტის მომდევნო ნაწილში მემატიანე ჩამოთვლის ქართლში არსებულ ენებს (სომხური, ქართული, საზარული, ასურული, ებრაული, ბერძნული; გვ.16), მაგრამ მათ გვერდით თურქულ ენას არ ახსენებს:**

ალბათ, ძველი ავტორისთვის საზარული ენა იგივეა, რაც ქაიხოსროსგან გამოდევნილი „თურქების“ ენა: საზარულში მოიაზრება თურქთა/ბუნთურქთა ენაც (შდრ.: ზ. აღექსიძე, 1991, გვ. 83-84; გ. ალასანია, 2000, გვ. 25 და მ. სანაძე, 2001, გვ. 32).

**საბოლოო ჯამში, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი ასე უნდა წავიკითხოთ:**

**აღექსანდრემ ამიერკავკასიაში ნახა ქართველები („ყოველნი ქართველნი“), რომლებიც ისეთივე ურჯულ ველურებად ქცეულიყვნენ, როგორებიც არიან ყივჩაყები და ბუნთურქები.**

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ კონტექსტში „ბუნთურქი“ და „ყივჩაყი“ ეპითეტებია, ველურის სინონიმებია და არა - ეთნონიმები. ამასვე ადასტურებს „ქართლის ცხოვრების“ ადაპტირებული ვარიანტის ძველი სომხური თარგმანის ტექსტი:

**„აღექსანდრე კოკასის მთით გადავიდა ქართველთა ქვეყანაში და გაოცდა მათი საძაგელი ცხოვრებით“** (ი. აბულაძე, 1953, გვ. 24).

ამრიგად, წარმოდგენილ კონტექსტში საუბარი არ არის ჩრდილოეთიდან თუ სამხრეთიდან მოსულ, ან ავტოქტონ ხალხებზე - ყივჩაყებსა თუ თურქებზე/ბუნთურქებზე; ტექსტში არ წერია, რომ აღექსანდრემ ყივჩაყები/თურქები ნახა; ქართველი მემატიანის აზრით, აღექსანდრემ ნახა წარმართი ქართველები, რომლებიც დამსგავსებოდნენ ველურებს - ბუნთურქებსა და ყივჩაყებს<sup>9</sup>. ასევე, ჩანს, მემატიანემ იცის (თუ ჰგონია), რომ მისთვის კარგად

<sup>9</sup> ეთნონიმის გამოყენება ეპითეტად და ეთნონიმის ქცევა არსებით სახელად (თუ ზედსართავად) ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ენაში. ცნობილია ისიც, რომ „დროთა განმავლობაში ტერმინმა: „თურქი“ უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა და უვიცის, მდაბიოს სინონიმად იქცა... ეთნიკური მნიშვნელობა ტერმინმა გვიან მიიღო (С. Г. Кляшторный. Проблемы ранней истории племени турк (Ашина). - Новое в советской археологии, Москва, 1965 (Материалы и исследования по археологии, СССР, 130); გ. ალასანია. ქართული წერილობითი წყაროების ბუნ-თურქები (საკითხის ისტორიოგრაფია). ქართული წყაროთმცოდნეობა. IX. თბილისი, 2000, გვ. 10).

ცნობილი ყვიჩაყები და თურქები (სელჩუკები) ენათესავებიან ქაიხოსროს მიერ გამოდევნილ ხალხს.

„ქართლის ცხოვრების“ სხვა ეპიზოდში სიტყვა-ფორმა **ბუნ-თურქი** ეთნონიმ თურქის სინონიმად გამოიყენება:

ალექსანდრემ (თუ მისმა ჯარმა) ექვსთვიანი ალყით დაიპყრო ქართველთა ციხე-ქალაქები: წუნდა, ხერთვისი, ოძრხე, ურბნისი, რუსთავი, სამშვილდე, კახეთის ქალაქი, მცხეთა, ნასტაკისი და **ურიათა უბანი** - ზანავი. ალექსანდრეს არც კი უცდია თუხარისისა და ხუნანის (ანუ მტვერის) ციხის დაპყრობა, ვინაიდან „ვერ შეუძლებდა დაპყრობად: (ქ. ც. 1955, 18,7-8). აქვე ვკითხულობთ: "ხოლო სარკინელთა **ბუნთურქთაგანთა** აგინეს მეფესა“.

ე. ი. ამ ეპიზოდში სამი ეთნონიმი სახელდება: ქართველები, ურიები, **მცხეთის მამასახლისის მიერ სარკინეში ჩასახლებული თურქები**.

ნიშანდობლივია: „ქართლის ცხოვრების“ 4 ადრინდელ ხელნაწერში ამ ეპიზოდის აღწერისას „ბუნთურქთაგანთა“ ფორმის ნაცვლად გამოყენებულია სიტყვები: „**ნათურქთაგანთა** ან „**მუნ თურქთაგანთა**“ (ქ. ც. 1955, 18, 8).

„თურქებისგან“ შეურაცხყოფილი ალექსანდრე მათ სრული განადგურებით დაემუქრა, მაგრამ ციხე-ქალაქი ვერ აიღო 11-თვიანი ალყითაც კი. ხანგრძლივი ალყით „მეჭირვებულმა“ სარკინელებმა - **მცხეთის მამასახლისის მიერ სარკინეში ჩასახლებულმა თურქებმა** - ციხე-ქალაქის საყრდენი კლდე გახვრიტეს და ჩრდილოკავკასიაში გადაიხვეწნენ. ასეთია მემბტიანის მიერ აღწერილი ამბავი.

შდრ.: „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში (XII ს.) ტერმინი „ბუნთურქი“ არ დასტურდება; ამ ვერსიის მიხედვითაც, მცხეთის მამასახლისმა სარკინეში დაასახლა ქაიხოსროსგან გამოდევნილი თურქები<sup>10</sup>. ბევრის მთქმელია ისიც, რომ მსოფლიოს არც ერთ სხვა წყაროშიც არ ჩანს ეთნონიმი „ბუნ-თურქი“.

#### **საფუძველი გვაქვს, დავასკვნათ:**

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით, მცხეთის მამასახლისმა სარკინეში ჩაასახლა ქაიხოსროსგან გამოდევნილი თურქული მოდგმის ხალხი (ჰუნები?), რომელთა აღსანიშნავად გამოყენებულია ორი ტერმინი: **თურქები** და **ბუნ-თურქები**. შესაბამისად, დასაზუსტებელია, რას ნიშნავს მეორე ტერმინის – კომპოზიტის - მსახვრელი: „ბუნ-“.

სიტყვა **ბუნი** (ბუნ) ფალაური ნასესხობაა და ქართულად ნიშნავს „ძირითადს“, „ფესვს“<sup>11</sup>; შესაბამისად, შესიტყვება **ბუნი თურქი** შეიძლება გავიაზროთ, როგორც **კომპაქტურად დასახლებული „თურქები“**. ბუნი /ძირითადი/ თურქები (> ბუნთურქები) არიან ქაიხოსროსგან განდევნილი თურქების (მიგრანტი თურქების) ის **ძირითადი ნაწილი, რომელიც მცხეთის მამასახლისმა ერთად დაასახლა სარკინეში**.

განსხვავებული სემანტიკით დასტურდება **ბუნ-თურქი** "მოქცევაი ქართლისა<sup>ა</sup>ს" ტექსტში (იხ. ზემოთ). წინა ისტორიის გარეშე მოყვანილი „მოქცევაის“ ტექსტით ზოგი მეცნიერი მცდარ დასკვნას აკეთებს და ამბობს, რომ **ბუნ-თურქი** ის არაქართველური ავტოქთონი მოსახლეობაა, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა ქართველების აქ მოსვლამდე. **ამგვარი დასკვნა ქართული ტექსტის მცდარი წაკითხვის შედეგია:**

„ქართლის ცხოვრებაშიც“ და „ქართლის მოქცევაშიც“ ზუსტად განმეორებულია ერთი ფრაზა: „**მსხდომარენი მდინარესა მას მტკვარსა მიხვევით** (=ერთად, მრავლად)“.<sup>12</sup>

ორგვარი დაშვების შესაძლებლობა გვაქვს:

- „ქართლის მოქცევის“ ეს მონაკვეთი მომდინარებს უფრო ლოგიკური და ვრცელი „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი ნაკვეთიდან;

<sup>10</sup> აქვე საუბარია სარკინელთა 12-თვიან (არა - 11 თვიან!) ალყაზე.

<sup>11</sup> **მ. ანდრონიკაშვილი**. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, გვ. 297; შდრ., აგრეთვე: ბუნ-ებ-ა „თვისება“ (ილ. აბულაძე); ძველ ქართულში ეს სიტყვა გამოიყენება მოდგმის აღსანიშნავად (ნ. ჩუბინაშვილი); სავარაუდოა შემდეგი სახის სემანტიკური ტრანსფორმაცია: **ფესვი > მოდგმა**.

<sup>12</sup> მიხვევით - მრავლად; შდრ.: „ბუზი ეხვია“, „ხვაი“ ამ ფრაზისა და „მიხვევით“ სიტყვის სემანტიკისათვის იხ.: აგრეთვე: **ტ. ფუტყარაძე**. ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები). 2005, გვ. 214-216.

- ორივე წყაროს ეს მონაკვეთი მომდინარეობს მესამე (საერთო) წყაროდან, სავარაუდოდ, „ქართლის ცხოვრების“ არქაული ვერსიიდან, რამდენადაც, თავდაპირველი კონტექსტი უფრო დაცულია „ქართლის ცხოვრებაში“.

უეჭველია, რომ დამოწმებული ფრაზა ბუნებრივი და ნათელია მხოლოდ „ქართლის ცხოვრებაში“<sup>13</sup>; შდრ.:

თურქები მრავლად – „მიხვევით“ (ერთად, კომპაქტურად) მხოლოდ სარკინეში დაასახლა მცხეთის მამასახლისმა (თურქების სწორედ ეს ნაწილი იხსენიება ბუნთურქებად). „მოქცევის“ მიხედვით კი სიტყვაფორმა „მიხვევით“ ბუნდოვანია.

ლოგიკურია დავუშვათ, რომ „ქართლის მოქცევის“ ავტორისათვის ბუნთურქნი გამოიყენება როგორც ეპითეტი, რომელიც აღნიშნავს ურწმუნო, წარმართ, ქრისტიანობამდელ საზოგადოებას:

„ქართლის ცხოვრების“ მართლმადიდებელი ავტორისთვის ქრისტიანობამდელი ქართველები ისეთივე ბარბაროსები იყვნენ, როგორც სპარსეთიდან კასპიის ზღვისა და მტკვრის ხეობით (არა - ჩრდილოეთიდან!) საქართველოს მაშინდელ დედაქალაქში მოსული და შემდეგ სარკინეში ჯგუფურად („მიხვევით“, კომპაქტურად) დასახლებული თურქები; შდრ., ასევე:

ქრისტიანი ბერისთვის - „ქართლის მოქცევის“ ავტორისთვის - ქრისტიანობამდელი ქართლის მოსახლეობა (ადგილობრივი, არაქრისტიანი ქართველიც და მიგრანტი თურქიც) ერთნაირად ურწულთა, შესაბამისად, მან გამოტოვა ქართველთა წარმართული ისტორია, „ქართლის ცხოვრებისეული“ ეპითეტით (ბუნთურქნი) ხაზი გაუსვა მათ ველურობას – „თურქობას“ და შემდგომ წარმოაჩინა ქრისტიანობის როლი.<sup>14</sup>

ლოგიკურია დავასკვნათ:

ა) სარკინეში კომპაქტურად დასახლებული მიგრანტი თურქების/ჰუნების აღსანიშნავად შესიტყვება: „ბუნ-თურქნი“ შექმნილია „ქართლის ცხოვრების“ თავდაპირველი ვერსიის ავტორის მიერ (რომელიც დღემდე არაა მოღწეული) და ნიშნავს „ერთად დასახლებულ თურქებს“; ეს შესიტყვება მიემართება ქაიხოსროსგან (კიახსარისგან) გამდევნილ ჰუნების/თურქების (სკვითების?) იმ ნაწილს, რომელიც მცხეთის მამასახლისმა „მიხვევით“, კომპაქტურად, ერთად დაასახლა სარკინეში;

ბ) ალექსანდრემ (თუ მისმა სარდალმა) ქართლში ნახა თურქების/ბუნთურქებისა და ყივჩაყების მსგავსი ველური ქართველები და არა – ავტოქთონი თურქები;

გ) ბუნთურქნი ეპითეტად პირველად გამოიყენა „ქართლის ცხოვრების“ თავდაპირველი ვერსიის ავტორმა და არა - „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორმა;

დ) ეთნონიმ „ყივჩაყის“ ეპითეტად გამოყენება, როგორც „თურქის“ სინონიმისა, ლეონტი მროველის – „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორის – შემოქმედებაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში კამათის საგანია არქაული ქართული წყაროების ტერმინ თურქის სემანტიკაც:

27 საუკუნის წინანდელი ამბების აღწერისას ეთნონიმების: თურქებისა და ხაზარების, მით უმეტეს, ყივჩაყების ხსენებას სამეცნიერო ლიტერატურაში ანაქრონიზმადაა მიჩნეული<sup>15</sup>. როგორც ზემოთ ვნახეთ, XI-XII საუკუნეების ქართველი რედაქტორის მიერ სიტყვები: „ყივჩაყი“, „ბუნთურქი“ ველურის სინონიმად მეტაფორაშია გამოყენებული; შესაბამისად,

<sup>13</sup> შდრ., აგრეთვე: საქართველოს მეფეთა ჩამონათვალის შედარებით პ. ინგოროყვამ დაასკვნა: „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მომდინარეობენ უფრო ძველი მესამე წყაროდან - ძველი საისტორიო პირველწყაროდან (პ. ინგოროყვა. „ძველი ქართული მატრიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია“, გვ. 523-524: <http://www.amsi.ge/istoria/pi/mefeebi.pdf>). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს სიძველის შესახებ მსჯელობისათვის იხ.: გ. ქავთარაძე. 2006, გვ. 56-60.

<sup>14</sup> შდრ., ი. ავაგახიშვილი. თხზულებანი 12 ტომად, ტ. VIII. თბილისი, 1977, გვ. 114-115; ჩანს, ბუნთურქი ეთნონიმად (და არა ეპითეტად) ესმის დიდ ქართველ ისტორიკოსსაც. აქვე (გვ. 112) „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მიჩნეულია „უძველეს სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოებად“.

<sup>15</sup> იხ.: მაგ., ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი, 2008 (კომენტარები).

ეივჩაყის ნაწილში „ბრალდება“ უნდა მოეხსნას ქართველ მემკვიდრეს. რაც შეეხება ტერმინ თურქს:

ცნობილია, რომ სიტყვები: თურქი, ხაზარი ახ. წ. IV-V საუკუნეებიდან ჩნდება (შესაბამისი ხალხების გამოჩენის თანადროულად),<sup>16</sup> მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ დამოწმებული ეპიზოდის ანალიზისას უფრო ადეკვატური ხომ არ იქნება აქცენტი გავაკეთოთ არა დასახელებულ ეთნონიმთა შექმნის დროზე, არამედ ამ ტერმინებით აღნიშნული ხალხის ისტორიაზე; ქართველი მემკვიდრის მიზანი ხომ ხალხის ისტორიის აღწერაა და არა - ტერმინთა ისტორია; მით უმეტეს, ეთნონიმთა გათანამედროვეობა თუ დაძველება ჩვეულებრივი ამბავია; ჩვენს შემთხვევაში, ვფიქრობ, ლოგიკურია დავუშვათ, რომ ქრისტიანულ ხანაში სახელმძღვანელოს დანიშნულების მქონე „ქართლის ცხოვრებაში“ თურქული მოდგმის ხალხისა (ჰუნების) თუ ზოგადად, ველური უცხოელი მიგრანტების აღსანიშნავად გამოყენებულ იქნა თანამედროვეთათვის ცნობილი ეთნონიმები: „ხაზარი“, „თურქი“; შდრ.:

საქართველოს ისტორიის ადრეული პერიოდის აღწერისას თურქების ვინაობასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებია დაცული „ქართლის ცხოვრებაშივე“; კერძოდ, ტექსტის შესავალშივე ერთი საინტერესო ფაქტი დასტურდება:

მემკვიდრე საუბრობს ამიერკავკასიაში მოსახლე ქართველების, სომხების, ასევე, მათი მტრების - სპარსების და საქართველოში შემოხიზნული მიგრანტი ეთნიკური ჯგუფების შესახებ; მთლიანობაში, მოსულ ეთნიკურ ჯგუფთაგან სახელდებიან: ბერძენი, ასურნი, ხაზარნი, თურქნი, ურიანი (ქ. ც. 1955, გვ. 15-16). მემკვიდრის მიერ იქვე ჩამოთვლილია საქართველოში მცხოვრებ ეთნოსთა ენები: სომხური (/ურარტული!),<sup>17</sup> ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული (გვ. 16). **რითი აიხსნება, რომ მხოლოდ თურქთა ენაა გამოტოვებული?**

ლოგიკურია მხოლოდ იმის დაშვება, რომ მემკვიდრემ იცის: ხაზარული და თურქული ერთი ენის სახესხვაობებია,<sup>18</sup> რამდენადაც **ხაზარები და თურქები** ერთი ხალხია. შდრ.: **ხაზარები, თურქები და ჰუნები ერთ ხალხადაა მიჩნეული VI-XII საუკუნეების ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებშიც;**<sup>19</sup> იხ., მაგ.:

**თურქთა უფალი - ხაზართა ხაყანი:** 620 წელს ირაკლი კეისარი ლაშქრობს სპარსეთის წინააღმდეგ; გაიარა ლაზეთი და ივერია; თურქთა/ხაზართა უფალს ირაკლი კეისარმა საჩუქრები გაუგზავნა; ბერძნულ ტექსტში მოცემულია ფორმა: **Τούρκων**. ამ ცნობის ავტორია ნიკიფორე კონსტანტინეპოლი, კონსტანტინეპოლის პარტიარქი (806-815).<sup>20</sup>

<sup>16</sup>გავრცელებული მოსაზრებით, თურქულენოვანი ხალხის აღმნიშვნელი ეს ტერმინი პირველად ჩნდება V საუკუნის ჩინურ წყაროებში; VI საუკუნეში კი დასტურდება სპარსულშიც; შდრ., **მიხეილ სვანაძე**. ოსმალეთის ისტორია. თბილისი, 1999, გვ. 7: „თურქული ტომები ჩნდებიან მცირე აზიაში IV საუკუნის მიწურულიდან... XI საუკუნეში მცირე აზიის საზღვრებს მოადგა ახალი, გაცილებით უფრო ძლიერი მიგრაციული ტალღა ოღუზურ-თურქმენული ტომებისა შუა აზიიდან, რომელმაც შეცვალა რეგიონის ეთნიკური სურათი“.

<sup>17</sup>„ქართლის ცხოვრების“ არქაული სომხურისა და ურარტული ენის იგივეობის შესახებ მსჯელობა სამეცნიერო ლიტერატურა იხ.: **ტ. ფუტკარაძე**. ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები). ქუთაისი, 2005 გვ. 204, 226-229; შდრ., **ი. ანთელავა**. საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი. თბილისი, 2002, გვ. 229-233.

<sup>18</sup> შდრ.: გ. ალასანიას აზრით, ეს ენა არის სკვითური, შესაბამისად, ხაზარები და „ქართლის ცხოვრების“ თურქებიც - სკვითები არიან (2008, გვ. 16).

<sup>19</sup> თურქების, ხაზარებისა და ჰუნების იგივეობის შესახებ მასალისათვის იხ.: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი მეოთხე. ნაკვეთი I. ნაკვეთი II; ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **სიმონ ყაუხჩიშვილმა**. თბილისი, 1952, გვ. 22-23; თურქები - ჰუნები; გვ. 115: თურქები - ხაზარები...

<sup>20</sup> ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი მეოთხე. ნაკვეთი I. ნაკვეთი II; ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **სიმონ ყაუხჩიშვილმა**. თბილისი, 1952, გვ. 207-208.

ირაკლი კეისარის ამ ლაშქრობის ტექსტი ქართულად ითარგმნა 1042 წელს;<sup>21</sup> შესაბამისად, აშკარაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორმაც - ლეონტი მროველმაც - კარგად იცის, რომ თურქთა ენა და ხაზარული ენა ერთი და იგივეა.

შდრ., ანალოგიური მასალა გეორგიკის V ტომშიც („ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“; ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა), თბ., 1963: გვ. 26: „ლაზეთისკენ გაემართა და მოკავშირეობა სთხოვა თურქებს, რომელთაც ხაზარებსაც უწოდებენ“. ბერძნულ ტექსტში მოცემულია ფორმა: **Τούρκους** და **Χαζάροις** (ცნობის ავტორი: გიორგი კედრენე, XI საუკუნის ქრონოგრაფოსი). გვ. 303-309 ვრცელი ინფორმაციაა თურქთა ტომის შესახებ (იგულისხმებიან ხაზარები): ცხოვრებენ ტანაიდისა და ბოსფორის იქით ჩრდილოეთით მდებარე მხარეს და არც მაინც და მაინც დაშორებულნი იყვნენ კავკასიის მთებიდან; ბერძნულ ტექსტში მოცემულია ფორმა: **Τούρκοι** (ცნობის ავტორი: ნიკიფორე ვრიენიოსი; XI-XII საუკუნის ისტორიკოსი).

შდრ., აგრეთვე, გეორგიკა, VI („ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა), თბ., 1966, გვ. 31: „ნეფთალიტ-ჰუნები ანუ თურქები“. ბერძნულ ტექსტში მოცემულია ფორმები: **Τούρκων** და **Οὐννων** (ცნობის ავტორი: მიხეილ ატალიათე, XI საუკუნის ისტორიკოსი).

„ქართლის ცხოვრებიდან“ ასევე ჩანს, რომ ქართველი მემკვიდრეები იცნობდნენ **ირან-თურანის** ბრძოლებს<sup>22</sup> და ამ დაპირისპირების გვიანდელ ინტერპრეტაციას: შდრ.: მიდიის მეფე ქაოხოსრო/კიახსარი/კვაქსარაქსი ამარცხებს თურანელებს (დამარცხებულთა ნაწილი თავს აფარებს საქართველოს).

ვირდოუსის გააზრებით, რამდენადაც X საუკუნეებში სპარსელებს თურქები ებრძვიან, თურქების წინაპრები არიან თურანელები. ანალოგიურია ქართველი მემკვიდრის გააზრებაც: ირანელთა მტრები – თურანელები (ჰუნები) მისი თანამედროვე თურქები არიან; ეს უკანასკნელნი კი იგივენი არიან, რაც ხაზარები, ყიფჩაყები.

**სხვა საკითხია, დღევანდელი გადასახედიდან რამდენად მართებულია ბუნდოვანი ისტორიის „თურანელებისა“ და თურქების/ხაზარების/ყიფჩაყების ერთ მოდგმად წარმოჩენა.**

შდრ.:

თურან- ფუძის საფუძვლად მიჩნეულია ეთნონიმი თური.<sup>23</sup>

თანამედროვე მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, **თური/თურანელი** ინდოევროპული ენის (სპარსულის ახლომონათესავე!) მქონე ხალხის აღმნიშვნელი ეთნონიმია. სპეციალისტთა ნაწილი (ძირითადად - თურქოლოგები) კი მიიჩნევს, რომ **თური/თურანელი** თურქი ხალხების წინაპართა აღმნიშვნელი სახელებია (შდრ., თურქეთში პოპულარულია გვარი - თურანი).<sup>24</sup>

ორივე მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება; მით უმეტეს, არაიშვიათად ხდება ეთნონიმთა გადააზრიანება (შდრ., მაგ.: აფხაზი (ქართველი) > აფსუა, სომეხი (ქართველი) >

<sup>21</sup> ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი მეოთხე. ნაკვეთი I. ნაკვეთი II; ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **სიმონ ყაუხჩიშვილმა**. თბილისი, 1952, გვ. 208; იხ.: აგრეთვე, გვ. 422.

<sup>22</sup> „ქართლის ცხოვრება“: „შემდგომად ამისა მცირელთა წელთა კუალად გამოგზავნა ამანვე ქეკაპოს ძის-წული მისი, ძე შიოშ ბედნიერისა, რომელი მოიკლა თურქეთს, ვითარცა წერილ არს წიგნსა სპარსთა ცხოვრებისასა“ (ქ.ც. 1955, გვ. 14); სავარაუდოა, ქართველი მემკვიდრე იცნობს ფალაურ „ხვადაი ნამაკს“ (მეფეთა წიგნს).

<sup>23</sup> კვლევ სპარსულ თუ ფალაურ ზეპირსიტყვიერებაში ანთროპონიმები დაელო საფუძვლად ეთნონიმებს, თუ ეთნონიმები - ანთროპონიმებს? უფრო ლოგიკურად გვეჩვენება ვარაუდი, რომ ლეგენდების ონომასტიკისთვის (**ტურიყა, აირყა, საირიმა...** შდრ., ვარიანტები: თური, ირეჯი, სელემი... Тур, Эрадж, Салима...) ამოსავალია ეთნონიმები.

<sup>24</sup> იხ.: მაგ.: Ziya Gokalp, **TÜRKÇÜLÜĞÜN ESASLARI, 1923, gv. 20-24;**

<http://www.hababam.nl/forums/archive/index.php/t-40247.html>

არმენი...)<sup>25</sup> წარმოდგენილი სტატიის თემა არ არის **თურქ/თურ-** მიმართების ძიება; მხოლოდ აღნიშნავთ:

ეტიმოლოგიურად შეუძლებელი არ არის თურ-, თურ-ან-, თურქ-, თარაქამ-, თურქმენ- ფუძეების კავშირი. კვლევის ამ ეტაპზე ჩემთვის არსებითია ფაქტი:

„ქართლის ცხოვრების“ პირველი ავტორები კარგად იცნობენ თანადროულ მსოფლიო ისტორიოგრაფიას; მათი კვალიფიკაციები დღესაც აქტუალურია, შესაბამისად, ქართველ მემატიანეთა მიერ **თურქების/ბუნთურქების, ყივჩაყებისა თუ ხაზარების** შესახებ მოწოდებული ცნობების ანაქრონიზმად მიჩნევა, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელია. უფრო ლოგიკური იქნება მემატიანეთა ცნობებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება და მათი სიღრმისეული ანალიზი. რაც შეეხება **თურქ/თურანელ-** მიმართებას:

როგორც ჩანს, ქართველი მემატიანისთვის ფალაური წყაროების<sup>26</sup> **თური/თურანელი** და ბერძნული თუ ქართული წყაროების **თურქი, ხაზარი, თურქ-სელჯუკი** საერთო წარმოშობის საზოგადოებებია.<sup>27</sup> რამდენადაც დღემდე სპეციალისტთა კამათის თემაა თურანელთა ვინაობა, დიდ შეცდომას არ უნდა უშვებდნენ ძველი ქართული წყაროები; კერძოდ:

- თუ საბოლოოდ გაირკვევა, რომ **ავესტისეული თურანი** ინდოევროპული სამყარო იყო (თური - დღევანდელი ავღანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსი?)<sup>28</sup>, ფირდოუსის გავლენით (?) შექმნილი ქართველი მემატიანის მოსაზრება მაინც არ უნდა მივიჩნიოთ დიდ ცდომილებად, ვინაიდან დღესაც საკამათოა ამ ხალხის ინდოევროპულობა;

- თუ ეთნონიმი თურქი მართლა მომდინარეობს თურ- ფუძისგან, ძველი ქართველი მემატიანის ლოგიკა მეცნიერულია; მით უმეტეს, თუკი დადგინდება, რომ თურქები თურანელებისგან წარმოიშვნენ.

#### **ამრიგად:**

1. ძველ ქართულ წყაროებში დასტურდება ეთნონიმი **თურქი** (ვარიანტით – ბუნთურქი), რომლის სიძველე შეესაბამება „ქართლის ცხოვრების“ შესავალი ნაწილის სიძველეს.

2. ძველი ქართველი მემატიანის აზრით, ქაიხოსრომ (კიახსარმა) გამოდევნა **თურქების მონათესავე (მოდგმის) ხალხი** (ჰუნები?), რომლებიც ქართველებმა მიიღეს როგორც ლტოლვილები და დახმარება გაუწიეს; მათი ერთი ნაწილი მცხეთის მამასახლისმა კომპაქტურად დაასახლა ქალაქ სარკინეში.

3. ქართველ მემატიანეთა აზრით, კიახსარისგან/ქაიხოსროსგან დევნილი „თურქები“ - **ძველი თურქები (ჰუნები?), ხაზარები და ყივჩაყები** ერთი მოდგმის ხალხია.

4. ქართველ ქრისტიან მემატიანეთა აზრით, **ალექსანდრე მაკედონელის დროს საქართველოში მცხოვრები ქართველები სიველურით ჰგანდნენ ქაიხოსროს მიერ გამოდევნილ თურქებს/ბუნთურქებსა და ყივჩაყებს.**

5. ქართველ მემატიანეთა აზრით, მაშინ, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა დაამარცხა ქართლის/საქართველოს ძირითადი მოსახლეობა - ქართველები, ქართველების მიერ სარკინეში კომპაქტურად ჩასახლებული თურქები (ბუნთუქები) ალექსანდრე დიდის შიშით **გადაიხვეწნენ ჩრდილო კავკასიაში.**

<sup>25</sup> შდრ., აგრეთვე: поздние авторы перенесли прежнее имя **Туран** на тюркские народы которые как и их предшественники степные восточные иранцы были кочевниками, как в свое время Византийские авторы переносили прежнее название Скифия на государство Киевская Русь.

<sup>26</sup> საკვარაულოდ, ფალაურის წყაროები სათავეს იღებენ ავესტიდან.

<sup>27</sup> ტექსტის ანალიზისათვის იხ.: აგრეთვე, **გ. აღასანია**, 2008, გვ. 12-16; შდრ., ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი **რ. მეტრეველი**, თბილისი, 2008, გვ. 69: „ქართლის ცხოვრების“ ადრეული პერიოდის ამბების აღწერისას მოხსენიებული **ხაზარები სკვითები არიან, ხოლო თურქები - თურანელები.**

<sup>28</sup> ამ მოსაზრებას მხარს დაუჭერს ქართულში არსებული ადრეული ნასესხობები, რომლებიც უფრო სპარსულენოვანი (ინდოევროპული) სამყაროს კუთვნილებათ, ვიდრე თურქულენოვანისა.

## Tariel Futkaradze

### **Turk/Bun-Turk according to the Kartlis Tskovreba (the Georgian Chronicles)**

#### **Summary**

1. The ethnonym **Turk** (and its version – Bun-Turk) is confirmed in ancient Georgian sources and its old age is determined by the antiquity of the introduction of ‘Kartlis Tskhovreba’ (Georgian Chronicles).
2. According to the ancient Georgian chronicler, Kaikhosro (Kaikhsar) ousted the **Turks kindred people** (Huns?) who were accepted as refugees and were helped by Georgians; part of them were populated in town Sarkine by the governor of Mtskheta.
3. Ancient Georgian chroniclers claim that ‘Turks’ exiled by Kaikhsar/Kaikhosro – **ancient Turks (Huns?), Khazars and Kivchaghs** are the people of one race.
4. According Georgian Christian chroniclers, **Georgians who lived in Georgia during Alexander of Macedon by their brutality resembled the Turks/Bun-Turks and Kivchaghs ousted by Kaikhosro.**
5. Georgian chroniclers consider that while Alexander of Macedon defeated the majority of Kartli/Sakartvelo (Georgian) population – Georgians, densely populated Turks (Bun-Turks) in Sarkine **fled to the North Caucasus** in fear of Alexander the Great.



## იონა ხელაშვილის ბიოგრაფიიდან

1832 წლის შეთქმულების ამბავმა იონა ხელაშვილს თავზარი დასცა. მან ეს შეთქმულება ქართველთა დიდ უგუნურებად და შეცოდებად აღიქვა. იმპერატორის ერთგულება იონას ქართველი ერის საღვთო მოვალეობად მიაჩნდა. მისი ღრმა რწმებით, რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა ერთადერთი საწინდარი იყო საქართველოში მშვიდობისა ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აღმავლობისა. სხვა გამოსავალს იონა, როგორც ქვეყნის საშინაო საქმეებსა და საქართველოს სამეფო კარის ცხოვრებაში ჩახედული პირი, ვერ ხედავდა.

ერეკლე მეფესა და მის ოჯახთან იონას თითქმის მთელი ცხოვრება აკავშირებდა. ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევრის, დავით კარიჭაშვილის, არქივმა შემოინახა იონა ხელაშვილის ბიოგრაფია (დავითის მიერვე შედგენილი) და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი დასრულებული არ არის, საშუალებას იძლევა, იონას ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს გადავავლოთ თვალი.

იონა ხელაშვილი დაიბადა სოფელ ვაქირში, ხელმოკლე, მრავალშვილიან, ღვთისმორწმუნე ოჯახში. ექვსი წლის იონას წერა-კითხვას იოანე უფლის წინამორბედის ეკლესიის მღვდელი ასწავლიდა. ათიოდე წლის შემდეგ ყმაწვილი თბილისში გაიპარა და ერეკლე მეფის ნახვა მოახერხა. მეფემ იგი მსახურად აიყვანა, ამავე დროს, საღვთო წერილის სასწავლებლად თავის მოძღვარს, იესეს მიაბარა. იონა ძალზე ბეჯითი მოსწავლე გამოდგა, მაგრამ მალე სახადით დაავადებული სასახლეს მოაცილეს და ქალაქის გარეუბანში გადაიყვანეს. იონა სიკვდილს ძლივს გადაურჩა და რადგან სასახლეში აღარ მიიღეს, იძულებული გახდა ვაქირში დაბრუნებულიყო.

მოგვიანებით იონა ვაქირში შეხვდა ერეკლე მეფეს. სწავლას მოწყურებული ჭაბუკი მეფემ ბოდბის მონასტრის მიტროპოლიტ იოანესთან გაგზავნა, მაგრამ წიგნების უქონლობის გამო იოანემ ბოდბე დატოვა და ისევ მეფეს ეახლა. მას ნება დართეს სასახლის წიგნებით ესარგებლა. მეფემ იონა „ჰყო პურისმტე თვისისა ტაბლისა და აკითხებდა წიგნთა თვალთა წინაშე თვისისა“.

ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ დიდ მწუხარებაში ჩავარდნილი იონა გიორგი მეფემ თელავის სასწავლებელში დავით რექტორთან გაგზავნა. იონამ სხვადასხვა მონასტერში სცადა დამკვიდრება, მაგრამ უსახსრობისა და უწიგნობის გამო ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. საბოლოოდ მან სამი წელი ქვაბთახევის მონასტერში დაჰყო. ზაფხულობით ბაღ-ბოსტანს უვლიდა; ზამთარში სკოლას მართავდა და ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდა.

მეფის ოჯახის რუსეთში გაწვევის ამბავი რომ გაიგო, იონამ გადაწყვიტა ბატონიშვილებს თან გაჰყოლოდა; ნებართვა აიღო და ფარნაოზ ბატონიშვილის ამაღლას შეუერთდა. მძიმე, ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ვორონეჟში ჩავიდნენ. იონა წელიწადზე დიდხანს ფარნაოზ ბატონიშვილის ოჯახში ცხოვრობდა. შემდეგ ერთმა მდიდარმა მოხუცმა, ტიმოთე ბოროდინმა, თავის ოჯახში მიიწვია საცხოვრებლად. 1806 წელს იონა ფარნაოზ ბატონიშვილს მოსკოვში გაჰყვა. იქიდან პეტერბურგს გაემგზავრა. პეტერბურგში იონა დედოფალ დარეჯანსა და მის შვილებს შეხვდა; იქვე გაიცნო ანტონ კათალიკოსი. ბატონიშვილები იონას მატერიალურად ეხმარებოდნენ, გარდა ამისა, დიდად უწყობდნენ

<sup>1</sup> ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერი №4232.

ხელს განათლების მიღებაში. მიხეილ ბატონიშვილმა მას ქართული ენის გრამატიკა შეასწავლა, იოანე ბატონიშვილმა „განუმარტა ფილოსოფია ძველი ათინელთა და ახალი გერმანიისა“, ანტონ კათალიკოსმა ღვთისმეტყველებას აზიარა. დავით ბატონიშვილმა ალექსანდრე იმპერატორს თხოვნა გაუგზავნა და მისი მეოხებით იონამ ალექსანდრე ნეველის აკადემიაში „ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისა კლასებთა შინა“ ჩაირიცხა. 1812 წელს აკადემიის კურსი დაასრულა, ჯერ დიაკვნად აკურთხეს, შემდეგ – მღვდლად.

იონამ თავისი მოღვაწეობით დიდად გაითქვა სახელი. იგი ავტორია საკმაოდ მრავალი საღვთისმეტყველო შრომისა. იონა ყოველ ნაშრომს თავის სხვა თხზულებათა სიას ურთავდა. ასე რომ, მისი თხზულებების ნუსხა სრული სახით მოვიდა ჩვენამდე, თუმცა უნდა ითქვას, რომ იონა კიდევ უფრო ცნობილი გახადა იოანე ბატონიშვილის თხზულება „კალმასობამ“, რომლის მთავარი პერსონაჟი სწორედ იონა ხელაშვილია.

იონას ყველა აფასებდა, როგორც კარგ მოძღვარსა და მქადაგებელს. სინოდი დიდ ნდობას იჩენდა მისადმი. იგი იყო სულიერი მოძღვარი ბატონიშვილებისა, სასულიერო პირებისა და თავად-აზნაურებისა.

საქართველოს სამეფო კარისა და დიდგვაროვანთა ახლო ნაცნობობამ იონა ხელაშვილი ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეისადმი პესიმისტურად განაწყო. იონას პოლიტიკური მრწამსი კარგად გამოჩნდა მის წერილებში. იგი რუსული ორიენტაციის მტკიცე მომხრე იყო; მიაჩნდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის გარდა სხვა მეზობელი ქვეყანა საქართველოს დახმარების ხელს ვერ გაუწვდიდა. სპარსელები „...არა მოგცემენ სიყუარულსა და გულსა, რამეთუ სულთა მათთა ბოროტხელოვანთა არა შევალს სიბრძნე საუკუნო ცხოვრებისა. ამაღ არა ჯერ არს მინდობა პირისა მათისა, რომელთა გული დემონისადმი ქონანთ“.

თურქთა „...უკეთუმცა მიგიქციოს ტყუენი შენნი, გადანამცა არა შეგიწყალებს თვითცა დამუსვრილი“.

კავკასიას დახმარება არ შეუძლია „...უკეთუ კავკასიამან მოგცეს ხელი, ეჭა, თვითცა უხელო არს“. ხოლო საკუთარი თავის იმედი კი საქართველოს ვერ ექნება: „უკეთუ თავსა შენსა ესავ გიორგიავ, ესერა თვითვე უწყი, არდა ხარ ყოვლადი, ვინათგან სახლისაგან უგუნურისა განვიდა მეფობა ზეგარდამო, ვითარცა წერილს არს, ვინათგან მჭამელ იყავ კოწახისა უმეტეს 300 წლისა სამსახედ განპობისა“.

ამ უიმედობის მთავარი მიზეზი სამეფო ოჯახის დაქსაქსვა იყო. ბატონიშვილები ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ. იონა გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ავადმყოფი მეფე ერეკლე ერთი ძისა და ასულის გარდა მრავალ შვილთა და შვილიშვილთაგან არავის მოუნახულებია. არც გიორგი მეფეს ედგა ვინმე მხარში. თავადები ბატონიშვილთა დაპირისპირებას კიდევ უფრო აღრმავებდნენ. ისინი მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ და ნაკლებად ფიქრობდნენ ქვეყნის ბედზე. ერთი ძმა რომ ერთ ბატონიშვილს ემხრობოდა, მეორე – მეორეს. იონა ხელაშვილის აზრით, ეს იმიტომ, რომ თუ ერთი ბატონიშვილი გაიმარჯვებდა, მისი მომხრე თავადი ძმებსა და ნათესავებს მფარველობას გაუწევდა. და რაც უფრო საშინელი იყო, ბევრი თავადი ქართველობას თაკილობდა კიდევ: „რომელნიცა უგუნურებისა ამპარტავნებითა არცხვინიან თავთა თვისთა და არა იტყვიან ქართველობასა“. ლეკთა თარეშით აკლებული სოფლების დაცვის მაგიერ თავად-აზნაურები თავიანთ ციხესიმაგრეებში იკეტებოდნენ.

ამგვარ ვითარებაში, როდესაც ქვეყნის დამოუკიდებლობის არც ერთი წინაპირობა არ არსებობდა, იონა ხელაშვილი ერთადერთ გამოსავალს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაში ხედავდა. თავის ერს მოუწოდებდა: „აჰა, შიშით და ძრწოლით მონებდე ღმერთსა და ცხებულსა მას და არდა მიდრკე მარჯვნივ და მარცხნივ, რომელ მცირე ერი ხარ და არ ძაღვიძს თავისა თვისისა დაცვა თვინიერ მფარველისა; არ ძაღვიძს თავისა შენისა დიდ-ყოფა“.

ამიტომაც განსაკუთრებით განიცადა იონამ ქართველთა განდგომა, „უმაღურობა“, რომელიც მათ ამ შეთქმულებით გამოიჩინეს. მით უფრო, რომ შეთქმულთა შორის იონას

რამდენიმე ახლობელი ადამიანი და სულიერი შვილიც არის. ერთი მათგანი სოლომონ დოდაშვილიც გახლდათ.

უსაყვარლესმა მოწაფემ, სოლომონ დოდაშვილმა, იონას ჯერ კიდევ შეთქმულების გამჟღავნებამდე გაუცრუა იმედი. უთანხმოებამ, რომელმაც მათ შორის იჩინა თავი, იონას დიდი აღშფოთება და გულისტკივილი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული შემოსავალიც ჰქონდა და არც ბატონიშვილთა შემწეობა აკლდა, იონა მაინც ხელმომჭირნედ ცხოვრობდა. თავისი დანაზოგის ნაწილს იგი ძმებსა და ძმისწულებს უზავნიდა საქართველოში; ეხმარებოდა პეტერბურგში მცხოვრებ ახალგაზრდებს; ყიდულობდა საქართველოს ეკლესიისთვის საჭირო წიგნებს; ჭურჭელს, სამოსელს. ძირითადად კი იონა ფულს ზოგავდა თავისი თხზულებების გამოცემის მიზნით. პირველ ყოვლისა, რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემაზე ოცნებობდა; მიაჩნდა, რომ ისეთ დროს, როდესაც საქართველოში ცოტამ თუ იცოდა რუსული ენა, ლექსიკონის გამოცემა მეტად დროული და მომგებიანი იქნებოდა. შემოსული თანხა სხვა თხზულებების გამოცემას მოხმარდებოდა. იონამ მოისურვა ლექსიკონი თბილისში დაბეჭდილიყო. როგორც დავით კარიჭაშვილი ფიქრობს, რომ მოუცლელობის გამო იონას არ შეეძლო ბეჭდვისთვის თვალყური პირადად ედევნებინა. ეს საქმე მან თავის მოწაფესა და შვილობილს, სოლომონ დოდაშვილს, მიანდო. იონამ სოლომონს გადასცა “სამას ორმეოცდა ათი თუმაანი ვერცხლნი”, რომლის ერთი ნაწილი ლექსიკონის გამოცემას უნდა მოხმარებოდა, მეორე – იონას ძმისწულების სწავლა-განათლებას, ნაწილიც სოლომონ დოდაშვილის პირად სარგებლობაში რჩებოდა.

1827 წელს სოლომონ დოდაშვილი პეტერბურგიდან თბილისს დაბრუნდა. იონა ექვსი წელი ელოდა ლექსიკონის გამოცემას, მაგრამ წიგნი არ დაბეჭდილა. როგორც შემორჩენილი წერილების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, იონა დაუინებოთ მოითხოვდა ლექსიკონის გამოცემას, სოლომონიც აიძვებდა: “სტამბა გავმართე დიდ ფრიად კარგი ქართულის ასოებისა. დრამატიკა იბეჭდება და ამასთან იწყების, უკეთუ ინებოს ღმერთმა და შეგვეწიოს იგი ლექსიკონიცა თქვენი” (1831 წ. 16 იანვარი). მეორე წერილში, 1831 წლის 19 ივნისს, სოლომონი თავის მოძღვარს სწერდა: “ცენზურობის პროექტი მთავარმართებელმა წამოიღო და არ ვიცი მალე დაამტკიცებენ თუ არა. რაწამ მივიღებთ, მყისვე ლექსიკონის ბეჭდვას დავიწყებთ”.

მაგრამ ლექსიკონი არ გამოიცა. ბოლოსდაბოლოს იონამ დაასკვნა, რომ მისმა საყვარელმა მოწაფემ „დამალა ტალანტი არა დაბეჭდვითა ლექსიკონისა და არცაღა გარდაცემად ჰსწავლისა მქისიყისა ყრმათა ზედა” და მისი მრავალი წლის დანაზოგი ფული ტყუილუბრალოდ „წარაგო და განაბნევა”.

„ეს ბრალდება, - წერდა დავით კარიჭაშვილი, - ღირსია იმისა, რომ შემოწმებულ და გარკვეულ იქნას, რომ ვიცოდეთ, რაოდენ სამართლიანია იგი.“ მკვლევარს ხელთ ჰქონდა იონა ხელაშვილთან მიწერილი სოლომონ დოდაშვილის ათი წერილის პირი, რომელთაგან მხოლოდ ორშია გაკვრით ლაპარაკი ლექსიკონზე (ეს წერილები იონა ხელაშვილის ერთ-ერთი ხელნაწერზეა დართული).

რას სწერდა სოლომონ დოდაშვილი იონა ხელაშვილს და რას ასახელებდა ლექსიკონის დაუბეჭდაობის მიზეზად, უცნობია. დავით კარიჭაშვილმა უშუალოდ სოლომონ დოდაშვილთან იონას მიერ გამოგზავნილ ვერც ერთ წერილს ვერ მიაკვლია, მაგრამ უდავოა, რომ სოლომონ დოდაშვილმა ლექსიკონის დასაბეჭდად ფული მიიღო და იონას კიდევ არწმუნებდა, რომ წიგნი გამოიცემოდა.

დავით კარიჭაშვილმა შეისწავლა იონა ხელაშვილის მიერ შედგენილი რუსულ-ქართული ლექსიკონი და აღმოჩნდა, რომ იგი მეტად გაუმართავი და პრაქტიკულად გამოუსადეგარია. მკვლევარი წერდა: „ჯერ ერთი, ეს ლექსიკონი არ არის რუსულ-ქართული, უფრო სლავურ-ქართულია. მეორე: მისი გამოყენება ძალიან ძნელია, რადგან სიტყვები არევით და უსისტემოდ არიან დალაგებულნი, მესამე: სიტყვების განმარტებაში ბევრი შეცდომაა.

ბოლოს, რუსული სიტყვების ქართული ასოებით დაწერა უკარგავს მას ყოველსავე ღირსებას რუსული სიტყვების გამოთქმის და მართლწერის მხრით”.

სწორედ ეს გარემოება მიაჩნდა დავით კარიჭაშვილს მიზეზად იმისა, რომ ლექსიკონი არ დაიბეჭდა. „ლექსიკონი რომ არაფრად ვარგოდა, ამას ისევე ხედავდა სოლომონ დოდაშვილი, როგორც ჩვენ ვხედავთ დღეს. ჩვენის აზრით, სოლომონ დოდაშვილი თუ არ ასრულებდა თავისი გამზრდელის მინდობილობას და არ ბეჭდავდა ამ ლექსიკონს, სწორედ იმიტომ, რომ არ ცნობდა მას დაბეჭდვის ღირსად“, - აღნიშნავდა იგი.

მეორე პირობა – იონას ძმისწულების სწავლა-განათლებაზე ზრუნვა და საამისო ხარჯების გაწევა - სოლომონ დოდაშვილმა ვერ შეასრულა იმიტომ, რომ, როგორც დავით კარიჭაშვილი ვარაუდობს, საქართველოში დაბრუნებულ სოლომონს ძმისწულები სწავლისათვის მეტად მოზრდილები ან პირიქით, მცირეწლოვანები დახვდნენ. შესაძლოა მათ, უბრალოდ. სწავლის სურვილი არ აღმოაჩნდათ.

ფულის „გაბნევა“ და „წაგება“ გამოიხატა იმით, რომ სოლომონ დოდაშვილმა გამოსცა თავისი ქართული ენის გრამატიკა და ჟურნალი „ტფილისის უწყებანი“ (წინააღმდეგ იონას სურვლისა, რომელსაც მიაჩნდა, რომ ბერის მონაგარი ფული ჟურნალის გამოცემაზე არ უნდა დახარჯულიყო).

1832 წლის შეთქმულებაში სოლომონ დოდაშვილის მონაწილეობამ იონა კიდევ უფრო შეაწუხა. იგი მოწაფეებს იმპერატორის ერთგულებასა და მორჩილებას უქადაგებდა. წარსულში საამაყო მოწაფე და სულიერი შვილი, სოლომონ დოდაშვილი, მის მრწამსს აქაც გადაუდგა. იონა მანამდე დაფარულ უკმაყოფილებას ვეღარ მაღავდა. სოლომონ დოდაშვილის საქმიანობას მატყუარობას, პირმოთნეობასა და ღვთის მცნებათა დარღვევას უწოდებდა.

მიუხედავად ამ უკმაყოფილებისა და შეთქმულების უგუნურებად შერაცხვისა, უნდა ითქვას, რომ იონა ღრმა თანაგრძნობითა და სიბრალულით განეწყო შეთქმულთა მიმართ. საპყრობილის მძიმე პირობებში მოხვედრილ თანამოძმეთა გაჭირვებამ იგი შეძრა. იონა ღმერთს ევედრებოდა, მოეღბო იმპერატორის გული და პატიმართა ხვედრი შეემსუბუქებინა: „მეუფეო მეუფეთაო, მეფესა ჩუენსა, იმპერატორს ნიკოლოზ პავლეს ძეს მოუვლინე სული შენი სახიერი მონიჭებად პირი ახალი და სიბრძნე, რათამცა მოუტევნოს ბრალნი და სიცრუენი გლახაკთა ქართუელთა და გამოიყვანოს ძისა შენისა დედისა წილხდომილნი ერნი იგი შემწყვედუენი საპყრობილესა შინა.“

იონა იმისთვისაც ლოცულობდა, რომ შეთქმულებს თავიანთი მძიმე დანაშაული - „ღვთის მცნებისა და იმპერატორის დალბატი“ მოენანიებინათ: „სულო ყოვლად წმიდაო, მამისაგან გამოსულო და სიბრძნისა მასწავლელო, ეცი ნუგეში პყრობილთა ჩუენტა ... აღმოიყვანე ჯოჯოხეთ საპყრობილით სულნი მათნი ... სცხე მათ მადლი და სიბრძნე და მიეც სინანულისა ჟამნი, რათა არა იხარებდეს მათ ზედა წარწყმედისა მასწავლებელი დემონი.“

გულწრფელი იყო იონა ხელაშვილის გულისტკივილი და ლოცვა, მიუხედავად იმისა, რომ შეთქმულთა ჩანაფიქრი მას არა მხოლოდ უიმედოდ და უპერსპექტივოდ, ყოველმხრივ მიუღებლად მიაჩნდა. როგორც ჩანს, იონა ახელაშვილის ასეთ დამოკიდებულებას შეთქმულების ფაქტისადმი გარდა პოლიტიკური მოსაზრებებისა, საკმაოდ თავისებური რელიგიური მოტივაცია ჰქონდა.

**Lia Karichashvili**

**from the biography of Iona Khelashvili**  
**Summary**

The paper highlights the important life-episodes of Iona Khelashvili, as well as his relationship with his spiritual son and disciple - Solomon Dodashvili, the focus is on Iona's attitude about the conspiracy of 1832-year. The work is based on David Karichashvili's archive.

„დიდვაჭარნი სარგებელსა...“\*

შოთა რუსთველი განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის მოღვაწეა, როდესაც ქვეყანა პოლიტიკურ-ეკონომიკურად და კულტურულად მეტ-ნაკლებად დაწინაურებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მის წინსვლას ხელი შეუწყო დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გონივრულმა, თანმიმდევრულმა სახელმწიფო პოლიტიკამ. დავით IV-ის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ქვეყნის ცხოვრება მნიშვნელოვანწილად შეცვალა: უფლებები შეეზღუდათ დიდგვაროვნებს, მოწესრიგდა ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, შეიქმნა მუდმივი ჯარი, განვითარდა ვაჭრობა, რამაც აუცილებელი გახდა ახალი სავაჭრო გზების, ხიდების, ქარვასლების მშენებლობა, ქვეყანაში ბრუნვა დაიწყო უცხოურმა ფულმა, ამან ეკონომიკურად ფეხზე წამოაყენა სახელმწიფო, ბუნებრივია, ეს პოლიტიკურ მდგომარეობაზეც აისახა.

თუ თვალს გადავაგვლებთ საქართველოს სამეურნეო განვითარების ისტორიას, ცხადი გახდება, რომ იმხანად ჩვენს ქვეყანას მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია მეზობელ სახელმწიფოებთან. როგორც არ უნდა ყოფილიყო მათ შორის პოლიტიკური ვითარება, ცდილობდნენ, სავაჭრო კავშირ-ურთიერთობებს ეს ნაკლებად შეხებოდა, ვინაიდან გამჭრიახი ხელისუფალისთვის ძლიერი ეკონომიკა პოლიტიკურად ანგარიშგასაწვევი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უმთავრესი პირობა იყო.

იმ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას უზრუნველყოფდა დიდი სავაჭრო გზები: აბრეშუმის გზა, რომელიც ევროპას ფაიფურის ნაწარმს, ძვირფას თვლებს, ბეწვეულს, სამკურნალო მცენარეებსა და საბრძოლო აღჭურვილობას აწვდიდა და ინდოეთის გზა, რომელზეც ოქროთი, ძვირფასი ქსოვილით, საამშენებლო მასალით, შაქრითა და ათასგვარი სანელებლებით, სპილოს ძვლის ძვირადღირებული სამკაულებითა და სამშენებლებით დატვირთული ქარავნები მოძრაობდა, მდიდარი სოფდაგრები კი საზოგადოების თვალში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ.

სულხან-საბა ორბელიანი სიტყვა „ვაჭარს“ ასე განმარტავს: „მსყიდველ-გამსყიდველი“.<sup>1</sup> მართალია, მათი საქმიანობა მხოლოდ ყიდვა-გაყიდვით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ეს საქმე მათგან მოითხოვდა პროფესიულ აღლოს, სპეციფიკურ ცოდნასა და გამოცდილებას, რისი წყალობითაც შეუცდომლად ხვდებოდნენ სად რა სახის პროდუქციის მიწოდება იყო საჭირო, წინასწარ ჰქონდათ დაანგარიშებული ხარჯებიცა და სავარაუდო მოგებაც. გზები უსიამოვნო მოულოდნელობებით იყო სავსე, საჭირო იყო ბრძოლა, სიცოცხლის შენარჩუნება და გადარჩენა, რასაც მოგება, სიმდიდრე და საზოგადოების მხრიდან პატივისცემა მოჰყვებოდა. ვაჭრობა იყო ფულის დაგროვების საშუალება, რაც ვაჭრებს საზოგადოების გარკვეულ საფეხურზე დამკვიდრების შესაძლებლობას აძლევდა.

...და მაინც, ვაჭრების მიმართ დამოკიდებულება ერთგვაროვანი სულაც არ ყოფილა. მართალია, თამაზ ჭილაძე წერს: „შუა საუკუნეების დიდვაჭარნი არსებითად განსხვავდებიან XIX საუკუნის მწერლებისა და დრამატურგებისგან დახატული ვაჭართა ტიპებისაგან“,<sup>2</sup> რომ იმდროინდელი დიდვაჭრები მოგვიანო პერიოდის ვაჭრებს „ღუქნის

\* სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ტერმინი, ცნება და პარადიგმა ვეფხისტყაოსანში“ (FR/399/1-20/13) - ფარგლებში.

<sup>1</sup> ს. ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. I. თბილისი, გვ. 258.

<sup>2</sup> თ. ჭილაძე. ვარდის ფურცლობის ნიშანი. თბილისი, 1998, გვ. 59.

ბიჭებადაც“ არ აიყვანდნენ, რომ ძველი დროის სოვდაგრებს სხვა გაქანება და შესაძლებლობები ჰქონდათ, მაგრამ, ვფიქრობთ, ვაჭართა ფენა რაინდული საზოგადოების სასარგებლოდ მაინც ყოველთვის თმობდა პოზიციებს, რადგან რაინდები უყვარდათ, ვაჭრები კი სტირდებოდათ, მათ მიმართ პატივისცემასაც რაღაც ირონიული, ერთგვარად ნაძალადევი ელფერი დაჰკრავდა. მაგალითად, ყოველთვის იყო საუბარი ვაჭართა სიმხდალესა და სიძუნწეზე, თუმცა მიგვაჩნია, რომ ასე ხელაღებით არ შეიძლება მათი შეურაცხყოფა.

ვაჭრები მუდმივად გზაში იყვნენ, გზა კი სახიფათო იყო. ვაჭრები სირთულეების თავიდან ასაცილებლად ყოველთვის ჯგუფებად მოძრაობდნენ. ქარავანი შედგებოდა თავად ვაჭრების, მათი მხლებლების, ცხენოსანი და ქვეითი მცველების, მეგზურთა ჯგუფებისგან. ქარავანს ხელმძღვანელობდა გამოცდილი ქარავანბაში. ამბობენ, რომ ქარავანი კარგად ორგანიზებული ლაშქარივით გადაადგილდებოდა, საბრძოლო მზადყოფნით, რადგან გზაზე ხშირი იყო მეკობრეთა და ადგილობრივ მემემულეთა შეიარაღებული თავდასხმები, ძარცვა, დაუნდობელი საბაჟო კანონები, ამას ემატებოდა ხიდების, ქარვასლების, კეთილმოწყობილი გზების კატასტროფული სიმცირე. ცნობილია, რომ თურმე ზღვის ყაჩაღებს საკუთრი გემები და ჯარის კარგად გაწვრთნილი ნაწილებიც ჰყოლიათ, სრული საბრძოლო აღჭურვილობით. განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული აფრიკელი მეკობრეები (კორსარები) ქონების წართმევას არ სჯერდებოდნენ, ხალხს ატყვევებდნენ და პირველი შესაძლებლობისთანავე სარფიანად ჰყიდდნენ სხვადასხვა ქვეყნის მონათა ბაზრებზე. ამდენად, ვაჭართა სიმხდალეზე მუდმივად საუბარი გადაჭარბებულად გვეჩვენება, მათი ცხოვრების ლამის ყოველი დღე რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ვაჭრები ისევ და ისევ მზად იყვნენ სიკვდილისთვის ჩაეხედათ თავლებში, აქ აზრი არა აქვს სარგებელზე ლაპარაკს, რადგან ლაჩარი და მხდალი კაცი მაინც ვერასოდეს გაბედავს რისკზე წასვლას, რადგან მშვენივრად მოეხსენება, რომ არ არსებობს თანხა, რომლითაც სიცოცხლეს იყიდის, ვაჭრები დღენიდაც სასწორზე დებდნენ ყველაზე მთავარს, ყველაზე ფასეულსა და ღირებულს.

და მაინც, რაინდთა სამყარო, რომელიც სახელს იარაღითა და ბრძოლით „შოულობდა“, ვაჭართა საქმიანობას მსუბუქი ირონიით უყურებდა. ყალიბდებოდა მეტად უცნაური დამოკიდებულება. არავინ უარყოფდა ვაჭართა ღვაწლს, უამრავ ფულს ხარჯავდნენ სასურველი ნივთების შეძენისთვის, მაგრამ ეს არ ცვლიდა დამკვიდრებულ შეხედულებას. რუსთველის პოემის ისეთი კეთილშობილი პერსონაჟიც კი, როგორცაა ავთანდილი, ერთი წინადადებით ცხადყოფს თავის დამოკიდებულებას: „თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი...“, მაგრამ უნდა ვიკითხოთ, მაინც რას ელოდნენ ვაჭრებისგან?

„სამამაცოთა ზნეთა“ სრულყოფილ ცოდნასა და რაინდულ ასპარეზობებში მოპოვებულ დაფნის გვირგვინებს, თუ „უცხოფერთა საჭურჭლეთა“, რის სიმცირესაც იმხანად არ უჩიოდნენ რაინდთა კუთვნილ სრა-სასახლეებში?

ეს სიმდიდრე ხომ სწორედ „ჯაბანი“, მაგრამ, ამავე დროს, პროფესიონალი სოვდაგრების დამსახურება იყო, რომელთა დაცვა (არცთუ მცირე თანხის საფასურად) სწორედ რაინდებსვე ევალებოდათ? დიახ, ვაჭრებს თავდადება და სიკვდილი (თუნდაც მოყვრისათვის) არასოდეს მიაჩნდათ „თამაშად და მღერად“, მაგრამ რაინდული ორთაბრძოლები, შერკინებები არა მათი, არამედ საზოგადოების მეორე ნაწილის სასურველი და თავმოსაწონებელი ყოველდღიურობა იყო.

ვერც ვაჭართა სიძუნწეზე მუდმივ საუბარს მივიჩნევთ მართებულად. მკვლევარები ამ შეხედულების საილუსტრაციოდ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ეპიზოდს მოიხმობენ ხშირად, როცა ფრიდონის სამეფოსკენ მიმავალ რაინდებს ვაჭარმა „... ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძღვანა“. ...და რა მოხდა მერე? რა არის ამ ეპიზოდში ასეთი საოცარი? მაინც რატომ უნდა „უძღვანა“ ვაჭარს ცხენი უფასოდ სრულიად უცხო ადამიანებისათვის? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი სახე მხესავით ანათებდა და გარეგნობით ლომებს ჰგავდნენ?

ის ვაჭარი ხომ არ იყო უსამი, რომელსაც ახსოვდა ავთანდილის სიკეთე, მისი ბრძოლა მეკობრეების წინააღმდეგ? ახსოვდა მისი თავდადება და ამის გამო მაღლიერებით იყო აღსავსე?

ცნობილი ინგლისელი მწერალი ვალტერ სკოტი შთამბეჭდავად აღწერს სოფდაგართა მძიმე მდგომარეობას. ყველა მათ ძარცვავს, ამცირებს, აშინებს, სძალავს, ყველას წინაშე რატომღაც ვალდებულნი არიან, იძულებულნი ხდებიან ყველას აუვსონ ჯიბე, იძულებულნი ხდებიან სოლიდური თანხით სიცოცხლის, სუნთქვის, არსებობის უფლება იყიდონ, ნაძარცვი ქონებით კი უმაღლესი არისტოკრატია თავს იწონებს, კეკლუცობს, გულმოწყალე და უხვი ფეოდალის ნიღაბს ირგებს, „უსასყიდლოდ მიღებულს“ უშურველად გასცემს და სახელს იხვეჭს, პარალელურად ვაჭრებსვე დასცინის, ქილიკობს, ზიზღით უყურებს და ადამიანად არ თვლის მათ.

მსგავსი შემთხვევები ხშირად და საინტერესოა აღწერილი გვიანი პერიოდის მწერალთა ნაწარმოებებში.

ასეთი სიუხვე სრულიად მიუღებელია ვაჭრებისთვის, მათ ხომ მუქთად არაფერი მოსდით, ყველაფერში ფულს იხდიან, ამ შემთხვევაში ძნელია გულმოწყალების დემონსტრირება.

ვაჭრებს იცნობს ბიბლია. მათ მოიხსენიებს დაბადების, მეფეთა, იგავთა, ეზეკიელისა და ესაიას წიგნები. ვაჭრობას მისდევენ: ისმაიტელნი, ეგვიპტელნი, ეთიოპელნი, ნინეველნი, სირიელნი. ცოტა მოგვიანებით, ქანაანში მოსვლისა და დამკვიდრების შემდეგ, ვაჭრობა დაიწყო ღვთის რჩეულმა ერმაც, განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ეს სოლომონ მეფის მმართველობის პერიოდში, ნათლად ჩანს, რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მათ საქმიანობას ძველ სამყაროში.

სახარებაში ვაჭარს სასუფეველსაც კი ადარებენ: „მსგავს არს სასუფეველი ცათაი კაცსა ვაჭარსა, რომელნი ეძიებენ კეთილთა მარგალიტთა“ (მათე 13. 45), ადამიანი მთელი ცხოვრება ისეთი მონღომებით უნდა ეძებდეს „კეთილ მარგალიტს“, როგორც ვაჭარი სარგებელს, თავგანწირვით, მთელი სულითა და გულით. უფლის იგავი ტალანტებზე ამავეს გვასწავლის, კეთილ მარცვალს გამრავლება სჭირდება, ყველა დაისჯება, ვინც ღვთის ბოძებულ მადლს არ გაამრავლებს „ჯერ იყო შენდა დადებად ვეცხლი ჩემი სავაჭროსა“ (მათე 25. 27), თუმც ღმერთამდე ადამიანი სავაჭრო გზებზე სიარულით მაინც ვერ მიაღწევს, სრულყოფილებისა და ღმერთთან თანამყოფობის მსურველმა უნდა გასცეს ქონება, მონაგები გლახაკებს დაურიგოს და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქროს მარადიულ ცხოვრებაზე.

როგორც გამოჩნდა, მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, ვაჭრები უხსოვარი დროიდან იმკვიდრებდნენ თავს და თანდათან ანგარიშგასაწევ ძალად ყალიბდებოდნენ. ამ პროცესის თვალსაჩინო დასტური ჩვენთვის ქვეყნის ისტორიაა. რომც არ გავიხსენოთ ცნობილი ზანქან ზორაბაბელი, რომელიც საქართველოს სამეფო კარმა საგანგებო მისიით წარგზავნა - თან ხლებოდა თამარ მეფის მომავალ თანამეცხედრეს, კიევის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟს, ისტორიაში სხვა არაერთ მაგალითს ვაწყდებით. მაგალითად: „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ ვკითხულობთ, რომ დავით ულუს დროს, უკიდურესად გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო, სამეფოს სათავეში დიდვაჭრის აღმოჩენის რეალური საფრთხე შეიქმნა.<sup>3</sup>

ბაგრატ კურაპლატის სამართლის წიგნში (XI ს.) ვკითხულობთ: „დიდი ვაჭარი კარგი და ჭკვიანი მოსამართლე იქნება, რომელიც არ იტყვის რაიმე არაკანონიერს“.<sup>4</sup>

ეს ყოველივე არა რომელიმე კონკრეტული პიროვნების ავტორიტეტზე, არამედ საერთოდ ვაჭართა უფლებებსა და გავლენის სფეროზე გვიქმნის წარმოდგენას.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბილისი, 1979, გვ. 573.

<sup>4</sup> ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბილისი, 1953, გვ. 335.



ვაჭართა როლის ზრდამ გამოიწვია ვაჭართა გაერთიანებების, „ერთგვარი ამხანაგობების, სავაჭრო და საკრედიტო ორგანიზაციების“ შექმნის საჭიროება.<sup>5</sup> ისინი აწარმოებდნენ ე.წ. „საბანკო ოპერაციებს“, რაც გულისხმობდა სესხის აღებასა და გაცემას, სარგებლის დათვლას და შემოსული თანხის საკუთარი შეხედულებებისამებრ განაწილებას.

მკვლევარ ვასილ ჩანტლაძის ცნობით, ისტორიაში ცნობილი კახა ერისთავთერისთავი, მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ არსლანი და ბევრი სხვა დიდებული მეტად მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული სავაჭრო წრეებთან. მკვლევარი აცხადებს, რომ ბევრი გაველენიანი დიდვაჭარი სწორედ საზოგადოების დაბალი ფენიდან იყო გამოსული, რის გამოც მათ „სიმდიდრით აღზევებულთ“ უწოდებდნენ. ასეთები იყვნენ: მაჰმად იალაფანი, ზანქან ზორაბაბელი, პარონ უმეკი, რაჟდენ განბენდელი, ტიგრან ჰონეცი... ბევრი მათგანი ვაჭრობას არ სჯერდებოდა და მრეწველიც იყო.

შოთა რუსთველი ამ პერიოდში მოღვაწეობდა და ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ ვითარებამ გამოძახილი პოვა მის პოემაში.

„ვეფხისტყაოსანში“ დიდი სავაჭრო ცენტრია ქალაქი - ნავსადგური გულანშარო. ეს ერთგვარად ვაჭართა თავშეყრის ადგილია. ყველა ქარავანი აქეთ იღებს გეხს. ქალაქში ცხოვრება დუღს, ხმაურია, ხალისიანი, აქტიური. ბაზარი სავსეა ძვირფასი ქსოვილით, სტავრა-ატლასით, ფარჩა-აბრეშუმით, დახლებზე სამკაულია - „ჯერო უნახავი თვალისა“. ყოველდღიურად ახალ-ახალი ქარავანი შემოდის ქალაქში და ბაზარიც უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველი ხდება, შორიდან მოსულებს ადგილობრივი მოსახლეობა უერთდება, ისინიც ყიდიან და ყიდულობენ, ისმის საქონლის ქება, აღმოსავლური მელოდია. ტვირთს საგანგებოდ ვაჭართათვის განკუთვნილ ქარვასლებში აბინავებენ დაქირავებული მზიდაეები, რომელთა შრომა დრამით (მცირე თანხით) ნაზღაურდება. „მათ ბაღთა პირსა დააბეს ნავი საბლითა სამითა, მოასხნეს კაცნი მზიდაენი, დამიზდებულნი დრამითა“, როგორც ჩანს, მუდმივი მუშახელის არსებობა ვაჭართა ქარავნების სიხშირემ განაპირობა.

გულანშარო ზღაპრული სამყაროა, სადაც ერთმა დღემ შეიძლება ძირფესვიანად შეცვალოს ადამიანის ცხოვრება, უქონელმა და უსახლკარომ მოულოდნელად „საქონელი დაიდოს“ და ძალიან გამდიდრდეს, თუმცა ამისთვის იღბალია საჭირო: თუ ქარავანი მეკობრეთა რისხვას გადაურჩა..., თუ ავდარმა არ შეაფერხა..., თუ გაუთვალისწინებელ დაბრკოლებებს თავი აარიდა..., თუ სარფიანად ივაჭრა..., ხოლო თუ იღბალმა ზურგი აქცია, მაშინ თავი უნდა დაიმშვიდოს, რომ მოგება და წაგება ძმებია, მაგრამ ეს ძალიან სუსტი არგუმენტი დატაკადქცეული სოვდაგარყოფილისთვის, რომლისთვისაც მთელი ცხოვრება ერთ დღეში დასრულდა.

პოემაში ხშირადაა გამოყენებული ეკონომიკური ცნებები და ტერმინები: საჭურჭლე, სარგებელი, ყიდვა, გაყიდვა, მოგება, წაგება, საბოძვარი, ნირი (ნიხრი), ლარი...

ნიხრი (ნირი) სულხან - საბას განმარტებით არის „სავაჭრო ფასთ გარდაკვეთა, დადგენა“,<sup>6</sup> ანუ ეს არის მთავრობის მიერ დაწესებული ფასი საქონელზე. დროთა განმავლობაში ნიხრი იცვლებოდა, მაგრამ არა თვითნებურად, არამედ ყოველთვის მთავრობის მიერ და ყოველთვის ეკონომიკური ვითარებისა და საბაზრო ურთიერთობების კანონთა შესაბამისად.

რუსთაველი სიმდიდრეში ცუდს არაფერს ხედავს, ამიტომ მისი პოემის ყველა პერსონაჟი მდიდარია, მეფეებიც, რაინდებიც, ვაჭრებიც. სეფექალ ასმათსაც კი საკმარისზე მეტი აქვს ქონება. ავთანდილის სიტყვები: სიმდიდრის მაძიებელი რომ ვიყო, იმდენი ქონება დავტოვე, იმის სანაცვლო რა უნდა მომცეთო, მის სიმდიდრეზე მეტყველებს, მაგრამ პოემის პერსონაჟებისათვის მთავარია არა ქონება, არამედ მისი გონივრული

<sup>5</sup> ვ. ჩანტლაძე. შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები. თბილისი, 1992, გვ. 22.

<sup>6</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. II. თბილისი, 1993, გვ. 78.

გამოყენება. ჭეშმარიტად მდიდარი ადამიანი საბოძერის ხშირი გაცემით იცნობა, როდესაც მისი გულუხვობის წყალობით „ლარსა ჰხვეტდიან...“ თან იმდენს, „რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა...“, მაგრამ ეს ადამიანის შეურაცხყოფა, სამოწყალოდ გადაგდებული ლუკმა კი არაა, არამედ ცხოვრების წესი, ადამიანის ბედნიერების გასაღები, როდესაც ხალხს დაკარგული აქვს ხვალისდელი დღის შიში.

ახლადგამეფებულმა თინათინმა გახსნა თავისი „ნაუფლისწულევი“ საჭურჭლე და უზომო, უანგარიშო ქონება გასცა, ფატმანმა მეფის სასახლეში მიმავალი ნესტანი ისეთი მდიდრული საჩუქრით გააცილა, რომელსა „ფასი არ დაედებოდა“ და რომელიც „თვითო და თვითო თვითოსა ქალაქსა ევასებოდა“, ასეთივე უანგარიშო საჭურჭლითაა სავსე დევთა გამოქვაბული, ტარიელის დროებითი თავშესაფარი. იქ არის „რიყე თვალისა“, მარგალიტი - ბურთისა საბურთალი“, ოქრო და ვერცხლი - ვერვისგან დანათვალი“. ქაჯეთის ციხეშიც დიდი სიმდიდრეა „ჯერთ უნახავი თვალისა“, ქონების სიმცირეს არ უჩივის ინლოეთის მოხარკე ქვეყნის - ხატაეთის მეფე რამაზიც. ანუ, როგორც ვთქვით, „ვეფხისტყაოსანში“ ყველა მდიდარია და ეს სავსებით ნორმალურია. სიმდიდრე ყველას სჭირდება, ის, უბრალოდ, აუცილებელია და რაც მეტი იქნება, მით უკეთესი. რადგან ამ დროს თვალსაჩინო ხდება ადამიანის სულიერი სამყარო, სულიერი ფასეულობები. თან ისიც ცნობილია, რომ „უხვსა ჰმორჩილებს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია...“ ერთგულები და მორჩილები კი ყველა დროსა და ეპოქაში სჭირდებოდათ, მაგრამ, სამწუხაროა, რომ მოგვიანებით ქონება ბოროტებად მიიჩნიეს და დიდხანს იბრძოდნენ კერძო საკუთრების მოსპობისათვის, იბრძოდნენ, რომ არ ყოფილიყვნენ მდიდრები, ადამიანებს ართმევდნენ ქონებას, უპარტახებდნენ კარ-მიდამოს, ხოცავდნენ საკუთრების დამცველებს, უწვავდნენ ყანებს, სახლ-კარს, ძარცვავდნენ, აშინებდნენ, ანუ ყველაფერს აკეთებდნენ მოსახლეობის სიღარიბისთვის, ძველად კი ქვეშევრდომთა სიმდიდრისთვის ზრუნავდნენ, ამიტომ გაისმის პოემაში ასე ხშირად: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე...“; „შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არასმქონები...“. „გლახაკთათვის საბოძერისა საჭურჭლესა ერთგან ჰყრიდეს...“; „მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხილთა ასაგებად“.

როგორც ჩანს, XII საუკუნეში უკეთ ესმოდათ, რომ ხალხის სამსახური, ქვეშევრდომებზე ზრუნვა, სიმდიდრის გაცემას, მათთვის სიხარულის მინიჭებას გულისხმობდა და არა უკანასკნელი ლუკმის წართმევას.

მკვლევარი ვიქტორ ნოზაძე მიიჩნევს, რომ ვაჭრები განთქმულნი იყვნენ არა მარტო „საქონელსრულობით“, არამედ თურმე პატიოსნებითა და სიტყვის კაცობითაც.<sup>7</sup> როგორც ჩანს, ამას გულისხმობს ალექსანდრე ჭავჭავაძე, როცა ერთ ლექსში წერს: „ხელოვანნი მომგებლობისა... იყვნენ არა თუ ვერცხლით, ნდობითაცა ყოველად მდიდარნი“ („გოგჩა“).

სიმდიდრისკენ სწრაფვა არ ამცირებს ადამიანს, სწორედ მაშინ ვლინდება ყველაზე უკეთ მისი პიროვნული თვისებები, რას წარმოადგენს იგი, რაში იყენებს, რა ადგილს იკავებს მის ცხოვრებაში მატერიალური ფასეულობა.

რუსთველისათვის ბოროტებაა განძის მცველობა, ქონების მონად ქცევა, დაგროვება და არა გაცემა, შენახვა და არა ხარჯვა, ხვეჭა და არა მოხვეჭილის გაზიარება, ქონებით ტკობა და არა მისი გამოყენება. როცა ადამიანი გასცემს, ის, ქვეცნობიერად, სხვას თავისი სიხარულის, ბედნიერების მოზიარედ ხდის, ამიტომ პროლოგში სავსებით სწორად წერს ავტორი, რომ ადამიანს უნდა „ჰმართებდეს: სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე...“ და ნაკლებდამაჯერებლად გვეჩვენება ტექსტის შესწორებული ვარიანტი: „სიბრძნე, სიუხვე, სიმდაბლე...“

ფვიქრობთ, ტაეპის აზრი ასე უნდა იკითხებოდეს: ადამიანს უნდა ეყოს სიბრძნე, თავისი სიმდიდრე გონივრულად გამოიყენოს და შეეძლოს უხვად გაცემა, ჰქონდეს ამისი უნარი, რაც შეეხება სიტყვა „სიმდაბლეს“, ჩვენი აზრით, ტაეპს აზრს უკარგავს

<sup>7</sup> ვ. ნოზაძე. ვეფხისტყაოსნის „საზოგადოებათმეტყველება“. სანტიაგო დე ჩილე, 1958, გვ. 97.

და ეს სიტყვა რაღაც არაბუნებრივადაც, თითქოს განცალკევებით დგას, ვერ „ჯდება კონტექსტში“.

მკვლევარი იუსტინე აბულაძე უფრო მართებულად შესწორებულ ვარიანტს მიიჩნევს, რამდენადაც, მისი აზრით, „სიმდიდრის სიყვარული რაინდულ ფსიქოლოგიას ეწინააღმდეგება“;<sup>8</sup> მაგრამ აქ ხომ სიმდიდრის მონობა არ იგულისხმება? აქ საუბარია ქონებით მინიჭებულ თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე, რასაც ადამიანი კეთილ საქმეებს უნდა ახმარდეს.

დიდალ განძს ადამიანის დამონება შეუძლია, მაშინ ის გაველენასაც დაკარგავს და ავტორიტეტსაც, პატივისცემასა და სიყვარულს, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, დაკარგავს საკუთარ თავს. „არ მოვლენია ჯერ ქვეყანას ისეთი ჭირი, როგორიც ფულია. იგი ქალაქებს ანგრევს და იკლებს, სამშობლო მხრიდან აძევებს გმირებს ... იგი უნათებს ადამიანს გზას დალატისას, გაუგებარს კი გააგებინებს მხარეს სიბილწე - მაცთურებისას“.<sup>9</sup>

რუსთველიც ოქროს მიიჩნევს უამრავი უბედურების სათავედ. ის არის „კვერთხი ეშმაკთა ძირისა“, რომელიც ადამიანს „აროდეს მისცემს ღხენას“, მაგრამ თუ იზიდავთ და აფასებენ არა ოქროს ბრწყინვალეობას, არამედ იმ სიკეთეს, რისი მოტანაც შეუძლია სიმდიდრეს, მაშინ ოქრო სიხარულისა და სულიერი კმაყოფილების მომტანიც აღმოჩნდება ადამიანისათვის.

მართალია, ავთანდილი ვაჭრების შეთავაზებულ ჯილდოზე უარს ამბობს, მაგრამ არა იმიტომ, რომ სიმდიდრე მის „რაინდულ ფსიქოლოგიას ეწინააღმდეგება“, არამედ იმიტომ, რომ ქონება იმხანად მისთვის უფრო დამაბრკოლებელი იქნებოდა, ვიდრე თავისუფლების მიმნიჭებელი. სხვა შემთხვევაში ის არაერთხელ, ერთგვარი თავმოწონებითაც კი საუბრობს თავის საგანძურზე: „მაქვს პატრონობა მრავლისა საჭურჭლე ზარადხანისა...; „მე თუცა რაცა მინდოდა საჭურჭლე დასადებელი, ჩემსაცა მქონდა ურიცხვი, უსახო ღარ-საგებელი...“; „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები...“

რაინდებისთვის აგრერიგად დამახასიათებელი სიუხვე უცხოა ვაჭართათვის, რადგან უსენის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „დედის მუცლით რა გამოყვათ?“ ისინი ყველაფერში ფულს იხდიან და ამიტომ საბოძრის გაცემას ერიდებიან. თუ ვაჭარი „ძღვენს სძღვნის“, ის უცილობლად ელის სანაცვლოს, თანაც ისეთს, რის გამოც „უღირს“ მსგავსი ხელგაშლილობა, ანუ, როგორც პოემაში ამბობენ: „...დედოფალსა ძღვენი ვსძღვენი, ჩვენ მივართვი, მათ გვიბოძეს, ავაესენით, ავიესენით“; „ჩვენ, დიდვაჭართა, ზედა გვაც დარბაზს მიღება ძღვენისა, მათ საბოძრისა ბოძება ჰმართებთ მსგავსისა ჩვენისა...“, ანუ მეფე-დედოფალიც ვაღდებულა ძვირფასი საჩუქრით გადაუხადონ მადლობა დიდებულებს. ეს უკვე გაცემა კი არა ერთგვარი გაცვლაა, ძღვენს უძღვნიან, თავადაც იღებენ და სიხარულით ივსებიან.

„ძღვენი“ სულხან საბას მიერ ასეა განმარტებული „გასაგზავნი გინა მისართმეველი. მოყვარემან მოყვარესა ანუ სწორმა სწორს შორით წარუგზავნოს, გინა უდარესმა უდრესს მიუძღვნას ანუ თვით მიართვას“;<sup>10</sup> ეს არის „ძღვენი“, ანუ „არმაღანი“, რომელიც სპარსული სიტყვაა და იმავე მნიშვნელობით გვხვდება - შორეული მოგზაურობიდან საგანგებოდ კონკრეტული ადამიანისათვის ჩამოტანილი და მისართმევი ძვირფასი საჩუქარი. ასეთი ცხოვრების წესი მისაღები და ჩვეულებრივია ვაჭართა სამყაროსთვის, თითოეული ვაჭრისთვის, მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე და არ არსებობს საზოგადოება განსხვავებული წევრის გარეშე. ასეთი გამონაკლისია „გულანშაროში სამუდამოდ ჩარჩენილი სხივი“.

<sup>8</sup> ი. აბულაძე. რუსთველოლოგიური ნაშრომები. თბილისი, 1967, გვ. 76.

<sup>9</sup> სოფოკლე. ანტიგონე. თარგმანი ა. გვაზავასი. თბილისი, 1912, გვ. 22.

<sup>10</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, 1993, ტ. II. თბილისი, გვ. 177.

ეს ქალი „ვეფხისტყაოსანში“ სიკეთეს ასახიერებს და არა მხოლოდ სიკეთეს. ფატმანი უანგარობაა, კეთილშობილებაა, სითბოა, თანადგომაა, დედისა და დის „ნაცვალია“ სრულიად უცნობი მზეთუნახავისა. ის ისე, რომ სანაცვლოდ არაფერს ელის, „სდედება და სდება“ შემთხვევით სტუმარს.

ერთგან მკვლევარი შალვა ნუცუბიძე წერს: „ვაჭართა ქვეყანას ერთი სახელმძღვანელო წესი ჰქონდა... ეს წესი არის სარგებლის წესი, სულ ერთია, რასაც არ უნდა ეხებოდეს იგი, თუნდაც სიყვარულს“.<sup>11</sup>

ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით ფატმანზე, რომელმაც მოიგო კი არა, თუ ასე გავყვებით, ბევრი რამ წააგო ნესტანთან ნაცნობობით, მაგალითად, თვალ-მარგალიტით შემკული სარტყელი, მისი თითო თვალი თითო ქალაქის საფასური რომ ღირდა, საუკეთესო ცხენი („...ავსენ ცხენი უკეთესი...“), თან ისე, რომ მზეთუნახავის სახელიცა და სადაურობაც კი არ იცოდა, დანახარჯის ანაზღაურებასა და სარგებელზე ხომ არ უფიქრია და არა. ვფიქრობთ, ფატმან ხათუნი თავისი პიროვნული ღირსებებით ტოლს არ უდებს რაინდული სამყაროს მზეთუნახავებს, ამიტომაც უწოდებდა მკვლევარი თამაზ ჭილაძე ფატმანს „გულანშაროში, ამ მეორე ქაჯეთის ციხეში, სამუდამოდ ჩარჩენილ სხივს“, რომელსაც უკვე ველარაგინ გამოიხსნის, რადგან ბედით თუ უბედობით, ის ამ სამყაროს შვილია, ამ სამყაროს კუთვნილი, თუმც კი განსხვავებული ნაწილი.

ქალაქში ჩამოსული ვაჭრები ქარვასლებში ბინავდებოდნენ. ვაჭრობის განვითარებისთვის უმთავრესი სწორედ სავაჭრო დუქნების (ქულბაქების) და ქარვასლების აგება იყო.

ცნობილია, რომ როდესაც ბაგრატ პირველმა ატენი ქალაქად აქცია, თავდაპირველად სასახლეები, ქარვასლები და ქულბაქები ააგებინაო.

ვაჭრებსა და მათ ტვირთზე ზრუნვა ქარვასლის პატრონს ევალებოდა, შემდეგ ვაჭრები გადიოდნენ ბაზარში, იგებდნენ ფასებს და ამის შემდეგ იწებებოდა ალებ-მიცემობის სიცოცხლითა და თავისებური ახარტით აღსავსე პროცესი.

ვაჭართა ფენა ორ ნაწილად იყოფოდა. იყვნენ დიდი და წვრილი ვაჭრები. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სიმდიდრეს. დიდი ქონების პატრონებს დიდვაჭრებად მოიხსენიებდნენ, რომლებიც ძვირადღირებული საქონლით ვაჭრობდნენ. სწორედ ეს ადამიანები იყვნენ აქტიურად ჩაბმულნი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და დიპლომატიურ მისიასაც ხშირად ასრულებდნენ. ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები „მობაღდადენი ვაჭრებიც“ დიდვაჭარნი არიან, ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს თვით ქარავნის მასშტაბი, მათი ტვირთის სიდიდე.

სანაპიროზე გასულ ავთანდილს „აქლემნი აუჩნდეს ლარ-კიდებულნი“, „მუნ ქარავანი ურიცხვი იდგა მის ზღვისა კიდესა...“, ქარავანბაში ასე წარუდგენს თავს: „საქონელ-სრული, მდიდარი...“, ვაჭრებს ემინიათ, რომ გზას ვერ გააგრძელებენ, რადგან მეკობრეებთან ჩვენი შეხვედრის შემდეგ „გვეცემის ზიანი არ-საზომისაო“, ხოლო ბრძოლაში გამარჯვებული ავთანდილისთვის შეთვაზებული ჯილდო აღმოჩნდა „საჭურჭლე დაუთვალავი“. ასე, რომ ქარავანი დიდია, ვაჭრები ძალიან მდიდრები არიან, სამადლობელი ჯილდო, ავთანდილისთვის შეთავაზებული, მეფურია. ამ საბუთებზე დაყრდნობით შეიძლება „მობაღდადენი ვაჭარნი“ სწორედ დიდვაჭრებად მივიჩნიოთ.

დიდვაჭრებს ვხვდებით გულანშაროშიც, ამ მხიარულ ქალაქ-ნავსადგურში, სადაც „სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არს სიმღერები...“, სადაც „... გაყმდების კაციმცა იყოს ბერები“, ქალაქი „სავსე ტურფითა მრავლითა“... აქ მოდის ტურფა ყველაი ნავითა ზღვა-ზღვა მავლითა“. ამ ქალაქში ბევრი დიდვაჭარი ცხოვრობს. ავტორი ასე მოგვითხრობს მათ შესახებ: „დიდვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოვებენ, იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ ...“; ფატმანი უამბობს ავთანდილს: „ჩვენ, დიდვაჭართა, ზედა გვაც

<sup>11</sup> შ. ნუცუბიძე. ადამიანი ვეფხისტყაოსანში და მისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური გარემო, წიგნში კრიტიკული ნარკვევები. თბილისი, 1969, გვ. 79.

დარბაზს მიღება ძღვენისა ...“; „ქმარი ჩემი დიდვაჭართა წაუძღვების უსენ წინა...“, მაგრამ დიდ სოფდაგართა გვერდით, თანაარსებობენ წვრილი ვაჭრებიც, რომლებიც მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ქონებითაც და გავლენითაც, თუმცა ქვეყანას ისინიც სჭირდება, მათი საქმიანობაც იმსახურებს ყურადღებას. როცა რუსთველი ამბობს: „მოაწყდეს მოქალაქენი, ღარსა ვინ ჰყიდდა, თუ ხილსა“, გასაგები ხდება, რომ ღარი (ქსოვილი) და ხილი (რა რაოდენობისაც არ უნდა ყოფილიყო) დიდვაჭრად ვერ აქცევდა ადამიანს, მაგრამ რასაც ჰყიდდნენ, მოქალაქეებისთვის ისიც აუცილებელი იყო, დიდვაჭრები ხომ შედარებით იაფფასიან საქონელს ქალაქში არასოდეს შემოიტანდნენ, მცირე მოგებისთვის არც ღირდა თავის გაწირვა და ხიფათიან გზებზე მოგზაურობა, მხოლოდ ძვირფასი ტვირთი, მხოლოდ დიდი მოგება, ამიტომაც იყვნენ დიდვაჭრები.

განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა ქარავნის მეთაურის როლი. ქარავანბაში ვალდებულია უპატრონოს ქარავანს, გადაწყვიტოს ძნელადგადასატრედი საკითხები, რამდენადაც შესაძლებელი იქნება სახიფათო გზებს აარილოს ვაჭართა ჯგუფი, მას ევალება საჭირობოროტო საქმეების მოგვარება, გადაწყვეტილებების მიღება, თუნდაც ერთპიროვნულად, მაგრამ, რასაკვირველია, ვაჭართა ინტერესების გათვალისწინებით.

ავთანდილი ზღვის სანაპიროზე იძულებით შეყოვნებულ დიდ ქარავანს და მის მეთაურს - უსამს შეხვდა. ავტორი ამ პერსონაჟს ერთადერთი ეპითეტით ახასიათებს „უსამ იყო ქარავნისა უხუცესი, კაცი ბრძენი“.

საინტერესოა, რომ რუსთველი ყურადღებას არ ამახვილებს მის გარეგნობაზე, ფიზიკურ შესაძლებლობებზე, მხოლოდ ამას ამბობს, რომ „ბრძენია“, მაგრამ რა საბუთი არსებობს მისი სიბრძნის დამადასტურებელი? მას ხომ ჯერ ერთი სიტყვაც არ ჰქონდა წარმოთქმული? სად გამოჩნდა მისი სიბრძნე?

ფვიქრობთ, უსამი ბრძენია, რადგან ქარავანბაშია. მისი სიბრძნე - გონიერება ერთადერთია, რის გამოც ასეთ თანამდებობას შესთავაზებდნენ. ბრძენი გულისხმობს გამოცდილს, შორსმჭვრეტელს, გამჭრიახს, ენამახვილ ადამიანს, საქმიანს, თავისი მოვალეობის მცოდნეს და პატიოსნად აღმსრულებელს. ვაჭრები „საქონელ-სრულნი“ და „დავლა-მრავალნი“ არიან, შესაბამისად, ქარავანბაშსაც სერიოზულს, გავლენიანსა და ბრძენს შეარჩევდნენ.

ისინი სიხარულით ხვდებიან რაინდს, რომელმაც მათი დაცვა იკისრა. თავად მათ არ ძალუძთ და არც სურთ ბრძოლა, რასაც მხოლოდ ფიზიკური უძვეობით ვერ ავხსნით, ისინი დიდი ქონების მფლობელები არიან და რაინდივით უღარდელად ვერ იტყვიან: „...მე ვარ და ჩემი ცხენია“: „რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ ავცვთების“: „უგანგებოდ ვერას მიზმენ ... განგებაა, არ დაერჩები...“ როდესაც ავთანდილისგან დახმარების შეთავაზება მოისმინეს, უმაღლ დამშვიდდნენ, თავი დაცულად იგრძნეს და გაბედულად ავიდნენ ხომალდზე, „... აქვს თავისაგან იმედი...“ იფიქრეს და უცებ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, ახლა ყველა თავის მოვალეობას ასრულებდა: ვაჭართა ქარავანი გულანშაროსკენ „ათასფერი საჭურჭლით“ დატვირთული მიემართებოდა, რაინდული სამყარო კი მცველად ედგა და მიაცილებდა.

ვაჭრებისათვის (ავთანდილთან ერთად) ჩვეულებრივი ხომალდიც აულებელი ციხე - სიმაგრეა, თავად რაინდს კი ციხე - სიმაგრის იმედიც არ აქვს, თუ ღვთის შემწეობის გარეშე დარჩება, ამიტომ სთხოვს ვაჭრებს „ჩაიხშენით თანა კარნი“, რამეთუ მათ რწმენის ჯავშანი არ იცავთ და ადამიანის იმედზე არიან.

...და რუსთაველი ეთანხმება ავთანდილს: „არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწვეს ღმრთისა ძალი ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკვეთს, შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხრმალი.“

ალბათ, ავთანდილი იმხანად მართლაც წააგავდა მებრძოლ ღმერთს, რომელმაც ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ თავმომწონედ კი არ განაცხადა: სიტყვა მოგეცით და აღვასრულეო, თავმოდრეკილმა ამოთქვა: „მადლი ღმერთსა შემოქმედსა... ვისგან ძალნი

ზეციერნი განაგებენ აქა ქმნადსა...“, რაც შეეხება მას : „მე, გლახ, რა ვარ? მიწა ცუდი; თავით ჩემით რამცა ვქმენი?“

ვაჭრების მნიშვნელობა კარგად ესმოდათ მეფეებსაც, ამიტომ გამოხატავდნენ მათ მიმართ აშკარა კეთილგანწყობას. მელიქ-სურხავისა და უსენის „არიფობა“ გულანშაროს ფინანსური ძლიერების საძირკველია, ამიტომ მეფისთვის მნიშვნელობას კარგავს თავისი ვაჭართუხუცესის პიროვნული სიღარიბე, მით უფრო, რომ ხშირად ხედავს „ტაბლაკით“ საგანგებოდ მისთვის მიძღვნილ თვალ-მარგალიტსა და ლალ-იაგუნდს.

ვაჭართა სამეფოში არ იზღუდება მანდილოსანთა უფლებები. ქმრის არყოფნის ჟამს ვაჭართუხუცესის მოვალეობას წარმატებით ართმევს თავს მისი მეუღლე - ფატმან ხათუნი.

ფატმანი მთელ გულანშაროშია ცნობილი, როგორც პურად კარგი მასპინძელი და მხიარული ბუნების ქალი, როგორც „მეტრითა და მომღერალთა მოყვარული“, რომელიც ყველა ვაჭარს ხვდება, „როგორც თვისი“. ის ყოველთვის ყველაფრის საქმის კურსშია. ამოწმებს საქონელს, არჩევს მეფის საკადრის საჩუქრებს („ტურფანი სეფედ გარდასხნა, ფასიცა დაათვლევინა“), გასცემს თავისუფალი ვაჭრობის ნებართვას, აბინავებს ვაჭრებს, ზრუნავს მათზე. ასე რომ, ფატმანის ყურადღება ავთანდილის მიმართ არ აიხსნება მხოლოდ მისი პიროვნული დამოკიდებულებით, ეს მისი პირდაპირი მოვალეობა იყო: „ფატმან ხათუნ... გააგება მონა ათი, მოუკაზმნა ქარვანსრანი, დააყენა ბარგი მათი...“, ესეც არ იკმარა და სტუმრად წვეულ „დიდვაჭარ“ ავთანდილს „გაეგება კართა წინა“ და „მხიარულმან უსალამა, სიხარული დაიჩინა“. ფატმანი გონიერი ქალია და პოემაში ეს კარგად ჩანს. ფატმანმა იცის, რომ უფრო ხშირად ვაჭარი სწორედ იმ ქალაქს სტუმრობს, სადაც საკადრისად ხვდებიან, პატივისცემით იღებენ და ცდილობს, უცხო ქვეყნიდან ჩამოსულ სოფლაგრებს გულანშაროში „საქმიანი ვიზიტი“ სასიამოვნოდაც დაამახსოვროს, რათა კვლავაც არაერთგზის აღედრათ სურვილი ამ მშვენიერ ქალაქში სტუმრობისა.<sup>12</sup> განსაკუთრებული პატივით გულანშაროში დიდვაჭრებს ხვდებოდნენ, ისინი მეფის სასურველი სტუმრებიც იყვნენ და მისი მდიდრული სუფრის თანამეინახენიც.

„ვეფხისტყაოსანში“ ხშირად იხსენიება საფასე, ჭურჭელი, რაც გულისხმობდა იარაღსაც და საოჯახო - საყოფაცხოვრებო ნივთებსაც, ამის გათვალისწინებით საჭურჭლეს ჰქონდა საცაგის მნიშვნელობა, სადაც ინახავდნენ იარაღსა და ჭურჭელს. მკვლევარი ვიქტორ ნოზაძე საჭურჭლეს „სახელმწიფო ხაზინას“ უწოდებს, რომელიც, სავარაუდოდ, გულისხმობდა ფულს, თვალ-მარგალიტს, ოქრო - ვერცხლის ჭურჭელს, ძვირფას ქსოვილებს... ანუ ყოველივე იმას, რასაც ღირებულად მიიჩნევდნენ. მათ შორის გამორჩეული, რა თქმა უნდა, ოქრო იყო. „გლახაკთა მიეც საჭურჭლე: ოქრო...“; „შენი ოქრო შენვე დაგრჩეს...“; „რიცხვი ოქროსა...“; „ოქროც რამე წაიტანეს...“; „ოქროს ფასად ცხენი მისცა...“ ანუ ფული იხსენება იმ ლითონის სახელით, რომლიდანაც იჭრებოდა იგი.<sup>13</sup> პოემაში ოქრო მონეტას აღნიშნავს. როცა ფულის საჭრელი მანქანები ჯერ კიდევ არ არსებობდა, ფულს ხელოვნურად ჭედდნენ, ასე გაჩნდა სიტყვა ოქრომჭედელი. ძველ ქართულ წყაროებში დასტურდება ოქროს მონეტათა სახელი „ოქროუჭედელი“, რაც გულისხმობდა ოქროს ზოდებს, ხოლო სახელი „ოქროჭედილი“ ნიშნავდა დამუშავებულ ოქროს, ანუ მონეტებს. „ქართლის ცხოვრება“ ასე აღწერს თამარ მეფის ქორწილს: „იქმნა ქორწილი სახელდებული და იგავიშუწვდომელი. სიმრავლენი სახეობათანი, მძღუნობანი და ნიჭებანი თუაღთა და მარგალიტთანი, ოქროჭედილთა და უჭედელთანი...“<sup>14</sup>

პოემაში ფულის მნიშვნელობით გვხვდება „ვერცხლი“. ცნობილია, რომ ვერცხლის მონეტები დავით აღმაშენებლის მეფობამდეც იჭრებოდა, მაგრამ მის მიერ გატარებული ფულის რეფორმის შემდეგ ვერცხლი ჩაანაცვლა სპილენძმა. მოგვიანებით, თამარ მეფის

<sup>12</sup> თ. ხვედელიანი. ის დიაცი... თვალად მარჯვე- შურნალი ლიტერატურული ძიებანი. თბილისი, 2010, გვ. 74.

<sup>13</sup> გ. ჩანტლაძე. შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები. თბილისი, 1992, გვ. 377.

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება. ტომი II. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი, 1959, გვ. 37.

დროს, ფულზე მოთხოვნილება გაიზარდა, რამდენადაც ნატურალური მეურნეობის პროდუქტების მსყიდველობითი უნარი საკმარისი აღარ აღმოჩნდა მოსახლეობისთვის. ფულის როლის ზრდას მკვლევარი ვასილ ჩანტლაძე დიდ სახელმწიფოებრივ ხარჯებს და რიგ განსახორციელებელ უმნიშვნელოვანეს პროექტებს უკავშირებს. კერძოდ: სახელმწიფო აპარატის, მეფის სასახლის, ციხე - კოშკებისა და სხვა თავდაცვითი ნაგებობების, გზებისა და ხიდების, ეკლესია - მონასტრების მშენებლობას, ლტოლვილთა დახმარებასა და აუთვისებელი მიწების ათვისება - დამუშავებას. სავარაუდოდ, ამ აღმშენებლობით საქმიანობას უნდა გამოეწვია ფულის მასის ზრდა, ამიტომ შეცვალა ვერცხლი (რომელიც გაცილებით ძვირადღირებული იყო) სპილენძმა, ვერცხლისგან კი სამკაულებს ამზადებდნენ და საზღვარგარეთ გაჰქონდათ გასაყიდად. რასაც, ბუნებრივია, ეკონომიკის გაძლიერება მოჰყვა. აღმაშენებლის კურსი გაგრძელდა შემდეგაც, თუმცა საქართველოში ვერცხლის ფული აღარ იჭრებოდა, მაგრამ ქვეყანაში მაინც ბრუნავდა ნაწილი ძველადმოჭრილი მონეტებისა და ნაწილი საზღვარგარეთიდან შემოსული უცხოური ვალუტა.

გარდა ოქრო - ვერცხლისა, პოემაში არაერთხელ იხსენიება ფულის სხვადასხვა ერთეულის სახელი: დრაჰკანი, დრამა, პერპერა, წითელი...

დრაჰკანი ჯერ კიდევ ბიბლიაში, სახარების უძველეს ხანმეტ ტექსტებში დასტურდება (მათე 20. 2), დრაჰკანი იყო ოქროს ფულის ზოგადი სახელი, ფულის ეს სახელი ხშირად გვხვდება XI-XIII სს ქართულ ისტორიულ მასალებში.

ბიბლია ხშირად ახსენებს დრაჰკანს: მისცა სამასი დრაჰკანი (დაბადება 45. 22); ექვსი ათასი დრაჰკანი ოქრო (IV მეფეთა 5. 5); სამასისაებრ დრაჰკანთა (II ნეშტთა 9. 17); მიხვენეთ დრაჰკანი იგი (მათე 22. 19); მომართეთ მე დრაჰკანი (მარკოზი 12.15); ხუთი ათასი დრაჰკანი (ლუკა 7. 41); ორასისა დრაჰკანისა პური (იოანე 6. 7).

„ვეფხისტყაოსანი“ იცნობს დრაჰკანს: „... შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია“; ფრიდონის სასახლეში მისულ ავთანდილს „შესამოსელი შეჰმოსეს დრაჰკანისა ბევრათასისა...“

„ვეფხისტყაოსანი“ რამდენჯერმე ახსენებს ოქროს სახელწოდებას „წითელი“. ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, „წითელი“ წმინდა ბაჯადლო ოქროა, რომელსაც საქართველოში წითელ ოქროს უწოდებდნენ, აქედან გამომდინარე, წითელი ოქრო ძალიან ძვირადღირებული უნდა ყოფილიყო. „ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო...“; „შეკრა წითელი ასი ათასი...“; „სამოცი ლიტრა წითელი აწონით...“ და ა. შ.

ასევე ძვირად ფასობდა ვერცხლი, რომელიც ასევე იხსენიება ბიბლიაში: დაბადების, ნეშტთა, მეფეთა, იობის, იგავთა წიგნებში, ფსალმუნებში.

ბიბლიაში ნათქვამია, რომ პატრიარქები მდიდრები იყვნენ ვერცხლით (დაბადება 13. 2; 24. 35), რომ ვერცხლისგან ძველთაგანვე ჰყვდნენ ფულს (დაბადება 23. 15-16; 37.28; III მეფეთა 16. 24), რომ ვერცხლით იხდიდნენ გადასახადებს (II ნეშტთა 17. 11; ნეემია 5. 15). სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმაზე, რომ „ბრძნადმეტყველება ვერცხლი არს წმიდა“ და რომ ქვეყნად არსებობს ის ოცდაათი ვერცხლი, რომლის საფასურადაც დედამიწაზე ყველაზე დიდი უსამართლობა აღსრულდა.

რაც შეეხება წვრილ ფულს, ესაა დრამა. დრამა ვერცხლის ფულის უმცირესი ერთეულია, რომელსაც დაახლოებით 20-25 კაპიკის მსყიდველობითი უნარი ჰქონდა. სხვათა შორის, დრამა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“ არის მოხსენიებული, როდესაც მამა გრიგოლმა აფხაზეთის მეფის - დემეტრეს არაერთგზისი თხოვნის შემდეგ მაინც ააგო ტაძარი უბისაში, მეფემ, მადლიერების ნიშნად, მდიდრული შესაწირი გაიღო და მათ შორის იყო „დრამაი ათი ათასი“.

ბუნებრივია, „ვეფხისტყაოსანშიც“ დრამა წვრილ ფულს აღნიშნავს. ნათქვამია, რომ დიდგვაროვნები თავიანთი სიუხვის დროს მარგალიტს ისე არიგებდნენ, როგორც წვრილ ფულს, ხურდას („უხვად გასცეს საბოძვარი, მარგალიტი, ვითა დრამა“); ტარიელი ამაყად აცხადებს, რომ კუთვნილ მამულში ჩალის ფასსაც არ გადაიხდის, რადგან

ისედაც მისია იგი („ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა“); დაღონებულ ტარიელს ერთი ლუკმის აღებაც არ სურს, მაგრამ ავთანდილის ნახვის შემდეგ ოდნავ გადაეყრება სევდა და მცირე შვებას იგრძნობს („...ლუკმა გატყორცის, წონა ძლივ ჩანთქის დრამისა; „ ცოტაი ღხინი მომეცა, მსგავსი დრამისა წონისა...“); როცა ვაჭრებმა ხელში ჩაიგდეს მეკობრეთა ნაძარცვი ქონება, მათი ხომალდი „დალეწეს და დაწვეს ... შეშა დრამად არ გაცვალებს“, ანუ იმდენად მცირეა დრამა, რომ ვაჭრებმა, რომლებიც თითქოს ყველგან სარგებელს ეძებენ, ხომალდის დაწვა ამჯობინეს.

და ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ ვაჭართა არსებობა, საქმიანობა, მოქმედების თავისუფლება ნებისმიერი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ამას მოაქვს ეკონომიკური ძლიერება, მასზეა დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, ორივე ერთად კი ქმნის საფუძველს კულტურული აღმავლობისას, რაც კარგად ესმოდათ ძველ საქართველოში და რაც ასევე შთამბეჭდავად აისახა „ვეფხისტყაოსანში“.

**Tamar Khvedeliani**

**„Merchant benefits ...“  
Summary**

The paper deals with Georgia and its neighboring countries in trade relations, the role and purpose of the merchants, public attitudes towards them.

In addition, we are talking about the economic concept-terms, which certifies that Shota Rustaveli knew the country about the economic situation and will not be looked after by the current events.



## სიკვდილი ტერენტი გრანელის პოეზიაში

ადამიანის ცხოვრებაში არსებობს ორი ყველაზე მთავარი, იდუმალი და თრთოლვის მომგვრელი მოვლენა-დაბადება და სიკვდილი. ამასთან, სიკვდილი უფრო ძლიერ განცდებთან და უფრო რთულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. სიკვდილს ჩვენი ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით. სიკვდილი, ისევე როგორც სიცოცხლე, ყოველთვის ჩვენს გვერდით არის. იგი ყოველი მიწიერი ქმნილების აჩრდილი და მისი გარდაუვალი დასასრულია.

მიწიერ არსებათაგან სიკვდილი მხოლოდ ადამიანს აფიქრებს. ცხოველი თავის სიცოცხლეს ისე ატარებს, რომ არც კი ეჭვობს სიკვდილის არსებობას. ამიტომაც, მხოლოდ წუთიერი საზრუნავით არის მოცული. ის არ კითხულობს, თუ რატომ არსებობს სამყარო, ან რა ემართებათ იმ ქმნილებებს, რომლებიც უჩინარდებიან პირისაგან მიწისა. სულ სხვაგვარია ამ ყველაფრისადმი ადამიანის დამოკიდებულება. იგი ღვთისგან ბოძებული გონების წყალობით გაიაზრებს, რომ მოკვდავია. პასკალი ადამიანს მყიფე, მაგრამ მოაზროვნე ლერწამს ამსგავსებს და დასძენს- თუნდაც ის გაანადგუროს სამყარომ, ადამიანი მაინც მასზე უფრო ამაღლებულია, რადგან ადამიანი აცნობიერებს, რომ ემშვიდობება სიცოცხლეს.

მიუხედავად გერონტოლოგიის, მედიცინის ამ ახალი დარგის მცდელობისა, არავის შეუძლია საფლავისკენ ჩვენი სვლის შეჩერება. სად გაექცევა და როგორ დაემალება ადამიანი სიკვდილს, მის ამ „უკანასკნელ მტერს“ (1 კორ. 15, 26) რომელიც სხვადასხვა გზით გვემუქრება.

როცა ჩვენს ცხოვრებას სიკვდილის პრიზმიდან ვაკვირდებით, ცხადად ვხედავთ, რომ ჩვენი სიცოცხლის დანიშნულება უზარმაზარ განზომილებებსა და მასშტაბებს იძენს, რომელიც მარადისობისაკენ მიგვიძღვის.

სიკვდილი, „კაცთა მოღვმის ეს პირუთვნელი გამომძალველი“, როგორც მას იოანე ოქროპირი უწოდებს, – ღვთის მყოფობისა და ჩვენი დანიშნულების პრობლემის წინაშე გვაყენებს და დაუყონებლივ მოითხოვს პასუხს კითხვაზე- სად მივდივართ სიკვდილის შემდეგ?

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლე სიკვდილის გარეშე მწირია. („შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა).

კაცობრიობის ისტორია, როგორც ამას „შესაქმე“ გვიამბობს, არსებითად მართალი აბელის სიკვდილით იწყება. მანამდე სიკვდილს არავინ წარეტაცა. მართალი და წამებული აბელი მას პირველ მსხვერპლად მიჰყავს (შექმნ. 4, 8). კაცობრიობის ბედუკუღმართობის დასაბამი, ადამისა და ევას ცოდვით დაცემა, უშუალოდ გადაჯაჭვულია ძმისმკვლელი კაენის სინდისის საშინელ ქენჯნასა და მის განდევნასთან. ჯორჯ ბაირონი თავის დრამატულ პოემაში „კაენი“ აღგვიწერს ძმისმკვლელობის სურათს და ასახავს, თუ რა დაუინებით დააცქერდა მკვლელი მკვლარ აბელს, მის ფერმკრთალ სახეს, სცადა ძმის ხელები მადლა აეწია, მაგრამ ისინი ტყვიასავით დაენარცხნენ ძირს და შეშინებულმა შესძახა: („სიკვდილი ეწვია ქვეყანას“)! ეს სიტყვები ალბათ ადამიანის ყველაზე შემზარავი აღმოჩენაა.

ჩვენ ყველანი საფლავის ერთ მხარეს ვდგავართ. სამყარო, რომელიც მდებარეობს საფლავის აქეთა მხარეს, ანუ სააქაო-არის სოფელი „ხრწნაღი“, „კედომის ადგილი“,

ჭეშმარიტად ცოცხალთა ადგილსამყოფელი კი საფლავის მიღმა არსებული სამყაროა; იქ არც ღამე არსებობს და არც ძილი-„სიკვდილის მსგავსება“.

ღმერთი სიცოცხლის შემოქმედი. ამიტომ მის ქმნილებაში სიკვდილის არსებობა ღვთის განგებით განახორციელებს ღვთაებრივი სიბრძნის საიდუმლოს. ადამიანის გონებას არ ძალუძს ბოლომდე ჩაწვდეს ამ საიდუმლოს, აღიქვას და შეიმეცნოს იგი.

წმინდა იოანე დამასკელი სამგლოვიარო ჰიმნებში დასაბუთებს: „ვგოდებ და ვგლოვობ მე, რაჟამს გულისხმავყო სიკვდილი, და ვიხილო საფლავსა შინა მდებარე შუენიერება ჩვენი, ხატად ღმრთისა დაბადებული, შეურაცხად, უპატიოდ და უსახურად-ეჭა საკვირველი რა არს ესე ჩვენი, ქვეყანისა ნაშობნო, საიდუმლო, ვითარ მივეცენით ხრწნილებასა, ვითარ შევერყვენით სიკუდილსა“.

ცნობილია, რომ აღმოსავლური რელიგიები არ აღიარებენ არანაირ ფასეულობად არც მიწიერ ცხოვრებას და არც ადამიანს. ამქვეყნად მხოლოდ ბოროტებას ხედავენ. ამიტომ ისეთი აღმსარებლობები, როგორცაა: ინდუიზმი, ბუდიზმი და სხვა აცხადებენ, რომ სიკვდილი არის ხსნა დევნისა და ამქვეყნიური ჭირ-ვარამისაგან. მათი სწავლების თანახმად, სიკვდილი მიწიერ ქმნილებათა ამქვეყნიური ტანჯვის დასასრულია, რომელსაც ადამიანი გადაჰყავს ნირვანას უსახდვრო და მარადიულ ნეტარებაში. გამოდის, რომ ამ რელიგიების აღმსარებელი მხოლოდ იმისთვის ცოცხლობს, რომ მოკვდეს. იგი შეგნებულად ეძიებს სიკვდილს, რადგან სწამს, რომ მიწიერი ცხოვრება მის ბედნიერებას აბრკოლებს. ეს რელიგიები ახდენენ ადამიანის ცოცხლად სიკვდილის კულტივირებას.

პოეტმა ლირიკოსმა ანაკრეონტმა (ჩვ. წ. აღ-მდე 570-478) გამოთქვა სწორი მოსაზრება, ოღონდ ქრისტემდელი კაცობრიობის სევდით შეზავებული: ადამიანის ცხოვრება ბორბალივით ტრიალებს, ხოლო როცა მოკვებით და გაიხრწნება ძვლები, მცირეოდენი მტვერი დარჩება. მოგვიანებით კი დიოგენემ (ჩვ. წ. აღ-მდე 400-325) კინიკოსთა სკოლის ფუძემდებელმა მსგავსი მელანქოლიით შესძახა: „ჰოი, კაცთა მოკვდავო და უბედურო მოდგმაჲ! ჩვენ ხომ აჩრდილებს ვართ მიმსგავსებულნი!“

ჰომეროსის დროინდელი ბერძნებისთვის მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებაა ფასეული. სიკვდილი კი უდიდეს ბოროტებად ითვლება. იგი აკნინებს ადამიანს, მოაქვს მისთვის ტანჯვა, ართმევს ცხოვრების სიამოვნებას და ავლებს ბნელს ჰადესში, რომლის მეუფება სრულიადაც არ არის სასურველი. ბაბილონელებს სწამდათ, რომ გარდაცვლილი განწირული იყო მიწისქვეშა უკუნეთში უძრაობისა და მონობისათვის. ეგვიპტელებს სწამდათ სულის უკვდავება, ისინი არ მიიჩნევდნენ, რომ სულები კვლავ ბრუნდებიან ამქვეყნად. მათ სწამდათ, რომ სული უკავშირდება სხეულს სიკვდილის შემდეგაც.

„ფედონში“ პლატონი ცდილობს, სიკვდილი წარმოგვიჩინოს, როგორც სიკეთე და ჩვენთვის ფრიად სასურველი რამ. სოკრატე ამბობს, რომ რაკი ჩვენ სხეული გაგვაჩნია და სული ამ ბოროტებასთანაა შერწყმული, ვერასდროს ვერ ჩავწვდებით ჩვენთვის ესოდენ სასურველ ჭეშმარიტებას. და ეს იმიტომ, რომ სხეული უამრავ დაბრკოლებას გვიქმნის და სულს მისი არსებობის შენარჩუნებისათვის მუდმივი ზრუნვა სჭირდება. თუ ჩვენ ოდესმე რაიმეს სრულყოფილი სახით შემეცნება მოგვესურება, სხეულისაგან უნდა განვთავისუფლდეთ და საგნების ჭვრეტა მხოლოდ და მხოლოდ სულის მეშვეობით უნდა შევძლოთ.

პლატონის მიხედვით ჭეშმარიტი ფილოსოფოსები მუდამ ესწრაფიან სიკვდილს და ფიქრობენ მასზე. ისინი ზრუნავენ სიკვდილზე, ე.ი. საკუთარი ხორციელი ვნებების მოკვდინებისათვის. მათ სხვაზე ნაკლებად აშინებთ სიკვდილი. ფილოსოფოსისათვის უგუნურება, სილაჩრე და სიმხდალეა სიკვდილის ეშინოდეს, მაშინ, როდესაც უბრალო, რიგითი ადამიანები მხნედ და თამამად ხვდებიან სიკვდილს იმ იმედით, რომ ჰადესში მათთვის საყვარელ ადამიანებს იხილავენ.

სიკვდილი ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით „ღმერთთან დაშორებაა, საწერტელი სიკვდილისა –ცოდვა“. მას შემდეგ, რაც ცოდვის საწერტელმა ადამი ადძრა, იგი დაშორდა

ღმერთს და „ცხოვრების ხეს“. ამას კი ხორციელი სიკვდილის გარდაუვალობა მოჰყვა. ცოდვით დაცემის შედეგად, ღვთის ხატად შექმნილმა ადამიანმა „უბადრუკი სახე მიიღო“. „ცოდვის სიბილწემ ხატების მშვენიერება შეურაცხყო“.

როგორც იხილორე პელუსიოტელი აღნიშნავს „სიკვდილით ადამიანის სული კი არ დასცილდა სხეულს, არამედ სულიწმიდა დასცილდა მის უკვდავ სულს“. ამგვარად ხორციელ სიკვდილამდე სულის სიკვდილი ვიწვნიეთ. ეს იგივეა, რაც სულიერი სიკვდილი- „სულის ღმერთთან განშორება“.

ასეთი იყო ურჩობის შედეგი. ღმერთმა უწინასწარმეტყველა პირველქმნილთ: „რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, სიკუდილით მოჰკუდეთ“ (შექმნ. 2, 17) წმინდა გრიგოლ ნოსელი წერს, რომ პირველქმნილმა ადამმა თავისი დაცემის შემდეგ, კიდევ მრავალი წელი იცოცხლა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ღმერთმა იცრუა, როცა თქვა. „რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, სიკუდილით მოჰკუდეთ“. როგორც კი პირველი ადამიანი განშორდა ჭეშმარიტ ცხოვრებას, ანუ ღმერთს, უმაღლვე გამოტანილი იქნა მისთვის სასიკვდილო განაჩენი.

წმინდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველიც აღნიშნავს: „სულით ადამი მაშინვე მოკვდა, როგორც კი აკრძალული ნაყოფი იგემა, ხორციელად კი ცხრაას ოცდაათი წლის შემდეგ. სხვაგან კი წმინდა მამა გვასწავლის, რომ სულის სიკვდილი მოვიდა ღვთის მამხილებელი განაჩენისთანავე, „უმაღლვე ადამიანი განიძარცვა უკვდავებისგან“.

ის, რომ სულიერი სიკვდილის მონობა უადრესად მტანჯველია, ნათლად ჩანს პავლე მოციქულის ამ სიტყვებიდან: „ქრისტე მოვიდა, რათა დაგვიხსნას ბნელის ხელმწიფებისაგან“ (კოლ. 1, 13).

სწორედ ამ სიკვდილს გულისხმობდა უფალი, როდესაც პასუხი გასცა ადამიანს, რომელმაც მის გზაზე შედგომა მოინდომა, მაგრამ ჯერ სთხოვა გარდაცვლილი მამის დასასაფლავებლად გამიშვიო: „აცადე, მკვდარნი დაფლვან თვისთა მკვდართა“ (ლკ. 9, 60) სულიერი სიკვდილის უმძიმესი მდგომარეობის გარდა არსებობს სხვა, კიდევ უფრო სავალალო. თუკი სულის ზნეობრივი სიკვდილი უდიდესი უბედურებაა, ვინაიდან ის განგვაშორებს და გავგაუცხოებს უფალთან, კიდევ უფრო დიდი უბედურებაა მარადიული სიკვდილი. ის ყოველგვარი უბედურების მწვერვალია. მათთვის, ვინც სულიერად მოკვდა, მაგრამ ხორციელად ცოცხალია, არსებობს სინანულის, სულის განახლების და ხსნის იმედი. „ვიცი, -ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი, რომ ჩვენ ყველას სასჯელი გველის, მაგრამ ჩვენთვის ჯერ კიდევ არ არის შეუძლებელი შენდობა, და, ჩვენ სინანული არ დაგვიკარგავს. ჩვენთვის ჯერ არ დასრულებულა ქრისტესმიერი აღსასრულისათვის ყოველდღიური ბრძოლა და მზად ვართ გაეწიოთ მძიმე ღვაწლი, ღირსი სინანულისა.“<sup>1</sup>

ჩვეწ-აღ-მდე მეოთხე-მესამე საუკუნეებში ეპიკურე მსჯელობდა: „ამრიგად ბოროტებათგან უსაშინლესი -სიკვდილი-ჩვენ სრულიად არ გვეხება, რადგან როცა ჩვენ ვართ, სიკვდილი არ არის, ჩვენ აღარ ვართ, ასე რომ, იგი სრულებით არ ეხება არც ცოცხლებს, არც მკვდრებს, რადგან პირველთათვის იგი არ არსებობს, მეორენი კი უკვე აღარ არსებობენ“. ლუკრეციუსმა სიკვდილის დამარცხება თვით სიკვდილის მარადიულობით და უკვდავებით სცადა. „უკვდავი სიკვდილი, „მარადიული სიკვდილი“, სიკვდილის წინააღმდეგ გონივრული იარაღი გამოდგა, ლუკრეციუსს სენეკაც ამოუდგა გვერდით-„უმეცრულია მოკვდე სიკვდილის შიშით“-განაცხადა სენეკამ, მაგრამ თითქოს და იგრძნო ის, რომ მარტო დეკლარაციული სიბრძნით სიკვდილს ვერაფერს დააკლებდა და დამხმარე ძალები (გონითი არგუმენტები) მოიშველიელა. „ვიდრე სიბერეს მივალწვედი, მე ვცდილობდი კარგად მეცხოვრა, სიბერეში ვცდილობ, რომ კარგად მოგვედეს; კარგად რომ მოგვედეს, საჭიროა ხალისიანად მოგვედეს“, თუმცა ისევ დეკლარაციულად განაცხადა: „ბრძენის სიკვდილი უშიშრად სიკვდილია“. ამის მიუხედავად, ადამიანის მაძიებელ გონებას მოსვენებას

<sup>1</sup> ნ. ვასილიადისი. სიკვდილის საიდუმლოება. თბილისი, 2013, გვ. 13.

უკარგავდა ძველი ბერძნული აზროვნების მამების პლატონის და არისტოტელეს გაფრთხილება: „არავინ იცის რა არის სიკვდილი, და არის თუ არა იგი უდიდესი სიკეთე ადამიანისათვის. მიუხედავად ამისა მისი ეშინიათ, თითქოსდა იციან, რომ იგი უდიდესი ბოროტებაა“ (პლატონი) „ყველამ იცის, რომ სიკვდილი გარდაუვალია, მაგრამ რაკი იგი მოახლოებული არ არის, არავინ მის შესახებ არ ფიქრობს“ (არისტოტელე).

სიკვდილზე ყველა გენიოსი თავისებურად დაფიქრებულა - „სიკვდილი საყოველთაო უბედურებაა“ (გოეთე) „სიკვდილი იმის უნარია, რომ არაფერი წარმოიდგინო“. (ღობერგერი) „სიცოცხლე ავადმყოფობაა, მთელი მსოფლიო ლაზარეთი, ხოლო ჩვენი მკურნალი ექიმი სიკვდილია“ (პ. ჰაინე).

სპეციალური ფილოსოფიური მიმდინარეობის „სიცოცხლის ფილოსოფიის“ წარმომადგენლებმა სიცოცხლის არსი სიკვდილის ბუნების წვდომით დაასაბუთეს. სხვაგვარად არ შეიძლებოდა, რადგან ეს ორი ცნება-„სიცოცხლე და „სიკვდილი -არა თუ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული არიან, არამედ ერთი არსიდან გამომდინარეობენ, ერთი არსების პოსტულატები არიან. ამიტომ ისინი სიცოცხლის ფენომენის ანალიზით სიკვდილის ფენომენის გაგების აუცილებლობას ამტკიცებენ, ხოლო სიკვდილის ფენომენს სიკვდილის ფენომენის გარეშე ვერ ხსნიან.

ეგზისტენციალური ფილოსოფიის სხვადასხვა წარმომადგენელი სხვადასხვა პრობლემების ამსახველ ცნებებს განსხვავებულად მოაზრებს. ასევეა ამ შემთხვევაშიც. თუ მარტინ ჰაიდეგერი „სიკვდილს, „სიკვდილის წინაშე შიშს ჰერმენევტიკული დატვირთვით ანალიზებდა, ეგზისტენციალური აზროვნების მეორე კლასიკოსი, სიმონა დე ბოვუარი, სიკვდილის ფენომენს სრულიად განსხვავებულად შედარებით მარტივ, გასაგებ, რომანტიკულ, შეიძლება ითქვას, ადამიანურ ფორმაში წარმოსახავდა-ფილოსოფიურ მოთხრობაში- „ძალიან მშვიდი სიკვდილი“.

საინტერესოა კარლ გუსტავ იუნგის შეხედულება, რომელიც მან გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, გამოთქვა ბი-ბი-სის ტელეკომპანიის წარმომადგენელ ჯონ ფრიმენტან ინტერვიუში-„ცხადია, სიკვდილი არ არის დასასრული, მითუმეტეს, ჩვენ ზუსტად არ ვიცით, თუ რას ნიშნავს დასასრული; არსებობს ფსიქიკის განსაკუთრებული სფეროები, რომლებიც არ არის შეზღუდული სივრცითა და დროით მაშინ იმ განზომილებათა კანონებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, ეს კი თავის მხრივ ნიშნავს, რომ სიცოცხლე პრაქტიკულად გრძელდება, როგორც ფსიქიკური არსებობა დროისა და სივრცის მიღმა.“<sup>2</sup>

ტერენტი გრანელის ცხოვრება სულიერი გაწმენდა, სიკვდილის შიშის დაძლევა და სიკვდილისათვის მზადება იყო. დიდი ადამიანები ამადლებული სულით ამარცხებენ სიკვდილს, ამიტომაც ფერებში წარმოიდგენენ მას. მაღარმესთვის სიკვდილი ოქროსფერია, ვერლენთან-მზისფერი, რემბოსთან-წითელი, გალაკტიონთან ვარდისფერი, ტერენტი გრანელი კი „ცისფერი სიკვდილის მშვენიერებას ეზიარებოდა: „ეს იყო წამი, წამი, როდესაც ელოდნენ ცისფერ სიკვდილის წამებს“.

სიკვდილთან ბრძოლის სურვილით შეიქმნა ხელოვნება, მეცნიერება, ფილოსოფია, რელიგია.

სიკვდილის საიდუმლოს გაცნობიერება წყაროა ჩვენი გაღვიძების, ამაღლების, იგი ემსახურება ადამიანის დაფარული სულიერი ძალების გამოვლენას.

ტერენტი გრანელის მიხედვით ადამიანი კვდება არა მაშინ, როცა სული სხეულს შორდება, არამედ სიკვდილის ტოლფასია სულის დაშორება ღვთისგან.

ლაო-ძი ამბობდა: „ადამიანი გაუკვდავდება იმიტომ და იმ დროს, ოდეს შეითვისებს თავის წიაღში ღვთაებრივ ძალას, ოდეს უკვდავების წყალს დაღვეს სიკეთისა და სიბრძნის სახით, ოდეს გარემოცავს თავის თავში ღვთაებრივ საწყისებს“.

<sup>2</sup> დავით გეგეშიძე. სიკვდილის აპოლოგია. თბილისი, 1999, გვ. 45-47; 3-7.

ტერენტი გრანელი დარწმუნებული იყო, რომ სული სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს არსებობას, იგი იღვიძებს ახალ გარემოში და სიკვდილის სიღიადეს აღიარებდა: „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“, „გამომღვიბა მგონი, გარდაცვალების შემდეგ“.

პოეტმა გაიზიარა გარდასახულების თეორია, გადაიხედა მიღმურში, ჩასწვდა ყოფნა-არყოფნის საიდუმლოებს.

ტერენტი გრანელი გამუდმებით ეძებდა „მესამე გზას“, „სხვა პლანეტას მას ეიმედებოდა უკვდავება, „სიცოცხლე სხეულის გარეშე“. მისი „უვალი გზა“ ხორცისაგან გასაღწევი, სულის გამარადისების გზა იყო, რაც სიკვდილის შემდეგ უნდა დაწყებულიყო, სიცოცხლეში სულიერი ნათელლების პირობების ერთგული დაცვით. მან გვიჩვენა ზეცამდე ასამაღლებელი ბილიკები.

„უცნობმა სფინქსმა“ შექმნა თავისებური გარდაცვალების სახელმძღვანელო, „მიცვალებულის დღიური“, მაგრამ ფუჭად მოზეიმე საზოგადოებამ, რომელიც ნივთს ყოველდღიურობას, ვულგარულ გრძნობებს აიდეალებდა, ვერაფერი გაუგო პოეტის უზენაეს სიბრძნეს და მის გენიალურ წიგნს „შავი წიგნი“ უწოდა.

ტერენტი გრანელი თავის სამშობლოდ ზეცას იგულებდა: „ჩემი ნაზი სამშობლო ლაჟვარდები ცისფერი“ თავის მარადიულ საგანედ ესახებოდა ზეციური სახლი, „ცისფერი სახლი, ცისფერი ქვეყანა, „უხილავი საქართველო.<sup>3</sup> ტერენტი გრანელის ეპოქაში, ალბათ არც ერთ პოეტს სიკვდილზე იმდენი არ დაუწერია, რამდენიც ტერენტი გრანელმა წერა და ისაუბრა. მას ხშირად საფლავების და მიცვალებულების პოეტს უწოდებენ. ძნელია ისაუბრო ტერენტის შემოქმედებაზე და არ შეეხო გარდაცვალებას. სიკვდილი, ერთერთი უდიდესი საიდუმლოებაა, რომლის წინაშე ადამიანი დაუცველია და ვერასდროს ამოხსნის მის არსობას და ვინაობას. უდიდესი წმინდა მამა იოანე კლემაქსი (კიბისაღმწერელი) ამბობდა: „სიკვდილი ერთადერთია, რაც ყველას თანაბრად შეგვეხება“ („სად არს სიკვდილო, საწრეტელი შენი, სად არს ჯოჯოხეთო, ძლევა შენი“). მარადიულად ამ თემაზე ზრუნვა და ფიქრი, ღვთისგან გამორჩეულთა ხვედია. „მე იმდენად შევეჩვიე სიკვდილს, რომ აქამდე ცოცხალი ვარ, მიკვირს“. პოეტის ასეთი გამუდმებული სიკვდილის ძიება, ღვთის შიშთან ერთად მისი სოციალური ფონით და უკიდურესად მძიმე მდგომარეობით იყო გამოწვეული. „მე იმდენად შევეჩვიე ღანდებს, მინდა თოვლშიც მათი კვალი ჩანდეს“.

ტერენტი გრანელის პოეზია, მწუხარე პოეტის სულის ავტობიოგრაფიაა. მან გამოსცადა აფრენა ჰაერში და დანარცხება მიწაზე. მის სულში ერთმანეთს ეჯახებოდა სინათლე და სიბნელე, კეთილი და ბოროტი, მომავალი და წარსული, ჯანსაღი და ავადმყოფური. ამ შეჯახების, ბრძოლის დრამატიზმი უშუალოდ გადადიოდა მის ნაზ, მგრძნობიარე გულში, ამიტომ ლექსები მისი სულის დღიურია, აღსარება. პოეტის სულის მორალი, წყობა არაიშვიათად გამოითქმოდა ლექსის რომანტიკულ ტონალობაში. პოეტის მოცახცახე ხმა ხშირად გამოთქვამდა მარტოობისა და მწუხარების განწყობილებას. ინტიმურ აღსარებაში იგი მკითხველის წინაშე ამუღავნებდა თავისი ბუნებისა და ხასიათის ნიშნებს, სულისკვეთებასა და მისწრაფებებს.<sup>4</sup>

არსებულმა რეჟიმმა, პოეტის გაუსაძლისმა ყოველდღიურობამ, მეტად შეაკავშირა სიკვდილზე ფიქრს. „მე მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე“. დაუდგომელმა ბუნებამ და უსამართლობასთან დაუღალავმა ბრძოლამ თავისებური დაღი დაასვა მარტოობისთვის განწირულ პოეტს. აი, რას წერს შალვა რადიანი: „ტერენტი გრანელი იყო ბავშვივით გულუბრყვილო, მაგრამ საშინლად ნერვიული, ადვილად აღეგზნებოდა, ფეთქდებოდა, ხდებოდა ჭირვეული, უცნობსაც კი შეედავებოდა სრულიად უბრალო რამეზე. ფსიქიური ავადმყოფობა მას გაოაჩნდა 1922-24 წლებიდან. პოლდერლინის, ლენაუს, ბატიუშკოვის მსგავსად, ტ. გრანელს ადრე დაეუფლა მძიმე სულიერი ავადმყოფობა. მასსოვს, 1932 წელს ტერენტის შევხვდი მწერალთა სასახლეში, მეორე სართულის კიბეზე ამოდიოდა. შევჩერდიოთ.

<sup>3</sup> ლუარა სორდია. ტერენტი გრანელის ბედისწერა. თბილისი, 2011, გვ. 12-14.

<sup>4</sup> შალვა რადიანი. მოგონებები, წერილები. თბილისი, 1976, გვ. 23.

მისაღმების შემდეგ გამოველაპარაკე გულჩათხრობილი იყო. შევეკითხე ჯანმრთელობაზე, მიპასუხა: „ამ ბოლო ხანებში საშინდელი ჰალუცინაციები და უძილობა მაქვს, ტავს ძალიან ცუდად ვგრძნობო“ ფერკმრთალი და გამხდარი იყო. დაგლეჯილი ტანსაცმელით დადიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული იყო, ფეხზე რეზინის ძველი ფეხსაცმელი ეცვა. შევთავაზე საავადმყოფოში ექიმთან წაყვანა, დავუსახელე ცნობილი ფსიქიატრი-პროფესორი. არ მოეწონა, კატეგორიული უარი განაცხადა. „არავთარ შემთხვევაშიო, იმ პროფესორს კარგად ვიცნობ, მომკლავსო. არ მინდა არავითარი საავადმყოფო და არც ექიმიო.“<sup>5</sup>

გრანელის პოეზია სევდის ქვითინია. მისთვის სამყარო დაშლილი და უფრომო ქაოსია, სადაც ადამიანები დადიან, როგორც ჩრდილები. სადაც ნივთებს წართმეული აქვთ სახე და ყოფა. პოეტი საგანს უყურებს, როგორც ჭემმარიტი იმპრესიონისტი. ტერენტი გრანელის ლირიკა არაკონკრეტული სიტყვების მელანქოლიური მელოდიაა. პოეტის წარმოდგენით საწყალი და საცოდავია წუთისოფლად ადამიანი, რომელიც ჩაკარგულია უსაზღვროებაში და რომელსაც საოცრად სწყურია მარადისობა. ეს ქვეყანა მისთვის გამოუცნობი სფინქსია. შ. ბოდლერის მსგავსად ტ. გრანელმა პოეზიაში სევდა გამოაცხადა ესთეტიკურ ფენომენად. ის ხელმძღვანელობდა ბოდლერის ცნობილი ფორმულით: „ამ ქვეყნად ყველაზე უფრო მწუხარებით შეიძლება დათრობა.“

ერთი მხრივ, პოეტი, შეპყრობილი სიკვდილის განცდის აგონიით ამბობს; „ჩემი გზა მიდი სამარისაკენ და ნაპრალებთან წევს შავი ღამე“. ან „სიცოცხლე რომ მსდომოდა, სიკვდილს არ ვინატრებდი, მიწა არ იქნებოდა ჩემთვის შავი სამარე“. (ელიზბარ უბილავა „სიჭაბუკის რომანტიკა“ „საბჭოთა საქართველო“ 1976 გვ. 81) მას ხშირად უწოდებენ მელანქოლიის ცრემლიან პოეტს, მაგრამ ვინც მის პოეზიას დაკვირვებული თვალით წაიკითხავს, ზედაპირზე ამოტანილი სტრიქონების სიღრმეში არა სასოწარკვეთილის, არამედ ამქვეყნიური სიამეების და წამიერი გატაცებების მალლა მდგომი ადამიანის განცდები იკითხება. იგი, როგორც ბიბლიური ზაქე ლეღვის ხეზე, ისე დადგა ეპოქაზე და არსებულ რეჟიმზე მალლა, საიდანაც არა საყვედურით, არამედ თამამი სიახლოვით ღმერთს მიმართა; „შენ, დედამიწავ! უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ, წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია.“

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ პოეტი სიცოცხლეს უარყოფს და ღმერთსაც განუდგა. სინამდვილეში მას არა სიცოცხლე, არამედ ტალახით და სიბინძურით სახსე ცხოვრება მობეზრდა – „ჩარჩენილი ვარ ბავშვივით ამ ცოდვილ ქვეყანაზე და არ ვიცი, როგორ ამოვიდე იმ ტალახიდან, რომელსაც ეწოდება მიწა“. მიწიდან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება კი გარდაუვალ სიკვდილზე დაუდალავი ფიქრი იყო. გრანელის „კადნიერი“ მიმართვა ღვთისადმი, ჯვრიდან იესოს სიტყვებს გავს. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტყვე მე?!“ ასე ლოცულობდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველი და ამგვარადვე შეჰღადადა ჯვარცმულმა ძემ კაცისამ ზეციურ მამას მთელი კაცობრიობის სახელით, რომელთა საუკეთესო წარმომადგენლებს, სიმართლის მაძიებელთ და ღმრთისმოყვარეთ ყოველთვის ტანჯავდათ კითხვები, თუ რატომ მიეცა დედამიწა უსჯულოებს; რატომ იღვენებთან მართალნი; რატომ აფარებენ უდაბნოებს და ქვაბებს თავს ისინი, რომელთა ღირსიც არაა მთელი ქვეყანა; რატომ არიან აღზევებულნი ბოროტისმქმნელნი და რატომ ზეიმობენ უსამართლონი? უწინ მამამ პასუხად მოსცა ძეს: „ვადიდე და კვალადცა ვადიდო“ (იოანე 12, 28). ხოლო ჯვარცმისას ზემორე სიტყვებზე პასუხი არ ყოფილა. ძე ღმრთისამ განკაცებით უკიდურესად დაიმდაბლა თავი, ადამიანური ნებით ბოლომდე დაემორჩილა ღვთაებრივს და სრულად გაითავისა კაცობრიობის გზა. იტანჯებოდა მაცხოვარი მარტოობისაგან, გამცემლობისგან, ამ სოფელში ბოროტის ზეობისგან. თვით კაცად გაჩენილ ღმერთსაც უჭირდა სიკვდილის წინ და ახლობლებს სთხოვდა, გარდაცვალების ჟამს ყველა ადამიანთან რომ რჩებიან - „შეწუხებულ არს სული

<sup>5</sup> შალვა რადიანი. მოგონებები. წერილები. თბილისი, 1976, გვ. 236-237.

ჩემი, ვიდრე სიკვდილამდე, დაადგერით აქა და იღვიძებდით ჩემ თანა“ იესოსგან განსხვავებით, „ჩვენში მეორედ მოსულ ქრისტეს“, არც სიკვდილის დროს ჰყოლია ვინმე გვერდით. 1934 წლის 13 ოქტომბერს პოეტის ცხედარი პეტრე-პავლეს ეკლესიის მახლობლად მიწას მიაბარეს. გვიან გაიგეს ოდიშიში მყოფმა დებმა-მაშომ და ზოზიამ ძმის საბედისწერო აღსასრული. ისინი მაშინვე თბილისში ჩამოვიდნენ და ცხარე ცრემლით დაიტირეს ობლად მიტოვებული საფლავი. მოელი ცხოვრება მარტოობაში და გამცემლების გარემოცვაში გალია, სიკვდილსაც ღირსეულად შეეგება, როგორც ღმერთთან მორკინალი იაკობი. პოეტი რომ ცხოვრებას საყვედურობს და არა ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლეს მისი სტრიქონებიდანაც ჩანს – „ჩემი ცხოვრება უცნაური ქრება ცრემლებით, არავინ არ მყავს, არსაიდან შევლას არ ველი, ო, ჩემს გარშემო მკვლევლებია და გამცემლები, უფალი იყოს ამ ქალაქში ჩემი მფარველი“.

ულმერთობის საუკუნეში, როდესაც იდეენება მართალი სიტყვა, როცა „საყდარს დაკეტავენ, ხატები დამწყვდეულ ტუსაღებზეთ დარჩებიან შიგ“ (სიკვდილის შემდეგ) ქრისტეს წინამორბედივით, მიწაზე მყარად მიჯაჭვულ მოსიარულე მიცვალებულებს მხილებისთვის გამოეცხადება უკვე მკვდარ ქვეყანას- „კვდება ეს მდელო და ეს ქარია, და საქართველო ეხლა მკვდარია“ ეს სიტყვები მან 1921 წელს დაწერა, მაშინ, როდესაც საქართველოს ისევ დაადეს მონობის ბორკილები. „საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი მარხია ხალხი“. ის არა ამქვეყნიურ მოკვდინებაზე, არამედ სიკვდილის დამთრგუნველ სიკვდილზე წერდა. „ყოველ დამეს მოაქვს ფიქრი სიკვდილზე და სიშორეზე და მეშინია ვფიქრობ, მოვა წამი, როცა არ ვიქნები ცოცხალი, მაინც მჯერა ცემი უკვდავება“ (გულისძან სისხლის წვეთები) ეშინია არა სიკვდილის, არამედ იმ სიცოცხლესთან შეხვედრის, რომელიც ამქვეყნიდან გასვლის მერე იწყება. „მე არ მინდოდა სიცოცხლე, არც სიკვდილი. მე რაღაც სხვა მსურდა. ახლა ვფიქრობ და მწამს მესამე გზის არსებობა, როგორც იდუმალების“. სიკვდილზე გამუდმებული ფიქრით, სწორედ მესამე გზის ამოხსნას ცდილობდა.

პოეტმა იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების წელი თვე და რიცხვის განსაზღვრაში ხუთი დღით შეცდა. იწინასწარმეტყველა თბილისში დასაფლავება: „მალე მოკვდები და ვიცი, გულზე რომ დამაყრიან თბილისის მიწას.“ „ო, როგორ მორბის ღანდი სიკვდილის“, „ეხედავ სიკვდილის ყვითელ მანტიას“ -ასე, შინაურივით დაიახლოვა პოეტმა გარდუვალთან შეხვედრა. სიკვდილსაც სიცოცხლეში განიცდიდა „სიკვდილს განვიცდი და მოდის მთვარე, და თითქმის ვიცი, რა ხდება გარეთ“. „შორიდან ვხედავ ყოფნის დასასრულს“. გვაუწყა ნათელხილვის უნარით მომადლებულმა. სიკვდილი არ აფრთხობდა, რადგან გაშინაურებული ჰყავდა: „დამეძებს გარეთ, ვერ მოვიცილე, საღამო ქარებს, სიკვდილს, სიცივეს“ (მისაღმება ზამთრისადმი) სიკვდილის განცდა გაგვიცნობიერა ლექსში - „გადარჩება?“ „ჩემს გარშემო ბურია, ჩემს გარშემო ნისლია, მოჩვენება შემოდის ღია თვალთა გუგებში“ თავისი სიკვდილიც ქვეყნის უსამართლობის ჭრილში მოიაზრა- „მე ესტერი ქვეყნის უკუდმართობას და ჩემს დაღუპვას აუცილებელს.“<sup>6</sup>

სიცოცხლისა და სიკვდილის მიღმა სწრაფვა შეადგენდა ტერენტი გრანელის პოეზიის ძირითად მიზანს. მიწიდან გაქცევა, მარადისობის ლაჟვარდები, ვარსკვლავებანთებული ცის უსასრულობა. „სული გაფრინდა თეთრი მტრედივით, სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე“. „და მენატრება ისეთი მხარე, სადაც ღუმელი და სიმშვიდეა“. სიხუმე და სიმარტოვე იზიდავდა მის სულს სამყაროს უსაზღვროებით შეშინებულს და ქვეყნიური ყოფის არარაობით მწარედ ატირებულს. „ღამის მიერ შენაფერი, მე ვედრებაც მივატოვე, და მგონია ყველაფერი, სიხუმე და სიმარტოვე“ (სიხუმე და სიმარტოვე) და რადგანაც, მისი წარმოდგენით, „სული სხეულის ჩუმი ტუსაღია, სწორედ ამიტომ „არ არის ტირილის გარდა სულისთვის ნუგეში სრული“, რის გამოც მეტერლინკის მსგავსად მისი თქმით, „უდიდესი გრძნობის ნიშანი არის ღუმელი

<sup>6</sup> ლუარა სორდია. ტერენტი გრანელის ბედისწერა. 2011, გვ. 238-239.

და გარინდება. გრანელის პოეზიის მთავარი გმირი მხოლოდ თვითონ არის, იგი გამოხატავს მარტო პირად განცდებს, იმ შიშს, რომელსაც მის წინაშე სიკვდილის გარდაუვალობაზე ფიქრი ქმნის. იმ წუხილს, რომელსაც მასში სამყაროს უსაზღვროების შეცნობა იწვევს. „მოვადლე, როცა მე არ ვიქნები“ და „ჩვენს ცხოვრებას თანაბრად შთანთქავს ღამე უკუნი“, „მე მარადიულ მიზნისკენ მივიწვევ“, რადგან „მწამს ყოველივე, რომ სიზმარია“. ოცნებით წარმოიდგენს მიწისაგან განშორებას და სამყაროს მარადიულ უსაზღვროებაში შერწყმას. „მე ოცნებით მოვშორდები მიწას, გული იგრძნობს მარადიულ ლაჟვარდს“. მიწიერი ცხოვრების უარყოფ პოეტს არ მიაჩნია, რომ მხოლოდ სიკვდილში იყოს ერთადერთი ხსნა სიცოცხლის ხანმოკლეობით უმწეო ადამიანისა. „ახლა ვატყობ, რომ სიცოცხლე არ ღირს, სიკვდილშიაც ხომ არ არის შევლა.“ აქ იჩენს თავს მისი მრწამსი. „მწამს მესამე გზის არსებობა, როგორც იღუმალების“ „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რარაც სხვა“. ეს „სხვა“ კი გარდაცვალებაა, ახალი სიცოცხლის დასაწყისი. ამიტომ ეძებს გამოსავალს, ეძებს გზას, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლეზე უფრო მყარი იქნება: „ახლა სიცოცხლე ჩემთვის ლანდია, რაღაც სხვა მინდა სიკვდილზე მეტი“.

გრანელს სამყაროს უსასრულობასა და მარადისობაში თავისთავი, როგორც ცოცხალ არსებას, წარმოდგენილი აქვს მატერიის მოძრავი და უწყვეტი ერთიანობის ნაწილად, რომელიც განუწყვეტლივ ქანაობს სიბნელესა და სინათლეს შორის, მუდმივი ცვალებადობისა და გარდასახვის უნარის მქონე. ეს ფილოსოფიური გააზრება მის მრავალ ლექსში იგრძობა, მაგრამ ყველაზე უფრო ნათლად იგი გადმოცემული აქვს მინიატურაში „გულიდან სისხლის წვეთები“- „მე ქვეყნის გაჩენიდან ნელა მოვდიოდი სინათლისაკენ, რომ მეხილა მზე. და ახლა ისევ ვუახლოვდები სიბნელეს, როგორც ზღვას, სადაც სამუდამოდ ჩაიძირება ჩემი სხეული“.<sup>7</sup> ლექსში „მინდა გავექცე სიკვდილს“ ან „არ მინდა გული სამარეს მივცე“, იგულისხმება უშინაარსოდ გაღეული წუთისუფლის საცდურების უარყოფა და მარადისობაში დამკვიდრება, რაც აღმოსავლურ სიბრძნეში გამოვლინდა-„არ გაბედო სიკვდილი, სანამ ცოცხალი ხარ“. „ხორცისაგან მთესველი ხორცისაგან მოიმკის ხრწნილებას, ხოლო სულში მთესველი სულისაგან მოიმკის საუკუნო სიცოცხლეს“- შეგვაგონებს პავლე მოციქულის ერთ-ერთი ეპისტოლე (პავლე მოციქული, გალატელთა, 6,8) „ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, და ქვეყანა უკუნისამდე ჰგიეს და არა რაი არს ყოველივე მზესა ამას ქუეშე, რომლისათვის იტყვის და თქუას, ვითარმედ; ესე ახალი არს. მიერთგან ქმნილი არს საუკუნეთა მათ ყოფილთა უწინარეს ჩვენსა და აჰა, ესერა-ყოველივე ამოა და გამორჩევა სულისა“ (ეკლესიასტე 1, 1-14) ამ ბიბლიურმა სიბრძნემ თავისებური გამოხატულება ჰპოვა მრავალი შემოქმედის ლექსებსა და თხზულებებში; „ესე ყოველი ცხოვრებაი, ვითარცა ყვაილი ველთაი“, (74, 242)-წერს იაკობ ხუცესი. გრიგოლ ხანძთელის თქმით, „არარაი არს კაცი, გარნა მტვერი და ნაცარი განქარვებადი მსწრაფლ (74, 241) გიორგი მთაწმინდელის ერთერთი თარგმანის მიხედვით, „ცხოვრებაი ესე წარვალს და განილევის, შუენიერებაი და დიდებაი დაჭკნების, ხოლო სიმდიდრეი დაღპების და წარწყმდების, რას ცუდად ვმადლოით, ოდეს ყოველნი მოკვდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი“ (17, 626) გალაკტიონი წერს: ამაოა ეს ცხოვრება, დრტვინვის წუთისოფელია“. ყოველივე ეს კი გამოძახილია იაკობ მოციქულის სიტყვებისა. გრანელისთვის ქვეყანა ყუთია („და ეს ქვეყანა თითქოს ყუთია“) ცრუ მხარე და მისტერიაა („ეს მისტერია-, ეს ცრუ მხარეა“) ლურჯი გალიაა („ღვას ისე, როგორც ლურჯი გალია, ეს მოლი, ცა და ეს დედამიწა“) მისთვის ცხოვრება წვალებაა („განდა ცხოვრება, როგორც წვალება“) სიცოცხლე-ღანდი. („ახლა სიცოცხლე ჩემთვის ლანდია, რაღაც სხვა მინდა სიკვდილზე მეტი). გრანელისთვის ამსოფლიური ცხოვრების ამაოებისა და წარმავლობის განცდა სასრულია, აპოთეოზია საწყისისა, ანუ იმის შეცნობისა, რომ ადამიანი ერთი მუჭა მიწაა, სხეულის ჯებირებს შორის ჩაკრული, რომ ყველაფერი „სიზმარივით მიდის, სამარეა

<sup>7</sup>ანდრო თევზაძე. ლიტერატურული წერილები. თბილისი, 1962, გვ. 88-90.



ჩვენი ყოფნის ბოლო“ მაგრამ არის რაღაც, რაც მიწიდან ზევით გეზიდება, რაც გასხამს ფრთებს, რომ მიეახლო ზეცას, რაც ადამიანში ვით ადამიანზე მეტია და რასაც სული ჰქვია. „ამაოა და ყოვლადურები ყოველგვარი გულმოდგინება, ყოველგვარი ღწვა და გარჯა, თუ არ მივიღებთ შემუსვრილი სულის წიად სიყვარულისკენ“ - წერს წმინდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი. გრანელის სულის გადაღმა კანდელი ელავს, („სულის გადაღმა ელავს კანდელი“) კანდელი რწმენისა, სასოებისა და ღვთისადმი უდიდესი სიყვარულისა: „დავალ ქვეყანაზე როგორც შერისხული, შენი ზვარაკია, ღმერთო, ჩემი სული“.

ტერენტი გრანელი აკაკი ანდრიაშვილისადმი მიწერილ წერილში წერდა: „მე შეიძლება მალე მოვშორდე მიწას და წავიდე ზეცისკენ, ეს იქნება გარდაცვალება მე დავიღალე გრძნობისაგან და ესლა დროა, გადავეშვა მარადისობის გარინდებულ უფსკრულში“. წმიდა მამა ამბროსი ოპტელის თქმით, მარადისობაზე ფიქრი, ყოველგვარი დროებითი სასჯელის, მწუხარების, ტყვეობის, დევნის, ჭრლობების, წყევლის, სიმწრის, შეურაცხყოფის, მშვიდად დათმენის ძალას გვანიჭებს. მარადისობა სიკვდილის შემდეგ დაწყებული სიცოცხლეა, გრანელის სიტყვებით-„სიცოცხლე სხვანაირ სახის“. მარადიული ყოფის ძიება პოეტისთვის არამარტო უფალთან მიახლოების, არამედ ხსნისა და გადარჩენის საწინდარია, რადგან უფლის წიადში მოიპოვება მარადისობა და მხოლოდ უფალშია ხსნა. „მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან, ვით მგლოვიარე სერაფიმი და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც დამიხსნის მე განსაცდელისაგან“ გრანელის ეს სიტყვები სრულიად ეწინააღმდეგება და ბუნებრივია, ვერ ეთვისება შეგნებას მეოცე საუკუნის ოციან-ოცდაათიანი წლების ადამიანებისა, რომელთა მთელი ეთიკა ინსტიტუტურ მისწრაფებამდე დაიყვანება და რომლებიც ნიცშეს კვალობაზე ამტკიცებენ - „მე მხოლოდ სხეული ვარ და არაფერი სხვა რამ ამ სხეულის გარდაო“.

პავლე მოციქულის წერილში რომაელთა მიმართ ვკითხულობთ: „რომელნი-იგი ხორციელად არიან, ხორცთასა ზრახვენ, ხოლო რომელნი-იგი სულიერად არიან-სულისასა, რამეთუ ზრახვაი იგი ხორცთაი სიკუდილ არს, ხოლო ზრახვაი იგი სულისაი ცხოვრება არს და მშვიდობა“ (რომაელთა მიმართ. 8, 5-6) „ხორცი-ვითარცა მიწა, სული-ვითარცა ზეცა“ -წერს ნეტარი ავგუსტინე. იოანე ოქროპირის თქმით, „სული მსუბუქია და ფხიზელი, მაგრამ ხორცი ამძიმებს მას, პირველი ზეცად ისწრაფვის, მეორე მიწისკენ მიიზნიქება“. „სული თოვლია და ხორცი ლეში“. „ეს ხორცი კვდება, მხოლოდ სულია,„ „სული სხეულის ჩუმი ტუსადია“. „ასე მგონია სულთან ახლოა, ცისფერი შუქი მარადისობის“. „სული გაფრინდა თეთრი მტრედით, სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე,„ „ტანი სიმძიმეა“ „ტანი ციხეა“ გრანელის ეს სტრიქონები წმინდა წერილისეული და წმიდა მამებისეული სიბრძნის პოეტური ვარიაციებია. გრანელს დღემუდამ თვალწინ უდგას „სიკვდილის ყვითელი მანტია“. მან იცის, რომ „სიცოცხლე არ ღირს“. მისთვის ნათელია სიკვდილის გარდუვალობა („რას ვიზამ, სიკვდილს ვერ გავექცევი“) რომ „მოვა სიკვდილი“ და მისი სიცოცხლე „სანთელივით უმალ გაქრება“. სიკვდილი გრანელისთვის ხორციდან, წამებიდან ხსნაა („და წამებიდან ესლა მხოლოდ სიკვდილი მისხნის“) წმინდა მამები გვამცნობენ, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგ წარდგება უფლის წინაშე. ლექსებში „მიცვალებულის დღიურიდან“, „ჩემო ზოზია, მე წავალ მალე“, გრანელი სიკვდილის შემდეგ უფალთან შესხვედრას, ღვთისმშობლისა და ანგელოზების მიერ მის დატირებას გამოხატავს.

თითქმის უძილო თვალებით, განივთებულ სიკვდილს დაატარებდა, რაც მარადიულ სიცოცხლეზე ფიქრით იყო გაჯერებული. ის საშველს სხეულიდან გასვლაში ხედავდა. „და მე ნათლად ვგრძნობ, რომ სიკვდილი მიშველის, ო, სიკვდილი მიშველის („სიშორე“, გობრონ აგარელს).

სიკვდილის ხსოვნა, ეს არის ზალა, რომელიც არა მარტო გვარიდებს ცოდვას, არამედ განგვამტკიცებს კიდევაც ცდუნებებთან და ცოდვასთან ბრძოლაში. რა თქმა უნდა, სასარგებლო გამოცდაა, მოკვდე ყოველდღე, როგორც აკეთებდა ამას პავლე მოციქული:

გახსოვდეს სიკვდილი, ყოველ წუთს გრძნობდე, რომ მზად ხარ მასთან შესახვედრად. ეს განცდა არის გამბედაობის წყარო.

ღირს იოანე სინელი (კიბისაღმწერელი) გვარწმუნებს: „ხსენება სიკვდილისა არს მარადლე სიკვდილი და ხსენება სიკვდილისა არს სულთქმა სამარადისო“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიკვდილის ხსოვნა სტატიკური პროცესი კი არარის, არამედ ნაყოფიერი მუშაობაა, რომელიც აიძულებს სიცოცხლისუნარიან და კეთილგონიერ ადამიანს, ყოველდღე იფიქროს, რომ ის უფრო მკვდარია, ვიდრე ცოცხალი. ღირსი იოანე დიდად განცვიფრებულია იმით, რომ წარმართი ფილოსოფოსებიც კი (პლატონი) ფილოსოფიას განსაზღვრავდნენ, როგორც სიკვდილზე ფიქრს.

ღირსი ეგრემ ასურიც გვირჩევს: „ძმაო, ჩემო, ყოველ წუთს ელოდე აღსასრულს და მოემზადე ამ მოგზაურობისთვის, ვინაიდან საშინელ ბრძანებას მაშინ მიიღებ, როცა არ ელი და ვაი, მას ვინც აღმოჩნდება მოიუმზადებელი. გახსოვდეს საყვარელო საშინელი სამსჯავრო. ამის ხსივნა შენთვის დიდი დასაყრდენი ძლიერი წამაქეზებელი ქინება კეთილშობილურ ბრძოლაში, რათა წარმატებით აღუდგე წინ შენს სულზე თავდამსხმელებს. „მარადიული ხსოვნა სიკვდილისა, ანუ სწორი და ჯანსაღი აზრი ჩვენი ამ სოფლიდან გასვლის შესახებ, არის კეთლი მოძღვარი, როგორც სხეულის, ასევე სულისათვის. ეს ხსოვნა გონებას აფხიზლებს, ღოცვას ყურადღებიანს ხდის და ცოდვისაგან განგვაშორებს მას იმდენი სარგებლობა მოაქვს ადამიანისთვის, რომ სეიდლება ითქვას: „ყოველი სათნოება, ცოცხალი და ქმედითი, მისგან მომდინარეობს“.

ციცერონის თანახმად, სიკვდილისთვის თავის შემზადება ფილოსოფოსობაა. განსწავლულობა და გონითი ჭერება ჩვენს სულს მიწიერი „მეს“ მიღმა უხმობენ, მათ ძალუძთ სულის გაყვანა სხეულიდან; ეს ერთგვარად სიკვდილის შეცნობა, მასთან მიახლებაა. („მე წუხელ მოკვდი შეუადამეზე, როდესაც კრთოდნენ ცის ვარსკვლავები“) ამქვეყნიური სიბრძნისა და განსჯის მტავარი მიზანი ადამიანებისათვის სიკვდილისადმი შიშის დაძლევის სწავლებაა.

თუ სიკვდილი შიშს შთაგვაგონებს, ჩვენ ვიტანჯებით („ყოველ ღამეს მოაქვს ფიქრი სიკვდილზე და სიძორეზე და მეშინია“) ჩვენი სიცოცხლის დასასრული სიკვდილია, იგია ჩვენს სურვილთა ზღვარი. (სიკვდილია ამ სიცოცხლის ბოლო“) (სერია „ვეროპული ძიებანი“ სტატიების კრებული-2008 მიშელ დე მონტენი „ფილოსოფოსობა, როგორც სიკვდილისათვის მზადება“ გვ. 185-200 თარგმნა დოდო ლაბუჩიძემ).

ურთულესი ცხოვრების მიუხედავად, გრანელს არასდროს უფიქრია თვითმკვლელობაზე. რაც ყოველთვის ახასიათებდათ მეღანქოლიკ და რწმენა შერყეულ პოეტებს. აქიდანაც ჩანს, რომ მასში მძაფრად იყო ღვთისადმი სიყვარული და სიკვდილის საიდუმლოს ამოხსნის შიში, განსხვავებით დოსტოევსკის ერთი თვითმკვლეელი გმირისგან, რომელიც ავტორს თვითონვე შეუთხზავს და „მწერლის დღიურში ერთი თვითმკვლეელი-რა თქმა უნდა, მატერიალისტი-კაცის წერილი. „მე ვერ ვიქნები ბედნიერი – წერს თვითმკვლეელი, – თუნდაც ყველაზე გულითადი და უზენაესი სიხარულის წუთებში-როცა მოყვასიც გვიყვარს და ჩვენც ყველას უყვარვართ-მე ვერ ვიქნები ბედნიერი, რადგან ვიცი, ხვალ ან ზეგ ყველაფერი განადგურდება. მე აღარ ვიქნები, აღარც ეს სიყვარული და ბედნიერება იქნება. მთელი კაცობრიობა არარაობად, პირვანდელ ქაოსად გადაიქცევა. ამ პირობით კი არამც და არამც არ შემიძლია რამენაირი ბედნიერება ვაღიარო, უბრალოდ იმიტომ არ შემიძლია, იმიტომ ვერ ვიქნები ბედნიერი, რომ ხვალ ან ზეგ ჩემს არსებობას წერტილი უნდა დაესვას. ეს შეგრძნებაა, ეს გულისხმა გახლავ და მეც უძღური ვარ მის წინაშე.“<sup>8</sup> ამ მდგომარეობას შეიძლება გრანელი დაეუპირისპიროთ „რომ მდომოდა სიცოცხლე, სიკვდილს არ ვიწამებდი“. სიკვდილი რწმენაა, ახალი, მშვიდი, უშფოთველი, მარადიული სიცოცხლის რწმენა („სული ვერ უძღებს ღამის ნაპრალებს, ო, სიბნელეა და

<sup>8</sup>ვიკენტი ვერესაევი. სიცოცხლით სავსე სიცოცხლე. თარგმნა ავთანდილ ჯოხაძემ. თბილისი, 2006, გვ. 14.

გულგრილობა. კრულვა ჩემს ოთახს, კრულვა ჩემს თვალებს, თვალებს, რომელთაც სწავს უძილობა“. „ღამე თვალებში) სიკვდილის გრანელისეული გაგებით შეიძლება თავი დააღწიოს სიბნელეს და გულგრილობას, მაშინ, როდესაც სიცოცხლეში მკვდრებით გაივსო ქვეყანა („ციმციმებს სიკვდილის ფერი“- „ზამთრის ბარელიეფი“) – („მე ხანდახან თავი მკვდარი მეგონება და ეს ქვეყანა მხოლოდ სიზმარეთი“- „ცრემლი შუაღამის) ადამიანები ქვეცნობიერად საკუთარ საფლავს დაატარებენ, („მოგონებების ქრიან ლანდები და საფლავები მე წინ მიმიძღვის.“) ვინც ღირსეულად გაივლის კუთვნილ ცხოვრების გზას, მისთვის- („სულის გადაღმა ელავს კანდელო“). წმიდა ათანასე დიდი თავის თხზულებაში „ქალწულებაზე“-გვიჩვენებს: „მარადჯამს გახსოვდეს ამქვეყნიდან განსვლა, ყოველდღე მოიხსენე სიკვდილი, რომლისთვისაც უნდა ემზადებოდე“.

წმიდა იოანე კიბისაღმწერელიც გვასწავლის: „დაე სიკვდილზე ფიქრი შენთან ერთად და შენთან ერთად აღდგებოდეს“. ღვთისმოსავი ადამიანისთვის, რომელიც ყველაფერს მარადიულობის ფონზე აღიქვამს და განსჯის, სიკვდილის ხსოვნა ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების უცილობელი პირობაა. იგი მუდმივად აღძრავს ადამიანს ცოდვასთან საბრძოლველად. („შენსკენ მოვდივარ ერთი და მესმის რეკა ზარის. სიკვდილი მომდევს გვერდით და ვარ მოღლილი მეზავრი“- „მოგონება შორეულზე“). მესამე გზის მაძიებელი სული, რომელიც იმქვეყნიური ცხოვრების მტკიცე იმედითა და ნანატრი სამოთხის ტკბილი წინათგობით ცხოვრობს, ცდილობს მარადიულად ჰქონდეს სიკვდილის ხსოვნა. ზირაქის სიბრძნეში ნათქვამია - „ყოველთა შინა სიტყვათა შენთა მოიხსენებდი უკანასკნელსა შენსა“ (ზირაქი. 7-36) („მოდის ზამთარი, თოვლი და ყინვა, თოვლის და ყინვის ცისფერი წვეთი. სწეული სახე სიკვდილის წინ ვარ, სიკვდილის წინ ვარ მე, როგორც გედი.“ - „ზამთრის მოახლოება) ვისთვისაც მიწა მხოლოდ სიკვდილისთვის მზადებაა, ის გაურბის ხმაურიან სიცარიელეს და გარდაცვალების მოლოდინშია. („და გაფრინდა ლოცვა ციდან მონაბერი, დაო, მოვიქანცე მე ღამის თენებით. ახლა ქვეყანაზე არ მსურს არაფერი, არ მსურს არაფერი, გარდა მოსვენების“ - „მკვდარი სურვილები“) სამუდამო დასვენებამდე კი უამრავი ყორნისფერი ღამეებია- („როგორც ყორანი, გაჩნდება ხვალეც ღამე ასეთი და უფრო გრძელი. წმინდაო ღმერთო! მე დავიღალე, რა არ ვიფიქრე, რა არ ვიგრძენი. „შემოდგომის პასტორალი“).

ყოველი ადამიანის დანიშნულებაა, იყოს პირველსახესავით სრულქმნილი. ღვთის ხატად შექმნილი, გახდეს ღვთის მსგავსება, რაც გოლგოთის გავლით შეუძლებელია. გრანელის გზა ჯვარზე იყო გაკრული და იესოსეული მოთმინებით ატარებდა უპოვარების, მიუსაფრობის, მარტოსულობის, დამცირების და შეურაცხყოფის უღელს, რაც განდმრთობით მთავრდება („ეს ნარცისები ისევ მე მინდა, დაო, ძლიერო და უწმინდესო! და სასიკვდილო თეთრი ცრემლიდან მე ვიხედები, როგორც იესო. „შემოდგომის პასტორალი“).

ტერენტი გრანელისთვის პოეზია, როგორც საკუთარი თავის, ისევე ღმერთის შეცნობის საშუალება უნდა გამხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, ახლობლებთან ერთ-ერთ საუბარში მას ასე განუმარტავს პოეზიის მნიშვნელობა:

„პოეზიის საგანი ადამიანის სულის საიდუმლოთა ამოხსნაა. საიდუმლოებისა და მარადიულობის ამოცნობის შეგნება უნდა გაუღვიძოს პოეზიამ ყველას.“ მან დიდი გულწრფელობითა და საკუთარი თავისადმი განსაკუთრებული დაუნდობლობით შეძლო აესახა ყოველდღიური რეალობისა ტრანსცენდენტური სამყაროს შეჯახების სურათი, რომელმაც მისი სულის შინაგანი რღვევის გარდაუვალი და საბედისწერო პროცესი გამოწვია: „ვიღუპები, არიქნება შევლა, ცხოვრებას და პოეზიას შუა“ („ეს ოცნება სარკესავით ელავს“). ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს ტერენტი გრანელის შემოქმედებას, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, თუ როგორი კვალი დატოვა მისმა პირადმა სულიერმა დრამამ მისსავე შემოქმედებაზე. თუ როგორი ინტერესით ჩაუღრმავდა იგი ადამიანური არსებობის ყველაზე პირქუშ მხარეებს: სიკვდილის მოახლოებას, სიღარიბეს, მარტოობას, ღამის ბნელ კოშმარებს. მის სულში უღონობა და უმოქმედობა საშინელ ვნებათა ღელვას შეეჯახა, რის

გამოც პოეტი გაორებულია, მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი მოიშალა. დემონური საწყისი დაუპირისპირდა ადამიანურს სიბნელე-სინათლეს, სიცოცხლე კი დათრგუნული და იმედდაკარგული სულის სიცარიელეს.<sup>9</sup>

დედამიწაზე შური, მტრობა, ღალატი და სიკვდილია გამეფებული, ამიტომ პოეტმა სხვა, ახალი გზის ძიება დაიწყო. მან გეზი კოსმიური შრეული სივრცისაკენ აიღო: „ცრემლი არ მომდის, მაინც მე ვტირი და შორეული სივრცე მიტაცებს“) რატომ ანიჭებს პოეტი უპირატესობას ცას, ლაჟვარდებს? იმიტომ, რომ „ციდან მოდიან განთიადები, სადამოები ქრიან მიწიდან“. ცა ტერენტი გრანელის სულიერი სიმშვიდის საუფლო განთიადებს, ლაჟვარდებს წარმოშობს, მიწა პოეტის იდეალთან კონფლიქტის შედეგად ნახევრადუარყოფილი, სადამოს, სიბნელეს ბადებს. ამიტომ იგი არა სიცოცხლეს, არა სიკვდილს, რაღაც მესამეს ეძებს, რაც თავისთავში გულისხმობს მართლის გარდაცვალებას, რადგან: „მე მინდა გაფრენა, მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი“. განღმერთობა კი გოლგოთას, ჯვარცმას და მკვდრეთით აღდგომას მოითხოვს. ტერენტი გრანელის მიწიდან გასვლის იდეას შეეხო პროფ. დ. კობიძე. მეცნიერმა სცადა პოეტის მისტიციზმისათვის პრაქტიკული გამართლება მიეცა. იგი წერს: „ტერენტი გრანელის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს გაფრენის, მიწიდან გასვლის იდეას. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არ არის მხოლოდ პოეტური, „ანგელოზური გაფრენა.“<sup>10</sup> გრანელი ნამდვილად ფიქრობდა ადამიანის გაფრენაზე. იგი კარგად იცნობდა დიდი რუსი მეცნიერის ციოლკოვსკის მოძღვრებას და ხშირად კითხულობდა: „ნუთუ კაცობრიობა ვერ მიაღწევს იმას, რომ გაეშორდეთ მიწას, ვნახოთ სხვა პლანეტები, გავიგოთ, როგორია ისინი, ცხოვრობენ თუ არა იქ გონიერი არსებანი?..

მკვლევარმა ა. ჟორდანიამ ალბათ სამართლიანად დაუკავშირა ტერენტი გრანელის ღმერთის ძიების წყურვილი დანიელი ფილოსოფოსი-მისტიკოსის კირკეგორის ზოგიერთ შეხედულებას. მკვლევარი დამაჯერებელ პარალელებს ავლებს კირკეგორის ფილოსოფიურ ნააზრევსა და ტერენტი გრანელის პოეზიის ნიმუშებს შორის: „კირკეგორის აზრით, ადამიანმა აუცილებლად უნდა გაიაროს ტანჯვისა და განცდის გზა. მხოლოდ ამის შემდეგ, აღმაფრენის წამებში შეუძლია მას აღმოაჩინოს ღმერთი საკუთარ თავში და თქვას: „ეს მე ვარ ღმერთი ასეთი განცდების ქაშის იწერება: „წამი აღმაფრენის და ფიქრი ნაჩვევი. ღმერთო! გამაფრინე და ქრისტე მანვენე.“<sup>11</sup>

ტერენტი გრანელის პოეზიაში მიწიდან გასვლის სურვილი უმეტეს შემთხვევაში ქრისტეს ცნებას, მის სახელს უკავშირდება. იქ, უცხო სამყაროში, მხსნელად და მფარველად პოეტს ქრისტე ღმერთი ეგულება. „როგორც ქრისტე ვიხედები მალა, ალბათ ჩემთვის ამზადებენ კუბოს, მინდა ფრთები და მიწიდან გასვლა, და გაფრენის სურვილია უფრო. რუდოლფ შტაინერის მიხედვით, „მისტიკისათვის, უპირველეს ყოვლისა, მთავარი და მნიშვნელოვანი სწორედ ის განწყობაა, რომლითაც იგი უზენაესს უახლოვდება“.<sup>12</sup> ბერძენი ფილოსოფოსებისათვის ადამიანი ერთგვარი გარდამავალი არსებაა მიწიერსა და ღვთაებრივს შორის. როდესაც სხეულს მიატოვებ და თავისუფალ ეთერად ამადლდები, სიკვდილგანრიდებული უკვდავ ღმერთად გარდაისახები (ემპედოკლე).

ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე, ეგვიპტის მეფის პტოლემეაიოსის ბრძანებით, ებრაულიდან ბერძნულ ენაზე ითარგმნა ბიბლია. პტოლემეაიოსი, იმ დროისათვის მეტად განათლებული იყო, ცდილობდა შეეცნო ჩემშიარტება, სიკეთით ეპყრობოდა მტრებს. გადმოგვცემენ, რომ პტოლემეაიოსი ტავის სასახლეში ნადიმებს აწყობდა და წარჩინებულებს იწვევდა. წვეულების ბოლოს სუფრაზე მოჰქონდათ ზვირფასი ქსოვილით დაფარული ლანგარი. ყველას ეგონა, რომ ეს განსაკუთრებული, უგემრიელესი კერძი იყო. ნადიმის ხელმძღვანელი გადახდიდა ლანგარს და აღმოჩნდებოდა, რომ მასზე ადამიანის თავის ქალა

<sup>9</sup> ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა.— ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“, 2009, №21, გვ. 15-18.

<sup>10</sup> რამდენიმე სიტყვა ტერენტი გრანელზე— ჟურნალი „კრიტიკა“, 1981, №3, გვ. 120-121.

<sup>11</sup> აპ. ჟორდანი. როცა პოეზიაზე ფიქრობ. თბილისი, 1977, გვ. 123.

<sup>12</sup> რ. შტაინერი. ქრისტიანობა, როგორც მისტიური ფაქტი და უძველესი მისტერიები. თბილისი, 1994, გვ. 24.

იყო. წვეულების ხელმძღვანელს ხმამაღლა, ყველას გასაგონად უნდა ეთქვა: „მეფევე, ნუ იამაყებ, გახსოვდეს, შენ ღმერთი არა ხარ, მოკვდავი ადამიანი ხარ მხოლოდ“.<sup>13</sup>

გრანელის პოეზია, სიკვდილთან შეხვედრის გარდაუვალი პირობაა. ეს არის მზადება არა სიკვდილისთვის, არამედ გარდაცვალებისთვის („მე ხანდახან თავი მკვდარი მეგონება, და ეს ქვეყანა მხოლოდ სზმარეთი“ „ცრემლი შუაღამის) („ჩემი გზა მიდის სამარისაკენ და ნაპრალებთან წევს სავი ღამე“ „მოგზაურობა თბილისისაკენ“) („ო, ეს სიყვითლე, სიყვითლე ყველგან და მეც სიკვდილი მიახლოვდება“ „შემოდგომა მინდვრებში) („გრძნობის კოცონი ისევ ძლიერდება, და გრძელი ღამე ჩემი სიკვდილია“ „ღამის მოუსვენრობა) („სხვაგვარ დუმილით ვუსმენ მუსიკას და ახლა სიკვდილი ასე ადვილია „მაღალო ცაო) რამდენადაც საშინელი და ამაზრზენია ცოდვილთა სიკვდილი, იმდენად უშფოთველი და ნეტარია მართალთა სიკვდილი. დავით მეფსაღმუნე ამტკიცებს, რომ წმინდა ადამიანების არა მარტო სიცოცხლე, არამედ სიკვდილიც კი გვირგვინისა და პატივის ღირსია. „პატიოსან არს წინაშე უფლისა, სიკვდილი წმიდატა მისთა“ (ფს. 105, 6) ალბათ ამიტომაც იყო გრანელისთვის სიკვდილი ადვილი, რადგან დაბადებიდან მასთან შესახვედრად ემზადებოდა.

ქრისტემ ჯვარზე გაკვრით სძლია სიკვდილს და მართლებს მასთან მისასველი გზა გაუადვილა. ტერენტი გრანელმა სიკვდილის ხსოვნით დაამარცხა იგი და ძეგლიც დაუდგა, წარწერით „მემენტო მორი“... (...ჩემი გული და სისხლი ეს „მემენტო მორი“-ა).

## **Paata Kvaratskhelia**

### **Death in Terenti Graneli's poetry**

#### **Summary**

The article deals with the eternal problem of life and death. This vital issue is discussed as the two main mysterious and thrilling events of life. According to different ancient and modern authors, bishops and philosophers, life and death, passing away – the eternity of the soul and such like issues are rather mystical, as nobody could explain it properly yet. A phenomenon of death has been discussed differently since time immemorial. Humans have been interested in mortality of a human being, while animals can not realize that every animate being ends its life with death.

The main goal of this article is to analyze how death was perceived and realized by the famous Georgian poet Terenti Graneli, whose life motto was: 'Memento Mori'... it is said in this article, that the poet defeated the death by remembering all his life the mortality of the human being and immortality of his/her soul, like the Christ defeated death by his crucifixion ...

---

<sup>13</sup> ივეტა წითაშვილი. ქრისტიანული სიმბოლიკა ტერენტი გრანელის პოეზიაში. დისერტაცია. 2004, გვ. 108-110.

# თარგმანმცოდნეობა







მორწმუნეთა“ არის დედნის შემდეგი წინადადების  
„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).

მარცვალთა რაოდენობრივი ურთიერთმიმართება ბერძნული დედნის ტროპარსა და თარგმანს შორის ასეთია

ბერძნული: 7 13 10 7 11

ქართული: 7 13 11 7 11

მომღმერთი... მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).  
„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).  
„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).

დმრთისა გამოსახულთა / ფიცართა რაჟამს წერდა მონად მისი მოსე, / დაფარა ნისლმან სადმრთომან, ხოლო შენ, სანატრელო, / შესწირვედი დმრთისა მსხუერპლთა სათნოთა.

„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).  
„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).  
„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).  
„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).

ბერძნული: 7 14 10 7 11

ქართული 7 13 10 7 11

„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).  
„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).

შენ. რომელი პირველ შობად შენადმდე სახელით გამოუჩნდი დედასა, / გრიგოლი, რომელ არს ბრძენი ბრძენთად, / ამისთვისცა შემსგავსებულად გიდალაღებთ დღეს: გიხაროდენ, დმრთისმეტყუელო.

მთარგმნელი ამ შემთხვევაში ცალკეულ ტროპარებში მარცვალთა რაოდენობის დაცვას ზუსტად ვერ ასერხებს თუმცა საერთო რაოდენობა შეძლებისდაგვარად შენარჩუნებულია.

ბერძნული: 12 12 7 5 5 5 9 55

ქართული: 11 7 6 7 9 13 53

„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).  
„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).

„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).  
„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).

7)

„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).  
„მომღმერთი...“ მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია. (ჩვენთვის ტანჯვის გამო რომ გარდამოუვიდა სისხლი უფალს).

სამებისა ნათლითა წყაროდ მართლისა სარწმუნოებისად

ეს თარგმანი მთლიანად წინადადების დინამიკური, აზრობრივი ეკვივალენტია. ბერძნული ფრაზა სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: „სამების შთაგონებით სარწმუნოების დოგმათა უხრწნელო წყარო.“

შემდეგ მაგალითებსაც მთარგმნელის ტექსტობრივი ინტერპრეტაცია შეიძლება ვუწოდოთ.

8) ჭდჰ⊖ ◊◆■ℳ⊖□⊕□□■ ●დღ◊◆■ ႁდჰ⊖○დჰ⊕ □ℳ⊕⊖□⊕⊗ (III<sub>2</sub>) 12 მარცვალი

თანაშეწევნითა სულისა წმიდისადათა. 13 მარცვალი (როცა მიიღე ღვთიური სასწაულების შეწვენა) – ამგვარია ზუსტი თარგმანი.

9)

□⊙ ◊□⊖■ □◆ღ ●ℳ□◆□⊖■ ℳ⊕ღ⊕◆◆⊖■დჰ უ■□⊖ႁ□■ ჭდჰ⊖ ◊⊙⊗  
ℳღღ □ℳ⊖◆□დჰ ℳღ⊕⊕□□ℳ⊖◆⊕დჰ □ღ□⊕⊕⊕”დ (IV<sub>2</sub>).

შენ, გრიგოლი, შეხუედ ნისლსა მას / შეუვალსა, ვითარცა მოსე კლდესა შინა, და მსგავსად მისა იხილე უხილავი იგი.

დედნის ტექსტში მოსე არ იხსენიება. სტროფის შინაარსი ასეთია: შეხვედი გაუვალ ნისლში და როგორც კლდიდან (მოსემ) იხილე ზურგიდან (დმერთი), ქართველი მთარგმნელი კი აზუსტებს ინფორმაციას, რომ მოსემაც კლდეზე იხილა უფალი. განსაზღვრება „უხილავი იგი“ მთარგმნელის ჩამატებულია.

10)

◊◆უღℳღ□დ○ℳ⊖■ℳ■ ◆⊙●⊕ღℳ” დ“◆⊙●□■ ႁ◆⊖◆⊕■⊕ ჭდჰ⊖ დღ⊕  
◆უႁ◆⊖◆□◆ ○⊕⊗ℳ⊕⊗ ႁ□ℳ○დ◆⊕⊖◆დჰ  
◆ℳ○დ⊖◆◆□ (IV<sub>2</sub>).

და ჰქადაგე უსხეულოდ სხეულთა შემოსეულად

(განაცხადე, წინამძღოლო, უსხეულო ბუნების ნივთიერთან შეერთება (როგორც) შეურევნელი შეერთება). ასეთია დედნის ზუსტი თარგმანი. ქართველი მთარგმნელი ამოკლებს ბერძნულ ტექსტს და დინამიკურ ეკვივალენტურ თარგმანს იძლევა.

11)

ღ⊕●⊕◆ ◆”⊕ □◆□⊕⊖ ◆ℳ”⊗ ႁℳ□□◆⊕⊖დჰ⊕ □დ○○დღდ⊖□⊕◆◆ℳ  
ႁ□ℳუ□⊖□⊕ℳ⊕ □□□⊕□□◆⊖◆დჰ  
ღდ□დ□□⊖◆ℳ◆⊕ ■□◆” ჭდჰ⊖ ⊕◆ႁℳ”⊗ დღ□●ℳ⊖◆◆⊕⊗ დ◆ღ◆□ႁℳ  
⊕□⊕⊖ ◆□⊖ ◆□⊕●დ○□ℳ⊖⊗ ℳღ⊕ℳ⊖◆◆●ℳ⊕⊗ ႁ”⊗  
⊕ღ⊕□□ℳ⊖დ◆□■ (V<sub>2</sub>).

ნათელსა მას ბრწყინვალეებისასა, მიმსგავსებულსა / ღმრთეებისასა, სიწმიდითა / სულისა და გონებისადათა / შეუდგე, გრიგოლი, / და გულის ჳმაჳყავ ძალი / სამებისა წმიდისა.

ყურადღებას შევაჩერებთ კომპოზიტზე „ႁℳ□□◆⊕⊖“ (ႁℳ□⊖⊗ □◆□ℳ⊖◆  
აღზნება, აღძრვა). ეს სიტყვა ქართველ მთარგმნელს ზუსტად არ გადმოაქვს და სრულიად სხვა ინტერპრეტაციით თარგმნის.

„□“●⊕◆ ◆◆⊕⊕ □◆□⊕⊖ ◆ℳ”⊗ ႁℳ□□◆⊕⊖დჰ“. „ნათელსა მას  
ბრწყინვალეებისასა მიმსგავსებულსა ღმრთეებისასა სიწმიდითა“.  
„◆□⊖ ◆□⊕●დ○□ℳ⊖⊗ ℳღ⊕ℳ⊖◆◆●ℳ⊕⊗ ႁ”⊗ ႁღ⊕□□ℳ⊖დ◆□■“ (ღვთის  
თანასწორი სამების სინათლე გაახანგრძლივე). და გულისჳმაჳყავ ძალი სამებისა წმიდისა“. აქაც მთარგმნელი დედნის ტექსტს განსხვავებულად გაიაზრებს.

ბერძნული: 5 14 13 7 8 6

ქართული: 14 8 9 7 7 7

დედნისა და თარგმანის ტროპარებში 53 მარცვალია.

ღ⊕⊕⊕ ღ⊕◆◆⊙□□ღ□◆⊖ႁ⊕□⊗ ◆დჰ”⊗ ႁ□ℳ⊕⊕⊖■ □◆ღ უ■ℳუ□■◆  
⊖⊗ ჭℳ◆□○◆”⊕⊗ ႁℳ⊕⊖□◆ ℳღ□ℳ◆◆ℳ⊖◆⊕⊗ ႁ◆□□◆” ℳღღ⊕ℳ⊖

◆◊◆❖◆◆■ ◯ღ□უღ□ჩ❖◆◆■ დე□◆◆ღ❖○მ■□ჴღ ◆◆❖ ◆◆”ღ ზმ.□□  
❖◆◆■ღ ჳღჩ= ◆ჩუჴ=■ ◆“□მ□ ●□=უ□■ღ ჴ□ჴუ□❖□ჩმ ◆მ.❖□◆  
ღღჴ □ღღღ❖□ჩ◆◆მ (VI<sub>1</sub>).

„შენ, რომელი შეხუედ / ღმერთებისა უფსკრულსა, / რაჟამს-იგი ჰდელევედ მასში / და არაჲ დაინთქ სიდრმესა / მისა, გრიგოლი, / არამედ მიერ მოედე მარგალიტი / უსასყიდლოდ და განუყავ იგი ნიჭად კაცთა.

ეს ტროპარი საყურადღებოა მხატვრული შინაარსით. მასში რეალური ფაქტობრივი მოვლენა წმინდა მამის ზღვის დელვაში მოხვედრა გააზრებულია სიმბოლურად, როგორც ღვთიური საიდუმლოს სიდრმეებში ჩაძირვა. დედანში ეს შინაარსი რთულად არის გადმოცემული.

„ღ ◆◊□□ღ□◆❖◆ჩ□ჴ ◆ღჩ”ჴ ო□მ.◆ჩ=■ □◆ღ უმ უ□■◆❖ჴ“  
იგულისხმება: შენი გონების წყლით დაფარვა არ მოხდა. ბერძნული დედნის ფრაზის შინაარსი ქართულ თარგმანში ვრცლად არის გადმოცემული: „რაჟამს-იგი ჰდელევედ მასში / და არაჲ დაინთქ სიდრმესა“.

საინტერესო ინტერპრეტაციაა  
„ღღჩ= ◆ჩუჴ=■ ◆“□მ□ ●□=უ□■ღ ჴ□ჴუ□❖□ჩმღ ◆მ.❖□◆ღღჴ  
□ღღღ❖□ჩ◆◆მ“ წინადადების თარგმანი „მოიდე მარგალიტი უსასყიდლოდ და განუყავ იგი ნიჭად კაცთა“. დედნის შინაარსი კი სხვანაირია (დუმილი, ვითარცა სიტყვა, გრიგოლი, განუწესე).

ამ წინადადების კომპოზიტი „□ღღღ❖□ჩ◆◆მ“ (ყოვლად საუკეთესო) არ არის ქართულად გადმოტანილი.

ინტერპრეტაციის ნიმუშია ასევე:  
13)

ღე■□□ႂ□❖□□■ ◆ჴ=■ ◆□ღმჩჴ”ღ■ დ“□ღ◆■ მ ჴღმჩღღღჴ (VII<sub>1</sub>)  
(აყვავებულ კლდეთა მომრწყევლად გამოჩნდი) ქართულ თარგმანში კი გვაქვს „მოპრწყე ცის კიდენი და ნაყოფიერ ჰყვენ და სწავლად სულიერი კაცთა ასწავე“.

14)

◆◊◆=ჴ ჳღ□□მ◆ჩ❖ჴ□◆ღჴ □◆□□❖ჴ ლღ●მ□◆❖◆მ□□■ ႂ◆◆”■◆ღ  
ჴ ႂ□□ღ”ღ მ◆ღ●მღმჩ❖ღღ  
ღღ◆მ□ჩ○□□ღ❖ჴ (VII<sub>1</sub>)

აღეგზნეს შენ ზედა მსგავსად / ცეცხლისა მწვალებელნი იგი, / ხოლო შენ დაშრიტენ იგინი წყლითა მით / სარწმუნოებისადთა უქცეველითა.

დედნის „მ◆ღ●მღმჩ❖ღღ ჳღ◆მ□ჩ○□□ღ❖ჴ“ (სარწმუნოებით დაწვი). „ლღ●მ□◆❖◆მ□□■ ႂ◆◆”■◆ღჴ ႂ□□ღ”ღ“ (მდაბიო ბუნების მატარებელი) ქართულად არ არის თარგმნილი.

ღღღღ ჴჴ”ჴ □მჩ□ღ◆ჩღჴ”ჴ □□ჩღჩ❖●ჴ ჴღ◆◆მ□ღ ჳღჩ=  
◆ჩღმ□ღ”ჴ ჳღ○ჩ❖□◆◆ ◆□= □◆”□ ჳღ◆ღ◆ღმ■◆◆❖◆■ მ◆ღ●ღღ  
◆”ჴღ ◆◆”■ □მჩ□ღ◆○”■ ◆◊□მღღ◆❖ჴ □□□❖ჴ □◆ღღღღ◆❖■ ჳ  
ღ■მ◆❖□◆ჴ ႂ□◆”■ (VIII<sub>1</sub>).

საწუმილი განსაცდელთა მრავალთაჲ / დაშრიტე შენ, გრიგოლი, / სარწმუნოებითა და აჰმადლდი შენ გონებითა ზეშთა სიმადლესა და ესრეთ იტყოდე.

ქართული თარგმანის „საწუმილი განსაცდელთა მრავალთაჲ ორიგინალის შესაბამისი ფრაზის შემოკლებაა. ბერძნულ ტექსტში ჩამოთვლილია მრავალი განსაცდელი, რაც გრიგოლ ღვთისმეტყველს შეხვდა, ქართველი მთარგმნელი კი ამ შინაარსს ამოკლებს და ამარტივებს. „◆◊□მღღ◆❖ჴ □□□❖ჴ □◆ღღღღ◆❖■ ჳღ■მ◆❖□◆ჴ”  
„აჰმადლდი შენ გონებითა ზეშთა სიმადლესა“ „შენ გონებითა“ მთარგმნელის დამატებულია, რითაც დედნის აზრი შეცვლილია.

16)

ⲁⲓ ⲛⲓⲙⲉⲗⲙⲁⲛ ⲥⲓⲃⲣⲁⲛⲓⲟⲩ ⲙⲟⲥⲁⲣⲥⲁⲩⲉⲩⲉⲧⲉⲛⲉⲗⲓ ⲛⲟⲩⲓ ⲛⲉⲛⲉⲗⲓⲁⲩ  
ⲛⲉⲛⲉⲗⲓⲁⲩ ⲛⲉⲛⲉⲗⲓⲁⲩ ⲛⲉⲛⲉⲗⲓⲁⲩ ⲛⲉⲛⲉⲗⲓⲁⲩ ⲛⲉⲛⲉⲗⲓⲁⲩ ⲛⲉⲛⲉⲗⲓⲁⲩ ⲛⲉⲛⲉⲗⲓⲁⲩ  
(IX<sub>2</sub>)

შენ რომელმან სიბრძნით მოსძარცვე საჭურველი იგი ძუელისა მის შჯულისაჲ  
„ⲛⲉⲛⲉⲗⲓⲁⲩ ⲛⲉⲛⲉⲗⲓⲁⲩ“ (შჯულის წერილის) „ძუელისა მის შჯულისაჲ“  
მთარგმნელი აზუსტებს, განმარტავს იმას, რაც იგულისხმება დედნის სიტყვებში.

გრიგოლ დვთისმეტყველისადმი მიძღვნილი კანონის თარგმანი, როგორც ვხედავთ,  
უმრავლეს შემთხვევაში დაშორებულია ტექსტობრივად დედანთან. დედანში გადმოცემული  
შინაარსი გამარტივებულია და შემოკლებული. ამ შემოკლებას და ნებისმიერ ცვლილებას  
განაპირობებს თვით ბერძნული ორიგინალის ტექსტობრივი სირთულე და რაც მთავარია,  
ძლისპირ-ტროპართა თანაფარდობის დაცვის აუცილებლობა. ამ უკანასკნელ პირობას  
ქართველი მთარგმნელი შესანიშნავად იცავს.

იადგარის თარგმანების ხასიათიდან გამომდინარე ჩანს, რომ ცალკეული სიტყვის  
დონეზე დედნის ზუსტი ანალოგის შექმნის შესაძლებლობას ქართული ენობრივი  
სტრუქტურა არ იძლევა. ამიტომ მთარგმნელი უპირატესობას ანიჭებს ზოგჯერ ორიგინალის  
შინაარსს და ზოგჯერ მის ფორმას. ამ თვალსაზრისის თანახმად კოზმას კანონის ქართულ  
თარგმანებში შეიძლება გამოვყოთ სამი ტიპის მაგალითები:

1) დედნის ტექსტობრივი და ფორმალური მხარე თარგმანში შექმნისდაგვარად  
ზუსტად არის შენარჩუნებული, 2) დედნის ფორმის დაცვას ეწირება მისი შინაარსი, 3)  
დედნის მარცვალთა რაოდენობის დაცვა არ ხერხდება და თარგმანი მხოლოდ  
ტექსტობრივად უახლოვდება ორიგინალს.

**Eka Dugashvili**

**Ancient Georgian Translation of the Hymnographical Canon dedicated to  
Gregory the Theologian**

**Summary**

In the translations of Cosma Jerusalem’s Hymnographical Canon dedicated to Gregory the Theologian  
one can evidently see that translator makes changes for keeping the form of the original, this fact is confirmed  
in separate strophe of the troparion in comparison with number of syllables between original and translation.

One troparion is added to translation of the Canon of Gregory the Theologian (in all lists of Iadgari)  
in every ode and is extended in content. It is equally noteworthy, that in the translation neologisms and  
composites of the original are given with interpretation of the translator of disregarded.

Three cases of translation are distinguished in the translation of the Canon of Cosma Jerusalem.

1. Translator as far as possible gives the text both with content and form adequately.
2. Translator changes original text by removal or spreading separate word or phrase.
3. Translator can’t exactly translate text of the original and gives distinctive interpretation by which is  
applied keeping the form of the original.

# სამართალი

## თინათინ წერეთლის საიუბილეოდ

მიწვლია უბრუნებლიძემ, სამართლის დოქტორი, პროფესორი

### სახელოვანი მეცნიერი იურისტი და საზოგადო მოღვაწე\* (დაბადებიდან 110 წლისთავის გამო)

თინათინ წერეთელი დაიბადა 1905 წლის 7 აგვისტოს (ძველი სტილით 25 ივლისს) ჭიათურის რაიონის სოფელ ცხრუკვეთში.

დედა – ქეთევან ჩიქოვანი – სათნო და კეთილი ხასიათით გამოირჩეოდა. მამა – ვასილ წერეთელი პროფესიით ექიმი იყო. საექიმო მოღვაწეობისას იგი დიდ ქველმოქმედებას იჩენდა. ამ მხრივ მისი პატიოსნება და გულთაღობა სანიშნოდ ითვლებოდა. იმავდროულად ვასილ წერეთელი საზოგადოებრივ და პუბლიცისტულ მოღვაწეობას ეწეოდა, ფართოდ და ღრმად განსწავლული იყო ფილოსოფიასა და პოლიტიკონომიაში. თავისი დროისათვის იგი მარქსის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ვასილ წერეთელი დიდხანს რედაქტორობდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის ჟურნალს – „მედიცინის მაცნე“. გარდაიცვალა 1938 წელს.

ვასილ წერეთლის ოჯახში ოთხი შვილი აღიზარდა – ერთი ვაჟი და სამი ქალი. თითოეულმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ჩვენი კულტურის სხვადასხვა სფეროში. უფროსი შვილი ბარბაღე (1901-1970) ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე იყო, მეორე შვილი ჩვენი იუბილარი გახლდათ, ხოლო მისი მომდევნო – აკადემიკოსი გიორგი წერეთელი (1904-1973), საქვეყნოდ აღიარებული დიდი მეცნიერი, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ფუძემდებელი, ფართოდ ცნობილი არაბისტი და ქართული სემიტოლოგიის პირველი მესვეურთაგანი. გიორგისთან თინათინს მარტო დაძმობა კი არ აკავშირებდა, არამედ აგრეთვე მეცნიერული და საზოგადოებრივი ინტერესების სიახლოვიდან წარმომდგარი ღრმა მეგობრობა; ორივენი ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლები იყვნენ, ორთავე ერთსა და იმავე დაწესებულებებში – აკადემიასა და უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ. ყველაზე უმცროსი წერეთლების ოჯახში იყო ელენე, რომელმაც, თავისი დებისა და ძმისაგან განსხვავებით, ბუნებისმეტყველება, კერძოდ, მიკრობიოლოგია ამჯობინა.

წერეთლების ოჯახი მუდმივ ხელმოკლეობას განიცდიდა. ამის მიუხედავად, მათ მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ. აქ ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართველ, რუს და უცხოელ კლასიკოსთა საუკეთესო ნაწარმოებები. ამ ნაწარმოებებს თავდავიწყებამდე კითხულობდა თ. წერეთელი, რომელიც იმთავითვე ამჟღავნებდა მხატვრული ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნებისადმი დაუოკებელ ინტერესს.

ვასილ წერეთლის ოჯახში სტუმრად ხშირად თავს იყრიდნენ იმდროინდელი ქუთაისის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები – მეცნიერები, მწერლები, მსახიობები. აქ ნახავდით აკაკი წერეთელს, დავით კლდიაშვილს, ნიკო ნიკოლაძეს, კიტა

\* წინამდებარე პუბლიკაციას საფუძვლად დაედო თინათინ წერეთლის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მასალები, რომლებიც 1975 წელს მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორმა (გამოქვეყნდა ჯერ ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ იმავე წლის პირველ ნომერში, ხოლო შემდეგ – 1977 წელს მეცნიერული წერილების საიუბილეო კრებულში – „იურიდიული ძიებანი“). მასში გათვალისწინებული და ასახულია, აგრეთვე, ცნობილი ქართველი და უცხოელი იურისტების დამოკიდებულება თინათინწერეთლის პიროვნებისადმი, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების უმნიშვნელოვანესი მხარეები, რაც გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ფართოდ გაშუქდა როგორც საერთაშორისო ფორუმებზე, ისე ქართული ტელევიზიის საშუალებით – მ. უ.

აბაშიძეს, გალაკტიონ ტაბიძეს და სხვებს. პოლიტიკა, ლიტერატურა, ხელოვნება – ასეთი იყო ოჯახის წევრთა სულიერი ინტერესების წრე.

ასეთ გარემოცვაში ყალიბდებოდა მომავალი მეცნიერის – თინათინ წერეთლის პიროვნება, მისი პირველი შეხედულებები ცხოვრების ავ-კარგზე, საზოგადოებრივი ვალის შეგნება, დაკვირვებულ და კრიტიკულად მოაზროვნე გონება. ამას თან ერთვოდა თანდაყოლილი ნიჭიერება და დიდი შრომისმოყვარეობა. თინათინ წერეთლის ამ თვისებებმა თავი იჩინა გიმნაზიაში სწავლისას.

თინათინ წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა გიმნაზიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კითხულობდა მოხსენებებს ლიტერატურის, ისტორიის თუ ხელოვნების ისტორიის საკითხებზე.

გიმნაზია თინათინ წერეთელმა თავისი ასაკისათვის კარგად მომზადებულმა და ინტელექტუალურად მოწიფულმა დაამთავრა. სწავლას გადაგებულმა მეცნიერების დაუფლება გადაწყვიტა თბილისის უნივერსიტეტში, რომელიც იმ დროს თავისი არსებობის სულ რამდენიმე წელს ითვლიდა. თ. წერეთლის წინაშე პროფესიის შერჩევის რთული ამოცანა წამოიჭრა. საბოლოოდ, 1922 წელს იგი თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილების სტუდენტი ხდება. ამ ფაკულტეტის ერთ-ერთი წამყვანი პროფესორი იყო ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, წარსულში გამოჩენილი დამცველი პოლიტიკურ საქმეებზე. იგი ივანე ჯავახიშვილის წინადადებით მიწვეული იქნა თბილისის უნივერსიტეტში, რათა სათავეში ჩასდგომოდა იურიდიული კადრების მომზადებას.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან სიახლოვემ, მასთან მეცნიერულმა თანამშრომლობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა თ. წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულების განსაზღვრაში. 35 წლის შემდეგ თ. წერეთელი თავის ყველაზე უმთავრეს ნაშრომს – გამოკვლევას მიზეზობრიობის შესახებ სისხლის სამართალში მისი საყვარელი მასწავლებლის ლ. ანდრონიკაშვილის დაუვიწყარ ხსოვნას მიუძღვნის.

ლ. ანდრონიკაშვილის მრავალმხრივმა განსწავლულობამ, უდიდესმა ნიჭმა, შრომისმოყვარეობამ, ბრწყინვალე და ღრმაშინაარსიანმა ლექციებმა, ახალგაზრდა კადრებისათვის თავდადება ერთბაშად დაატყვევა თ. წერეთელი. ამის გამო მას პირველსავე კურსზე გაუჩნდა უდიდესი ინტერესი სამართლის მეცნიერებისადმი. ლ. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით თ. წერეთელი სტუდენტობის წლებშივე დიდ შრომისმოყვარეობას იჩენს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მეცნიერების დაუფლებისათვის. ამასთან, ლ. ანდრონიკაშვილი თავისი მოწაფეებისაგან მოითხოვდა ფილოსოფიის დაუფლებას, რადგანაც თვლიდა, რომ უამისოდ სამართლებრივი პრობლემების ღრმა შესწავლა შეუძლებელია.

თბილისის უნივერსიტეტში გატარებული ოთხი წელიწადი თ. წერეთელმა მეტად ნაყოფიერად გამოიყენა: მუშაობდა დაძაბულად, გულმოდგინედ. აქვე უნდა ითქვას, რომ თ. წერეთელი დიდი გულისყურით ისმენდა ცნობილი ქართველი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, გრიგოლ წერეთლის და სხვა ლექციებს. საბოლოო ჯამში, თინათინ წერეთელმა შესაშური სამართლებრივ-ფილოსოფიური განათლება მიიღო.

უნივერსიტეტში სწავლისას თინათინ წერეთლის ცხოვრების საიმედო და ერთგული მეგობარი ხდება შემდგომში ცნობილი კრიმინალისტი ვლადიმერ გიორგის ძე მაყაშვილი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თინათინ წერეთელი მუშაობდა იურისტ-პრაქტიკოსის სხვადასხვა თანამდებობაზე: თავდაპირველად იგი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის რეფერენტი იყო, შემდეგ კი ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს რეფერენტი, დაბოლოს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს იურისკონსულტი.

1933 წელს პროფ. გ. ნანეიშვილის ინიციატივით, თინათინ წერეთელი ასისტენტად მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის

კათედრაზე. აქ მას შესაძლებლობა ეძლევა, ფართოდ გამოიყენოს თავის მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობაში სამართლის სხვადასხვა დარგის ცოდნა, შეზავებული სათანადო პრაქტიკულ გამოცდილებასთან. 1937 წლიდან 1944 წლამდე თინათინ წერეთელი კითხულობდა სამოქალაქო სამართლის კურსს იურიდიულ ფაკულტეტზე. იმავედროულად აქტიურად მონაწილეობდა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის მაღალი ტიპის სემინარში, რომელსაც პროფ. ლ. ანდრონიკაშვილი ხელმძღვანელობდა.

1944 წლის მარტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თინათინ წერეთელმა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად რუსულ ენაზე წარუდგინა დისერტაცია თემაზე: „ობიექტური მომენტის მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის“. თინათინ წერეთლის საკანდიდატო დისერტაციას მაღალი შეფასება მისცა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მ. ისაევმა, ხოლო ოფიციალურმა ოპონენტმა პროფ. ირ. სურგულაძემ თავის რეცენზიაში აღნიშნა: „ყველა ზემოთ მითითებული თვისებების გამო შრომა ძალიან შორს იტოვებს უკან საკანდიდატო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ შრომებს და მთლიანად დგას იმ სიმაღლეზე, რომელიც დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად კარგად შესრულებულ გამოკვლევას უნდა ახასიათებდეს“.

1945 წელს თ. წერეთელი მივლინებულ იქნა მოსკოვის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის სადოქტორო ასპირანტურაში. 1949 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ეს იყო კავშირის მასშტაბით პირველი სადოქტორო დისერტაცია სისხლის სამართალში, რომელიც ქალმა იურისტმა დაიცვა. მოსკოვში ყოფნისას თ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის შემოქმედებით ცხოვრებაში: იყო რამდენიმე დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი, წაიკითხა მოხსენებები ისეთ პრობლემებზე, როგორცაა მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი, დანაშაულებრივი უმოქმედობა; მონაწილეობა მიიღო ბრალის პრობლემისადმი მიძღვნილ ცნობილ დისკუსიაში და სხვ.

1948 წელს თ. წერეთელი თბილისის უნივერსიტეტში დაბრუნდა და ამ ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტებისათვის 1969 წლამდე კითხულობდა მონოგრაფიულ კურსს სისხლის სამართალში. 1950 წლიდან 1952 წლამდე იგი იურიდიული ფაკულტეტის დეკანი იყო. 1957 წლიდან თ. წერეთელი სათავეში ჩაუდგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორს.

თ. წერეთლის ორგანიზატორული ნიჭის, თავდადებისა და მეცნიერული ხელმძღვანელობის წყალობით ერთ დროს სულ მცირერიცხოვანი სამართლის განყოფილება იქცა მძლავრ მეცნიერულ ორგანიზმად სამართლის სექტორის სახით, რომლის კვლევითი მუშაობა სამართლის მეცნიერების სხვადასხვა დარგში მჭიდროდ იყო დაკავშირებული პრაქტიკის მოთხოვნებთან. ამით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა „სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის“ დამოუკიდებელ დაწესებულებად ჩამოყალიბებას ეროვნული აკადემიის სისტემაში. მას თინათინ წერეთლის სახელი ეწოდა და ამ სახელწოდებით განაგრძობს ნაყოფიერ საქმიანობას დღემდე.

1967 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩია მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინათინ წერეთელი.

დაუცხრომელ სამეცნიერო და პედაგოგიკურ საქმიანობასთან ერთად თ. წერეთელი დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. იგი ცხრაჯერ აირჩიეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. წლების განმავლობაში იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის შტატგარეშე წევრი. ნიადაგ



მონაწილეობდა საკანონმდებლო აქტების პროექტთა შედგენაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი აქტიური და ნაყოფიერი მუშაობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მოსამზადებლად, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ჯილდოთი აღინიშნა. თ. წერეთელი იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა კომისიის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, უმაღლესი სასამართლოს მსაჯულთა სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, ჟურნალების: „მაცნეს“, „საბჭოთა სამართლის“ და „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი და სხვ.

თ. წერეთლის თავდადებული შრომა და ხალხისადმი უანგარო სამსახური ღირსეულად დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშისა“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

პროფ. თ. წერეთლის ინტერესი სამართლის მეცნიერებიდან სამ მთავარ დარგს მოიცავს: სამართლის ფილოსოფია, სამოქალაქო სამართალი და სისხლის სამართალი.

სამართლის ამ დარგებიდან თ. წერეთლის გამოკვლევები, მართალია, უშუალოდ მიძღვნილია სისხლის სამართლის პრობლემებისადმი, მაგრამ მათი გაშუქებისას ოსტატურად იყენებს თავის განსწავლულობას სამართლის ფილოსოფიასა და სამოქალაქო სამართალში; მსჯელობებიდან გამოსჭვივის მისი საფუძვლიანი მომზადება ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში. თავისი მასწავლებლის ლ. ანდრონიკაშვილის მსგავსად, მას ემარჯვება პრობლემის სხვადასხვა ასპექტის ორგანული შერწყმა და ნათელი ჩვენება იმისა, თუ რამდენად ნაყოფიერია სამართლის მეცნიერების თანამშრომლობა მეცნიერების სხვა დარგებთან. თ. წერეთლის ერთ-ერთი პირველი ნაშრომის შესახებ პროფ. კ. ბაქრაძე თავის დასკვნაში წერდა: „ასეთი ნაშრომის ავტორი დასახული ამოცანის გადაწყვეტისათვის თავისუფლად უნდა ერკვეოდეს ფილოსოფიურ, კერძოდ, მრავალრიცხოვან თეორიულ-შემეცნებით მიმართულებებში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ავტორი თავისი ამოცანის სიმაღლეზე აღმოჩნდა: სოლიდურმა ფილოსოფიურმა განათლებამ, კრიტიკული ანალიზის უნარმა და აზროვნების მკაცრმა თანმიმდევრობამ შესაძლებლობა მისცა თ. ვ. წერეთელს, შეექმნა კარგი, ფილოსოფიური მხრივ დასაბუთებული ნაშრომი“.

თინათინ წერეთლის ბუნებრივი ნიჭიერება, უდრეკი ნებისყოფა, ლოგიკური აზროვნებისა და საკითხის არსში წვდომის უნარი, ფართო განსწავლულობა ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში და სამართლის სხვადასხვა დარგში განაპირობებდნენ მის მეცნიერულ გამბედაობას. მას კი არ აშინებს, არამედ იზიდავს და ხიბლავს პრობლემის სირთულე. მეცნიერულ გამბედაობასთან ერთად თ. წერეთელი უადრესად მომთხოვნია, უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავისადმი. ამით აიხსნება ის, რომ თ. წერეთელი ნაშრომს საკვლევი პრობლემის ღრმად და ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ აქვეყნებს. იგი იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც გამოირჩევიან არა ნაშრომთა რაოდენობითა და მოცულობით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, პრობლემის ღრმა შესწავლითა და შემოქმედებითი გადაწყვეტით. ამ თვალსაზრისით იგი წააგავს თავის ძმას, აკადემიკოს გიორგი წერეთელს.

თინათინ წერეთელს ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ სწავლული იურისტი არ შეიძლება იყოს მხოლოდ წმინდა თეორეტიკოსი, რომლისთვისაც განყენებულ, ლოგიკურ კონსტრუქციებს თავისთავადი ღირებულება აქვთ. იურიდიულ კონსტრუქციებს მხოლოდ მაშინ აქვთ აზრი და მნიშვნელობა, როცა ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ცხოვრებასთან. ამ თვალსაზრისით მეტად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ თ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადებასა და განხილვაში. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მომზადებასთან დაკავშირებით თ. წერეთელმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა იმ ინსტიტუტების განხილვას, რომელთა საკანონმდებლო რეგულირება მეცნიერ-კრიმინალისტთა და პრაქტიკოსი იურისტების აზრთა განსაკუთრებულ სხვადასხვაობას

იწვევდა. მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით გამოსაცემად მომზადდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარი.

თინათინ წერეთლის გამოკვლევები ყოველთვის მიზნად ისახავდა, მართლმსაჯულების პრაქტიკული საკითხების სწორად გადაწყვეტას. როგორც ეროვნული, ისე საზღვარგარეთული კანონმდებლობის ზუსტი ცოდნა, იურიდიული ანალიზის მეთოდის ოსტატურად დაუფლება, ღრმად წვდომა სასამართლო პრაქტიკაში და მისი განზოგადების უნარი შესაძლებლობას აძლევდა თ. წერეთელს საიმედო ხიდი გაედო თავის თეორიულ შეხედულებებსა და პრაქტიკული ხასიათის დასკვნებს შორის.

და ბოლოს, თ. წერეთელი თავის გამოკვლევებში ოსტატურად ითვალისწინებს ეთიკურ მომენტს და ცდილობს, ისე ჩამოაყალიბოს თავისი მეცნიერული დებულებები, რომ ისინი არა მარტო ფორმალურად შეესაბამებოდნენ სამართლებრივ ნორმებს, არამედ საიმედოდ იყვნენ გამართლებული ზნეობის თვალსაზრისით.

თინათინ წერეთელმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა დანაშაულის შემადგენლობის პრობლემას. ამ ნაშრომებიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ვ. მაყაშვილთან ერთად გამოქვეყნებული სტატია „დანაშაულის შემადგენლობა, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი“.<sup>1</sup> ამ სტატიაში ნაჩვენებია დანაშაულის შემადგენლობის პოლიტიკური და იურიდიული მნიშვნელობა, განსაზღვრულია ის პრინციპები, რომელთაც ემყარება დანაშაულის შემადგენლობის აღიარება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველად, გაშუქებულია ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, დანაშაულის შემადგენლობას, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ საშიშროებასა და მართლწინააღმდეგობას შორის. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, რომ ამ წერილის ავტორებმა, პირველად იურიდიულ ლიტერატურაში, დაადგინეს კრიტერიუმები, რომელთა მომარჯვებითაც შესაძლებელია გადაწყდეს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების არსებობის თუ არ არსებობის, აგრეთვე ამ საშიშროების ხარისხის განსაზღვრის საკითხი.

მოსხენიებული წერილით ჟურნალ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავო“-ს ფურცლებზე დაიწყო ფართო დისკუსია დანაშაულის შემადგენლობის შესახებ. შემდეგში ეს წერილი რამდენიმე უცხო ენაზე ითარგმნა.

დანაშაულის შემადგენლობის, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი განხილულია აგრეთვე თ. წერეთლის ნაშრომში – „ანალოგია სისხლის სამართალში“ (თსუ შრომები, 1956, ტ. 11). აქ თ. წერეთელი დაწვრილებით ეხება დანაშაულის შემადგენლობის საგარანტიო ფუნქციას. მრავალი დასაბუთებული მოსაზრების საფუძველზე თ. წერეთელმა გვიჩვენა, რომ ანალოგიით სისხლის სამართლის კანონის გამოყენება ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპს – „არ არის დანაშაული კანონის გარეშე“, და მხარი დაუჭირა იმ თვალსაზრისს, რომ ანალოგიით ამა თუ იმ ქმედების დევნა აკრძალული უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

მიზეზობრიობის პრობლემა სისხლის სამართლის მეცნიერების ურთულესი პრობლემაა. მის შესახებ რამდენიმე ნაშრომია გამოქვეყნებული იურიდიულ ლიტერატურაში. ამისდა მიუხედავად, მიზეზობრიობის პრობლემა არა თუ გაირკვა, არამედ წინააღმდეგობამ კიდევ მეტად იჩინა თავი. გერმანელი იურისტი მ. რიუმელინი წერდა, რომ კრიმინალისტების უმრავლესობას შიშის გრძნობა იპყრობს, როგორც კი წიგნის ან სტატიის სათაურად კაუზალობის პრობლემას იხილავენ.

ქართველმა მეცნიერმა ქალმა თინათინ წერეთელმა სწორედ ეს „შიშის მომგვრელი“ პრობლემა შეარჩია თავისი კვლევა-ძიების საგნად. ხანგრძლივი, უაღრესად დაძაბული და მეტად ინტენსიური შრომის შემდეგ თ. წერეთელმა შექმნა გამოკვლევა მიზეზობრიობის

<sup>1</sup> „Советское государство и право“, 1954, №5.

შესახებ სისხლის სამართალში, რომელიც ორჯერ გამოიცა რუსულ ენაზე – თავდაპირველად თბილისში, ხოლო შემდეგ, შევსებული სახით, მოსკოვში.

ეს გამოკვლევა საკითხების წრით, კვლევა-ძიების მასშტაბით, ფართო ინფორმაციით, განმაზოგადებელი დასკვნებით ფაქტობრივად წარმოადგენს მოკლე კურსს დანაშაულზე მოძღვრების შესახებ.

თინათინ წერეთელი მიზეზობრიობის კვლევას იწყებს იმ საწყისი და საბოლოო მომენტების დადგენით, რომელთა შორისაც მიზეზობრივი კავშირი მყარდება. ასეთ საწყისს წარმოადგენს ადამიანის აკრძალული ქცევა, ხოლო საბოლოო მომენტს – მისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

თინათინ წერეთელი განსაზღვრავს ნებელობით ქცევის არსს მისი ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებების მეშვეობით. საქმე ისაა, რომ ქცევის ფსიქოლოგიური ცნება არ მოიცავს სამართლებრივი შეფასების მომენტს. ქცევა ფსიქოლოგიური მნიშვნელობით ნეიტრალურია და ამიტომ იგი იურიდიული თვალსაზრისით შეიძლება იყოს როგორც მართლზომიერი, ისე არამართლზომიერი, როგორც ბრალეული, ისე უბრალე. ქცევის ფსიქოლოგიურ ცნებაში არ შედის პირის იმ წარმოდგენების ხასიათი და შინაარსი, რასაც ბრალის ცნება გულისხმობს. თ. წერეთელი ადგენს იმ საერთოს, რაც განზრახ და გაუფრთხილებლობით დანაშაულს შორის არსებობს. ეს საერთო ისაა, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს მიზანდასახულ, ნებელობით ქცევასთან, მაგრამ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს სუბიექტის ქცევა იწვევს ისეთ შედეგს, რომელიც მოცული არ იყო მისი ცნობიერებით.

თ. წერეთელს მიაჩნია, რომ ყოველი დანაშაულებრივი ქმედება იწვევს შედეგს, რომელიც გულისხმობს რაიმე ცვლილებას გარესამყაროში. ამ საერთო შედეგისაგან უნდა განვასხვავოთ შედეგი ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც შეტანილია კანონის დისპოზიციაში. მიზეზობრივი კავშირის დადგენა ასეთ შედეგსა და მოქმედებას შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრაქტიკაში.

თინათინ წერეთელი საგანგებოდ მიმოიხილავს მიზეზობრიობის შესახებ სხვადასხვა თეორიებს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეკვივალენტურ თეორიასა და მის ფსიქოლოგიურ ფესვებს.

ეკვივალენტური, ანუ პირობათა თანასწორფასოვნების თეორია ბევრ ავტორს გაუკრიტიკებია. ამ თეორიის წინააღმდეგ ჩვეულებრივად ის არგუმენტი მოჰყავთ, რომ იგი მეტად აფართოებს პასუხისმგებლობას. თ. წერეთელმა ეკვივალენტური თეორიის კრიტიკა სულ სხვა მიმართულებით წარმართა. მისი აზრით, ეკვივალენტური თეორიის ნაკლი სულაც არ მდგომარეობს იმ თეზისში, რომ თუ ადამიანის მოქმედება წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიში შედეგის აუცილებელ პირობას, იგი მიზეზობრივ კავშირშია ამ შედეგთან. თეზისი *conditio sine qua non* ლოგიკური თვალსაზრისით სწორია. მასში არაფერია მიუღებელი, როგორც ამას ზოგიერთი კრიმინალისტი ამტკიცებს. თ. წერეთელი ამ თეორიის ძირითად ნაკლად თვლის თეზისს აუცილებელ პირობათა ტოლფასოვნების შესახებ. მისი აზრით, დებულება პირობათა კაუზალური ტოლფასოვნების შესახებ ფილოსოფიური თვალსაზრისით არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. ამ დებულებიდან გამომდინარე, დასკვნებს მიყვებართ მცდელობისა და თანამონაწილეობის სუბიექტურ თეორიებამდე, მიზეზობრიობის პრობლემის უარყოფამდე, ბრალის გადაჭარბებით შეფასებამდე, რაც განწყობილების სისხლის სამართალს უახლოვდება, აგრეთვე დანაშაულის სიმპტომატურ გაგებამდე, რომლის მიხედვითაც, პირის ყოველი დანაშაულებრივი განწყობა უნდა დაისაჯოს სისხლისსამართლებრივი წესით.

იურიდიულ მეცნიერებამ მეწარმეთა პასუხისმგებლობის შეზღუდვისათვის შექმნა ადეკვატური მიზეზობრიობის თეორია. ამასთან, ეს თეორია შეიცავს ელასტიკურ ფორმულებს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც პრივილეგირებულთა ინტერესები მოითხოვს პასუხისმგებლობის არა შეზღუდვას, არამედ, პირიქით, გაფართოებას, როდესაც საქმე ეხება მართლწესრიგისადმი მტრულად განწყობილ პირებს. თინათინ წერეთელი ნათელყოფს ამ

თეორიის ფილოსოფიურ უსაფუძვლოებას, იურიდიულ ბუნდოვანებასა და სუბიექტურ ხასიათს, რასაც მოსამართლის თვითნებობამდე მიყვება.

იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული მიზეზობრიობის პრობლემის შესახებ. ამ შეხედულებათა ავტორებს ერთი საერთო მიზანი აქვთ – გაილაშქრონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უსაფუძვლო გაფართოების წინააღმდეგ. ერთი ამ თეორიათაგანი, რომლის მთავარი წარმომადგენელია თვალსაჩინო კრიმინალისტი პროფ. ა. ა. პიონტკოვსკი, განასხვავებს მიზეზობრივად-აუცილებელსა და მიზეზობრივად-შემთხვევით შედეგებს და უარყოფს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას „მიზეზობრივად-შემთხვევითი“ შედეგებისათვის. თ. წერეთელი უარყოფს ამ განსხვავებას თუნდაც იმიტომ, რომ აუცილებლობა თვითონვე წარმოადგენს მიზეზობრიობის არსებით და განუყოფელ ელემენტს. რაც მთავარია, ამ თეორიის არსებითი ნაკლი ისაა, რომ იგი ერთმანეთს უპირისპირებს აუცილებლობასა და შემთხვევითობას როგორც ურთიერთგამომრიცხავ კატეგორიებს. თ. წერეთელი მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტებით აქარწყლებს ა. პიონტკოვსკის თვალსაზრისს, თითქოს აუცილებლად ითვლება ის შედეგები, რომელთა დადგომისათვის არსებობდა რეალური შესაძლებლობა, ხოლო შემთხვევითად – ის შედეგები, რომელთა განხორციელებისათვის რეალური შესაძლებლობა არ არსებობდა. მიზეზობრივი კავშირი გულისხმობს არა შესაძლებლობას, არამედ სინამდვილეს. ასევე მიუღებელია „შემთხვევითი შედეგების“ დასაბუთებაც, რადგან ამ შედეგების დადგომით დასტურდება ის, რომ ისინი სწორედ რეალურად შესაძლებლნი იყვნენ. ამრიგად, თ. წერეთლის საკვებით დასაბუთებული თვალსაზრისით, შესაძლებლობის კატეგორია ვერ გამოდგება ამ საკითხების გადაწყვეტისათვის. თ. წერეთლის გამოკვლევაში გამოთქმული ამ მოსაზრების შესახებ გერმანელი კრიმინალისტი პროფ. იონ ლექშასი აღნიშნავს, რომ „ამ უაღრესად საინტერესო, ჭკუის სასწავლი და გონებამახვილური პაექრობიდან არსებითად ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ფილოსოფიაში მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზეზობრიობის ზოგადი ცნებიდან გადახვევისა და ამ ცნების გვერდით განსაკუთრებული სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მქონე მიზეზობრიობის ცნების დადგენის ყოველმა ცდამ აუცილებელი მარცხი უნდა განიცადოს, რადგან ასეთ შემთხვევაში ობიექტური კავშირები, ასე თუ ისე, ყალბ ასახვას პოულობენ“.<sup>2</sup>

თინათინ წერეთელი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ყოველი შედეგი არის სხვადასხვა ფაქტორის ან პირობის გადახლართვისა და ურთიერთქმედების პროდუქტი. ამიტომ მიზეზობრივი კავშირის დადგენისას ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავარკვიოთ, არის თუ არა ადამიანის მოქმედება ჩვენთვის საინტერესო შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, მისი *conditio sine qua non*, როდესაც ასეთი მოქმედების ჩაუდენლობისას ეს ცვლილება არ გვექნებოდა. საკითხის ასეთი გადაწყვეტისათვის თ. წერეთელი გვთავაზობს გონებრივი გამორიცხვის მეთოდის გამოყენებას.

მიზეზობრივი კავშირის დადგენით ჯერ კიდევ არ წყდება ინდივიდის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რადგანაც მიზეზობრივი კავშირი გვისნის მარტოოდენ მოვლენის წარმოშობას მეორე მოვლენისაგან. თ. წერეთელი უკუაგდებს იმ მეცნიერთა შეხედულებას, თითქოს *conditio sine qua non*-ის აღიარებით მიზეზობრიობის ჯაჭვს უსასრულობამდე უნდა მივსდით. საქმე ისაა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები არ შეიძლება გადაწყდეს მარტოოდენ მიზეზობრივი კავშირის საფუძველზე. ამისათვის აუცილებელია დადგინდეს, საზოგადოებრივად საშიშია თუ არა ეს მიზეზობრიობა და ჩადენილია თუ არა ქმედება ბრალეულად. მიზეზობრივი კავშირი პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველსაც არ ამოწურავს. ამის გამო თ. წერეთელი მთავარ აქცენტს აკეთებს ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე, როგორც ობიექტურ კატეგორიაზე. სწორედ საზოგადოებრივ საშიშროებას თვლის თინათინ წერეთელი ძირითად

<sup>2</sup>„Staat und Recht“, 1959, N3, გვ. 408.

კრიტიკრიუმად, რომლის საფუძველზეც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარისი მიზეზობრიობა უნდა გაიმიჯნოს ასეთი პასუხისმგებლობისათვის არასაკმარისი მიზეზობრიობისაგან. საზოგადოებრივი საშიშროების კრიტიკრიუმის ასეთმა მნიშვნელობამ თ.წერეთლის წინაშე ახალი პრობლემა დააყენა: რა განსაზღვრავს საკუთრივ ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას? თ. წერეთელი მიუთითებს საშიშროების განმსაზღვრელ სამ მთავარ მომენტზე. ესენია: 1. მოქმედების მიზანი (საზოგადოებრივად სასარგებლო ან საზიანო); 2. ხელყოფის ობიექტის ღირებულება და 3. როლი, რომელიც შეასრულა ამ შექმლო შექმნულებინა ადამიანის მოქმედებას დანაშაულებრივი შედეგის დადგომაში, ე. ი. შედეგის დადგომის ხელის შეწყობის ხარისხი. მაგრამ როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივი საშიშროების ის მინიმალური ხარისხი, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ქმნის? ამ საკითხზე თ. წერეთელი ნათელ და ამომავწურავ პასუხს იძლევა: ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შესაძლო მინიმალურ საზღვარს წარმოადგენს პირის რეალური შესაძლებლობა, ზემოქმედება მოახდინოს მოვლენათა ფაქტობრივ მსვლელობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მიზეზობრიობა მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკმარის საფუძველად, როდესაც ინდივიდის მიერ ჩადენილი მოქმედება: ა) საზოგადოებრივად საზიანო ან, უკიდურეს შემთხვევაში, საზოგადოებრივად არასასარგებლო მიზანს ისახავს, ბ) მიმართულია კანონით დაცულ ობიექტზე და გ) ქმნის შედეგის დადგომის რეალურ შესაძლებლობას.

თ. წერეთელი თანმიმდევრულად ილაშქრებს მიზეზობრივი კავშირის „გაწყვეტის“ თეორიის წინააღმდეგ. იმ დებულების მომარჯვებით, რომ „მიზეზი, რომელიც არ მოქმედებს, არ არის მიზეზი“. იგი აკეთებს დასკვნას, რომ ადამიანის მოქმედება ან არის მიზეზობრივ კავშირში საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან, – და მაშინ არავითარ შემთხვევაში გარემოებას არ ძალუძს, გაწყვიტოს იგი, ან იგი არ არის მიზეზობრივ კავშირში შედეგთან, – ასეთ შემთხვევაში უფლება არა გვაქვს, ვილაპარაკოთ მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტაზე, რადგან მიზეზობრივი კავშირი სრულიად არ არსებობდა.

თ. წერეთელი ღრმად და დამაჯერებლად ასაბუთებს იმ მეცნიერთა შეხედულებების მცდარობას, რომლებიც უარყოფენ უმოქმედობის მიზეზობრიობას. მას მიაჩნდა, რომ განსაზღვრული პირობების არსებობისას შედეგი, შესაძლოა, უმოქმედობამაც გამოიწვიოს.

თ. წერეთლის გამოკვლევაში მიზეზობრივ კავშირზე თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში და გამოჩენილ მეცნიერთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ა. ტრანინი წერდა: „Автор провел самостоятельную, оригинальную и глубокую разработку причинной связи, исходя из основного положения диалектического материализма об объективной реальности причинных связей...“<sup>3</sup>

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვ. კუდრიავეცივი, რომელიც მიზეზობრივი კავშირის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარია სამართლის თეორიაში, აღნიშნავდა: „პროფ. თ. წერეთლის წიგნი ფუნდამენტური ნაშრომია მიზეზობრიობის საკითხებზე სისხლის სამართლის თეორიაში... ამ შემოქმედებითი გამოკვლევის ავტორი დაწვრილებით ავითარებს და ასაბუთებს თავის თვალსაზრისს, რაც, ჩვენი აზრით, მეტად დამაჯერებელია“.<sup>4</sup>

თ. წერეთლის ამ ნაშრომს ფართოდ გამოეხმაურნენ საზღვარგარეთაც. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს თ. წერეთლის წიგნს გერმანელი კრიმინალისტი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. იონ ლექშასი, რომელიც თვით არის ავტორი გამოკვლევისა მიზეზობრივი კავშირის შესახებ. იგი ასე ამთავრებს თავის ვრცელ რეცენზიას თ. წერეთლის წიგნზე: „დასასრულ უნდა ითქვას, რომ თ. ვ. წერეთლის ნაშრომი

<sup>3</sup>იხ.: „Причинная связь в уголовном праве“, диссертация Т. Церетели. „Советское государство и право“, 1949, №9, გვ. 70.

<sup>4</sup>ვ. კუდრიავეცივი. ფუნდამენტური ნაშრომი მიზეზობრიობის საკითხებზე.– ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1964, №5, გვ. 81.

სისხლის სამართალში მიზეზობრიობის პრობლემის შესახებ წარმოადგენს სისხლის სამართლის მრავალფეროვანი პრობლემების მიმართ საერთოდ კაუზალური თეორიის გამოყენების თვალსაჩინო დოკუმენტს... პრობლემების ყოველმხრივი გადაწყვეტა, რომელსაც ავტორი გვთავაზობს, უაღრესად ამდიდრებს სისხლისსამართლებრივ თეორიას და მნიშვნელოვანი დახმარებაა პრაქტიკისათვის... წინამდებარე ნაშრომი საუკეთესოა, რაც დღემდე ამ დარგში მოუცია სისხლის სამართლებრივ მეცნიერებას.<sup>5</sup> მხოლოდ ამის შემდეგ დაიწერა და გამოიცა ჰარტისა და ონოლეს ერთობლივი ნაშრომი „მიზეზობრიობა სამართალში“, რომელიც სამართლის რამდენიმე დარგს შეეხება კომპლექსურად.<sup>6</sup>

უნგრულ იურიდიულ ჟურნალში დაიბეჭდა უნგრელი კრიმინალისტიკის ანა ჰორვატის ვრცელი რეცენზია თ. წერეთლის ამ გამოკვლევაზე. რეცენზენტი მიუთითებს ნაშრომის ძირითად ღირსებებზე, მის საფუძვლიან ხასიათსა და აზრის განვითარების ლოგიკურ თანმიმდევრობაზე. ანა ჰორვატი დაასკვნის: „თ. წერეთელი სათანადო მეცნიერული ტაქტით აღწევს მიზეზობრივი კავშირის პრობლემის ამომწურავ თეორიულ დამუშავებას, რაც მის წიგნს ხდის მეტად სასარგებლოს როგორც თეორიის, ისე პრაქტიკისათვის“.<sup>7</sup>

თ. წერეთლის თეორია მიზეზობრივი კავშირის შესახებ ასახულია მრავალ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიაში.

თ. წერეთლის ნაშრომში ნათლად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები, თუ რა ზეგავლენას ახდენს მიზეზობრივი კავშირის ესა თუ ის გაგება ისეთი ძირითადი სისხლისსამართლებრივი ცნებების აგებაზე, როგორცაა ბრალის, საზოგადოებრივი საშიშროების, დანაშაულის მცდელობისა და თანამონაწილეობის ცნებები. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. მ. ისაევი დიდად აფასებდა თ. წერეთლის ნაშრომის ამ მხარეს. იგი წერდა: „Большая заслуга автора состоит в том, что разрабатываемая проблема трактуется не изолированно, а во всех ее связях и опосредствованиях“.<sup>8</sup>

მომდევნო წლებში თ. წერეთელი საგანგებოდ და ყოველმხრივად იკვლევს უკვე იმ საკითხებს, რომლებიც მოხსენიებულ მონოგრაფიაში უპირატესად მიზეზობრიობის პლანში იყო განხილული (ბრალი, თანამონაწილეობა, დანაშაულის მომზადება და მცდელობა და სხვ.).

უწინარეს ყოვლისა, აქ უნდა მოვიხსენიოთ თ. წერეთლის ნაშრომი „პასუხისმგებლობის საფუძვლები საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით“.<sup>9</sup> ამ ნაშრომში, პირველად იურიდიულ მეცნიერებაში, წამოჭრილია საკითხი დანაშაულის ცნების ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. საბჭოთა ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაცემებზე დაყრდნობით, მან გაარკვია, რომ დანაშაულის ზოგად ცნებაში მიზეზობრივი კავშირი და ბრალი შეადგენენ წინააღმდეგობათა ორგანულ ერთიანობას (არა იგივეობას), ანუ შინაგანის და გარეგანის, სუბიექტურისა და ობიექტურის დიალექტიკურ ერთიანობას. საგანგებოდ ბრალისადმი მიძღვნილ ნაშრომებში<sup>10</sup> თ. წერეთელი იკვლევს ბრალის პრობლემის სადავო და რთულ საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ იურიდიულმა საზოგადოებრიობამ თ. წერეთელი სწორედ გაუფრთხილებლობითი ბრალის პრობლემებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციით გაიცნო (თანაავტორი ვ. მაყაშვილი).<sup>11</sup> მართალია, შემდეგში დაუდევრობის ობიექტური კრიტერიუმების გადაჭარბებული შეფასება ავტორებმა უარყვეს, მაგრამ ფაქტია ის, რომ ამ წერილის წყალობით დაუდევრობის კრიტერიუმების საკითხი საბჭოთა ცივილისტიკისა და კრიმინალისტიკის ფართო დისკუსიის საგნად იქცა.

<sup>5</sup> „Staat und Recht“, 1959, N3, გვ. 414.

<sup>6</sup> იხ.: **Hart H. L. A.** and Tony Honare. Causation in the Law. Clarendon Press, Oxford. 1985 (Reprinted 2002).

<sup>7</sup> „Allem éu Iogtudomány“, გვ. 343.

<sup>8</sup> იხ.: Причинная связь в уголовном праве. „Советское государство и право“, 1949, №9, გვ. 70.

<sup>9</sup> თსუ შრომები, 1951, ტ. 51.

<sup>10</sup> К вопросу о понятии вины. „Известия Отделения общественных наук АН Грузинской ССР“, 1960, №1.

<sup>11</sup> იხ.: „Проблемы социалистического права“, 1939, №4-5.

დიდ თეორიულ ინტერესს იწვევს და, ამასთან, პრაქტიკულ სირთულესთანაა დაკავშირებული პასუხისმგებლობის დასაბუთება დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. ამ თვალსაზრისით უსათუოდ მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს თ. წერეთლის მონოგრაფია დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის შესახებ, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოაქვეყნა 1963 წელს. მასში ასახულია თ. წერეთლის ნაშრომში – „რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენება დანაშაულის მცდელობის აგებისათვის“ (თსუ შრომები, 1942) გამოთქმული ძირითადი იდეა, რომელიც შემდგომ დამკვიდრდა საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში.

თ. წერეთლის შეხედულებით, მცდელობა შეიცავს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. ის გარემოება, რომ მცდელობის დროს დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელებულა, აიხსნება იმით, რომ დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობის საშიშროებას, რომელიც ადამიანის მოქმედებითაა შექმნილი, წინ აღუდგა სხვა შესაძლებლობა. რეალურ სინამდვილეში თავი იჩინეს სხვა პირობებმა, რომელთაც ხელი შეუშალეს შედეგის განხორციელებას.

ამ მონოგრაფიაში სწორად არის მიგნებული ის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ნებაყოფლობით ხელის აღებას განასხვავებს დასჯადი მომზადებისა ან მცდელობისაგან. ავტორის შეხედულებით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობა აიხსნება არა იმით, რომ ისპობა პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროება (ამას ამტკიცებენ მრავალრიცხოვანი სუბიექტური თეორიები სისხლის სამართალში), არამედ იმით, რომ ასეთ შემთხვევაში არ არსებობს დანაშაულის არსებითი ნიშანი – საზოგადოებრივი საშიშროება. თ. წერეთელი დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ყველა საფუძველი არსებობს, ვცნოთ ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობის დროს. ამასთან, დამთავრებული მცდელობის ჩამდენს მოეთხოვება აქტიური ჩარევა მოვლენათა მსვლელობაში, რათა მიზეზობრივი კავშირის ჩარხი უკან შემოაბრუნოს.

მონოგრაფიაში თანამონაწილეობის შესახებ, რომელიც პროფ. თ. წერეთელმა 1965 წელს გამოაქვეყნა, დადგენილია თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტური და სუბიექტური საფუძვლები, დასაბუთებულია მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის ბუნებას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული თეორია. ამ ნაშრომში ნათლად არის ნაჩვენები განსხვავება თანამონაწილეობასა და თანაამსრულებლობას შორის. თანაამსრულებლობა, თ. წერეთლის აზრით, გვექნება არა მარტო მაშინ, როცა თანაამსრულებელი დანაშაულის მთელი შემადგენლობის განხორციელებაში მონაწილეობს, არამედ მაშინაც, როცა შემადგენლობის ნაწილს ასრულებს.

ამგვარად, თ. წერეთელმა მონოგრაფიულად დაამუშავა დანაშაულის შესახებ მოძღვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა. ამასთან ერთად ცნობილმა კრიმინალისტმა ვ. მაყაშიელმა და მათმა უახლოესმა მოწაფეებმა (გ. ტყეშელიძე, თ. შავგულიძე, ო. გამყრელიძე, ლ. სურგულაძე, მ. უგრეხელიძე და სხვ.) გამოაქვეყნეს ნაშრომები სისხლის სამართლის ძირეულ, საკვანძო საკითხებზე. ასე ჩაეყარა საფუძველი სისხლის სამართლის ქართულ მეცნიერულ სკოლას, რომელსაც სადღეისოდ უკვე მრავალი ღირსეული წარმომადგენელი ჰყავს.

თ. წერეთელი უდიდეს ინტერესს იჩენდა თანამედროვეობის ყველა მწვავე თეორიული სამართლებრივი პრობლემისადმი, ცდილობდა ახლებურად გაეაზრებინა ეს პრობლემები. სახელდობრ, იგი იკვლევდა ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საკითხებს. მისმა მოხსენებებმა ამ თემებზე საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე გარკვეული წვლილი შეიტანა საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერების პრესტიჟის ამაღლებაში.

ქართველ სწავლულთა მეცადინეობით მეცნიერების მრავალი დარგის ტერმინოლოგია დამუშავდა. ამ მიმართულებით საგრძნობლად ჩამორჩებოდა სამართალმცოდნეობა. ეს

ყოვლად მიუტყვებელი იყო, რადგან, ჯერ ერთი, უამისოდ შეუძლებელია საკუთრივ სამართლის მეცნიერების განვითარება, და, გარდა ამისა, იურიდიული ტერმინების დაუდგენლობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობისა და მართლმსაჯულების საქმიანობაზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დასაფასებელია ინტენსიური და ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც თ. წერეთელმა, როგორც ერთ-ერთმა შემდგენელმა და მთავარმა რედაქტორმა, გასწია „იურიდიული ტერმინოლოგიის“ შესაქმნელად.<sup>12</sup>

პედაგოგიურ მოღვაწეობას პროფ. თ. წერეთელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მან თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოღვაწეობის ოთხი ათეული წლის მანძილზე იურისტთა მრავალი თაობა აღზარდა. იურისტთა ღირსეული კადრების აღზრდა მას მიაჩნდა როგორც იუსტიციის წარმატების, ისე საკუთრივ სამართლის მეცნიერების განვითარების უწინარეს პირობად.

თინათინ წერეთლის ლექცია არ წარმოადგენდა სამართლებრივი მასალის მშრალ, შეკუმშულ გადმოცემას. იგი თავისი ლექციით ინტელექტუალურად ამალვებდა მსმენელებს, თითქოსდა მათ ეუბნებოდა: „თქვენ საკმაოდ მოწიფული ხართ იმისათვის, რომ მეცნიერების ლაბორატორიაში შეგიყვანოთ: თვითონვე დაუკვირდით იმ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც მე მინდა მეცნიერული ჭეშმარიტება დავადგინო, თვითონვე იაზროვნეთ, მე კი საამისოდ გაძლევთ შესაფერის ხერხს, საშუალებას. მე გადმოგცემთ არა მხოლოდ შედეგს, არამედ გისახავთ იმ გზებს, რომელთა საშუალებითაც ამ შედეგამდე მივდი“. მასწავლებელი, რომელიც სულ ცოტა ხმის წინათ სტუდენტებისათვის მიუწვდომელი სიმადლიდან აწვდიდა აზრებს, მათ გვერდში აღმოჩნდებოდა, მხარში ამოუდგებოდა და მათთან ერთად იწყებდა პრობლემების გადასაჭრელი გზების ძიებას. დამსწრენი მონაწილენი ხდებოდნენ ჭეშმარიტების ძიებისა. ამასთან ერთად, მომავალი იურისტი მისი ლექციით მხოლოდ პროფესიულ ცოდნას კი არ ღებულობდა, არამედ იმავდროულად მოქალაქეობრივ, ზნეობრივ თვისებებს იძენდა.

თინათინ წერეთლისათვის იურისტის ზნეობრივ შეხედულებებს, რწმენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რათა მისი მოწაფე ადამიანობის, უანგარობის, კანონიერების დაცვის ნიმუში ყოფილიყო. თავად ფაქიზი და თანაც მკაცრი, უკომპრომისო მორალის ადამიანი, თინათინ წერეთელი ამ მხრივ უაღრესად მომთხოვნი იყო ყველას მიმართ, განსაკუთრებით კი სამართლის დარგის მუშაკებისადმი. მას ღრმად სწამდა, რომ ახალგაზრდა, რაგინდ ნიჭიერი და ბეჯითიც უნდა იყოს იგი, ვერ გახდება ნამდვილი მეცნიერი იურისტი, თუ არ ჩამოყალიბდა როგორც სანიმუშო მოქალაქე, სპეტაკი, პრინციპული, შეუპოვარი მსახური სამართლიანობისა, ჭეშმარიტი მამულიშვილი.

თინათინ წერეთელი, როგორც გულისხმიერი აღმზრდელი და მეცნიერი, თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებად თვლიდა ახალგაზრდობასთან სიახლოვეს, ფართო მეცნიერულ ერთობასა და პედაგოგიურ გამოცდილებას დაუშურველად ახმარდა მეცნიერ-მუშაკთა აღზრდას. სჯა-ბაასის, ზოგჯერ საკმაოდ დაძაბული მეცნიერული კამათის დროს მოწაფეები ვერ გრძნობდნენ ინტელექტუალურ დიქტატს. თინათინ წერეთლისათვის მთავარი იყო მეცნიერული არგუმენტაცია. მოწაფის დასაბუთებული პასუხი, თუნდაც იგი მის შეხედულებასთან შეუსაბამო ყოფილიყო, მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. მოწაფეები თავიანთ პუბლიკაციებში ზოგჯერ კიდევ ედავებოდნენ თავიანთ მასწავლებლებს, მაგრამ ასეთი დავისათვის როგორც თინათინ წერეთელი, ისე მისი მეუღლე ვ. მაყაშვილი გულწრფელ მადლობასა და ქებას გამოთქვამდნენ. სხვათა შორის, არც თუ ისე იშვიათად მეუღლენი ერთმანეთსაც ედავებოდნენ გამოქვეყნებულ ნაშრომებში.

ხშირად თინათინ წერეთელი სხვა საქმეებს გადასდებდა და ხანგრძლივად თავისი მოწაფეების ნაშრომებს კითხულობდა. დაუვიწყარია სცენები, როდესაც ის საათობით უჯდა

<sup>12</sup>იურიდიული ტერმინოლოგია. რუსულ-ქართული ნაწილი. შეადგინეს გ. ჟვანიამ, დ. ფურცელაძემ, პ. ქავთარაძემ, თ. წერეთელმა. მთავარი რედაქტორი თ. წერეთელი. თბილისი, 1963.



და წრთვნიდა თავის მოწაფეებს გერმანული თუ ფრანგული იურიდიული ლიტერატურის „შტუდირებაში“, უცხოური სამართლებრივი ტერმინოლოგიის, ხშირად – დარგობრივი „უარგონის“ განმარტებასა და მომარჯვებაში. ასეთი მზრუნველობა შეხამებული იყო მკაცრ მოთხოვნასთან. თინათინ წერეთელს სძულდა უდარდებლობა, მუშტრული დამოკიდებულება მეცნიერებისადმი. მან მთელი სიცოცხლე მეცნიერებას მიუძღვნა, ამასვე მოითხოვდნენ ისინი ახალბედა მეცნიერებისაგან.

110 წლის შემდეგ მეცნიერი იუბილარი კვლავაც იცოცხლებს ჩვენში, რადგან მის მიერ წამოწყებულ შემოქმედებით ძიებას დღესაც განაგრძობს მეცნიერ იურისტთა მადლიერი შთამომავლობა.

**Mindia Ugrekhelidze**

### **In Memory of 110<sup>th</sup> Anniversary of Professor Tinatin Tsereteli**

#### **Summary**

Tinatin Tsereteli (1905-2015) – doctor of law, professor, corresponding member of Georgian Academy of Sciences, was founder and head of Department of law in the Georgian Academy of Sciences (later transformed into the Institute of the State and Law). As a former adviser of the Supreme Court of Georgia and dean of the Faculty of Law in Tbilisi State University, she was decorated with numerous prestigious honors, awards and orders. There exists “Tinatin Tsereteli Prize” established by Georgian National Academy of Sciences in 2008. She is the best known for: 1. –The monograph “Cousation in the Criminal Law (2 editions, accordingly, in Tbilisi – 1945 and in Moscow – 1963)” – remarkable book, which presents achievements and failures of domestic and outside legal systems in the context of crime and justice; 2. – Well-known and widely recognized school of Georgian legal scholars in the field of criminal science.

Essay is dedicated to memory of one of the most popular, highly respected and influential legal academics of Georgia.

# რეცენზია

### რეცენზია

აკადემიკოს როინ მეტრეველის წიგნზე „რაჭა შტრიხები წარსულიდან“,  
(„არტანუჯი“, თბილისი, 2013)

ბატონი როინ მეტრეველის დამსახურებისა და ღვაწლის შეფასება მისი ერთი რომელიმე რაოდენ დიდი მნიშვნელობის მქონეც არ უნდა იყოს, ისტორიული ნაშრომის თუ მონოგრაფიის მიხედვით სწორი არ იქნებოდა. ყველას კარგად მოეხსენება მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა სამეცნიერო სფეროსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეტად ავტორიტეტული და აღიარებულია მისი შეხედულებები და მოსაზრებები საისტორიო მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებებში. სპეციალისტებისა და საზოგადოების საყოველთაო აღიარება მოიპოვა საქართველოს ისტორიის საკვანძო პრობლემებზე შექმნილმა მისმა სოლიდურმა გამოკვლევებმა. ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ბოლო ათწლეულების მანძილზე იგი ეწევა უაღრესად აქტიურ სამეცნიერო-ორგანიზატორულ და საზოგადოებრივ საქმიანობას. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ფაქტობრივად ჩვენს ქვეყანაში არ ყოფილა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენა [ასეთი კი საკმაოდ მეტი იყო] რომელშიც აქტიური მონაწილეობა არ ჰქონდეს მიღებული. ალბათ არც არის საჭირო იმის შესხენება, რომ მისი დიდი ძალისხმევით იქნა გამოცემული პირველი ქართული ენციკლოპედია, კეთილად დაეცყო მისი რექტორობა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტს. რაც შეეხება როინ მეტრეველის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის 13 წლიან ურთულეს პერიოდს, ეს იყო არა მარტო უნივერსიტეტის გადარჩენის და მთლიანობის, ერთიანობის შენარჩუნების უძნელესი დრო, არამედ მისი სამეცნიერო და სასწავლო პოტენციალის შემდგომი განვითარების და დროის შესატყვისი ინოვაციების დანერგვის ხანა. დღეს იგი ასეთივე წარმატებით და ენერგიულად აგრძელებს საქმიანობას, როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტის, სრული პროფესორი და საქართველოს ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი.

თავისი ნაყოფიერი და მრავალფეროვანი მოღვაწეობის მიუხედავად თითქმის მუდამ იგრძნობოდა მოლოდინი, რომ როგორც თავისი კუთხის ღვიძლი შვილი, აუცილებლად წარმოაჩენდა რაჭის ისტორიას, მის ყოფასა და დღევანდელ პრობლემებს. სწორედ ამ მოლოდინის გამართლება გახლავთ 2013 წელს გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ გამოცემული როინ მეტრეველის ნაშრომი: „რაჭა“ შტრიხები წარსულიდან.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე, რომლის პროფესორი და შემდეგ გამგე იყო ბ-ნი როინი, ფუნქციონირებდა სოფლების ისტორიის შემსწავლელი ლაბორატორია. მისი თანამშრომლების მიერ გამოქვეყნდა რამდენიმე საინტერესო ნაშრომი. ეს ტრადიცია შემდგომში გავრცელდა და გამოქვეყნდა სოფლების, რაიონებისა და საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეების შესახებ საინტერესო შრომები.

რაჭის ისტორიის ცალკეული საკითხები მეტნაკლებად შესაწავლილია, მაგრამ მისი ისტორიის, ეთნოგრაფიის, ყოფის, ხუროთმოძღვრების, საერისთავოს წარმოშობის ისტორიის საკითხების ერთიანობაში წარმოჩენის მცდელობა აქამდე არ ყოფილა. ნაშრომი სამეცნიერო და შემეცნებითი ხასიათისაა, რომლის მიზანია რაჭის ისტორიის გაცნობა მკითხველისათვის,

მაგრამ მისი სტრუქტურა იმგვარადაა მოფიქრებული, რომ წმინდა ისტორიული ინფორმაციის გარდა მკითხველი ეცნობა ზოგადად საქართველოს მთიანეთის ისტორიის, კონკრეტულად რაჭის რეგიონის წინაშე მდგარ პრობლემებს. ფართოდაა გაშუქებული რაჭის საერისთავოს ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები, განხილულია უცხოელ ავტორთა საინტერესო ცნობები რაჭის შესახებ, მიმოხილულია ხუროთმოძღვრების ძეგლების დიდი ნაწილი, ისტორიული მნიშვნელობის ხელნაწერები, ჭედურობისა და ფრესკული მხატვრობის ნიმუშები. ნაშრომში განხილულია რაჭის ისტორიული გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის საინტერესო საკითხები.

როგორც ყოველთვის ამ გამოკვლევაშიც ავტორი ნებისმიერ საკითხზე მსჯელობისას სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროების მონაცემების სრულად მოხმობისა და სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ყველა, მათ შორის განსხვავებული შეხედულებების მაქსიმალური გათვალისწინებით და ანალიზის შედეგად, პრაქტიკულად არ ტოვებს პოლემიკისათვის საჭირო სივრცეს. ეს ეხება „რაჭა“-ში განხილული საკითხების თითქმის მთელ სპექტრს.

ავტორი როგორც ზემოთ აღნიშნეთ, არ იფარგლება რაჭის რეგიონის და მისი ისტორიის საკითხებით. იგი ვრცლად ეხება საქართველოს მთიანეთის სამეურნეო, საყოფაცხოვრებო პრობლემებს, რომელიც მისი თქმით, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში აწუხებდა ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილს. აღნიშნული აქვს, ჩვენი დიდი ისტორიკოსების, ასევე ეთნოგრაფების, არქეოლოგების დამსახურება საქართველოს მთიანეთის მეცნიერული შესწავლის საქმეში. სავსებით მართებულია ავტორის მოსაზრება, ზოგადად ჩვენი ქვეყნის, კონკრეტულად მთიანეთის წინაშე მდგარი დემოგრაფიული კატასტროფის გარდაუვალობაზე, თუ დროულად არ იქნა გადაწყვეტი ღონისძიებები მიღებული სახელმწიფოს მხრიდან შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად.

ავტორი ვრცლად იხილავს რაჭის საერისთავოს ისტორიას. რაჭის საერისთავოს წარმოშობის თარიღზე მსჯელობისას განხილული აქვს ამ საკითხებზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრება და მათი შეჯერებისა და ანალიზის შედეგად ასკენის, რომ ეს საერისთავო X-XI საუკუნეების მიჯნაზეა შექმნილი. ავტორი საინტერესო დასკვნებს გვთავაზობს კახაბერისძეთა ფეოდალური სახლის შექმნის თაობაზე და თვლის, რომ რაჭის საერისთავოს ისტორიის პირველ ეტაპზე, ვიდრე დავით ნარინი გააუქმებდა საერისთავოს, ეს საგვარეულო იყო რაჭის საერისთავოს სათავეში. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ავტორი ძალზე საინტერესო მიმოხილვას მიმართავს. დავით ნარინმა რაჭის საერისთავო 1378 წელს გააუქმა და სახასო მამულად აქცია, ავტორის ვარაუდით კახაბერისძეების გვარი ამოწყდა. ავტორს მიაჩნია, რომ გიორგი ბრწყინვალეს დროს უნდა აღდგენილიყო რაჭის საერისთავო ჭარალიძეების გვართ სათავეში, თუმცა ავტორი მიუთითებს, რომ არსებობს განსხვავებული შეხედულებაც.

ნაშრომში სხვა უცხოელ ავტორებთან შედარებით უფრო ვრცლად და საინტერესოდაა განხილული გიულდენშტედტის ცნობები რაჭის შესახებ, რომელიც მან დატოვა ჩანაწერებში, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა ორ ტომად სათაურით: „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში“. გიულდენშტედტი რაჭაში მოგზაურობდა 1772 წელს და ბევრი საინტერესო ცნობა დაგვიტოვა ამ კუთხის შესახებ. როგორც ხშირად ხდება, უცხოელი ავტორების ცნობები ბევრ საინტერესო ცნობასთან ერთად ზოგჯერ არაზუსტ ან ნაკლებ ინფორმაციას შეიცავენ. რაჭის შესახებ ცნობებში ზოგჯერ ეს ავტორი არასრულ ცნობას იძლევა, ასეთ შემთხვევაში „რაჭას“ ავტორი საკითხის სრულად და სწორად გაგების მიზნით მიმართავს ამ საკითხის მეცნიერულ კომენტირებას.

რაჭის საერისთავოს ისტორიის თითქმის ყველა საკითხი ავტორს განხილული აქვს საქართველოს, კერძოდ იმერეთის სამეფოს ისტორიასთან კავშირში. ამ მხრივ ძალზე საინტერესოდაა გადმოცემული რაჭის ერისთავების სხვადასხვაგვარი, ცვალებადი დამოკიდებულება იმერეთის სამეფოსთან. ავტორს ახსნილი აქვს რაჭის ერისთავების

ცალკეულ შემთხვევებში განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის მოტივები და შეფასებულია მათი ქმედებები.

მეთექვსმეტე საუკუნის 30-იანი წლებიდან რაჭის საერისთავოს სათავეში ჩხეიძეების გვარი უდგას. ავტორი ასწორებს ჩვენი დიდი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას, რომ მეთექვსმეტე საუკუნემდე რაჭა სამეფო საკუთრებას წარმოადგენდა და როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ასაბუთებს, რომ მეთოთხმეტე საუკუნეში რაჭის საერისთავო უკვე აღდგენილი იყო და მას სათავეში ჭარელიძეები ედგნენ.

ავტორი ეხება რაჭის საერისთავოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს. საისტორიო წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით ნაშრომში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ისტორიული დვალეთი, ტერიტორია დარიალისა და მამისონის უღელტეხილს შორის, რომელიც საქართველოს სამეფოს საზღვრებში შედიოდა, გარკვეულ პერიოდში შეიძლება რაჭის საერისთავოს გაგლენის ქვეშ იმყოფებოდა და ამდენად დვალეთი ისტორიული საქართველოა. ასევე საკვებით დასაბუთებული და ლოგიკურია ავტორის მოსაზრება, რომ კუდარო რაჭის საერისთავოში შედიოდა.

ავტორი საკმაოდ ვრცლად ეხება რაჭის ხუროთმოძღვრების საკითხებს. მიმოიხილას რაჭის სოფლებში არსებული ეკლესიების ისტორიას და მათში დაცული სიძველეების, ხელნაწერების ისტორიული საბუთების, წარწერების თუ კედლის მხატვრობის ნიმუშებს. ხაზგასმითაა აღნიშნული ის გარემოება, რომ ბევრი ასეთი სიძველის შესწავლა არა მარტო რაჭის არამედ საქართველოს ისტორიისათვის იძლევა საინტერესო მასალას. ხოტევის, ბეთლევის, მარავლძაღის, წესის და სხვა ეკლესიების წარწერების ცნობები ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს იმერეთის სამეფოს ისტორიის ცალკეულის პერიოდების სარულფასოვან შესწავლას.

წიგნში ავტორს სხვა საკითხებიც აქვს საინტერესოდ განხილული [ტოპონიმების წარმოშობის (რაჭა, ღები), მეზობელ კუთხეებთან (სვანეთი, ლეჩხუმი) ურთიერთობა] სრულიადაც არა პესიმისტური, მაგრამ შემაშფოთებელი და რაც მთავარია დროულია ავტორის მიერ ნაშრომის დასკვნით ნაწილში გამოთქმული მოსაზრება, რომ ზოგადად საქართველოს მთიანეთს და მათ შორის რაჭას, ისე როგორც არასდროს, სჭირდება სახელმწიფოს მესვეურთა და მთელი საზოგადოების ერთსულოვანი მოქმედება, რათა თავიდან იქნას აცილებული უდიდესი ზიანი, რაც რაჭის მოსახლეობისაგან დაცლას შეიძლება მოყვეს.

ბ-ნი როინის ამ ნაშრომის კიდევ ბევრ ღირსებაზე შეიძლება ვრცლად საუბარი. დასკვნის სახით მოვახსენებთ, რომ ეს წიგნი აუცილებელი, საჭირო და დროული იყო. მინდა მადლობა მოვახსენო ავტორს და განსაკუთრებით მივულოცო ამ წიგნის გამოსვლა რაჭის საზოგადოებას, რომელიც დარწმუნებული ვარ, დიდი ინტერესით და მადლიერებით მიიღებს მას.

რეცენზია წაკითხული იყო ნაშრომის, „რაჭა შტრიხები წარსულიდან“, პრეზენტაციაზე 2013 წლის მაისში.

## სარჩევი

### ისტორია

ვახტანგ გურული, მცხეთის საპატრიარქოს გაუქმება (1809-1811).....	6-27
როზეტა გუჯეჯიანი, კალის წმინდა კვირიკეს მონასტრის ისტორია და კვირიკობა სვანეთში.....	28-39
ლევან ჯიქია, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ („დამკომის“) ისტორიიდან (1922-1924).....	40-63
ჯემალ კარალიძე, ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა 1888-1914 წლებში.....	64-70
ვახტანგ გურული, დოკუმენტები და მასალები ფინეთის ახალი ისტორიისათვის (1808-1947).....	71-87
ლევან ჯიქია, სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე ანდრონიკაშვილი საბჭოთა სამსჯავროზე (1925 წლის ივლისი-აგვისტო).....	88-103

### ფილოლოგია

მანანა ტაბიძე, სამეტყველო კოდების ურთიერთმიმართებისა და შერევის სოციოლინგვისტური კვალიფიკაციის საკითხი.....	105-110
ტარიელ ფუტყარაძე, თურქი/ბუნთურქი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით.....	111-120
ლია კარიჭაშვილი, იონა ხელაშვილის ბიოგრაფიიდან.....	121-125
თამარ ხვედელიანი, „დიდვაჭარნი სარგებელსა...“.....	126-136
პაატა კვარაცხელია, სიკვდილი ტერენტი გრანელის პოეზიაში.....	137-149

### თარგმანმცოდნეობა

ეკა დუღაშვილი, გრიგოლ ღვთისმეტყველისადმი მიძღვნილი ბიზანტიური საგალობლის უძველესი ქართული თარგმანი.....	151-155
---	---------

### სამართალი

მინდია უგრეხელიძე, სახელოვანი მეცნიერი იურისტი და საზოგადო მოღვაწე (დაბადებიდან 110 წლისთავის გამო).....	157-168
--	---------

### რეცენზია

ემილ კოპალიანი, რეცენზია აკადემიკოს როინ მეტრეველის წიგნზე „რაჭა შტრიხები წარსულიდან“, („არტანუჯი“, თბილისი, 2013).....	170-172
---	---------

## Contents

### *History*

<b>Vakhtang Guruli</b> Abolition of Mtskheta Patriarchy (1809-1811).....	6-27
<b>Rozeta Gujejiani</b> The history of St Kvirike monastery of Kala and Kvirikoba in Svaneti.....	28-39
<b>Levan Jikia</b> Abstract from the History of „Committee of Independence of Georgia“ („Damkomi!“) (1922-1924).....	40-63
<b>Jemal Karalidze</b> , Batumi urban self-government in 1888-1914.....	64-70
<b>VAKHTANG GURULI</b> , Dokumente und Materialien zur neuen und neuesten Geschichte von Finnland (1808-1947).....	71-87
<b>Levan Jikia</b> , The social-democrat - Konstantine Andronikashvili on the soviet justice (July-August 1925).....	88-103

### *Philology*

<b>Manana Tabidze</b> , The issue of sociolinguistic qualification of correlation and mixing capacity of the speech codes.....	105-110
<b>Tariel Futkaradze</b> , Turk/Bun-Turk according to the Kartlis Tskovreba (the Georgian Chronicles).....	111-120
<b>Lia Karichashvili</b> , from the biography of Iona Khelashvili.....	121-125
<b>Tamar Khvedeliani</b> , „Merchant benefits...“.....	126-136
<b>Paata Kvaratskhelia</b> , Death in Terenti Graneli’s poetry.....	137-149

### *Translation Studies*

<b>Eka Dugashvili</b> , Ancient Georgian Translation of the Hymnographical Canon dedicated to Gregory the Theologian.....	151-155
--	---------

### *Jurisprudence*

<b>Mindia Ugrekhelidze</b> , In Memory of 110 <sup>th</sup> Anniversary of Professor Tinatin Tsereteli.....	157-168
---	---------

### *Review*

<b>E. Kopaliani</b> , Review On the book of Academician Roin Metreveli - „Racha Features from the past“ (Artanuji, Tbilisi, 2013).....	170-172
---	---------